# კვირის პალიტრა

## ყოველკვირეული გაზეთი

№ 33 (278) ◆ 14 – 20 აგვისტო, 2000 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.




### ...ჩვენი საგარეო პოლიტიკის უპირველესი მტერი ჩვენი საშინაო პოლიტიკაა...

...დაანგარიშებულია, რომ საქართველო, აშშ-დან მიღებული დახმარებების მიხედვით, ისრაელისა და ეგვიპტის შემდეგ პირველ ადგილზეა...

...რუსეთთან წამოწყებული ყველა თამაშიდან ხელისუფლება საფასურად საკუთარი სკამის შენარჩუნების გარანტიას იღებს...

...ერთი წავიდნენ ეს ჩვენი ბიზნესმენები და ევროპაში აკეთონ კანონიერი ფული... სულ კინწისკვრით გამოყრიან იქიდან. გვ. 3

### დავით აღმაშენებელი — ერის წინაშე ყველაზე ვალმოხდილი მეფე

გვ. 31

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

### 14 აგვისტოს სოხუმში ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებები დაიწყო...

25 სექტემბერს, როცა სოხუმი ალყაში მოექცა, ქალაქში მარტო რადიო მუშაობდა, თუმცა გაგრძელებას უკვე აზრი არ ჰქონდა...

სოხუმის რადიოს ჟურნალისტებმა 26 სექტემბერს ბოლო ქართული გადაცემა გაუშვეს ეთერში და ერთ-ერთმა უკანასკნელებმა დატოვეს ქალაქი. გვ. 14



### საქართველოში ხე-ტყის საფარი ფაქტობრივად აღარ არსებობს...

— ეს პარლამენტარები გაიქცევიან, ჩვენ კი თავს მიწისძვრები და სხვა ათასი სტიქიური უბედურება დაგვატყდება... რატომ ჰგონიათ, რომ ლაუნები ვართ...

— გარემოს დაცვის მინისტრს კი პირში წყალი აქვს ჩაგუბებული... გვ. 6

### სად წავიდა 600.000 დოლარი?



ლონდონის აეროპორტში ცნობილი ქართველი მხატვარი დააპატიმრეს... ამერიკაში სახელმოხვეჭილი მხატვარი საქველმოქმედო პროგრამით ჩამოდის საქართველოში, იწყება დიდი საქმე, რომელიც დიდი გაუგებრობით მთავრდება... გვ. 8

ხმა კულისებიდან – უკულმა გიჭირავთ ჭოგრიტი ბატონო ედუარდ. გვ. 31

ე.შ. – უკულმაც კარგად ვხედავ მე!

ფოტოპალიტრა

### ხომ გითხარით, დავბრუნდებით, მიაძახა და პისტოლეტი დაახალა...



...ეს თბილისში, კაზინო „ვიქტორიაში" მოხდა...

...ირინა სარიშვილი-ჭანტურიას უკვირს შვილის ნათლიის ასეთი საქციელი... გვ. 5

### რა ღირს შეურაცხადი ადამიანის პასპორტი?

...საზღვარგარეთ წამსვლელებო, ახალ მახეს გიგებენ... გვ. 5

...კარგად ნახეთ, მზრუნველმა ფირმებმა ისეთი პასპორტით ხომ არ „დაგასაჩუქრეს", აშშ-ში კატასტროფის შედეგად მეხსიერებადაკარგულ, შეურაცხად ადამიანებს რომ ურიგებენ...

### სამხედრო თემაზე

— ერთი გადის, მეორე მოდის — ცხელ ადგილს არ აცივებენ... გვ. 9

— დღეს სენაკის, კოპიტნარის, მარნეულის, დიდი შირაქის, ვაზიანისა თუ გუდაუთის სამხედრო აეროდრომები NATO-სთვის დიდ ინტერესს წარმოადგენს. ევროპაშიც კი ცოტაა ამდენი პირველი კლასის აეროდრომი...

### ყურადღება, თბილისში ბინების გაქურდვა გახშირდა...

...ცნობილი ქურდები ბინაში შეპარულან, მაგრამ მისამართი შეშლიათ და მდიდარი ოჯახის ნაცვლად ღატაკ ცოლ-ქმართან მოხვედრილან. აცეცებენ თვალებს, მოსაპარი არაფერია... რა ფული, რის ფული. სამზარეულოში მაგიდაზე წერილი დევს: „ძვირფასო, ეგებ ისესხო ფული და ბავშვისთვის რძე იყიდო".

ქურდები ჯიბეებს იჩხრეკენ, საკუთარ ფულს მაგიდაზე დებენ და ბინას ღირსეულად ტოვებენ... გვ. 10

### წალკის პრობლემა ქართველების მასობრივი ჩასახლებით მოგვარდება...



— ქართულად ნუ ლაპარაკობ — წაუყენეს პრეტენზია წალკელებმა როსტომ დოლიძეს...

— კვალიაშვილი სომხების კაცია — დასდო ბრალი მთვრალმა ბერძენმა...

— დავსაჯოთ ორგანიზატორები და არა მოტყუებული ახალგაზრდები — ბევრგზის გაიმეორა კვალიაშვილმა;

— შენ ვინა ხარ და რა გაგიკეთებია? ჩემმა ყველმა პარიზში ოქროს მედალი დაიმსახურა. გვ. 7

შეიძლება ითქვას, შეხვედრა — ჩაიშალა.

### რა ხდება „დინამოში"?

...მართავენ თუ არა გუნდს კლანები?

...ვინ ცდილობს გუნდის ხელში ჩაგდებას?

...ბატონი კახი ასათიანი საკუთარ პოზიციას აფიქსირებს. გვ. 28

### ვასილ სილაგაძე აღარ მუშაობს „ეკოდაიჯესტში" (?!)

— როდესაც ჟურნალისტი დაპირისპირებულია ძალოვან უწყებასთან, გაზეთი ვალდებულია, გვერდში დაუდგეს საკუთარ ჟურნალისტს — სხვა საქციელი ზნეობრივად გაუმართლებელია... გვ. 5

### საკვირაო



ტელე-კინოგიდი 14-20 აგვისტო

გვ. 16-17

### როგორ გაუცრუა ბერიამ „აბვერს" „უკანასკნელი იმედი"

...სუპერაგენტმა ბერლინში ყველა გამოცდა წარმატებით ჩააბარა... თვითმფრინავმა სმოლენსკის ტყეშიც მშვიდობიანად ჩამოსვა... საგუშაგო პოსტთან შეაჩერეს სსრკ გმირის ვარსკვლავით მკერდდამშვენებული... ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა. გვ. 24

მსოფლიოს წამყვანი ასტრონომები საკითხს უკვე ასე კი არ სვამენ — მოხდება თუ არა ოდესმე დედამიწის შეჯახება რომელიმე კოსმოსურ სხეულთან, არამედ — როდის მოხდება ეს!

ამაზე ქართველი მეცნიერებიც ფიქრობენ და მუშაობენ. გვ. 25

Неделя
КОММАНДОС
ЧАСТНАЯ ЖИЗНЬ
ТЕЛОХРАНИТЕЛЬ
За РУБЕЖОМ
МОСКОВСКИЕ НОВОСТИ
Newsweek
FOCUS
Общая газета
DER SPIEGEL
КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА
stern
СЕГОДНЯ
Клюква
ИЗВЕСТИЯ
ТРУД
СОВЕРШЕННО СЕКРЕТНО
АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ
Иностранец
Le Figaro Magazine
MATCH
ТВ ПАРК
ЛИЦА
ОГОНЁК
daily
Le nouvel Observateur
ИТОГИ

## თქვენს გაზეთს მთელი საქართველო კითხულობს

## მძევლები გაათავისუფლეს!

პანკისის ხეობაში დაკარგული წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის თანამშრომლის გამტაცებლებთან სამართალდამცავებს მთელი კვირის მანძილზე მოლაპარაკებები ჰქონდათ და შეთანხმებულნიც იყვნენ, რომ მძევლებს 10-11 აგვისტოს გაათავისუფლებდნენ, მაგრამ მძევლების გათავისუფლება მხოლოდ 13 აგვისტოს მოხერხდა. გამთენიისას, 5 საათზე, ნატაშა ზულინო, სოფია პროკოფიევა და ლევან დარჩიევი გაათავისუფლეს. გათავისუფლების ოპერაცია პანკისის ხეობაში, სოფელ ფიჩხოვანთან განხორციელდა ყოველგვარი ექსცესების გარეშე. მთელი ამ ეპოპეიდან კი, ჯერჯერობით, გაირკვა ის, რომ მძევლები შეიარაღებულ დამნაშავეთა ათკაციან ჯგუფს ჰყავდა აყვანილი, რომლებიც სხვადასხვა დანაშაულისათვის არიან ძებნილნი. მძევლების გათავისუფლების პირობადაც ტერორისტები მოითხოვდნენ მათ წინააღმდეგ აღძრული საქმეებისა და ძებნის შეწყვეტას. მართალია, სამართალდამცავებისთვის დამნაშავეთა ვინაობა ცნობილია, მაგრამ რატომღაც მათი სახელები და გვარები მკაცრად გასაიდუმლოებულია! თუმცა სარწმუნო ინფორმაციით, ბანდა ქისტებისა და ქართველებისგან შედგებოდა.

„წითელი ჯვრის" საერთაშორისო კომიტეტის თბილისის წარმომადგენლობის თანამშრომლები პანკისში ჩეჩენი ბავშვების დასახმარებლად იყვნენ ჩასულები. ერთ-ერთი მათგანი, სოფია პროკოფიევა, რომელიც უკვე სამი წელია მუშაობს საქართველოში, ამ მისიას პანკისის ხეობაში ერთი წლის განმავლობაში ასრულებდა. მეორე — ნატაშა ზულინო საქართველოში ახალი ჩამოსული იყო. მას სოფია უნდა შეეცვალა. ასე რომ, ეს იყო სოფიას ბოლო და ნატაშას პირველი ვიზიტი პანკისის ხეობაში. საინტერესოა, რომ სოფია პროკოფიევა თეთრგვარდიელი ემიგრანტის შთამომავალია. ბაბუამისის მამა რუსეთის იმპერატორის არმიაში, კერძოდ, სიღნაღში მდგარ ნაწილში ოფიცრად მსახურობდა. სოფიას ბაბუა სიღნაღში დაბადებულა. 1918 წელს ოჯახმა სიღნაღი დატოვა და ემიგრაციაში წავიდა.

## დაბინძურებულ საკვებს მაიმუნიც უმსხვერპლია

გენერალური პროკურატურის კოლეგიის მორიგი სხდომა მთლიანად მიეძღვნა ფალსიფიცირებული პროდუქციის წინააღმდეგ ბრძოლაში პროკურორთა მუშაობის შედეგების შეჯამებას, სადაც შესაჯამებელი დიდი არაფერი აღმოჩნდა, ანუ პროკურატურამ უარყოფითად შეაფასა პროკურორთა მუშაობა ამ „ფრონტზე"... ითქვა, რომ 1999 წელს ფალსიფიცირებულ პროდუქციაზე აღძრული 201 სისხლის სამართლის საქმიდან 81 არც კი განხილულა. ანზორ ბალუაშვილი ამის გამო მისდგა თავის უმცროს კოლეგებს და უუნარობისა და უპასუხისმგებლობისათვის სულ ბდღვირი ადინა. ეკოპოლიციის შეფმა დემურ მიქაძემ კი „გაოცება" გამოთქვა, გაგანია სიცხისა და საკურორტო სეზონის პირობებში, თანაც დამსვენებლებით გადატენილ აჭარაში ფალსიფიცირების ფაქტიც კი „ვერ აღმოაჩინესო"... კოლეგიაზე დიდი ყურადღება დაეთმო ბორჯომისა და ხაშურის რაიონებში შექმნილ ვითარებას, ეს რაიონები წალეკილი აქვს ფალსიფიცირებულ საქონელს. საქსტანდარტის წარმომადგენლები კი აღნიშნავდნენ, რომ საქართველო დღეს ჰგავს ფალსიფიცირებული პროდუქციის უზარმაზარ გამოფენას და თანაც უამრავი მაკონტროლებელი სამსახურის „მუშაობის" ფონზეო... ასე რომ, ძნელი დასაჯერებელია ამ „გამოფენას" მხოლოდ გენპროკურატურის კოლეგიის სხდომებმა დააკლოს „ელვარება და მრავალფეროვნება", მით უმეტეს, რომ სხდომაზე ერთი „ფანტასტიკური" ფაქტის შესახებაც გაცხადდა: გაირკვა, რომ ისეთი დოზითაა დაბინძურებული ზოგიერთი საკვები პროდუქტი, რომ მას ზოოპარკში ცხოველების საჭმელადაც არ ღებულობენ. მაგალითად, შარშან მსგავს ფალსიფიცირებულ საკვებს ჩვენს მშობლიურ თბილისის ზოოპარკში ერთი მაიმუნის სიცოცხლე შეუწირავს...

## აჭარაში ოქრო აღმოაჩინეს

აჭარაში, ქედის რაიონში გეოლოგებმა ოქროს მიაკვლიეს. ეს მოხდა სოფელ მერისში, სადაც ქართველი გეოლოგები ბრიტანელ კოლეგებთან ერთად მუშაობდნენ. გეოლოგები უკვე ამთავითვე აცხადებენ, რომ აჭარაში იმდენივე ოქროა, რამდენიც მთლიანად საქართველოში. ცნობისათვის: საქართველოში ოქროს მთლიანი მარაგი 25 ტონაა, აჭარის ოქროს მარაგის რაოდენობა კი გადააჭარბებს ამ მაჩვენებელს. ოქროს კვარციტებში მიაკვლიეს, რომელიც არ საჭიროებს განსაკუთრებულ ქიმიურ გადამუშავებას. ამ შედეგით აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ ინგლისელი გეოლოგებიც!

## უსამართლო საყვედური...

მთავრობის მორიგ სხდომაზე პრეზიდენტის მორიგი რისხვა დაატყდა თავს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრს დავით მირცხულავას, რამაც ერთგვარი დაბნეულობა გამოიწვია დამსწრე საზოგადოებასა და ჟურნალისტთა რიგებში, თუმცა მოგვიანებით ყველაფერი „გაირკვა და დალაგდა". დიახ, პრეზიდენტი თანამდებობიდან გადაყენებით დაემუქრა მირცხულავას, რომელმაც საყვედური უსამართლოდ მიიჩნია და ჟურნალისტებს „გული გადაუშალა"... ყველაფერი კი დაიწყო იმით, რომ თემურ შაშიაშვილმა შეაქო დავით მირცხულავა, რომლის ძალისხმევითაც მოხერხდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნისათვის შეუფერხებლად ელექტროენერგიის მიწოდება. სწორედ შაშიაშვილის ამ უწყინარმა განცხადებამ განარისხა პრეზიდენტი და მირცხულავას პოსტიდან გაგდებით დაემუქრა, თუ სტრატეგიულ ობიექტებს შეუწყდება ელექტროენერგიის მიწოდებაო! აქ საინტერესო ის არის, რომ გარკვეული პერიოდის მანძილზე, როცა ზესტაფონის ფეროს ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა, მირცხულავას კი არა, ფირმა „ალიონი-პლუსის" ბრალი იყო. ეს ფორმა ფეროსა და ენერგობაზარს შორის შუამავლის ფუნქციას ასრულებდა... შემდეგ შაშიაშვილისა და მირცხულავას ერთობლივი „ფრონტით" მოქმედების შედეგად, ფერომ ენერგობაზართან პირდაპირ გააფორმა ხელშეკრულება და „ალიონი-პლუსი" გვერდით მოისროლა. შედეგად, 1999 წლის დეკემბრიდან დღემდე, ფეროს ელექტროენერგიის დეფიციტი არ უგრძვნია. დაბოლოს, საერთო აზრით, მირცხულავამ პრეზიდენტის ამხელა რისხვა იმიტომ დაიმსახურა, რომ „ფეროს საქმიდან" გაგდებულ „ალიონი-პლუსის" ერთ-ერთ მონაწილედ ნუგზარ შევარდნაძე მოიაზრება... მირცხულავა ირწმუნება, რომ პრეზიდენტს არასწორ ინფორმაციას ის ძალები აწვდიან, რომლებსაც სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის პოსტზე არანაირად არ აძლევთ ხელს დავით მირცხულავას ყოფნა!

## ბალცეროვიჩი სამ თვეში ერთხელ ჩამოგვაკითხავს...

მართალია, ლეშეკ ბალცეროვიჩი დათანხმდა პრეზიდენტ შევარდნაძის მრჩევლის პოსტს, მაგრამ გამუდმებით თბილისში ყოფნაზე უარი განაცხადა. აქ მუდმივად მისი ექსპერტების ჯგუფი იმუშავებს, რომელსაც ვარშავიდან გაუწევს კოორდინაციას. თავად კი შედეგების შესაჯამებლად თბილისში სამ თვეში ერთხელ ჩამოვა. მაგრამ ბალცეროვიჩმა ისიც ბრძანა, რომ თუ პირველი სამი თვის შედეგები არადამაკმაყოფილებელი იქნება, მუშაობას აღარ გავაგრძელებო! ეს ერთგვარი გაფრთხილებაც გახლდათ საქართველოს ხელისუფლების მიმართ.

ბალცეროვიჩმა პირველი „შოკური" რჩევები დაუტოვა ქართველ ხელისუფალთ, მოუწოდა მათ უფრო მჭიდროდ ითანამშრომლონ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, გაითვალისწინონ მისი რეკომენდაციები; კორუფციასთან ბრძოლა დაიწყონ იმ სტრუქტურების სრული რეორგანიზაციით, რომლებიც ყველაზე მეტად არიან გარეულნი კორუფციაში, ხელი შეუწყონ ბიზნესის განვითარებას, მოახდინონ ჯერ კიდევ სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საწარმოების პრივატიზაცია და ა. შ. (ვრცლად იხ. გვ. 21)

## გაიტაცეს სულ „რაღაც" 28.700 ლარი

ქუთაისში ადგილობრივი „განგსტერები" თავს დაესხნენ ინკასატორთა მანქანას, რომლითაც გუმათჰესის თანამშრომლების კუთვნილი ხელფასები მიჰქონდათ. თავდასხმა საქართველოს ბანკის ქუთაისის ფილიალთან მოხდა. „განგსტერებმა" კარგა ხანს სდიეს ფულით „გატენილ" მანქანას, შემდეგ წინ გადაუდგნენ, ჰესის ბუღალტერი, მოლარე და ეკონომისტი მანქანიდან გადმოყარეს და ფული წაართვეს, სულ „რაღაც" 28.700 ლარი, რომელიც მუშების ერთი თვის ხელფასს შეადგენდა. არადა, მუშებს 11 თვიანი უხელფასო პერიოდის შემდეგ პირველად უნდა მიეღოთ ჯამაგირი... გაირკვა, რომ ხელფასის თანხის გადატანის შესახებ მხოლოდ აღნიშნულმა სამმა პიროვნებამ და საწარმოს დირექტორმა იცოდა. პოლიცია აცხადებს, რომ დაცვის გარეშე მათ ბანკიდან ფულის გამოტანის უფლება არ ჰქონდათ... მიმდინარეობს გამოძიება და ჰესის თანამშრომლების ინტენსიური დაკითხვა.

## რესტავრატორები ყინწვისს გადაარჩენენ

ყინწვისში მუშაობას შეუდგა იტალიელ რესტავრატორთა ჯგუფი. რესტავრატორები გვპირდებიან, რომ გადაარჩენენ ყინწვისის ტაძრის უნიკალურ ფრესკებს, რომლებზეც სოკოვანი ბაქტერიები აღმოაჩინეს. ეს ბაქტერიები კი ნესტთან ერთად შლის და ღრღნის თამარისა და ლაშა-გიორგის გამოსახულებებს. სხვათა შორის, იტალიელი სპეციალისტები აცხადებენ, რომ ფრესკების მსგავსი დაავადებები მათ არასოდეს შეხვედრიათ. ამჟამად მიმდინარეობს ფრესკების კონსერვაცია!

## სოხუმში გულიას ძეგლი ააფეთქეს

**(ბლექსი-პრესი)** აფხაზური შს სამინისტროს ცნობით, სოხუმის ცენტრში ააფეთქეს დიმიტრი გულიას ძეგლი. დაუდგენელი სახის ასაფეთქებელი მოწყობილობა აფხაზური დამწერლობის ფუძემდებლის ძეგლის ქვეშ იყო მოთავსებული. აფეთქების შედეგად ძეგლი მნიშვნელოვნად დაზიანდა.

## ივერიის ღვთისმშობლის ხატს მირონი სდის

საქართველო კიდევ ერთი უფლისმიერი სასწაულის მოწმე გახდა — მირონი სდის პორტაიტისად (კარიბჭის) წოდებულ ივერიის ღვთისმშობლის ხატს.

დედაღვთისას ხატის ასლი, რომელიც 1988 წელს ჩამოაბრძანეს ათონის მთიდან, მორწმუნეთა ოჯახებში მოგზაურობს. ხუთშაბათს, 10 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე ხატი მიაბრძანეს შორენა ლაზიაიძის ოჯახში. საგულისხმოა, რომ ქალბატონმა შორენამ წელს გაიარა წმიდა ნინოს გზა და მოილოცა სამხრეთ საქართველოს ეკლესია-მონასტრები.

...ღამის 2 საათზე ივერიის ღვთისმშობლის ხატს წარმოსდინდა მირონი, რომელიც ამჟამადაც სდის. 13 აგვისტოს ხატი გადააბრძანეს ფერისცვალების დედათა მონასტერში. სამღვდელოებამ ამ სასწაულის გამო დიდი პარაკლისი გადაიხადა.

## კომპოზიტორებს მუსიკისთვის აღარ სცალიათ

კონტროლის პალატაში ნამდვილი ცოდვის კალო დატრიალდა, როცა იქ კომპოზიტორთა კავშირის ქონების გაყიდვის საქმე ირჩეოდა... კონტროლის პალატის თავმჯდომარისა და პრეზიდიუმის წევრების თანდასწრებით, ცნობილი კომპოზიტორები ურთიერთბრალდებებით ერთმანეთს ისე დაუნდობლად დაერივნენ, რომ სულხან მოლაშვილს რამდენჯერმე მოუხდა მათი კატეგორიული გაფრთხილება და სხდომის ჩაშლითაც დაემუქრა...

კონტროლის პალატის მიერ კომპოზიტორთა კავშირში ჩატარებული რევიზიის აქტის საფუძველზე გაცხადდა, რომ კავშირში გამოვლინდა ფინანსური დარღვევები. კავშირის შენობის პირველ სართულზე დღეს სასტუმრო „ასტორია" ფუნქციონირებს, გაყიდულია კომპოზიტორთა კავშირის კუთვნილი საწარმოო კომბინატი „ჩანგი"... საბოლოო დადგენილებას ყოველივე ამის შესახებ კონტროლის პალატის პრეზიდიუმი ამ დღეებში გამოაქვეყნებს. საქმეს კი ისეთი პირი უჩანს, რომ ვაჟა აზარაშვილისა და ნუნუ გაბუნიას ჯგუფები მალე სასამართლო დარბაზში გადაინაცვლებენ ჭეშმარიტების დასადგენად!

## ექსმინისტრი კონკრეტულ დავალებებს ასრულებდა

არანაკლები სტრესი მიიღო კონტროლის პალატაში კავშირგაბმულობის ექსმინისტრმა სერგო ესაკიამ (მოგეხსენებათ, კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის სამინისტროების გაერთიანების შემდეგ ამ უწყებას ხელმძღვანელობს მერაბ ადეიშვილი)! კონტროლის პალატის მონაცემებით, 1998-99 წლებში სამინისტრომ წმინდა მოგების სახით სახელმწიფოს 6 მლნ 468 ათასი ლარის ნაცვლად, 1 მლნ 600 ათასი ლარი გადაუხადა, ხოლო 4 მლნ 856 ათასი ლარი არამიზნობრივად დაიხარჯა, კერძოდ, სამინისტროს თანამშრომელთა უცხოეთის ქვეყნებში მივლინებებზე, გარეშე პირების დახმარებებზე, ქველმოქმედებაზე. ამ ციფრებს, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, გამყრელიძის საპარლამენტო კომისიაც ადასტურებს, რომელმაც ესაკიას საქმე რამდენიმე დღით ადრე განიხილა... ყოველივე ამის მომსმენმა ესაკიამ კონტროლის პალატის პრეზიდიუმის სხდომაზე მოულოდნელად ისეთი განცხადებები გააკეთა, რომ ყველას, პალატის თანამშრომლებსაც და ჟურნალისტებსაც თავგზა აუბნია. მან ამ თანხების ხარჯვა პირდაპირ დაუკავშირა, არც მეტი არც ნაკლები, ბოლო ორი წლის მანძილზე გამართულ სამ არჩევნებს და მათ ნორმალურად ჩატარებას... მან ისიც თქვა, რომ კონკრეტულ დავალებებს იღებდა პრეზიდენტისაგან, ყოფილი სახელმწიფო მინისტრისაგან და პარლამენტისაგან!

## სასადილოებში ბუზები და ტარაკნები ისადილებენ!

სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის საქალაქო ინსპექციამ შეამოწმა ქუთაისის საზოგადოებრივი კვების ობიექტებში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. ქალაქის უმეტეს კაფე-ბარსა და სასადილოში უსუფთაობაა, მომრავლებულია ბუზები და ტარაკნები. არა აქვთ ცხელი, გამდინარე წყალი, ცუდად ირეცხება ჭურჭელი. ნარეცხი ნაწლავის ჩხირებითაა დაბინძურებული. ტექნოლოგიური ინვენტარი და მზა პროდუქცია ბაქტეოროლოგიურად საშიშია. მიუხედავად იმისა, რომ არსებულ ობიექტებში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა საგანგაშოა, შემოწმებული კაფე-ბარები შეუფერხებლად აგრძელებენ მუშაობას, თუმცა სანიტარულმა ინსპექციამ მათ მიმართ უკვე გამოიტანა ექსპლოატაციის შეწყვეტის დადგენილება. თუ ასე გაგრძელდა, მალე ქუთაისში საზკვების ობიექტები მომხმარებლებს დაკარგავენ და მათ ადგილს „ღირსეულად" დაიკავებენ ბუზები და ტარაკნები.

## თუ აფხაზებს „ბაჟი" არ გადაუხადე...

**(გეა)** გალის რაიონის სოფელ თაგილონთან აფხაზურმა ადმინისტრაციამ დამატებითი საგუშაგო გახსნა ქართული მოსახლეობის მიერ სოფლებიდან ენგურის გამოღმა თხილის მოსავლის გადმოტანის გასაკონტროლებლად. საგუშაგოზე, სადაც მხოლოდ აფხაზური მხარეა წარმოდგენილი, პირველ რიგში ხდება შემოწმება, თუ როგორ ასრულებს ქართული მოსახლეობა აფხაზურ მხარესთან გაფორმებულ ხელშეკრულებას — თხილის თითო ძირიდან 400 გრამი მოსავლის ჩაბარების თაობაზე.

თაგილონის ახალგახსნილი საგუშაგო განლაგებულია ზუგდიდის რაიონის სოფელ შამგონასთან არსებული საგუშაგოს მოპირდაპირე მხარეს.



## რუსეთი ბრალს სდებს „ჰელოუ-ტრასტს"

რუსეთის მასმედიაში არ წყდება ხმაური ამ ქვეყნის უშიშროების სამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციის ირგვლივ, რომლის თანახმად, არასამთავრობო საერთაშორისო გამნაღმველი ორგანიზაციის „ჰელოუ-ტრასტის" აფხაზეთის ფილიალი ბრიტანელ მზვერავთა საქმიანობას კურირებს და რომ 1999 წლის შემოდგომაზე დაზვერვით მუშაობას ეწეოდნენ ჩეჩნეთში რუსეთის შეიარაღების შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად. რუსეთის უშიშროება დაზვერვით საქმიანობაში ბრალს „ჰელოუ-ტრასტის" 15 ინგლისელ თანამშრომელს სდებს, რომლებიც დავალებას აფხაზეთის ფილიალიდან იღებდნენ, თვითონ კი უშუალოდ ჩეჩნეთის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ! ამ ინფორმაციას ერთხმად უარყოფენ სახელმწიფო კანცელარიაშიც და არძინბას რეზიდენციაშიც!

## ჩეჩნეთში უცნობმა დაავადებამ იფეთქა

უკანასკნელ დღეებში ჩეჩნეთში უცნობი დაავადების შედეგად გარდაიცვალა 14 ადამიანი, რამდენიმე იმყოფება კრიტიკულ მდგომარეობაში. ბოევიკებმა განაცხადეს, ეს ფედერალთა ნამოქმედარია, მათ ურუს-მარტანის, ალხან-იურტისა და მალიხ-ატაგოვის რაიონებში წყალსაცავები მოწამლესო. ფედერალები კი უცნობი დაავადების გავრცელებას თავად ჩეჩნებს აბრალებენ, რომლებმაც გათხარეს რადიოაქტიური თუ მომწამლავი ნივთიერებით სავსე სამარხები.

## „მოღალატე მეზობლები"

13 აგვისტოს, სპარსეთის ყურის ქვეყნებსა და თურქეთში დისლოცირებულმა აშშ-სა და მისი მოკავშირეების ავიაციამ სასტიკად დაბომბა ერაყის ის სამხედრო ობიექტები, საიდანაც ამერიკელთა მტკიცებით, ერაყელებმა რამდენჯერმე ცეცხლი გაუხსნეს პატრულირებაზე მყოფ მოკავშირეთა სამხედრო თვითმფრინავებს. ბაღდადის განცხადებით, ამ დაბომბვის შედეგად განადგურდა არა სამხედრო ობიექტები, არამედ, სამოქალაქო შენობები და ჰუმანიტარული დახმარებების საწყობები, სადაც მარცვლეულის მარაგი ინახებოდა. დაიღუპა საწყობის ორი თანამშრომელი და 20-მდე კაცი დაიჭრა... სადამ ჰუსეინმა ტელევიზიით გამოსვლისას, მოკავშირეების გარდა, ქუვეითი, საუდის არაბეთი და თურქეთი დაადანაშაულა. იმავე დღეს ერაყის მთავრობის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, ამ ქვეყნებს „მოღალატე მეზობლები" უწოდეს და „სათანადო ზომების" მიღებით დაემუქრნენ. ოფიციალური ბაღდადის ინფორმაციით, მსგავს დაბომბვებს უკვე შეეწირა 300-მდე მშვიდობიანი მცხოვრები.

## ტერაქტის საქმეს უცხოელებიც გამოიძიებენ

რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ვლადიმირ რუშაილომ მოსკოვის ცენტრში მომხდარი ტერაქტის გამოძიების საქმეში დახმარებისათვის მიმართა აშშ-ის გამოძიების ფედერალურ ბიუროს და სხვა ქვეყნების სადაზვერვო სამსახურებს, რომლებსაც რუშაილომ დაუგზავნა ამომწურავი ინფორმაცია აფეთქების გარემოებათა შესახებ. რუსეთს უკვე შესთავაზა დახმარება აშშ-ის ფედერალური ბიუროს შეფმა ლუი ფრიჩმა. შეგახსენებთ, რომ ტერაქტმა 8, უკანასკნელი ინფორმაციით კი კიდევ 3 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, დაშავდა 90-ზე მეტი კაცი, 19 ადამიანის მდგომარეობა კვლავაც მძიმეა!

## შეტაკებებმა ყირგიზეთში გადაინაცვლა

ისლამისტ მეამბოხეთა რაზმებსა და სამთავრობო ჯარებს შორის წლების მანძილზე მიმდინარე შეტაკებები ტაჯიკეთიდან და უზბეკეთიდან უკვე ყირგიზეთსაც მოედო. ბი-ბი-სისთვის მიცემულ ინტერვიუში უზბეკეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ზაქირ ალმათოვმა განაცხადა, რომ 12 აგვისტოს სამთავრობო ჯარმა უკუაგდო ტაჯიკეთიდან უზბეკეთში შეჭრილი 70 კაციანი შეიარაღებული რაზმი და რომ სროლის დროს 5 უზბეკი ჯარისკაცი დაიღუპა!

იმავე დღეს ტაჯიკეთიდან ყირგიზეთის ტერიტორიაზე შეიჭრა 50 კაციანი შეიარაღებული ჯგუფი ცნობილი უზბეკი საველე მეთაურის ჯიმა ნამანგანის მეთაურობით, რომლებიც მოულოდნელად გადაეყარნენ ყირგიზელთა სამხედრო რაზმს და ბრძოლა გაუმართეს. შეტაკებისას დაიღუპა რამდენიმე ყირგიზი სამხედრო მოსამსახურე. ამ ინციდენტის შემდეგ ყირგიზეთის პრეზიდენტი ასკარ აკაევი ბიშკეკში შეხვდა დსთ-ის კოლექტიური თავდაცვის საბჭოს გენერალურ მდივანს ვალერი ნიკოლაენკოს, რომელმაც აკაევს ისლამისტებთან ბრძოლაში დახმარება აღუთქვა. დადასტურდა, რომ თავდამსხმელთა რაზმებში თალიბი მებრძოლებიც არიან!

# იქნება მცირე-მცირე მიღწევები, რათა თვალებში ნაცრის შეყრა გაგრძელდეს...

„საქართველომ პირველ რიგში უნდა გამოკვეთოს ზუსტი მოდელი, თუ როგორ სახელმწიფოს აშენებს და შემდეგ მას მოარგოს ის მრავალრიცხოვანი უცხოური პროგრამები და რეკომენდაციები, რომლებიც საქართველოში ამ დროისათვის მუშაობს...“

ჩვენთვის პირველი „შოკური“ განცხადება პოლონური „შოკური თერაპიის“ მამამ ბალცეროვიჩმა სწორედ ზემომოყვანილი სიტყვებით გააკეთა პრეზიდენტ შევარდნაძესთან შეხვედრისას! თუმცა იმის ილუზია არავის გვქონდა, ბალცეროვიჩი რაიმე კარგს და გამამხნევებელს გვეტყოდა ჩვენს შიდაეკონომიკურ კრიზისთან დაკავშირებით, მან ამ ფრაზით გაცილებით მეტი და უარესიც თქვა — ამდენი წლის მანძილზე საქართველომ არ იცის, რა უნდა და როგორ სახელმწიფოს აშენებსო! ანუ მსოფლიოში სახელგანთქმულმა ეკონომისტმა არა მარტო ეკონომიკაში დაგვისვა დიაგნოზი, არამედ უწინარესად პოლიტიკაში! და ეს ხდება 21-ე საუკუნის მიჯნაზე, თანაც მსოფლიოსა და ევრაზიულ სივრცეში მიმდინარე ურთულესი პროცესების ფონზე, როცა მეტნაკლებად სერიოზულმა საერთაშორისო პოლიტიკურ-ეკონომიკურმა რყევამ შეიძლება ისეთ უფსკრულში მოგვისროლოს, საიდანაც არათუ ბალცეროვიჩი, მამაზეციერიც ვეღარ ამოგვათრევს... ამიტომ კვლავ და კვლავ ისმის კითხვა: რატომ მოხდა ასე? ვესაუბრებით პოლიტოლოგ **ირაკლი მელაშვილს:**

— ეს ის ფრაზაა, რომელიც ნებისმიერ ჭკვიან კაცს მოუვა თავში, როდესაც გაეცნობა იმ ეკონომიკურ ვითარებას და საერთოდ პოლიტიკას, რასაც საქართველოში აქვს ადგილი. ბალცეროვიჩს ახალი არაფერი არ უთქვამს, ვერც იტყოდა. ეს არის ელემენტარული ლოგიკიდან გამომდინარე შეფასება, რადგან ნებისმიერი ქვეყანა ეკონომიკურ განვითარებას იწყებს იმით, რომ სახავს პრიორიტეტებს. აგერ, ისეთმა მაღალგანვითარებულმა ქვეყანამაც კი, როგორიც იაპონიაა, შარშან გამოყო ათეულ მილიონობით დოლარი საიმისოდ, რომ ამთავითვე გაარკვიოს და იცოდეს, მომავალი 100 წლის მანძილზე საით წავა მსოფლიო განვითარების ტენდენციები ეკონომიკაში, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, რათა ამის ანალიზის მიხედვით ზუსტი რეკომენდაციები მისცენ თავიანთ ბანკებს და ბიზნესმენებს, რომ მათ შეძლონ განსაზღვრა იმ პრიორიტეტებისა, სადაც მომგებიანი იქნება ინვესტიციების ჩადება. ჩვენ ბევრი გვიკლია იაპონიის დონის მიღწევამდე, მაგრამ ელემენტარული საკითხების მოგვარება ხომ უნდა შეეძლოს სახელმწიფოს?

ვთქვათ, მოდის უცხოური დახმარებები და დგება საკითხი, საით მივმართოთ ეს თანხები: გიგანტური საწარმოების ასამუშავებლად, რომლებსაც არასოდეს მოჰქონდათ მოგება, თუ სოფლის მეურნეობისკენ და მისი პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობისკენ, რაც ტრადიციულად მაღალ დონეზე იყო საქართველოში და შესაბამისი მოგებაც მოჰქონდა! დღეს ჩამოყალიბებულია მსოფლიო ბაზარი და უნდა გავიგოთ, რა ადგილს დავიჭერთ ამ ბაზარზე. საკუთრივ საქართველოს შიგნით აქვს პატარა ბაზარი და ჩვენთან მრეწველობა, წარმოება განვითარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის იქნება ექსპორტზე ორიენტირებული. მაგალითად, თოფაძის წარმოება 100%-ით რომ ამუშავდეს, ის ვერ გაასაღებს თავის პროდუქციას პატარა შიდა ბაზარზე. ჩვენ თუ რაიმე დარგის განვითარება გვინდა, უნდა ვიფიქროთ ისეთი წარმოებების გაძლიერებაზე, რომელთა პროდუქცია ექსპორტზე გავა... აი, როდესაც ამ პრიორიტეტებს განვსაზღვრავთ, მერე დავიწყებთ ლაპარაკს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომ გვჭირდება სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება, ამ დარგში უნდა მოვიზიდოთ ინვესტიციები. დავასაქმოთ ხალხი და ა.შ. დღეს კი ვეძებთ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ინვესტორს ყველგან, ასი წელი გავაგრძელებთ ამ ძებნას და ამ დროს ჩვენში ცოტამ თუ იცის, რომ ქართული პამიდორი ლონდონში იყიდება, თვითმფრინავებით გააქვთ! ამიტომ, უწინარესად უნდა მოხდეს სტრატეგიის განსაზღვრა, რის შემდეგაც მოდის ტაქტიკა, მაგრამ ჩვენ დღეს არც ერთი გვაქვს და არც მეორე... ეს კი მხოლოდ სუბიექტური მიზეზითაა გამოწვეული, რასაც საქართველოს ხელისუფლების დანაშაულებრივი უუნარობა ჰქვია!

**— ანუ იმისი თქმა გსურთ, რომ გამოცხადებული „ჯვაროსნული ლაშქრობა“ კორუფციასთან და ჩრდილოვან ეკონომიკასთან ბლეფი და წყლის ნაყვაა?**

— გახსოვთ, რამდენი საუბარი იყო იმ ადამიანებზე, რომლებმაც ვითომ თავი შეაფარეს პარლამენტს და დეპუტატის იმუნიტეტი მოირგეს. დღეს კი შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურებში აწინაურებენ და ეს მაშინ, როცა ძალიან სერიოზული ბრალდებები იყო მათ მიმართ, იგივე ზურაბ ჩხაიძის მისამართით მასმედიით გაცხადებული, რომ იგი გარეულია გარკვეულ კორუფციულ პროცესებში. არადა, არც ამ ბრალდებების საჯარო გაბათილება მოხდა, არც საზოგადოების ინფორმირება და დღეს ადგნენ და ჩააბარეს ისევ ამ ჩრდილოვან ეკონომიკასთან და კორუფციასთან ბრძოლის საქმე (!). ამიტომ, ნდობის ფაქტორი ხელისუფლებისადმი კვლავ უკიდურესად დაბალია, შესაბამისად, საზოგადოება ვერ შეძლებს მობილიზებას კორუფციასთან ბრძოლის საქმეში. ქვეყანას უნდა ჰყავდეს მთავრობა, რომელიც შეძლებს ადამიანური, მატერიალურ-ფინანსური რესურსების მობილიზებას. საერთოდ, ცნობილია ერთი რამ: ბუნებრივი რესურსებით ღარიბი ქვეყნები უფრო უკეთ ახერხებენ განვითარებას, რადგან ისინი იძულებულნი არიან მოუფრთხილდნენ რაც გააჩნიათ და იმუშაონ, ხოლო ვინც ამ რესურსებით მდიდარია, ის ჭამს ამ რესურსს. მოსახლეობას კი ატყუებენ დერეფნით და ტრანზიტით ვიცხოვრებთო. არადა, ტრანზიტის შემოსავალი 100 მილიონ დოლარს ვერ გადააჭარბებს და იგი მნიშვნელოვანია როგორც პოლიტიკური აქტი. ტრანზიტი ვერ გამოგვისწორებს ეკონომიკურ მდგომარეობას. სახელმწიფო უნდა ამუშავდეს, ბიზნესის პირობები უნდა შეიქმნას. დღეს კი ძალიან ბევრისთვის ეს სახელმწიფო მხოლოდ მეწველი ძროხაა და მეტი არაფერი, რადგან ქვეყანას მართავს კომპარტიიდან და კომკავშირიდან მოსული ხალხი, რომლებსაც არანაირი იდეალები არ გააჩნიათ. თავის დროზე, არც კომუნიზმის სწამდათ და არც კაპიტალიზმისა და მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისთვის მიდიოდნენ საბჭოურ სტრუქტურებში. დღეს იმავე ფსიქოლოგიით ცხოვრობენ და მოღვაწეობენ და მე არ ვიცი, რას მოუხერხებს მათ ბალცეროვიჩი...

**— ახლა, საქართველოში შექმნილი ვითარების ფონზე, გლობალურ პოლიტიკურ პროცესებს შევეხოთ და უწინარესად აშშ-ში მიმდინარე წინასაარჩევნო კამპანიას, სადაც წინასწარი**



**მონაცემებით ლიდერობს რესპუბლიკელი ჯორჯ ბუში და რომლის ადმინისტრაციის მოსვლის შემთხვევაში თეთრ სახლში, მოელიან რიგ ტაქტიკურ ცვლილებებს აშშ-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, რაც უწინარესად დაეტყობა პოსტსაბჭოური სივრცისა და მათ შორის საქართველოს მიმართ ამერიკის პოლიტიკასაც...**

— ადმინისტრაციაში რესპუბლიკელების მოსვლა, როგორც წესი, იწვევს პოლიტიკის გამკაცრებას რუსეთისადმი. იმ ფინანსურ სკანდალებს, რომელიც ბოლო დროს დატრიალდა ამერიკაში რუსული მაფიის ფულის გათეთრებასთან დაკავშირებით, რესპუბლიკელებს მისცა იმის თქმის საშუალება, რომ აშშ-ში რუსების მიერ ხდებოდა იმ თანხების დაგროვება და გათეთრება, რომელიც შემდეგ ამერიკის წინააღმდეგ მუშაობდა მთელ მსოფლიოში. იმავე დიკ ჩეინის დასახელება ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე იმის დამადასტურებელია, რომ ჯორჯ ბუშის გაპრეზიდენტების შემთხვევაში, ისინი საკმაოდ მკაცრი კურსის გამტარებლები იქნებიან რუსეთის მიმართ. ამ მხრივ ჩვენ შეიძლება მომგებიან პოზიციაში აღმოვჩნდეთ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ დღემდე საქართველოს მნიშვნელობა რეგიონში განპირობებული იყო ამერიკა-ირანის, მტრული ურთიერთობებით და ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობების შესაძლო დათბობამ ჩვენი წონა რეგიონში შეიძლება მნიშვნელოვნად შეამციროს...

**— მით უმეტეს, რომ იმავე დიკ ჩეინი, რომელიც ამერიკის სანავთობე და ენერგეტიკული წრეების ერთ-ერთი უმსხვილესი წარმომადგენელია, არათუ ირანთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენის მომხრეა, მეტიც, იგი კასპიის ნავთობის ირანის მარშრუტით ტრანსპორტირების წინააღმდეგიც არ არის...**

— რა თქმა უნდა, ცნობილია, რომ იქმნებოდა ღერძი საქართველო-აზერბაიჯანი-უკრაინა-თურქეთი, რასაც მოსკოვი უპირისპირებდა რუსეთი-სომხეთი-ირანის ღერძს. ამერიკის პოლიტიკა კი, პრაგმატულია: თუ ამ ღერძიდან ამოაგდეს ირანი, მოხდება სომხეთის აბსოლუტური იზოლაცია და რუსეთსაც გამოეცლება საყრდენი ირანის სახით. რა თქმა უნდა, ვაშინგტონის პოლიტიკა გააქტიურდება ირანის მიმართ, რამაც შეიძლება შეცვალოს ჩვენს მიმართ დამოკიდებულება. მეორე მხრივ, იმის გამო, რომ საქართველოს რეგიონში საკვანძო, ჩამკეტი მდებარეობა აქვს და ჩვენ ვართ დასავლეთზე გასასვლელი ქვეყანა, საქართველო მუდმივი ინტერესების ქვეშ იქნება და ვერც იმას ვიტყვი, რომ ამერიკა სერიოზულად შეცვლის პოლიტიკას საქართველოს მიმართ. ცვლილება შეიძლება შეეხოს სწორედ ნავთობსადენებს, ან გარკვეულ ეკონომიკურ პროცესებს... ხოლო თუ საქართველო, როგორც სახელმწიფო დარჩა ჩანასახის მდგომარეობაში და კორუფციისა და ათასი სხვა უბედურების ჭაობში, მოვწყდებით დასავლეთს. როგორც ერთი პერიოდი შეერთებულმა შტატებმა მიატოვა ლათინური ამერიკის ქვეყნები და შედეგად, იქ რევოლუციების და გადატრიალებების ტალღა აგორდა, შეიძლება ასევე მიატოვონ საქართველოც. ბოლოს და ბოლოს, დემოკრატიულ ამერიკაში და ევროპაში შეიძლება მოსთხოვოს ხალხმა პასუხი თავის მთავრობებს — კი მაგრამ, სად მიდის ეს მილიარდები, რომლებსაც ჩვენი ჯიბიდან აგროვებ? არ დავივიწყოთ ისიც, რომ რესპუბლიკელები ყოველთვის ბევრად უფრო იზოლაციონისტები იყვნენ დახმარებების გაცემის თვალსაზრისით, ვიდრე დემოკრატები. ისინი, როგორც უკიდურესად მომჭირნეები, მოუჭერენ ხელს დახმარებების დარიგების საქმეს და უფრო მკაცრი პირობებით მოგვაწვდიან თითოეულ ცენტს ჩვენც, რუსეთსაც, უკრაინასაც... 10 წლის მანძილზე პოსტსაბჭოური სივრცე ამერიკელებისთვის აღმოჩნდა უძირო ქვევრი, რომელშიც გაუთავებლად ყრიან მილიარდობით დოლარს. ბუშის გამარჯვების შემთხვევაში ამ პოლიტიკას ისინი შეცვლიან და აქცენტს გადაიტანენ შინაეკონომიკური პრობლემების მოგვარებაზე. ეს რესპუბლიკელთა ტრადიციული ტაქტიკა გახლავთ...

**— ფაქტია, აშშ-ში მიმდინარე წინასაარჩევნო კამპანიის ფონზე რუსეთის პოლიტიკამ გარკვეულ წარმატებას მიაღწია ცენტრალურ აზიაში და შეიძლება ითქვას, რომ ეს ქვეყნები თავის „კალთის ქვეშ“ მოაქცია, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე მაინც...**

— იმდენად დიდია თალიბების მხრიდან საშიშროება შუა აზიელი ლიდერებისადმი, რომ ისინი იძულებულნი არიან დაუახლოვდნენ რუსეთს. არც რუსებს აწყობთ თალიბების გავლენის გაძლიერება შუა აზიაზე, რომელიც ბუნებრივი ბარიერია ავღანეთსა და ვოლგისპირეთის მუსულმანურ რესპუბლიკებს შორის. თუ ეს ბარიერი მოიშალა, რუსეთს დიდი შინა არეულობები ელის. ფაქტობრივად, ვოლგისპირეთის რესპუბლიკები შუაზე გაწყვეტენ რუსეთს. შუა აზიელ ლიდერებს კი, თალიბების შემოსვლის შემთხვევაში ძალაუფლებისა და მეტიც, სიცოცხლის დაკარგვის აშკარა საფრთხე დაემუქრებათ. აი, ამის გამო მოხდა მათი დაახლოება მოსკოვთან, თორემ ეკონომიკური თვალსაზრისით, შუა აზიის ქვეყნებში აბსოლუტურად დომინირებს ამერიკული კაპიტალი და ამ ეტაპზე, საკუთარი კაპიტალის დაცვის თვალსაზრისით, შეიძლება ვაშინგტონსაც ძალიან აწყობს შუა აზიისა და რუსეთის დაახლოება. რაც შეეხება რუსეთის ეკონომიკურ ბერკეტებს ამ ქვეყნებში, ის უკიდურესად მცირეა. ამერიკული კაპიტალის დომინირების პარალელურად მთელი შუა აზია ეკონომიკურად უკვე აღებული აქვს ჩინეთსაც, რომელიც შესულია საკმაოდ მნიშვნელოვნად მრავალ დარგსა და სფეროში...

აქვე ვიტყვი, რომ ჩვენ კასპიისა და შუა აზიის ენერგორესურსების ტრანსპორტირების საკითხს განვიხილავთ მხოლოდ საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე და გვავიწყდება, რომ არსებობს გაცილებით დიდი პროექტები, რომლებიც ნავთობისა და გაზის გატანას ჩინეთის გავლით ითვალისწინებს. ასე რომ, შუა აზიის ქვეყნებს მრავალი ალტერნატივა აქვთ ამ მხრივ და მათი პოლიტიკაც პრაგმატული და მრავალვექტორიანია.

**— ახლა ამერიკის სტრატეგიას შევეხოთ ჩვენი რეგიონის მიმართ, რომელიც, როგორც ვთქვით, არ შეიცვლება და ალბათ, საქართველოდან რუსეთის ბაზების გატანის საქმეშიც უკომპრომისო იქნება მოსკოვის მიმართ. ეს ასე იქნება, სულ ერთია დემოკრატები დარჩებიან თეთრ სახლში თუ რესპუბლიკელები მოვლენ, მაგრამ ჩვენ რას ვთავაზობთ ახალს?!**

— კავკასიისთვის რუსეთი სერიოზულ ბრძოლას აპირებს და ეს ჩანს უკვე მოსკოვის ბევრი ნაბიჯით... ვფიქრობ, რომ ამ ეტაპზე სერიოზული საუბარი იქნება ცნობილ „კავკასიის პაქტზე“. უკვე არსებობს რამდენიმე პროექტი: არის ევროპული ვარიანტი, არის სომხეთის პირით გაჟღერებული რუსული ვარიანტი: სომხური ვარიანტის თანახმად, კავკასიურ პაქტში უნდა მონაწილეობდნენ სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფო, პლიუს რუსეთი, ირანი, თურქეთი და დამკვირვებლები აშშ-სა და ევროკავშირის სახით. ევროპული, ანუ იგივე თურქული ვარიანტი კი გულისხმობს სამხრეთ კავკასიის სამ სახელმწიფოს პლუს თურქეთი, ირანი და ამათ დამატებული აშშ, რუსეთი და ევროპა. ანუ ამ შემთხვევაში გათანაბრებულია აშშ-სა და რუსეთის როლი და მონაწილეობა კავკასიურ პაქტში. რა თქმა უნდა, რუსები ამას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან... მოკლედ, თუკი ამ მხრივ მიაღწიეს კონსენსუსს და შესაბამისი პოლიტიკური ნებაც იქნა, პირველ ეტაპზე კავკასიაში სწორედ ამ პაქტის დადების მიმართულებით წავალთ. ერთი კი, ცხადია: აქ ვერ დაფიქსირდება ცალსახა დომინანტად ვერც რუსეთი, ვერც ამერიკა, რადგან არც ერთი და არც მეორე არ დაუშვებენ სამხრეთ კავკასიაში ერთმანეთის დომინირებას. ალბათ, შეიქმნება ამ პაქტის შეჯერებული ვარიანტი, რომლის თანახმადაც, წამყვანი სუპერსახელმწიფოები და პლიუს რეგიონალური დიდი სახელმწიფოები გამოვლენ სამხრეთ კავკასიაში უსაფრთხოების და სტაბილურობის ერთობლივ გარანტად. რაც შეეხება საქართველოდან რუსეთის ბაზების გატანის პროცესს, რესპუბლიკელთა ადმინისტრაცია ძალიან მკაცრი იქნება მოსკოვის მიმართ, ოღონდ ბევრი რამ იქნება დამოკიდებული საქართველოს პოზიციაზე. ჩვენ ჯერ კიდევ „ვთამაშობთ“ ამ ბაზებით, ვთამაშობთ გუდაუთის ბაზითაც. ორი აზრი არ არის ჩვენთვის, რომ გუდაუთის ბაზა უნდა გაუქმდეს, მაგრამ რუსებს ნაპოვნი აქვთ „გამოსავალი“, რასაც ზოგიერთი ქართველი ხელისუფალიც ეთანხმება: „შეეცვალოს გუდაუთის ბაზას სტატუსი და გადავიდეს სამშვიდობო ჯარების დაქვემდებარებაში“... თუ ასე მოხდა, გუდაუთის ბაზა გამოვა ვენის ხელშეკრულებიდანაც და სტამბოლის ეუთოს დოკუმენტებიც გავრცელდება მასზე, რადგან ასეთ შემთხვევაში ის აღარ იქნება სამხედრო ბაზა, რომელიც გაუქმებას ექვემდებარება, არამედ იქნება სამშვიდობო ჯარების შემადგენელი ნაწილი, რომელიც ორმხრივი შეთანხმებით დგას საქართველოს ტერიტორიაზე. დამაფიქრებელია, რომ მოსკოვში შევარდნაძის ბოლო ვიზიტისას გაიჟღერა აზრმა, რომ შესაძლებელია გუდაუთის ბაზასთან დაკავშირებით მსგავსი გადაწყვეტილების მიღება...

**— ალბათ, რაღაცის საფასურად წავა ჩვენი ხელისუფლება მსგავს გადაწყვეტილებაზე, თუ, რა თქმა უნდა, გუდაუთის ბაზის ირგვლივ მსგავსი თამაში დაიწყება — თუ არ არის უკვე დაწყებული ეს თამაში...**

— საფასურად ჩვენი ხელისუფლება ყოველთვის იღებს საკუთარი სკამის შენარჩუნების გარანტიას, თორემ საფასური ქვეყანას არც დსთ-ში შესვლით მიუღია და არც სხვა დათმობებით რუსეთის მიმართ. მე არ მწამს, რომ რუსეთს შეუძლია დღეს აფხაზეთის დაბრუნება, ისევე როგორც არ მწამს, რომ ამერიკას შეუძლია ამის გაკეთება. აფხაზეთი ჩვენი დასაბრუნებელია და ქართველებისა და აფხაზების უშუალო მოსალაპარაკებელია ეს პრობლემა. რუსებმა დაიწყეს კონფლიქტი, მაგრამ მისი დარეგულირების საშუალება მას დღეს არ გააჩნია, რადგან მოსკოვმა რომ ღიად დაიკავოს პროქართული პოზიცია, რუსეთის შედარებით სტაბილურ ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებში, რომლებიც აფხაზების მონათესავე ხალხებად ითვლებიან, აირევა ვითარება. რუსეთს პოლიტიკურადაც არ აწყობს კავკასიაში ვითარების ბოლომდე დასტაბილირება, რადგან თუ დამშვიდდა რეგიონი და სწრაფი ეკონომიკური ზრდა დაიწყო, სუსტი რუსეთის პირობებში იქ სხვა კაპიტალი შევა. ამიტომ, სანამ რუსეთი არ მოძლიერებულა ეკონომიკურად, მოსკოვს აწყობს კონფლიქტური კერები. როცა მოძლიერდებიან, შემდეგ შეიძლება დაიწყონ ამაზე ფიქრი. მოსკოვმა თავისი სისულელით მოიკვეთა ფეხი სამხრეთ კავკასიის ბაზრიდან. აფხაზეთის, ოსეთისა და ჩეჩნეთის კონფლიქტებით თვითონვე გადაჭრეს ის არტერიები, რითაც სამხრეთ კავკასიას უკავშირდებოდნენ. ვაჭრობას და ეკონომიკურ თანამშრომლობას ურთიერთმისასვლელი გზები, რკინიგზა სჭირდება, რაც დღეს არ ფუნქციონირებს. საჰაერო და საზღვაო გზა კი უაღრესად ძვირი ჯდება. ამიტომ, რუსეთი მაშინ შეეცდება კონფლიქტების რეგულირებას, როდესაც მას ექნება შესაბამისი ეკონომიკური ბერკეტები, რითაც ზეგავლენას მოახდენს კავკასიაზე. დღეს კი, მოსკოვს სავსებით აკმაყოფილებს აქ არსებული სიტუაცია. აქედან გამომდინარე, ჩვენი ხელისუფლების მოთხოვნა მოსკოვმა ღიად დაგვიჭიროს მხარი აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში, აბსურდია! არც დაგვიჭერს და არც შეუძლია!

ამერიკელები კი, სხვა პოლიტიკის გამტარებლები არიან, რომლებიც გვეუბნებიან: „თქვენვე მოილაპარაკეთ ერთმანეთში და ჩვენ ფინანსურად უზრუნველვყოფთ კონფლიქტის დარეგულირებას“; ამერიკელი რუსივით ავტომატით არ დაგადგება, არამედ ფულით. ამაშია ვაშინგტონისა და მოსკოვის მიდგომებს შორის განსხვავება. ამიტომ, ჩვენი და აფხაზების გასარკვევია ყველა საკითხი... თუ ჩვენ, ქართველები ცოტა ყურებს გამოვიბერტყავთ, წავალთ პირდაპირ მოლაპარაკებებზე აფხაზებთან, მოვუხსნით აფხაზეთს ე.წ. ეკონომიკურ ბლოკადას, გავხსნით სარკინიგზო მიმოსვლას, ეს მხოლოდ სასიკეთოდ წაადგება საქმეს... აფხაზეთში ისეთი სიტუაციაა შექმნილი და მე საკმაოდ ინფორმირებული ვარ იმის თაობაზეც, რომ გარკვეულ ეტაპზე აფხაზები მზად იქნებიან წამოვიდნენ სერიოზულ მოლაპარაკებაზე, თუ ჩვენი პოზიცია უკანასკნელ ნიუანსამდე აწონილ-დაწონილი იქნება...

**— ეს პროცესი რომ დაჩქარდეს, აუცილებელია ქვეყნის მომძლავრება. თქვენი პროგნოზით, ხელისუფლება და, უწინარესად პრეზიდენტი, შეძლებს დარჩენილ ვადაში ვითარების გამოსწორებას?**

— იქნება მცირე-მცირე მიღწევები, რათა თვალში ნაცრის შეყრის პოლიტიკა გაგრძელდეს და ჰქონდეთ დასავლეთთან სათქმელი, რომ აი, კომისია შევქმენით, რომელიც მუშაობს, რაღაც შედეგები აქვს და ა.შ. მაგრამ ის, რომ ქვეყნის საშინაო პოლიტიკის კურსი რადიკალურად შეიცვალოს და ცხოვრება გამოსწორდეს, ამის რეალურ შესაძლებლობებს ვერ ვხედავ. იმიტომ, რომ ის ხალხი, რომელიც რეალურად აკონტროლებს ხელისუფლებას და სხვათა შორის, პრეზიდენტის ნებასაც, ყველაფერს გააკეთებს საკუთარი ინტერესებისათვის. მათ არათუ ვერ იშორებს პრეზიდენტი, არამედ ისე ვატყობ, ვეღარც მოიშორებს... მდგომარეობის გამოსწორება შესაძლებელი იქნება მხოლოდ პოლიტიკური ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაში. უნდა მოხდეს მემარჯვენე ძალების სრული გაერთიანება. მიმდინარეობს სერიოზული მსჯელობა ამ მხრივ და იმედი მაქვს, რომ შემოდგომაზე ეს პროცესი წარმატებით დასრულდება, რადგან თუ არ ჩამოყალიბდა ნორმალური, კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სპექტრი, სავალალო ვითარებაში აღმოჩნდება ქვეყანა. მოქალაქეთა კავშირი რომ ასე ნავარდობს, ეს არის ოპოზიციის დანაშაული და მათი გაუტანლობისა და შეუთანხმებლობის შედეგი. უნდა გაჩნდეს ძალა, რომელიც ამათ გაუწევს კონკურენციას და არა ისე, როგორც ჩვენ გავაკეთეთ, როცა ბლოკი „აღორძინება“ შეიქმნა პრინციპით — მმართველი ძალა ცუდია, არა, ასე აღარ შეიძლება. ყველამ იცის, რომ მოქალაქეთა კავშირი ცუდია, მაგრამ ხალხი ვერ ხედავს, ვინ არის მათზე უკეთესი. ეს ძალა თუ არ გამოჩნდა სტაგნაციასა და ჭაობში კიდევ დიდხანს დავრჩებით!

**ზურაბ მჭედლიშვილი**

## ფერისცვალება



აგვისტოს ერთ მცხუნვარე დღეს, მაცხოვარი თავის სამ მოწაფესთან — პეტრესთან, იაკობთან და იოანესთან ერთად თაბორის მთაზე ავიდა. მაცხოვრისათვის ყველა მოწაფე ერთნაირად საყვარელი იყო, მაგრამ ეს სამი, ღვთისმოშიშობის გამო გამორჩეული ჰყავდა. დიდ გზაგამოვლილმა მოციქულებმა ჩაიმუხლეს... მოულოდნელად, მათ თვალწინ ყველაფერმა ფერი იცვალა. გარემო ნათლით შეიმოსა, ხოლო მაცხოვრის სამოსი თოვლივით განსპეტაკდა. მოციქულებს ამ დროს საოცარი გრძნობა დაეუფლათ. ნათელი თვალს არ სჭრიდათ, მაგრამ სული გაუგონარი ნეტარებითა და სიხარულით ევსებოდათ. მათ წინ ორი ბიბლიური მამა გამოჩნდა — მოციქულებმა მოსე და ელია წინასწარმეტყველები შეიცნეს. გახარებულმა პეტრემ მაცხოვარს სთხოვა, ამ ადგილას სამი კარავი დავდგათ და სამუდამოდ აქ დავრჩეთო. ამ დროს ღრუბლებიდან ხმა მოისმა: ეს არის ძე ჩემი საყვარელი და მაგისი ისმინეთ! შეძრწუნებული მოციქულები ძირს დაეცნენ. მათ მაცხოვარი მიუახლოვდა და ანუგეშა. თვალი რომ გაახილეს, იქ მაცხოვრის გარდა, არავინ იყო. მთიდან რომ ჩამოდიოდნენ, მოძღვარმა მიმართა მოწაფეებს, — ნანახის შესახებ არავისთვის ეთქვათ, ვიდრე ამ ქვეყნიდან არ წავიდოდა.

წმინდა მამათა სწავლების მიხედვით სამი სახის ნათელი არსებობს: პირველი — გრძნობადი, რომლითაც ადამიანი აღიქვამს ხილულ სამყაროს და ახასიათებს ნაკლებად განვითარებულ არსებებსაც, მეორე — ლოგიკური მსვლელობის და შემოქმედებითი ფანტაზიის ნათელი, რაც ახასიათებთ სწავლულებს, მხატვრებს და პოეტებს. მესამე — საღმრთო გამოცხადებისა, ანუ თაბორის ნათელი, რომელიც აღმოცენდება მართლმადიდებლურ ეკლესიაში სულიერი მზერის შედეგად, არ ემორჩილება ლოგიკურ მსჯელობას და გონების საზღვრებს. სწორედ ღვთაებრივი ნათლის თანაზიარნი გახდნენ მოციქულები.

თავის დროზე ამ ადგილას ქრისტიანებმა სამი ტაძარი ააგეს, მაგრამ ომებისა და დროთა მსვლელობით დღემდე ერთი ეკლესია შემორჩა. ამ ადგილიდან საოცარი სილამაზე იშლება და როგორც თვითმხილველები ამბობენ, ადამიანი მოციქულების მსგავს მდგომარეობაში ვარდება, ღმერთთან სიახლოვის საოცარი გრძნობა ეუფლება და აქაურობის მიტოვების სურვილიც არავის აქვს.

ფერისცვალება მოხდა 19 აგვისტოს და ყოველი წლის ამ დღეს ბუნება ღვთაებრივი მადლით იწმინდება და იკურთხება.

**ანა ჩხეიძე**

## ფერისცვალების სახელობისა...

თბილისში არსებულ მრავალ ქუჩათა შორის ერთ-ერთი ამგვარი სახელწოდებისაც შეგხვდებათ — ფერისცვალების ქუჩა. ამ ქუჩაზე მე-18 საუკუნეში მდებარეობდა მეფე ერეკლე მეორის მეუღლის, დედოფალ დარეჯანის სასახლე და დედოფლის კარის ეკლესია. ტაძრისათვის მე-19 საუკუნეში, რუსული საეკლესიო მმართველობის დროს, მიუმატებიათ ახალი საეკლესიო ნაგებობა. პლატონ იოსელიანის ცნობით, 1822 წელს საქართველოს ეგზარქოსის იოანეს ლოცვა-კურთხევით აქ დაუარსებიათ რუსული მამათა მონასტერი. შემდგომ წლებში აქ ფუნქციონირებდა სამრევლო სასწავლებელი და წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია. ტაძარი თავდაპირველად მეფე-დედოფლის მფარველ წმინდანთა — ირაკლისა და დარიას სახელობაზე ყოფილა აგებული. 1822 წლიდან კი იგი მოიხსენიება, როგორც ფერისცვალების მონასტერი (ცნობისათვის: ფერისცვალების სახელობის ეკლესია არის მამადავითზეც, ოღონდ არ ფუნქციონირებს).

კომუნისტების პერიოდში სამონასტრო კომპლექსი არადანიშნულებისამებრ გამოიყენებოდა: საეკლესიო ნაგებობაში ჯერ საამქროები იყო გახსნილი, შემდგომ — ერთი მსახიობის თეატრი. მონაზონთა საცხოვრებელი (მე-18 საუკუნეში დარეჯან დედოფლის სასახლე) კი სასტუმროდ იყო გამოყენებული.



1990 წელს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით და მამა ალექსანდრე აბაიშვილის (აწ განსვენებული) მეცადინეობით, ტაძარს დაუბრუნდა თავისი ფუნქცია და ეკლესიასთან აღდგა დედათა მონასტერი.

ტაძარში მრავლად არის წარმოდგენილი თანამედროვე ხატმწერთა მიერ დაწერილი ხატები, რომელთაგან ერთ-ერთი — აღდგომის ხატის ასლი „კვირის პალიტრის" მკითხველსაც დაურიგდა სამახსოვროდ იერუსალიმიდან ჩამოტანილ სანთელთან ერთად. თავად ეკლესიის მხატვრობა მე-19 საუკუნის რუსული ფერწერის ნიმუშია. მონასტრის ეზოში ამჟამად მიმდინარეობს მშენებლობა, სადაც მომავალში გაიხსნება სატრაპეზო, ხატწერის, ქარგვისა და ფერწერის სახელოსნოები.

**ნინო ტარყაშვილი**

## ფერისცვალების სახელობისა...

გონების თვალი ხედავს მე-19 საუკუნის თბილისს...

დიდუბის ტრიალ მინდორზე ქარი დათარეშობს. ეს ადგილი მთელ თბილისში კლიმატური და ფიზიკური დაკვირვებებისათვის საუკეთესოდ ითვლება. ამიტომ ააშენეს აქ ობსერვატორია. მის ჩრდილოეთით ზვრებია გადაჭიმული, სამხრეთით კი, თბილისის გარნიზონის საწვრთნელ მოედანზე გამუდმებით ისმის თოფის ხმა.

ამ ლარივით გაჭიმულ ქუჩას მეფისნაცვლის პატივსაცემად დაარქვეს სახელი. პირველად თბილისში მიხეილის გამზირზე მოაწყვეს ტროტუარები, დარგეს აკაციისა და ალვის ხეები, სახლების წინ ლამაზი ბაღები გააშენეს.

აგერ, ხმაურიანი „ევროპაც". ლხინის მოყვარულებს მოუსწრიათ ღვინის გადაკვრა. შემდეგ „ოთხი კუთხე", კირხეს ქუჩა და 1885 წელს აშენებული 35 მეტრიანი ვერეს ხიდი, რომელიც დინოზავრის ჩონჩხს წააგავს. მისი მშენებლობა ქალაქს 180.000 მანეთი დაუჯდა და ამიტომ ხიდს გადასახადი დაადეს — 5 კაპიკი (საბაჟო გადასახადი მოქმედებდა 1917 წლის თებერვლამდე).

ვერეს დაღმართი თავდება საგარეუბნო ფოსტის მხლობლად, ოლღას ქუჩაზე, აქედანვე იწყება გოლოვინის გამზირი.

მას შემდეგ, რაც ძველმა თბილისმა სეიდაბადს ზურგი აქცია და ქალაქის გარეუბნისაკენ იწყო გაშენება, ქუჩას ფასი დაედო. მეფინაცვლის საამებლად აქ მოკლე ხანში ევროპული ყაიდის სახლები აშენდა. ამ ბრწყინვალე გამზირს მართლაც სადედაქალაქო ქუჩის იერი აქვს. დაჰქრიან კონკები, ეტლები, თვალს იტაცებს საუკეთესო რესტორნები, სასტუმროები, სახაზინო დაწესებულებები: გიმნაზია, სასახლე, თეატრი, ფოსტა, მუზეუმი, დიდების ტაძარი, ბიბლიოთეკა, გიმნაზიის გაყოლებით ორივე მხარეზე აკაციის ხეები შრიალებს, მოწყობილია ტროტუარები.

გრაფ პასკევიჩ-ერევნელის მოედანზე, ქარვასლას გვერდს აუვლი და თათრის ბაზრისკენ ეშვები.

...თათრის ბაზარი სიგანით სამნახევარი საჟენია. იგი ქუჩის მთელ სიგრძეზეა გადაჭიმული. ორივე მხარეზე სავაჭრო ფარდულები და სახელოსნოებია ჩამწკრივებული.

...ვაჭრობა ისეთი დაძაბული და ხმაურიანია, მაგარი ნერვების პატრონსაც კი გაუჭირდება ბაზარში ყოფნა.

...პირველი მსოფლიო ომის ექო ქალაქში ისე იგრძნობა, რომ თბილისმა ტრადიციული იერიც კი დაკარგა. ადამიანებს სახეზე შიშის აჩრდილი დასთამაშებს...

...თბილისში ცხოვრება შეუძლებელია და ქალაქელები სოფლად გარბიან ლუკმა-პურის საშოვნელად.

...კინტო არუთინას ჯერ კიდევ შემორჩენია სავაჭრო. „კერენსკებზე" (მაშინდელი რუსეთის მთავრობის მიერ გამოშვებულ ფულს ეძახდნენ, რომელიც უმალ გაუფასურდა) უარს ამბობს, — მადლობელი ვარ, არ ვეწევიო, და სამაგიეროდ, სიამოვნებით იჯიბავს ნიკოლოზის ფულს, თან თვალს უკრავს მყიდველს.

...მომხიბლავი თავადის ასული მარიკა სუმბათაშვილი, ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის ძმისწული, გამხდარ წიწილს იწუნებს, — რა არის ეს, ასეთი მჩატე...

— მადამ, —„წაურაინდებს" არუთინი, — მძიმე გინდა — პულემიოტი იყიდე.

....შუადღისას ჯერ კიდევ აქუხებენ ზარბაზანს ალექსანდრეს ბაღში. დროს უკვე არავინ უყურებს...

**გალაქტიონ ტაგანაშვილი**

## ყეენობა თბილისში

ყეენობა ქართველი ხალხის ისტორიული ბედუკუღმართობის გამოძახილია. დამპყრობელ ყეენთა გაშარჟება და აბუჩად აგდება მტერზე გულის მოოხებისა და იარათა დაამების საშუალება იყო. მის შემოღებას ერთნი მურვან-ყრუს შემოსევის პერიოდს უკავშირებენ, მეორენი — შაჰ-აბასის ხანას, სხვანი კიდევ წარმართული კულტურის ნაწილად მიიჩნევენ.

ყეენობა, როგორც წესი, დიდმარხვის



პირველ ორშაბათს იმართებოდა. ეს იყო შავი ორშაბათი; ქართველთათვის მისი შავად გათენების მოსურნე ყეენს თვითონვე შავად ულამდებოდა იგი.

იოსებ გრიშაშვილი ყეენობას ევროპულ კარნავალსა და მასკარადს ამსგავსებს.

ერთ-ერთი ყეენობა, რომელიც თბილისში 1893 წელს გამართულა, დაწვრილებითაა აღწერილი გაზეთ „კვალში". აქ მოთხრობილია, თუ როგორ ემზადებოდა სათამაშოდ ავლაბარი, ნარიყალა და ჩუღურეთი. სეიდაბადელი ხელოსნები, ფეიქრები, ხუროები და მჭედლები ამზადებდნენ ხის ხმლებსა და ხანჯლებს, საცერე რგოლებსა და შურდულებს.

მთელი ქალაქი ორ უბნად იყო გაყოფილი. ნარიყალას უბანს ვერის მხარისა და სოლოლაკის უბნის მცხოვრებნი ემხრობოდნენ, ისნის უბანს კი — ავლაბარი, ჩუღურეთი და გარეთუბანი.

ნარიყალას მხარეს იყვნენ — მუხრან-ბატონი, ორბელიანი, ბარათაშვილი და ერისთავი, ისანს კი ქომაგობდნენ — კახეთის მებატონეები: ჭავჭავაძე, ჩოლოყაშვილი, ვახვახიშვილი, ჯანდიერი, ჯორჯაძე. ქალაქის მთავარმართებელ ერმოლოვს ნარიყალელთა მხარე ეჭირა.

ყეენი ისნელებიდან უნდა გამოსულიყო და ქალაქს შემოსეოდა, დილით დაეპყრო იგი და გზებსა და გზაჯვარედინებზე თავისი მოხელენი ჩაეყენებინა ხარკის ასაკრეფად. ამ დროს კი ნარიყალას მომხრენი საიდუმლოდ ამზადებდნენ ჯარს.

დაიკეტა ქალაქის დუქნები, მოსახლეობის ნახევარი ყეენს უჭერდა მხარს, ნახევარი კი მასთან საომრად განემზადა — სოლოლაკის ხევში დაიმალა.

ყეენმა ტახტი დაიდგა სეიდაბადის მაღლობზე (ბოტანიკურ ბაღთან მდებარე ციხის ნანგრევებთან). მისი მოხელეები გამვლელ-გამომვლელს იჭერდნენ და ყეენთან თაყვანსაცემად მიჰყავდათ.

ასე გრძელდებოდა შუადღემდე. ნაშუადღევს კი ყეენს აუწყებდნენ, რომ ქვეყანა აჯანყდა, ერი განუდგა მას და ქართველობა სოლოლაკის მაღლობს გადმოადგაო. ყეენი საომრად გაემზადებოდა, მაგრამ უკვე გვიან იყო და ქართველთა ჯარს ტყვედ უვარდებოდა.

მეტად ორიგინალური დასასრული ჰქონია ყეენობას. დამარცხებულ ყეენს პირდაპირ მტკვარში გადაისვრიდნენ თურმე და ხშირად მის მეუღლესაც (რომელსაც ქალის ტანსაცმელში გადაცმული მამაკაცი ასახიერებდა) მიაყოლებდნენ. თუმცა კი მეჩხერ ადგილს შეარჩევდნენ, რომ არავინ დამხრჩვალიყო. ამის მერე შეგროვებული ფულით მთელი ერთი კვირა ქეიფობდნენ ორთაჭალაში თუ ვერის ბაღებში, მტკვრის პირას თუ მტკვარზე, დიდუბეში თუ ნარიყალაზე...

სახასიათო ყოფილა ყეენის ჩაცმულობა. აქლემზე ან ვირზე შესმულ ყეენს თავზე შაქრის ქაღალდის ფაფახი ეხურა, ხანაც კიდევ წოწოლა ფერადი ქუდი. სახე უმეტესად გამურული ჰქონდა. არცთუ იშვიათად ყეენს უკუღმა დასვამდნენ სახედარზე. ზოგჯერ ყეენი არ მოგზაურობდა და ფეხმორთხმული იჯდა ამაღლებულ ადგილას.

მოგვიანებით, თბილისის თითოეულ უბანს თავის ყეენი გამოჰყავდა. საამისოდ კი ოხუნჯ და გონებამახვილ კაცს ირჩევდნენ.

დროთა განმავლობაში ყეენობამ პოლიტიკური ბრძოლის ხასიათი მიიღო. ყეენად გამოჰყავდათ ლოთი კაპიტანი და ჯვრიანი პოლკოვნიკი, რისთვისაც შეშინებული რუსეთის მეფის მთავრობა ცდილობდა ამ დღესასწაულის გადაგდებას და ნაწილობრივ შეძლო კიდევაც.

ქალაქის ინტელიგენცია კი მხარს უჭერდა ყეენობის შენარჩუნებას. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ 1894 წელს გამართულ დღესასწაულში თვით ილია ჭავაჭავაძეს მიუღია მონაწილეობა.

იქნებ დადგეს დრო და ყოველდღიური საზრუნავისაგან შეჭირვებულმა დღევანდელმა თბილისელმაც მოიცალოს ხალხურ დღესასწაულთა განახლებისათვის.

**ელენე სალარიძე**

## დაელოდეთ პირველ ქართულ ტელესერიალს...

2000 წლის 1 სექტემბერს, საქართველოს ტელევიზიის პირველი არხი მაყურებელს უჩვენებს პირველი ქართული მრავალსერიიანი ფილმის „წვრილვარსკვლავთა ღამის" პირველ სერიას.

ტელესერიალში ყველა თაობის წარმომადგენელი თამაშობს, მაგრამ მთავარი ის გახლავთ, რომ ჩვენი თეატრების მსახიობები უსასყიდლოდ გაისარჯნენ.

მოგეხსენებათ, ფილმის გადაღება უამრავ პრობლემასთან არის დაკავშირებული და ის მწირი დაფინანსება, რაც საქართველოს ტელევიზიის პირველმა არხმა გამოყო, ცოტა რაიმეს თუ გასწვდებოდა, მაგრამ, როგორც გვპირდებიან, ფილმი მაინც შედგება...

დამდგმელი ჯგუფი (ანდრო ენუქიძე, ალექსანდრე ქოქიაშვილი, მიხო მოსულიშვილი და სხვ.) ცდილობს, როგორმე დიდი ხარჯის გარეშე გადაიღოს ფილმი და ხშირად ღარიბი ნათესავივით უხდება კარდაკარ სიარული კეთილი ადამიანების იმედად.



ერთ-ერთი ეპიზოდის გადაღება განზრახული იყო საქართველოს მწერალთა კავშირის ბაღში, მაგრამ ერთგულმა დარაჯმა მანამ არ შეუშვა შიგ, ვიდრე მწერალთა კავშირის თავკაცებმა არ დართეს ნება (თუმცა რას ვერჩით დარაჯს, აქ იმიტომ დააყენეს, რომ უდარაჯოს...).

აუტანელ სიცხეს და ხმაურს გამოქცეულებმა შვებით ამოისუნთქეს სარაჯიშვილისეულ ბაღში. მომხიბვლელ თათული დოლიძეს ღია ცისქვეშ უკეთებენ გრიმს...

ტელესერიალი საქართველოს სინამდვილესთვის სიახლეა.

სამწუხაროდ, უსახსრობის გამო, ამ ბოლო დროს ტელეეკრანებზე მოძალებული ტელესერიალების მდარე პროდუქციამ, ამ ჟანრის მიმართ, ცოტა არ იყოს უნდობლობა დანერგა. ქართველი მაყურებელი ხომ განსაკუთრებული ფენომენია, ქართული ფილმებით განებივრებული და გაამაყებული!

ყოველივე ამის გათვალისწინებით, პირველ ქართულ ტელესერიალს შეჭიდებულ ენთუზიასტებს შრომის გარდა, წინ დიდი გამოცდა ელით — შეხვედრა მომთხოვნ ქართველ მაყურებელთან.

გამართლდება ეს შეხვედრა?

რა უნდა უთხრან მაყურებელს?

შეძლებენ კი უიმედობით შეჭირვებულებს მიანიჭონ რწმენა, ერთი საათით მაინც მოსწყვიტონ ყოველდღიურ მძიმე ყოფას?

მთავარია, ფილმს პროფესიონალები აკეთებდნენ და არა აქვს მნიშვნელობა, რომელი ჟანრისა იქნება იგი.

დამდგმელ რეჟისორს, ანდრო ენუქიძეს ამის მაგალითად მოჰყავს ტელესერიალი „სასწრაფო დახმარება", რომელსაც 5 ათასამდე ჯილდო აქვს მიღებული.

მისგანვე შევიტყვეთ, რომ არსებობს თურმე ტელესერიალების უკვე დადგენილი სტანდარტები და მასშტაბები — ფილმი ტელესერიალად არ ჩაითვლება, თუ 30 სერია მაინც არ არის გადაღებული.

დღესდღეობით, პირველი ქართული ტელესერიალის „წვრილვარსკვლავთა ღამის" 16 სერია არის მზად და თურმე ისიც დასაშვებია, ვიდეოფილმი ბოლომდე არ იყოს გადაღებული და გზადაგზა მიმდინარეობდეს შემდეგი სერიების გადაღება...

...ფილმს ქალაქის სხვადასხვა უბანში იღებენ და ქუჩის მაყურებელიც არ აკლიათ.

ცნობისმოყვარენი ნაცნობ სახეებს აფიქსირებენ, შეკითხვებიც ებადებათ და თბილისის მცხუნვარე მზის ქვეშ უკვე შედგა პირველი დიალოგი მაყურებელსა და მსახიობებს შორის.

**დოდო იორდანიშვილი**

# „ეკოდაიჯესტის“ ყოფილ ჟურნალისტს შსს-ს პრესცენტრი სამუშაოდ იწვევს...



საზოგადოებისთვის უკვე ცნობილია „ეკოდაიჯესტის“ ჟურნალისტის ვასილ სილაგაძის ცემის ფაქტი, შეგახსენებთ, იგი პოლიციელებმა (ყოველ შემთხვევაში ჟურნალისტს მათ თავი პოლიციელებად წარუდგინეს და პირადობის მოწმობებიც აჩვენეს) სასტიკად სცემეს შემდეგ კი თითები დაუსერეს. მისი ცემის ფაქტის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. საქმეს მთაწმინდის რ-ნის პოლიცია და პროკურატურა იძიებს, გამომძიებელმა უკვე განუცხადა ჟურნალისტს, რომ რადგან მას არ მიუღია სხეულის მძიმე ფიზიკური დაზიანება, შეიძლება სისხლის სამართლის საქმე საერთოდ შეწყდეს(!). ასეთ სიტუაციაში „ეკოდაიჯესტის“ რედაქციამ ვასილ სილაგაძე სამსახურიდან გაათავისუფლა. ამ ფაქტის ოფიციალური ვერსია — შემცირებაა.

ვასილ სილაგაძე: ახალი სამსახური რომ უნდა მეძებნა, ამის შესახებ პირველად საკუთარი თანამშრომლისგან შევიტყვე, მოგვიანებით კი „ეკოდაიჯესტის“ რედაქტორს გიორგი შარაშიძეს დავუკავშირდი და ჩვენ შორის შემდეგი სახის დიალოგი შედგა:

— იძულებული ვართ შევამციროთ თანამშრომლები. ფინანსური პრობლემები გვაქვს.

— რისი თქმა გინდა, რომ უმუშევარი ვარ?

— ეგრე გამოდის.

ასეთ მძიმე სიტუაციაში, შსს-თან მარტო დარჩენილმა ვასილ სილაგაძემ დასახმარებლად ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრს მიმართა. ცენტრის დირექტორმა მარინა ვაშაყმაძემ ინფორმაცია ვასილ სილაგაძის შესახებ დაუგზავნა ჟურნალისტთა უფლებების დაცვის ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას და ჟურნალისტს პრესკონფერენციის მოწყობაშიც დაეხმარა. ვასილ სილაგაძე აღნიშნავს, რომ „ეკოდაიჯესტის“ რედაქციის მისგან ასეთი დისტანცირება აძლევს საფუძველს იფიქროს, რომ შსს-ს „ბობოლებმა“ დაწოლა მოახდინეს „ეკოდაიჯესტზე“. შსს-ს პრესცენტრის ხელმძღვანელი ზაზა ხელაია შსს-გან „ეკოდაიჯესტზე“ ზეწოლის ფაქტს კატეგორიულად უარყოფს და სილაგაძეს შსს-ს პრესცენტრში სამსახურს სთავაზობს — „მით უმეტეს, სირცხვილი გაზეთს, თუ მან ვილაცის დაწოლის გამო ჟურნალისტზე უარი თქვა“, — განაცხადა ხელაიამ პრესკონფერენციაზე. „ეკოდაიჯესტის“ ყოფილი ჟურნალისტის მიერ ჩატარებულ პრესკონფერენციაზე „ეკოდაიჯესტის“ რედაქციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რედაქციას აზრადაც არ ჰქონია ჟურნალისტის გათავისუფლება. ვასილ სილაგაძის თქმით, ფაქტები სხვას მეტყველებენ. მისი ცემიდან ერთი დღის შემდეგ რედაქციამ უარი თქვა უცხოეთის საელჩოების ჟურნალისტის მხარდამჭერი განცხადების გამოქვეყნებაზე, უფრო მეტიც, არ აღმოუჩინა მას არანაირი დახმარება, ელემენტარულად ადვოკატიც კი არ დაუქირავა, შემდეგ სამსახურიდანაც გაათავისუფლა. გაზეთის რედაქტორი გიორგი შარაშიძე პრესკონფერენციაზე არ მოვიდა (თუმცა მოწვეული იყო) და საკუთარი პოზიციაც წარმომადგენლის მეშვეობით დააფიქსირა.

ელენე თევდორაძემ განაცხადა: „ვშიშობ, ასეთი ფაქტები ჟურნალისტებს ბრძოლისუნარიანობას დაუკარგავს და ისინი სამსახურიდან დათხოვნის შიშით პრინციპულ მასალებს ვეღარ გააკეთებენ.

ამ ფაქტის გამო ერთი რამის თქმა შეიძლება — რედაქციას უფლება აქვს მოახდინოს ნებისმიერი რეორგანიზაცია გაზეთში, შეამციროს შტატი, მიიღოს ახალი თანამშრომელი, განახორციელოს ნებისმიერი ცვლილება, რასაც გაზეთისთვის საჭიროდ ჩათვლის, მაგრამ იმ ვითარებაში, როდესაც ჟურნალისტი დაპირისპირებულია ძალოვან უწყებასთან, გაზეთი ვალდებულია გვერდში დაუდგეს საკუთარ ჟურნალისტს და აღმოუჩინოს ნებისმიერი მხარდაჭერა; ხოლო ის, რაც „ეკოდაიჯესტის“ ხელმძღვანელობამ გააკეთა, ზნეობრივად ყოვლად გაუმართლებელია და დიდ დარტყმას აყენებს საერთოდ ჟურნალისტთა კორპუსს“.

***ეკა ჯანაშია***

# რა ღირს შეურაცხადი ადამიანის პასპორტი?!

## საზღვარგარეთ წამსვლელებს ახალ მახეს უგებენ!..

რაც დრო გადის, კორუფცია სულ უფრო ემსგავსება იმ ძაღლის თავს, რომელიც ყველამ ვიცით, სადაც მარხია, მაგრამ იქ არ დავეძებთ. კორუფცია ხელისუფლების სენი რომ არის, ამასაც ყველანი ვაღიარებთ, მაგრამ რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, თუნდაც საეჭვოდ მოგვეჩვენოს, სადაც ხელისუფლებაა გარეული, იმ საქმეს უფრო ვენდობით. მერე კი, ერთი ფილმისა არ იყოს, გვიანღაა თავში ხელების ცემა და იმის ძახილი — მოგვატყუეს... მოგვატყუესო.

ჰოდა, თუ ჯერ კიდევ არ გქვიათ მოტყუებული, ან თუნდაც უკვე გქვიათ — გამეორება ხომ ცოდნის დედაა და კარგად მოგვისმინეთ. აქვე, მკითხველის ერთ (გაცუცურაკებულ) ნაწილს წინასწარ ბოდიში მინდა მოვუხადო, თუ ამ სამწუხარო ამბავს ცოტა ხუმრობას გავურევ...

არც ისე დიდი ხნის წინათ თბილისის ცენტრალურ უბანში ხარობდა და ყვაოდა ტურისტული ფირმა, რომელსაც ეგზოტიკური სახელი — „ჯეო“ ერქვა. მას, ბუნებრივია, ჰყავდა პრეზიდენტი — ქალბატონი თ. გ. პრეზიდენტს კი ჰყავდა საქმიანი პარტნიორები — აბა, ისე როგორი ფირმა იქნებოდა? მაგრამ „ჯეო“ როგორ იხარებდა და იბაღნარებდა, თუ მაღლიდან მზე არ გადმოხედავდა?

და მზეც ანათებდა „ჯეოს“ — ერთ-ერთი დამფუძნებელი და პარტნიორი ძალოვანი სტრუქტურის სავარძელში თვითონაც თბებოდა და სხვასაც ათბობდა. მოკლედ, „ჯეოც“ კმაყოფილი იყო და მისი ბრწყინვალება ძალოვანიც. ახლა, თავი დავანებოთ „ჯეოს“ კონდიცირებულ სალონს და პაპანაქება სიცხეში — ქუჩაში გავიდეთ. აქ სულ სხვანაირი მზე ანათებს. ჰოდა, ამ თაკარაში საქართველოს ანტიკორუფციულ სამსახურს წერილი გაუგზავნეს (აქ კი, ხუმრობის გუნება მეკარგება და სერიოზულ ტონს ვამჯობინებ), რომლის შინაარსი ასეთი იყო: მოქალაქეებმა — ბუჩუკურმა და გაბიტაშვილმა ფირმა „ჯეოს“ მიმართეს, დახმარებოდა დანიაში წასვლასა და იქ სამუშაოზე მოწყობაში. ფირმა ყველაფრის „მილიონი“ პროცენტით გაკეთებას დაპირდა და საქმესაც შეუდგა. ჯერ ორივე მოქალაქეს 700-700 ამერიკული დოლარი აწაპნა, მერე კი „სამოთხის კარი“ გაუღო — ორ კვირაში ე.წ. მსოფლიო მოქალაქის პასპორტს გაგიკეთებთო. ფირმის განმარტებით, პასპორტი მათ საშუალებას აძლევდა, მსოფლიოს ნებიმიერ ქვეყანაში უვიზოდ(!) შესულიყვნენ და ლეგალურად მუშაობის უფლებაც მოეპოვებინათ(!). პასპორტი, მათი თქმით, მოსკოვში მზადდებოდა. ორი კვირის შემდეგ ბუჩუკურმა და გაბიტაშვილმა მართლაც მიიღეს „ჯადოსნური“, მწვანე ფერის, საკმაოდ მაღალხარისხოვან პოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდილი პასპორტები. მასში პატრონის თითის ანაბეჭდიც კი იყო მოთავსებული, ჰქონდა კოდი და ა.შ. მოკლედ, საეჭვო არაფერი გახლდათ. ამის შემდეგ „ჯეომ“ კლიენტებს კიდევ 1400-1400 აშშ დოლარი გამოართვა და მშვიდობიანი გზა უსურვა. ბუჩუკურმა და გაბიტაშვილმა (მასთან ერთად კიდევ 14 კაცმა, რომლებიც ასევე „ჯეოს“ მსოფლიოს პასპორტებით იყვნენ აღჭურვილნი) თვითმფრინავის ბილეთები აიღეს და ლონდონში ჩავიდნენ. იქედან დანიაში უნდა გადაფრენილიყვნენ. ლონდონში მგზავრები ადგილობრივმა პოლიციამ დააკავა, ინგლისელებმა უცნობ პასპორტებს ბევრი უკირკიტეს, მაგრამ ვერაფერი გაუგეს. ამასობაში კი მგზავრები ფირმა „ჯეოს“ წარმომადგენელს — ვინმე გაბრიელს ელოდნენ. ლონდონიდან დანიამდე ის უნდა გაჰყოლოდა. არავითარი გაბრიელი რომ არ გამოჩნდა, მგზავრებმა თბილისში, „ჯეოში“ დარეკეს და საქმეში გარკვევა მოითხოვეს. და აქ დაიწყო ბაქანალია. „ჯეომ“ თავის „ტურისტებს“ პასპორტების სასწრაფოდ განადგურება ურჩია. მგზავრები ასეც მოიქცნენ. თუმცა ზოგიერთმა სიფრთხილე გამოიჩინა და პასპორტი არ დახია (მისი ასლი ახლა თქვენს წინაშეა), უფულოდ და უპატრონოდ დარჩენილი ხალხი ლონდონში საქართველოს საელჩოს დაუკავშირდა და რის ვაი-ვაგლახით თბილისში დაბრუნდა. აქ ვილას არ მიმართეს, ვილას არ მისწერეს წერილი, მაგრამ ამაოდ. თავად პრეზიდენტმა თ. გ.-მ კი დაზარალებულებს მარტივად აუხსნა, — სამართალდამცავები მე არაფერს მეკითხებიან, თორემ საქმის მთავარ დამნაშავეებს დავასახელებო. მისი თქმით, მართალია, იგი ფირმის პრეზიდენტი იყო, მაგრამ გადამწყვეტი ხმა სხვას ეკუთვნოდა. შესაბამისად, სხვებს ამ საქმიდან უფრო მეტი ფული წაუღიათ, ვიდრე მას. იმედგაცრუებულებმა ბოლოს ანტიკორუფციულ საზოგადოებრივ ორგანიზაციას მიმართეს. ორგანიზაციამ წერილები გაუგზავნა გენერალურ პროკურატურას, შინაგან საქმეთა სამინისტროს, მთაწმინდის რაიონის პოლიციას და ბოლოს, უზენაეს სასამართლოსაც მიაწვდინა ხმა.

როგორ წავიდა 16 მოტყუებული კაცის საქმე სამართალდამცავებთან ურთიერთობისას, მოგვიყვება ორგანიზაციის ხელმძღვანელი ბატონი თემურ ბობოხიძე:

— პირველად წერილი გავუგზავნეთ გენერალურ პროკურატურას, მან




კი გადასცა შინაგან საქმეთა სამინისტროს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილებას. იქიდან მოგვწერეს, — ფაქტი შევისწავლეთ, არის დარღვევები, საეჭვო მომენტები და ძიებისთვის საქმეს მთაწმინდის რაიონის პოლიციას გადავცემთო. თავის მხრივ, მთაწმინდის პოლიციამ მოსკოვში გაგზავნა შეკითხვა, კეთდება თუ არა მათთან ე.წ. მსოფლიო მოქალაქის პასპორტები და რომელ ორგანიზაციაში. გამოირკვა — მსგავსი რამ არც მოსკოვში გაუგონიათ. ამის შემდეგ საქმე დაიხურა, ძიება შეწყდა. რატომ — ამის პასუხს დღემდე ველოდებით. ბუჩუკურმა და გაბიტაშვილმა კი სარჩელი ახლა უზენაეს სასამართლოში შეიტანეს. ისინი საქმის აღძვრას და ძიების დაწყებას მოითხოვენ. არც იქიდან ისმის ბაიბური, თუმცა სასამართლოს დანიშვნის თაობაზე პასუხი 72 საათში უნდა ეცნობებიათ. უკვე ორ კვირაზე მეტი გავიდა. რამდენიმე დღის წინ მე თავად გავუგზავნე წერილი ლადო ჭანტურიას. იმედი მაქვს, გამომეხმაურება.

რაც შეეხება ე.წ. მსოფლიო მოქალაქის პასპორტს, როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროში მითხრეს, მსგავსი რამ არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს და არც მოქმედებს. ეს არის აფერა, რომელსაც ჩვენი მოქალაქეები წამოეგნენ. სამინისტროში ამიხსნეს, რომ ზემოხსენებული პასპორტის მსგავსი საბუთი ეძლევათ აშშ-ში, შეურაცხად მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს, რომლებმაც რაღაც კატასტროფის შედეგად დაკარგეს მეხსიერება და არ იციან, ვინ არიან, სად მუშაობენ და ა.შ. ბარემ, აქვე ვიტყვი, რომ ახლახან ორგანიზაციამ მიიღო კიდევ ერთი წერილი. მოქალაქეები იტყობინებიან, რომ ტურისტული ფირმა ე.წ. ევროპის პასპორტებს პირდებოდა, რომელიც საშუალებას აძლევდა მათ უვიზოდ შესულიყვნენ ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში. ესეც მორიგი ფანდია.

ზემოხსენებულ შემთხვევაში ფირმა „ჯეომ“ 16 კაციან ჯგუფს საშუალოდ 30 ათასი ამერიკული დოლარი გამოსძალა. ამას ემატება ქარს გატანებული ბილეთების ფულიც. როგორც დაზარალებულებმა მითხრეს, ფირმას ტურისტთა სხვა ჯგუფებიც ჰყოლია. საერთო თანხის რაოდენობამ შეიძლება 200 ათას ამერიკულ დოლარს მიაღწიოს. დაზარალებულები ფიქრობენ, რომ სამართალდამცავები საქმის გამოძიებას იმიტომ აჭიანურებენ, რომ „ჯეოს“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი მათი კოლეგაა. თუმცა, თავის დროზე ეს ხალხი სწორედ იმიტომ ენდო ფირმას, რომ მასში ძალოვანი სტრუქტურის თანამშრომელი ფიგურირებდა. თუ ორგანიზაცია უახლოეს ხანში არ მიიღებს არგუმენტირებულ პასუხს, რატომ შეწყდა საქმის ძიება, მაშინ იძულებული გავხდებით, თვით საგამოძიებო ნაწილის კეთილსინდისიერების შესწავლა მოვითხოვოთ. კორუფციას თითოეული ჩვენგანი, მთელი საზოგადოება თუ არ ებრძოლა, ხელისუფლებისაგან სასწაულებს ნუ ველოდებით.

დაბოლოს, სანამ მსოფლიოსა და ევროპის პასპორტების თაობაზე ძალოვნები რაიმეს იტყოდნენ, მინდა გავაფრთხილო მოსახლეობა: არავითარი ამგვარი პასპორტი არ არსებობს. მსგავსი რამ არც ერთ ქვეყანაში არ შემოუღიათ, ნუ წამოეგებით ანკესს...

***ქეთი ბერეკაშვილი***

# დაზარალებული ასანიძეა, ელიავა კი არა(?!)

როგორც ცნობილია, აკაკი ელიავას მკვლელობის საქმეს გენერალური პროკურატურა იძიებს. ელიავას ოჯახი და მისი ადვოკატი ეკა ბესელია მოითხოვენ დაცულ იქნეს გარდაცვლილი ელიავასა და მისი ოჯახის ინტერესები, მოხდეს გარდაცვლილის რეაბილიტაცია და დადგინდეს ჭეშმარიტება — რა ვითარებაში მოკლეს აკაკი ელიავა და გოჩა გვილავა.

ადვოკატმა **ეკა ბესელიამ** განაცხადა, რომ გენერალური პროკურატურა მას დაცვის საშუალებას არ აძლევს; საგამომძიებლო ჯგუფის უფროსმა დავით ზირაქიშვილმა, დაცვის ორდერის წარდგენის დროს, ადვოკატს ზეპირი უარი განუცხადა სისხლის სამართლის საქმეში ჩართვაზე. იმიტომ, რომ იგი მხარე არ არის(?!)

ადვოკატმა ეკა ბესელიამ საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების განსაკუთრებით მნიშვნელვან საქმეთა გამომძიებელ დავით ზირაქიშვილს ამჯერად წერილობითი განცხადებით მიმართა.

*— ქალბატონო ეკა, რა არგუმენტებით არის გამაგრებული გენერალური პროკურატურის უარი?*

— დავით ზირაქიშვილის განმარტებით, კატეგორიულად არ სურთ დაზარალებულად ცნონ ელიავასა და გვილავას ოჯახები, რადგან გამოძიება მათ დამნაშავეებად მოიხსენიებს.

ამავე დროს, გამოძიება აპირებს შეწყვიტოს სისხლის სამართლის საქმე ელიავასა და გვილავას მიმართ მათი გარდაცვალების გამო და ამდენად, მათ მხარედ საერთოდ არ ცნობენ.

გამოძიების აზრით, დაზარალებულ მხარეს წარმოადგენს არა ელიავასა და გვილავას ოჯახები, არამედ ასანიძე (მათივე სიტყვებით — იგივე მძევალი).

*— თქვენ რა არგუმენტები დაუპირისპირეთ გენპროკურატურის უარს?*

— პირველ რიგში, ელიავა-გვილავას მიმართ მათი გარდაცვალების გამო სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა გახლავთ უპრეცენდენტო კანონდარღვევა. მათი საქმის შეწყვეტა არ შეიძლება, რადგან ამის წინააღმდეგი არიან ოჯახები, ისინი პრინციპულად ითხოვენ გარდაცვლილთა რეაბილიტაციას. ასეთ შემთხვევაში კი კანონი პირდაპირ ავალდებულებს მათ, განაახლონ გამოძიება.

ელიავასა და გვილავას დამნაშავეებად გამოცხადება უდანაშაულობის პრეზუმფციის უხეში დარღვევაა, შეგახსენებთ, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-40 და სსრკ მე-10 მუხლის თანახმად, „ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცებულა კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებლი განაჩენით“. ასე რომ, ელიავა-გვილავას დამნაშავეებად გამოცხადება კანონის უხეში დარღვევაა, რითიც გამოძიება ცდილობს, არ გამოაშკარავდეს მომხდარი დანაშაული და ყველაფერი მოკლულებს დაბრალდეს.

***(გაგრძელება იხ. გვ. 7)***

# კაზინოდან სასამართლომდე, ანუ ნათლიდედა სარიშვილი ცანავას მშვიდ კაცად ახასიათებს

აგვისტოს აუტანელი ხვატი კრიმინალური თვალსაზრისითაც საკმაოდ მცხუნვარე აღმოჩნდა. ამის დასტურად გმირთა მოედანზე მდებარე კაზინო „ვიქტორიაში“ მომხდარი ფაქტიც იკმარებს. როგორც კაზინოს დაცვის თანამშრომელმა ნიკა აფციაურმა გვიამბო, 10 აგვისტოს, დაახლოებით დილის სამ საათზე, სამორინე „ვიქტორიას“ ნასვამი მამაკაცი ესტუმრა, მაგრამ დაცვის თანამშრომლებმა სიმთვრალის გამო შენობაში არ შეუშვეს. განაწყენებულმა დაიმუქრა და იქაურობა დატოვა. დაახლოებით დილის შვიდ საათზე მომხვდურმა, ლევან ცანავამ დანაპირები აასრულა: ორი პისტოლეტით და ერთი ავტომატური იარაღით აღჭურვილი დაბრუნდა და უმალ ნიკა აფციაურს მიაძახა, — ხომ გითხარი, დავბრუნდებიო და პისტოლეტი ესროლა. მკლავში დაჭრილი აფციაური დაეცა. ცანავა კაზინოში ჩავიდა. ამასობაში მოვიდნენ სამორინეს თანამშრომელთა მიერ გამოძახებული საბურთალოს რაიონის პოლიციის მუშაკები და ვიდრე მომხდური მაღლა ამოვიდოდა, შესასვლელთან დახვდნენ. ნიღბიანი, იარაღმომარჯვებული თავდამსხმელი კაზინოს დარბაზში დადის და დაცვის თანამშრომლებთან დალაპარაკებას ითხოვს, თუმცა იქვე მჯდომ და მაგიდის ქვეშ დამალულ მოთამაშეებს არაფერს ერჩის. ცოტა ხანში ცანავა რწმუნდება, რომ დაცვის თანამშრომლებს ვეღარ ნახავს და დარბაზიდან ისევ მაღლა ამოდის. ზემოთ მყოფ პოლიციის თანამშრომლებსა და თავდამსხმელს შორის გამართული ორმხრივი სროლა რამდენიმე წუთს გაგრძელდა, რის შედეგადაც ერთი პოლიციელი, ემზარ ყულიაშვილი და თავდამსხმელი დაიჭრნენ. რესპუბლიკურ საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ მძიმე მდგომარეობაში მყოფ ცანავას სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს, რის შემდეგაც ხუთი გამავალი ჭრილობა დაფიქსირდა. ბოლო ინფორმაციით, იგი შედარებით უკეთაა და ჟანგბადით კვებაც მოუხსნეს. რაც შეეხება პოლიციელ ყულიაშვილს, მას ორივე ფეხის წვივი აქვს დაზიანებული. ამჟამად მისი და ნიკა აფციაურის ჯანმრთელობის მდგომარეობა ნორმალურია.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით საბურთალოს რაიონის პროკურატურაში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. გამოძიება ამ ინციდენტის რეალური მიზეზების დადგენაზე მუშაობს. ჩვენი ჟურნალისტური მოკვლევის შედეგად კი, სავარაუდოდ ასეთი ვერსია გამოიკვეთა: შესაძლოა აღნიშნულ ინციდენტამდე ლევან ცანავამ „ვიქტორიაში“ ითამაშა და გარკვეული რაოდენობის თანხა წააგო. შემდეგ წაგებული ფულის დაბრუნება მოითხოვა, რაზეც სამორინეს თანამშრომელთაგან უარი მიიღო. ამის გამო განაწყენებულმა დატოვა კაზინოს ტერიტორია და უკვე იარაღით დაბრუნებულმა ჩაიდინა ყოველივე ის, რაც ზემოთ გიამბეთ. ეს ვერსია რომ რეალობასთან ახლოსაა, იმ ვიდეომასალის ნახვისასაც ჩანს, რომელიც კაზინოს შენობაში დამონტაჟებულმა ვიდეოკამერებმა აღბეჭდეს. ფრაზა, რომელსაც ცანავა წარმოთქვამს და ზედ გინებასაც აყოლებს: „გამოიტანეთ ჩემი ფული, თქვენი დედას...“ ვიდეომასალის ნახვისას საკმაოდ გარკვევით ისმის. ამ ვერსიის გადამოწმება ჯერ კაზინოს მეპატრონეებთან ვცადეთ, მაგრამ ამაოდ. იქ მისულებს კარი დაკეტილი დაგვხვდა. საბურთალოს რაიონის პროკურატურის გამომძიებელმა თენგიზ ხარებავამ საკმაოდ ცივად და უხეშად მოგვიშორა თავიდან და მიზეზად მოუცლელობა დაგვისახელა. თუმცა კითხვაზე, გამორიცხავდა თუ არა იგი ამ ვერსიას, გვიპასუხა, — ჩვენ ეგ უკვე დავამუშავეთ და ვერაფერს გეტყვით, თავი დამანებეთო.



ვიდეომასალის ნახვისას ნაკლებად სავარაუდოა, რომ ცანავა გალეშილი მთვრალი ყოფილიყო, რასაც დაცვის თანამშრომლები აცხადებენ; გარდა ამისა, კაზინოში ალკოჰოლური სასმელების მიღება ნებადართულია (თითქმის ყველგან უფასოდ) დაცვის თანამშრომლები ირწმუნებიან, რომ ცანავა პირველად ნახეს, თუმცა ინფორმაციით, ცანავა კაზინოს არც ისე იშვიათი სტუმარი ყოფილა.

ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ გამოძიების შედეგებს და ცანავას გამოჯანმრთელებას, რის შედეგადაც უამრავ კითხვას გაეცემა პასუხი.

**P.S.** ამ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ ქალბატონ ირინა სარიშვილი-ჭანტურიას (მისი უფროსი ვაჟი ლევან ცანავას ნათლულია): მე ნაჩქარევი დასკვნების გამოტანისგან თავს შევიკავებ. ერთი ის შემიძლია გითხრათ, რომ ლევანი ჩემი ოჯახის ახლობელია და მისი ასეთ მდგომარეობაში ნახვა, მხედველობაში მაქვს ის ვიდეომასალა, ჩემთვის საკმაოდ მოულოდნელი იყო. არ ვიცი, რა იყო მიზეზი და რამ მიიყვანა ასეთ აფექტურ მდგომარეობამდე. მე მოვინახულე იგი საავადმყოფოში. ჯერჯერობით ლაპარაკი არ შეუძლია, რომ მისგან რაიმე გამეგო. თქვენი ვერსია უკვე მოვისმინე ტელევიზიით, მაგრამ დაცვის თანამშრომლები უარყოფენ და აცხადებენ, რომ იგი პირველად ნახეს. მე პირადად არ მომისმენია, რომ იგი ფულის დაბრუნებას ითხოვს. უბრალოდ, კადრების ნახვისას დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ლევანი ვიღაცას ეძებს ან ელოდება ვიღაცის გამოსვლას. ვერ ვიტყვი, რომ ის აფექტური პიროვნებაა, რადგან გაბრაზებულიც კი არასოდეს მინახავს. საკმაოდ მშვიდი და წყნარი ადამიანია, ამიტომ ცოტა გამიკვირდა კიდეც...

რაც შეეხება იმ ინფორმაციას, რომ იგი ახლო ურთიერთობაშია ქურდულ სამყაროსთან, მე ის შემიძლია გითხრათ, რომ თვითონ კანონიერი ქურდი არ არის. უბრალოდ, მას პატივს სცემენ.

***მამუკა ხუციშვილი***

# ალარ მინდა თქვენი დეპუტატობა...

პოლიტიკურ კულუარებში დიდი ცვლილებები იგეგმება. აქამდე თუ „პროგრამაში“ საპარლამენტო ოპოზიცია იყო, დღეს როლები გაიცვალა — ერთ მუშტად შეკრულ უმცირესობას, უმრავლესობასთან შედარებით, თავი ღირსეულად უჭირავს. მოქალაქეთა კავშირის უძლეველობის მითი თანდათან უფერულდება და როგორც „ბოროტი ენები“ ამბობენ, მალე შესაძლოა პარლამენტი უმრავლესობის გარეშე დარჩეს. თუმცა თავად „მოქალაქეებს“ ამის გაგონებაც არ სურთ და სირაქლემას პოზას, ჯერჯერობით, ჯიუტად ინარჩუნებენ. მიუხედავად ამისა, ამ ფაქტს ვერსად წაუვალთ — მოქალაქეთა კავშირის რიგებს პერმანენტულად ტოვებენ მისი წევრები. აქამდე თუ დეპუტატები მხოლოდ შორიდან იმუქრებოდნენ, დღეს უკვე „ეშელონი“ რეალურად დაიძრა... თავდაპირველად, მოქკავშირიდან წასვლის სიმღერა გამყრელიძე-გაჩეჩილაძის ტანდემმა წამოიწყო, „მეორე ხმა“ ნიკო ლეკიშვილმა მისცა. აი, „ბანმა“ კი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა — „ბანი“ ფრაქცია მოქალაქეთა კავშირის წევრი ანტონ ინგოროყვა აღმოჩნდა, რომელმაც ზურაბ ჟვანიას უსტარი გაუგზავნა, 7 აგვისტოს კი პირადად შეხვდა და აუწყა — ალარ მინდა თქვენი დეპუტატობა, ჩემი ბიზნესმენობა მირჩევნიაო. ცნობისათვის: ანტონ ინგოროყვა გაერთიანებული ქართული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, სადაზღვევო კომპანია „ალდაგის“ აქციონერი და გადამხდელთა კავშირის მთავარი საბჭოს ერთ-ერთი წევრი გახლავთ. სხვათა შორის, მიაჩნიათ, რომ იგი გაჩეჩილაძე-გამყრელიძის გუნდის წევრია და, როგორც ამბობენ, ერთ-ერთი იმათთაგანი იყო, ვინც მოქალაქეთა კავშირის საარჩევნო კამპანია დააფინანსა.



რატომ თქვა უარი ანტონ ინგოროყვამ დეპუტატის ესოდენ მაცდუნებელ სავარძელზე? თავად ექსდეპუტატს თავისი გადაწყვეტილების შესახებ არანაირი განცხადება და განმარტება არ გაუკეთებია. ეტყობა, ცნობისმოყვარეთა „მომაბეზრებელ შეკითხვებს“ განერიდა და გაუჩინარდა. როგორც ამბობენ, მას თავად თანაპარტიელებმა „დაუბაკუნეს ფეხები“ და გარდაუვალი არჩევანის წინაშე დააყენეს — ან ჩვენ და ან კიდევ შენი ბიზნესიო! ინგოროყვამაც იფიქრა, იფიქრა და პოლიტიკაში ყოფნას ისევ ბიზნესში ყოფნა ამჯობინა. როგორც შევიტყვეთ, „ფეხის დამბაკუნებელი“ თავად პარლამენტის საპროცედურო კომიტეტის თავმჯდომარე როლანდ გილიგაშვილი ყოფილა.

საქართველოში უკვე დიდი ხანია მოქმედებს კანონი, რომლის თანახმადაც, დეპუტატს კატეგორიულად ეკრძალება ყოველგვარი სამეწარმეო საქმიანობა. არადა, კოლმეურნეობის თავმჯდომარის არ იყოს, სახელსა და გვარს არ დავასახელებთ და ჩვენი დეპუტატების უმრავლესობა კვლავ წარმატებით ბიზნესმენობს და დამშლელი, პრაქტიკულად, არავინაა. ძნელი წარმოსადგენია და, მით უმეტეს, დასაჯერებელი, რომ მოქალაქეთა კავშირმა აღნიშნული უკანონობის აღმოფხვრა სწორედ საკუთარი წევრებით და მაინცდამაინც ანტონ ინგოროყვას მაგალითით დაიწყო. თუმცა ამ იდეით მანიპულირების შესაძლებლობას ისინი ხელიდან არ უშვებენ და, შესაბამისად, მათთვის სასარგებლო ინტერპრეტაციას გვთავაზობენ, ეს კი ისევ და ისევ იმისთვის სჭირდებათ, რომ დაგვარწმუნონ — ჩვენთან ყველაფერი კარგად არისო. თუმცა მოქკავშირის ლიდერები დღეს უკვე პარტიაში შესაძლო საკადრო და სტრუქტურულ ცვლილებებზე ალაპარაკდნენ. სავარაუდოდ, ეს პროცესი სექტემბრის შუა რიცხვებამდე გასტანს. მოქკავშირელები მიხვდნენ, რომ მათ შინაპარტიულ სამზარეულოს გადახალისება ესაჭიროებოდა. ამ გადახალისებაში კი, როგორც პარტიის გენმდივანი ედვარდ სურმანიძე აცხადებს, ბეჯითი და წარჩინებული წევრების დაწინაურებაც იგულისხმება. დიახ, ზოგი თუ მოქკავშირის რიგებს ტოვებს, ზოგს წახალისება და სამალარიჩო ბანკეტების გადახდა მოუწევს. როგორც კულუარებში ამბობენ, ისინი, ძირითადად, ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლები იქნებიან — კერძოდ კი ირაკლი ჩუბინაშვილი და გია ბარამიძე.

დიახ, „კარგი ბიჭები“ დაწინაურდებიან, ურჩნი კი დაისჯებიან. ერთი რამ კი მაინც გაუგებარია — რატომ მიიტანა იერიში მოქკავშირმა სწორედ მათზე, ვინც პრაქტიკულად უზრუნველყო მათი ფინანსური სტაბილურობა საარჩევნო კამპანიის დროს? როგორც ამბობენ, იმ დროს მოქალაქეთა კავშირსა და დამფინანსებლებს შორის მოხდა გარიგება — ფინანსები დეპუტატის მანდატებში გაიცვალა.

გარიგების ფაქტი კატეგორიულად უარყო **ლევან გაჩეჩილაძემ**, რომელიც, ჯერჯერობით, კვლავ მოქალაქეთა კავშირის წევრად ითვლება.

— ჩვენ მართლაც დავაფინანსეთ მოქალაქეთა კავშირის საარჩევნო კამპანია დეკლარირების ფარგლებში. დავაფინანსეთ როგორც საპარლამენტო, ისე საპრეზიდენტო არჩევნებიც, ოღონდ ყოველგვარი გარიგების გარეშე. თუმცა, გეთანხმებით, გარიგება ნამდვილად იყო, ოღონდ შემდეგი სახისა — ერთად უნდა გვეკეთებინა ძალიან სერიოზული და კონსტრუქციული საქმე. ასეთი რამ ჩვენ ვერ დავინახეთ.

**— ანტონ ინგოროყვას თქვენი გუნდის წევრად მიიჩნევენ. ალბათ მომავალ საქმიანობასაც ერთად დაგეგმავთ...**

— რას ნიშნავს, ჩვენი გუნდის წევრია? ანტონ ინგოროყვა ჩვენი მეგობარია და ეს მეგობრობა პოლიტიკაზეც, ეკონომიკასა და ბიზნესზეც მაღლა დგას. მან გააკეთა პრაგმატული არჩევანი და დაუბრუნდა იმ საქმეს, სადაც, მისი აზრით, უფრო მეტს გააკეთებდა. ასე რომ, ის ჩვენს პოლიტიკურ გუნდში არ მოიაზრება, ჩვენ მეგობრები ვართ და მეტი არაფერი.

**— თქვენი „მუქარა“ მოქალაქეთა კავშირის დატოვების თაობაზე ისევ ძალაშია?**

— ჩვენ არავის ვემუქრებით. რაც შეეხება იმას, დავტოვებთ თუ არა ფრაქცია მოქალაქეთა კავშირს ჯერ გადაწყვეტილი არ გვაქვს. უფრო სწორად, დე ფაქტო უკვე დატოვებული გვაქვს, დე იურე — არა. კარგად გავაანალიზებთ ყველაფერს, განვსაზღვრავთ მომავალ სამოქმედო სტრატეგიას და მერე იურიდიულ სახესაც მივცემთ. ისე, მართალი რომ გითხრათ, ძალიან მშურს ინგოროყვასი.

**— რატომ გშურთ? თქვენც შეგიძლიათ იგივე გააკეთოთ.**

— თუ დავრწმუნდებით, რომ შეგვიძლია ჩვენი მოსაზრებების განხორციელება, მაშინ პოლიტიკაში დარჩენას აზრი ექნება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მეც ანტონ ინგოროყვას გზას დავადგები და დიდი სიამოვნებით დავბრუნდები ბიზნესში.

*რაც შეეხება ფრაქცია მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარეს, მიხეილ სააკაშვილს, იგი ოლიმპიური სიმშვიდით ეგებება მისი ფრაქციიდან ყოველი დეპუტატის გასვლის ფაქტს და თავდაჯერებით აცხადებს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფრაქცია იშლებაო.* **მიხეილ სააკაშვილს** *ჩვენთვის საინტერესო რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ.*

**— ბატონო მიშა, ანტონ ინგოროყვას მიერ თქვენი ფრაქციისა და, საერთოდ, პარლამენტის დატოვება მოქალაქეთა კავშირის დასასრულის დასაწყისს ხომ არ ნიშნავს?**

— არავითარ შემთხვევაში. არც ერთი და არც ექვსი დეპუტატის გასვლით ჩვენი ფრაქცია არ დაიშლება. რაც შეეხება ინგოროყვას, ვფიქრობ, მან სწორი გადაწყვეტილება მიიღო და დროა მათ სხვებმაც მიბაძონ, ვისაც ეს პრობლემა აქვს. ან ბიზნესმენი უნდა იყო, ან — პოლიტიკოსი. პარლამენტარი საკუთარი ფულისგან დამოუკიდებელი უნდა იყოს.

**— თქვენს ფრაქციას მალე ალბათ გაჩეჩილაძე და გამყრელიძეც დატოვებენ...**

— მე მგონი, მათ უკვე დატოვებული აქვთ მოქალაქეთა კავშირი.

**— როგორც ვიცი, მათ განცხადება ჯერ არ დაუწერიათ...**



— ყოველ შემთხვევაში, მათი ჩვენთან ყოფნა მაინცდამაინც არ იგრძნობა. რაც უფრო მალე გაარკვევს ყველა საკუთარ ორიენტაციას, მით უკეთესი იქნება ჩვენთვისაც და მათთვისაც.

**— სამივე პიროვნებამ — გაჩეჩილაძემ, გამყრელიძემ და ინგოროყვამ თქვენი პარტიის საარჩევნო კამპანია დააფინანსა. ამბობენ, რომ ისინი ჯერ გამოიყენეთ, შემდეგ კი, რბილად რომ ვთქვათ, მოიშორეთ.**

— იცით, რას გეტყვით? ის, ვინც მოქალაქეთა კავშირს ან ნებისმიერ სხვა პარტიას აფინანსებს, იმიტომ არ უნდა აფინანსებდეს, რომ შემდეგ პარლამენტში მოხვდეს და თავისი ინტერესების პოლიტიკური ლობირება მოახდინოს. ჩვენ ვეუბნებით ბიზნესმენებს, თქვენ პარტია დაგვიფინანსეთ, სანაცვლოდ, ჩვენ შეგიქმნით ნორმალურ სასამართლო სისტემას, ჩამოგაცილებთ პოლიციისა და პროკურატურის რეკეტს, ბოლოს მოვუღებთ განუკითხაობას და ა.შ. ეს ნამდვილად არ ეხება ლევანს, დათოს და ინგოროყვას. მაგრამ ბევრ ბიზნესმენს ურჩევნია, პირდაპირ რომელიმე ადგილობრივ ხელმძღვანელს მისცეს ფული, რათა მისი კონკურენტის ტვირთი საბაჟოზე ან სადმე გზაში გააჩეროს და ამით კონკურენტი ჩაწიხლოს, ზოგს კი ურჩევნია პარლამენტში მოვიდეს და პირდაპირ აქედან გაუწიოს ლობირება საკუთარ ბიზნესს. არიან მესამე კატეგორიის ბიზნესმენებიც, რომლებსაც გულწრფელად სურთ პარლამენტში მოსვლა იმისთვის, რომ ქვეყნის სასიკეთოდ რაიმე გააკეთონ. ბიზნესმენების მოსვლას პარლამენტში სულაც არ მივიჩნევ უარყოფით მოვლენად, თუკი, რა თქმა უნდა, ისინი ზღვარს არ გადავლენ...

**— როგორც ამბობენ, ფრაქცია მოქალაქეთა კავშირის რიგებს კიდევ რამდენიმე დეპუტატი დატოვებს, ოღონდ ამჯერად არა ბიზნესის გამო. თქვენ, როგორც ფრაქციის თავმჯდომარე, ალბათ საქმის კურსში ხართ, ვისზეა საუბარი?**

— არ ვიცი, „შავი სიები“ ხელთ ნამდვილად არ მაქვს, მაგრამ შეიძლება გილიგაშვილს აქვს. მერე ერთად დავსხდებით და განვიხილავთ. თუ ვინმეს წასვლა უნდა, კი ბატონო, არავის დავაკავებთ...

ერთი სიტყვით, ფრაქცია მოქალაქეთა კავშირიდან გამქცევ დეპუტატთა „შავ სიას“ ტაბუ ადევს. ვინ იქნება შემდეგი? ბოლოდროინდელი მოვლენებიდან გამომდინარე, შესაძლოა ეს იყოს ნიკო ლეკიშვილი, რომელიც უმრავლესობის ლიდერის თანამდებობიდან თან მიდის და თან — არა. ნახევრად გადამდგარი ლიდერი სხვადასხვა პოლიტიკურ ძალასთან კონსულტაციებს განაგრძობს. მისმა ბოლო ბათუმურმა ვოიაჟმა და ასლან აბაშიძესთან კონფიდენციალურმა შეხვედრამ თბილისში სერიოზული ეჭვები წარმოშვა. ცხადი იყო, ბატონი ნიკო იქ მზეზე გასარუჯად არ ჩასულა. თავად ნიკო ლეკიშვილი და ასლან აბაშიძე ამ შეხვედრის შესახებ კრინტსაც არ ძრავენ, თუმცა ატეხილ ხმაურს ორივე მათგანი გამოეხმაურა. ლეკიშვილმა ბათუმში ვიზიტის თაობაზე ასეთი განმარტება გააკეთა: ასლან აბაშიძე ჩემი მეგობარია და უბრალოდ მოვინახულეო. აბაშიძეც თავის მხრივ აცხადებს: ნიკო ლეკიშვილი ქართველი კაცია და საქართველოს ნებისმიერ კუთხეში ჩასვლის უფლება აქვსო. თუმცა „ძველი მეგობრების“ შეხვედრის ქვეტექსტი რეალურად ალბათ სულ სხვაგვარია. მანამდე კი, როგორც თავად ლეკიშვილი ამბობს, მისი „საქმე“ შეჩერებულია და კონსულტაციები გრძელდება. თანამდებობიდან წასვლა-არწასვლის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებას იგი პარლამენტის თავმჯდომარესა და ქვეყნის პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ მიიღებს. რაც შეეხება იმას, რა ბედი ეწევა მოქალაქეთა კავშირს, ამასაც ჯერჯერობით შექსპირისეული კითხვის ნიშანი აქვს — დაიშლება? არ დაიშლება? — საკითხავი, აი, ეს არის!

***ხათუნა ყვირალაშვილი***

# „როგორ შეიძლება ასეთ დროს გარემოს დაცვის მინისტრი დუმდეს...“

## ანუ — საქართველო ბედუინების ქვეყანა?...

ბატონი თემურ მირიანაშვილის წერილებმა, რომლებიც ქართულ პრესაში გამოქვეყნდა, დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ბევრი იმ ფაქტმა უფრო გააოცა, რომ იგი სახელმწიფო კანცელარიის თანამშრომელი — კერძოდ კი მთავარი კონსულტანტი გახლავთ. ამჯერად ბატონი თემური საქართველოში ხე-ტყის საფრის განადგურებით



**თემურ მირიანაშვილი**

გახლავთ შეშფოთებული და ამას კატასტროფად მიიჩნევს.

**— რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თქვენ ამას წინათ კანცელარიის თანამშრომელთა თათბირზე დააყენეთ საკითხი საქართველოში ტყის საფრის კატასტროფული მდგომარეობის შესახებ.**

— უნდა გითხრათ, რომ ძალიან ხშირად ვმოგზაურობ, ხეობებში დავდივარ. ამ ზაფხულსაც მოვინახულე ნაცნობი ადგილები. გაოგნებული დავრჩი — გაპარტახებულია თეძმის ხეობა შიდა ქართლში, ახმეტის რაიონი, ბახმარო, ბორჯომი, ლებარდეს ხეობა. განსაკუთრებით ზოგიერთ ჯიშს ემტერებიან. მაგალითად — წიფელს, იმიტომ, რომ ძვირად ღირებული მასალაა. არადა თითოეული წიფლის გაზრდას 150 წლამდე სჭირდება. ის კი არა, ბაგებისკენ, წყნეთის გზაზე, ფოთლოვანი ტყე ერთიანად აკაფეს და ახლა ნაძვებს მიდგნენ...

კანცელარიის აპარატის სხდომაზე გამოვედი და ხე-ტყის გაჩეხის შესახებ ჩემი აზრი გამოვთქვი. ეს უბრალოდ დიდმა გულისტკივილმა განაპირობა. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ არავინ გაოცებულა, არავის არაფერი უთქვამს...

არადა, ხე-ტყით დატვირთული მანქანების ეშელონები ბევრს უნახავს. მით უმეტეს, ახლა, ზაფხულში, როდესაც ხალხი დასასვენებლადაა წასული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ეს შეიძლება ითქვას, რომ ეკოციდია.

**— არსებულ ვითარებაში ვის ადანაშაულებთ?**

— როგორ გითხრათ, პარლამენტმა ამის ნება დართო... დადგენილება, რომელიც მათ მიიღეს, არასრულფასოვანია.

ზოგიერთები ხელისუფლებაში გაჰყვირიან, ექსპორტი გავზარდეთო! კი მაგრამ, მორების, ხე-ტყის ხარჯზე? ისე ეამაყებათ, თითქოს მაღალი ტექნოლოგიები, კომპიუტერები გაგვქონდეს. ანდა, ნედლეულის გატანა რა საჭიროა? თუ მაინც ვჭრით, იქნებ ამ ნედლეულით აქ რაიმე ღირებული გვეწარმოებინა და მერე ის გაგვეტანა. ამით წარმოება მაინც გაძლიერდებოდა, სამუშაო ადგილებიც შეიქმნებოდა.

**— რა კონკრეტული პრეტენზიები გაქვთ პარლამენტთან?**

— ამ პარლამენტს ბევრი დანაშაული აქვს, მაგრამ ეს უკანასკნელი ყველაზე საშინელია. ორმა კაცმა რომ ფული იშოვოს, საქართველოს ღუპავენ. ტყეს დამცავი ფუნქცია აქვს — მეწყრები გახშირდა, წყლები დაშრა, უჟანგბადობა და კატასტროფული სიცხეები აღარ გვშორდება.

ბიუჯეტის მიხედვით კი წელს უფრო დიდი რაოდენობით ხე-ტყის მოჭრაა დაგეგმილი. მე შევისწავლე პრობლემის არსი — ვესაუბრე სპეციალისტებს, მეტყევეებს, დაინტერესებულ პირებს. თუ ჭრა აუცილებელია, ეს გამოხშირვით უნდა მოხდეს — შეხვიდე ტყეში და გამოხშირო. ეს კი რთულია, მანქანაც არ უდგება, გზის გაყვანაა საჭირო. ჰოდა, მიადგნენ და პირდაპირ პარსავენ — გამკითხავი კი არავინაა.

ამას ხელს პარლამენტი უწყობს! მერე თვითონ გაიქცევიან, აქ კი ბედუინები დავრჩებით და თავს მიწისძვრები და სხვა ათასი სტიქიური უბედურება დაგვატყდება.

**— პარლამენტმა რა უნდა ქნას, მთლიანად ხომ ვერ აკრძალავს ხის მოჭრას?**

— ასეთ ვითარებაში სწორედ რომ უნდა აიკრძალოს, მაგრამ ეს ჩვენთან არ მოხდება. პატარა ლიახვის ხეობაში ვიყავი. იქ ერთი ნაკრძალია, ტყე შესანიშნავადაა შენახული, მდინარეში კალმახებს დაინახავს კაცი. იქნებ ესაა გამოსავალი — იქნებ მთელი ქვეყანა ნაკრძალად ვაქციოთ. ის ხომ მაინც შეიძლება, მორებზე (მათ გატანაზე) გადასახადი გაზარდონ (ახლა კაპიკებად გააქვთ), მზა ავეჯზე კი შეამცირონ.

**— გგონიათ, რომ საქართველოში გაკეთებული ავეჯი ბევრ მყიდველს დააინტერესებს?**

— რატომაც არა! წარმოება ხომ უნდა განვითარდეს. თუ შეკვეთები არ იქნა, ისე ვერ განვითარდება. თუ თოფაძემ მოახერხა უცხოური, შემოტანილი ლუდის განდევნა და ეს დარგი ხელში აიღო, რატომ არ შეიძლება იმავეს გაკეთება წარმოების სხვა დარგებში... რატომ ჰგონიათ, რომ დაუნები ვართ? ეს საქმე კორუმპირებული ხალხის ხელშია. ხე-ტყიდან ცოტა ფული კი არ შემოდის.

**— გარემოს დაცვის სამინისტროს პოზიცია როგორია ამასთან დაკავშირებით?**

— როგორც მითხრეს, გარემოს დაცვის სამინისტრო ხე-ტყის მოჭრის წინააღმდეგია, მაგრამ პასიური წინააღმდეგობა არ კმარა. აქტიურად უნდა იბრძოლონ, საზოგადოებრივი აზრი შექმნან, მედიას მიმართონ. აბა, ჩურჩული უშველის საქმეს? ჩხობაძეც არ უნდა უხუჭავდეს თვალს ამ ფაქტს. როგორ შეიძლება, ასეთ დროს გარემოს დაცვის მინისტრს პირში წყალი ჰქონდეს ჩაგუბებული... ეს უკვე ეჭვის აღმძვრელია.

არადა ხომ გითხარით, მთელი საქართველოს ტყეები ნადგურდება. შიდა ქართლში, სამხრეთ ოსეთისაკენ, უკვე თურქები დგანან და ხეებს ჭრიან. ეს მაშინ, როცა თურქეთიდან ტოტი რომ ტოტია, იმას ვერ გამოიტან.

**— სამხარეო ადმინისტრაციას რა წვლილი მიუძღვის ყოველივე ამაში?**

— ალბათ გუბერნატორებიც „ტეხენ“ თავისას. კონკრეტულად ვერავის დავადებ ხელს, მაგრამ ლოგიკით ასე უნდა იყოს.

**— თქვენ პრეზიდენტის მრჩეველი ხართ. მისთვის თუ მიგიმართავთ ამ საკითხთან დაკავშირებით?**

— მე შეიძლება მოხსენებითი ბარათი დავუდო მაგიდაზე ან მიღება ვთხოვო, მაგრამ პრეზიდენტი ყველა საქმის ექსპერტი ხომ არ გახლავთ, მან ისევ ამ საქმის მესვეურთ უნდა დაურეკოს და ჰკითხოს, რა ხდებაო?! — ისინი კი უპასუხებენ, — არაფერი, ბატონო ედუარდ, მსგავსი არაფერი ხდება, უბრალოდ, ერთი-ორი მანქანა დაინახა კაცმა და გული ეტკინაო... პრეზიდენტი კი ფეხით ვერ შემოივლის ტყეებს. ამიტომ ახლა მთელი იმედი პრესაზე მაქვს დამყარებული. მე უამრავ სპეციალისტს ვესაუბრე და თუ ჩემი სიტყვები არ აღმოჩნდა საკმარისი, ისინი გასცემენ ყველას ამომწურავ პასუხს.

***მაია გაბუნია***

**„კვირის პალიტრის“ წინა ნომერში სტატიაში „სექტემბრიდან გველები კიდევ უფრო მომრავლდებიან“, ბოლო აბზაცი შემდეგნაირად უნდა იკითხებოდეს: „ჰერპეტოლოგი, რომელიც ხუთშაბათს ქუჩას უფრო ადრე(!) ესტუმრა, ჰერპეტოლოგი სულაც არ ყოფილა.**

***ქეთი ბერეკაშვილი***

# წალკის პრობლემა ქართველების მასობრივი ჩასახლებით გადაწყდება

2000 წლის 7 აგვისტოს წალკის რაიონული ცენტრის სასადილოში ძმები ზაურ და დავით სოლომონიძეები შევიდნენ. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ ისინი პოლიციამ დააკავა მებუფეტის (ეროვნებით ბერძენის) ცემისათვის. კიდევ ერთი საათის შემდეგ ბერძნული ეროვნების ახალგაზრდების 50 კაციანი ჯგუფი (დაზარალებულთა თქმით, 70 კაცი) ავტომანქანებით შეიჭრა წალკიდან 5 კმ-ით დაშორებულ სოფელ ხარაბაში და სასტიკად დაარბიეს საცხოვრებელი სახლები, სცემეს მოსახლეობას, რომელთა შორის ქალები სჭარბობდნენ (კაცები ამ დროს სოფლიდან მოშორებით — სათიბში მუშაობდნენ).

აღნიშნულმა ფაქტმა დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია არა მარტო პრესაში, არამედ სახელისუფლო სტრუქტურებშიც — ქართველებსა და ბერძნებს შორის ხომ ეთნიკურ ნიადაგზე აქამდე არავითარი გართულება არ ყოფილა. ხარაბას ქართული მოსახლეობა აჭარიდან ჩამოსახლებული ოჯახებია და ამ ინციდენტით ფრაქცია „აღორძინებისა“ და აჭარის უზენაესი საბჭოს დაინტერესებაც ბუნებრივია, რომლებმაც მეტად სოლიდური დელეგაცია მიავლინეს წალკაში ჟურნალისტთა კორპუსთან ერთად. თუმცა, სანამ ამ ვიზიტსა და მასთან დაკავშირებულ პერიპეტიებს აგიწერდეთ, ჯერ წალკის რაიონის გამგებლის პირველ მოადგილეს, ეროვნებით ბერძენ **ხარლამპი კოტანოვს** მოვუსმინოთ:

— მე თვითონ, ცხადია, არ შევსწრებივარ, მაგრამ დაწვრილებით ვიცი იქ მყოფთა და პოლიციის მესვეურთა მონათხრობიდან: ძმები სოლომონიძეები ხშირად დადიოდნენ ამ სასადილოში. ისინი პერსონალსაც კარგად იცნობდნენ და იქაურ ფასებსაც. იმ დღეს 2 ბოთლი არაყი და 6 ბოთლი ლუდი დაულევიათ, ცხადია თავისი „მისაყოლებლით“ და წამოსვლის ხანს დახლთან მისულან ფულის გადასახდელად. მებუფეტეს, რომელიც ინვალიდია (ცალი ფეხი ამპუტირებული აქვს) იმაზე გაცილებით მეტი მოუთხოვია, ვიდრე სხვა დროს ახდევინებდა ხოლმე, რასაც კამათი და გაწევ-გამოწევა მოჰყოლია. ერთ-ერთი ძმა გადასწვდა მებუფეტეს, სახეზე გაშლილი ხელი მიაფარა და უბიძგა. მან თავი ვერ შეიკავა და წაიქცა, მებუფეტეს სასადილოში მყოფები წამოეშველნენ — საბედნიეროდ, ჩხუბს იქ სერიოზული სახე არ მიუღია, რადგან პოლიციელები ახლოს იყვნენ, სოლომონიძეები დააკავეს და პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს. თუმცა რამდენიმე საათის შემდეგ მათი გათავისუფლება მოუხდათ, — თეთრი წყაროს მოსამართლემ აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობა არ სცნო აუცილებლად (წალკაში მოსამართლე არ გვყავს). ინციდენტი ელვის სისწრაფით გახმაურდა. თანაც, როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება ხოლმე, დამახინჯებული სახით და ხალხამდე ასეთი ფორმით მიაღწია: ქართველებმა სასადილოში იქეიფეს, დათვრნენ — არც ფული გადაიხადეს და საწყალი ინვალიდიც ცინიკურად სცემესო. ცხადია, შეიძლება გაიგო კაცმა ხალხის აღშფოთება — ისინი ჯერ პოლიციას მიაწყდნენ და სოლომონიძეების გადაცემას ითხოვდნენ, შემდეგ კი გამგეობის შენობასთან შეგროვდა უამრავი ადამიანი და თანამშრომლებს გვემუქრებოდნენ (შემოსასვლელი რკინის კარიც კი „აგვიჭედეს“ შესადუღებელი ხელსაწყოთი). ბოლოს პატარა ჯგუფი, რომელთა შორის ორი პოლიციელი — ძმები ფედია და ჰამლეტ კოსტანოვები იყვნენ, ხარაბაში წავიდნენ მანქანებით. თუმცა, რაც იქ მოხდა, მგონია რომ პრესამ „გაბერა“ — ჩემი ინფორმაციით 15-18 კაცი იყო და დარბევაც ისეთი სასტიკი(?!-ავტ.) არ ყოფილა.



დარწმუნებული ვარ, რომ ახალგაზრდები ვიღაცის წაქეზებულები იყვნენ და სამართალდამცავები ალბათ მალე აღმოაჩენენ ამ პროვოკაციის ორგანიზატორებს.

პოლიციელებს — ძმებ კოსტანოვებს უფროსმა იარაღი აჰყარა და მათი კარიერა ალბათ დამთავრდა. სხვებიც საკადრისად დაისჯებიან.

ღმერთმა გვიშველა, რომ მსხვერპლი არ არის და ურთიერთობაც ალბათ ისევ გამყარდება — აჭარიდან ჩამოსახლებულებთან ბევრს ძალიან კარგი დამოკიდებულება გვაქვს. პირადად მე მთელი ოჯახი მყავს ხარაბაში მონათლული და ძმებივით ვცხოვრობთ. დარწმუნებული ვარ ახლაც ყველაფერი თავის ადგილზე დადგება.

აი, ასეთია წალკის ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლის ვერსია.

ჭკვიანი კაცი ჩანს ბ-ნი კოტანოვი, — ყველაფერი ისე აგვიწერა, რომ არც მწვადი დაწვა და არც შამფური. რას ითხოვდა პოლიციასთან მისული ხალხი, თქვა, მაგრამ გამგეობას რას ერჩოდნენ, ამაზე დუმილი ამჯობინა. თუმცა წინა დღეს ქართული მასმედიისთვის მიცემულ ინტერვიუში კოტანოვის უფროსმა, რაიონის გამგებელმა გიორგი კვალიაშვილმა დაუფარავად აღნიშნა, — გამგეობასთან შეკრებილი ბერძნები ამბობდნენ, ქართველების სისხლს დავლევთო. კვალიაშვილმა, როდესაც ეს გამონათქვამი ბერძენმა მოსახლეობამ „ბრალდებად“ წაუყენა, ორაზროვნად უარყო იგი.

ხარაბაში მოსახლეობასთან შეხვედრის შემდეგ „აღორძინებისა“ და აჭარის უზენაესი საბჭოს დელეგაცია წალკის რაიონის გამგეობას ეწვია, სადაც წინასწარი შეთანხმებით რაიონის აქტივსა და ინტელიგენციას უნდა შეხვედროდნენ. „რაიონის აქტივი“ აღმოჩნდა ასიოდე ბერძენი ეროვნების მოქალაქე — უმეტესობა მთვრალი, რომლებიც თავიდანვე მტრულად განეწყვნენ ხელისუფლებისა და პრესის წარმომადგენლების მიმართ. წალკის საკრებულოს თავმჯდომარემ თენგიზ ლეფტეროვმა, როსტომ ჯაფარიძე „ასლან აბაშიძის მოადგილედ“ წარუდგინა დამსწრე საზოგადოებას და ძალიან გაუკვირდა, როდესაც შეუსწორეს — აჭარის კი არა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეაო. თუმცა დარბაზზე ამას არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია — ბ-ნი როსტომის პირველივე სიტყვების შემდეგ დაიწყო პროვოკაცია: „ქართულად ნუ ლაპარაკობ“, „ცოტა ხმამაღლა“ და ა.შ. დარბაზში იგრძნობოდა, რომ ვიღაცის „უხილავი ხელი“ (რაზეც ბევრი ილაპარაკა წალკის გამგებელმა კვალიაშვილმა) აქაც მოქმედებდა. ერთადერთი კაცი, ვის გამოსვლასაც ოვაციით შეხვდნენ, ბერძნული სათვისტომოს თავმჯდომარე იყო, რომელსაც სიტყვაც არ დაუძრავს ინციდენტზე — მხოლოდ სოციალურ პირობებზე ისაუბრა და ყველაფერი რაიონის ხელმძღვანელობას დააბრალა.

საერთოდ, ეს იქაც იგრძნობოდა, კერძო საუბრებშიც ბევრჯერ ითქვა და ბ-ნმა ვალერი გელბახიანმაც აღნიშნა ჩვენთან ინტერვიუში — ყველაფრის თავი და თავი გავლენის სფეროებისათვის ბრძოლაა, რასაც მოხერხებულად იყენებენ „ბნელი ძალები“. ერთმა მთვრალმა ბერძენმა, რომელმაც არაფრით არ დაასახელა თავისი ვინაობა, პირდაპირ მითხრა, — კვალიაშვილი სომხების კაციაო. თვითონ გამგებლის გამოსვლას რაც შეეხება, მან ბევრი ილაპარაკა „საერთო სამშობლოზე — საქართველოზე“, „ორი ხალხის საუკუნო ძმობაზე“ და ა.შ. მაგრამ დარბაზში მსხდომთა გამომეტყველება რომ გენახათ, სრულიად საწინააღმდეგოს იფიქრებდით. კვალიაშვილის გამოსვლაში ერთი რამ იყო ძალზე ნიშანდობლივი: მან ხუთჯერ თუ ექვსჯერ გაუსვა ხაზი — უნდა დაისაჯონ ორგანიზატორები და არა ის მოტყუებული ახალგაზრდები, რომლებმაც ხარაბა დაარბიესო. ცოტა არ იყოს, საკვირველია ხელისუფლების წარმომადგენლისაგან ასეთი, თუნდაც იურიდიული, უვიცობა. ამაზე მიუთითეს კიდეც „აღორძინების“ წარმომადგენლებმა მაგრამ იგი არ შეეპუა და ჯიუტად იმეორებდა: „მაშინ მეც მათთან ერთად დამსაჯეთ“. მისი ასეთი „თავგანწირვა“ გასაგები გახდა, როდესაც გაირკვა, რომ დარბევას თანამდებობის პირთა ოჯახის წევრები — უკვე ნახსენები თენგიზ ლეფტეროვის ძმა, საგზაო პოლიციის უფროსის ბალაბანოვის შვილი და სხვები ხელმძღვანელობდნენ. შეხვედრა ოციოდე წუთში დამთავრდა, უფრო ზუსტად — ჩაიშალა. სტუმრები, დამსწრეთა განწყობიდან გამომდინარე, იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ დარბაზი და მართლებიც იყვნენ — იქ მოსასმენად არავინ იყო მისული.


ყველის „ჩემპიონატის“ გამარჯვებული

ყაყანი და გაწევ-გამოწევა ჯერ გამგეობის შენობის ფოიეში, შემდეგ კი ეზოში გაგრძელდა. თან კომიკური, თან აღმაშფოთებელი და თანაც იმ სიტუაციისთვის ძალზე დამახასიათებელი იყო ეზოში გამართული ასეთი სცენა: მთვრალი კაცი „ეძველბიჭება“ საქართველოს პარლამენტის ერთ-ერთ ხელმძღვანელს:

— პარიზის გამოფენაზე ჩემმა გაგზავნილმა შვეიცარიულმა ყველმა ოქროს მედალი მიიღო. შენ ვინა ხარ და რა გაგიკეთებია?!

კიდევ ერთი ნიუანსი, რომელიც ალბათ იმ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს, რომ რაიონის ხელმძღვანელის პოსტი გამხდარა მთავარ საჯილდაო ქვად: ხარაბაში მოსახლეობასთან შეხვედრისას მავანი ქალბატონი განსაკუთრებული მონდომებით არწმუნებდა ხალხს: „თქვენი და საერთოდ — ქართველობის ერთადერთი პატრონი ამ რაიონში გიორგი კვალიაშვილია. ის რომ არ იყოს ყველას აგასახლებენ აქედან.“ როგორც გაირკვა, ეს ქალბატონი გამგებელ კვალიაშვილის ცოლისდა ყოფილა.

დასკვნა ასეთია: სიტუაცია მეტად რთული და დაძაბულია, რაშიც პირველ რიგში ხელისუფლებაა დამნაშავე, რადგან ახალმოსახლეები უპატრონოდ ჰყავთ მიტოვებული. თუმცა მდგომარეობას გამოუსწორებელი მაინც არ ეთქმის — პირველ რიგში, დასასჯელი უნდა დაისაჯოს, რომ ხალხმა იგრძნოს ხელისუფლების, სახელმწიფოს არსებობა (ორიოდე თვის წინ ქართული სკოლის დაწვის მცდელობაში შემჩნეული პიროვნება დაუსჯელად გაემგზავრა საზღვარგარეთ).

ჩვენ ხშირად საკმაოდ კრიტიკულად ვწერთ ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის მესვეურთა შესახებ, მაგრამ უმადურობა იქნება, რომ წალკის რაიონში მათ მიერ ქართული საქმის კეთების სურვილი უარვყოთ. ამაში არა მარტო მათთან, არამედ მოახალშენეებთან საუბარმაც დაგვარწმუნა. წალკაში ძალიან იაფია საცხოვრებელი სახლები, ჩამოსახლების მსურველიც ბევრია და ბიუჯეტიდან გამოყოფილი 80.000 ლარი რომ დროზე გადმოირიცხოს, დარწმუნებული ვართ, ცოტას აჭარის ავტონომიის ხელისუფლებაც გაიმეტებს და ეს უკვე ორას ახალ ქართულ ოჯახს ნიშნავს წალკაში.

***მანოლი ლილუაშვილი***
***ზვიად გურული***

# „გული მეტანჯება ამათი ცოდვით“...

ჩვენმა მთავრობამ მოქმედების მთავარ მოტივად კორუფციასთან ბრძოლა გამოაცხადა. განცხადებას ქმედებაც სწრაფად მოჰყვა, გაიცვალა სავარძლები, ზოგი დაწინაურდა, ზოგიც შეეწირა. აქამდე წყნარად მყოფმა პროკურატურამაც თავი გამოიდო... თუმცა ყველაფერი დაწერილ სცენარს უფრო ჰგავს. საქართველო პატარა ქვეყანაა, სა-



მაგიეროდ — ტრადიციებით მდიდარი. ნებისმიერმა ორმა ჩვენთაგანმა, მამა-პაპა რომ გამოვიკითხოთ, ნათესავები თუ არა, კარგი მეგობრის შვილები მაინც აღმოვჩნდებით. აქვე ვერავის ვერაფერს დაუმალავ, ყველამ კარგად ვიცით, ვინ როგორ და რითი ცხოვრობს. ის, რომ საქართველოში მცირე ბიზნესს არ შეუძლია ფრთების გაშლა და დიდ ბიზნესად გადაქცევა, საგადასახადო კანონებისა და აქედან გამომდინარე ათასი მაკონტროლებელი სისტემის გადამკიდეს, უკვე ნებისმიერმა ჩვენმა მოქალაქემ იცის. გამოდის, რომ თუ ციდან არ ჩამოცვივდა, ისე დიდ ფულს ვერ იშოვი (ზოგისთვის მართლაც ციდან ცვივა). ჰოდა, თუ გინდა, რომ იცხოვრო, თბილი სავარძელი თუ ვერ იშოვე, ან ბაზარში უნდა დადგე, ანდა საზღვარგარეთ წახვიდე და რა განათლების და პროფესიის პიროვნებაც არ უნდა იყო, ვიღაცას მოსამსახურედ, ლაქიად დაუდგე. არადა, შიმშილი, თავმოყვარეობის დაკარგვა, განადგურება გელის. მავანთა თქმით კი, ჩვენს ქვეყანაში „თურმე“ არც ისე ცუდად ყოფილა საქმე. მხოლოდ მასმედიის ბრალი ყოფილა თვითმკვლელთა რიცხვმა რომ იმატა. თურმე ჩვენ ძალზე დრამატული ფერებით ვხატავთ ყველაფერს. არადა, ნუ იტყვი თუ გინდა. ნემსის ქურდს იჭერენ, აქლემისა კი პატივსაცემი კაცის სავარძელში ზის და იქიდან გვმოძღვრავს. რამდენი პატიოსანი კაცი გახდა კრიმინალი და რამდენმა მოიკლა თავი, სახლში მშიერი და ავადმყოფი ბავშვები რომ ელოდნენ და მას კი არაფრის გაკეთება შეეძლო. ასეთების რიცხვი დღითი დღე მატულობს. ამას კრიზისი აღარ ჰქვია...

მთავრობა კი აცხადებს, რომ ეძებს და ებრძვის კორუფციას...

ერთ-ერთი „ძლიერი ამა სოფლისა“ პირად საუბარში, ჩემი თანდასწრებით ასე ეუბნებოდა კახელ გლეხს „შენ, იცი, რა არის კორუფცია?! აი, მიწის გადასახადს რომ არ იხდი, სწორედ ის. შენ გებრძვის მთავრობა, და არც გაპატიებენ“. გლეხმა უპასუხა: „რა გითხრა, იცი, ძმაო! მე რომ მიწის გადასახადს არ ვიხდი, ის კორუფციაა და დედაჩემს და მამაჩემს რომ სამი წელია პენსია არ მიუღიათ და მეუღლეს კიდევ ხელფასი — იმას რა ჰქვია. „აიცფუროკ?“ დაბალ ღობეზე ფეხის დაბიჯება იოლი გგონიათ არა? კორუფციონერებიც თქვენა ხართ და მექრთამეებიც. შენ და შენზე დიდ მოხელეებს ყოველდღე კუდს რომ უქიცინებ, გგონიათ მთავრობა ვართ და ქვეყანას ვმართავთო, ნამდვილად კი საქართველო დიდ ბაზრად გადააქციეთ. ყველანი კორუფციას კი არა, თქვენი ჯიბეებისთვის იბრძვით. ცირკებსა დგამთ ტაკიმასხრებივით.“

ხალხის მოტყუება არც ისე იოლია, ისინი მხოლოდ თავს იტყუებენ. ერთი მინისტრის შეცვლა მეორეთი, გაფუჭებულ საქმეს რომ არ შველის, ნებისმიერმა გამვლელმა იცის, არადა, მდგომარეობა სასტიკად დაძაბულია. კახეთში აუტანელმა სიცხემ და გვალვამ მოსავალი სულ გაანადგურა. გლეხს ელემენტარული კვების საშუალებაც კი მოუსპო.

**ნიკო ქევხიშვილი:** ასეთი საშინელი სიცხეები 20 წელი იქნება, არ ყოფილა. მზეზე ლამის 60 გრადუსს აღწევდა. რა გადარჩებოდა... სულ ერთიანად ჩაგვიხმო ნათესები. მე თვითონ საზამთროს ბაღი მქონდა. ვფიქრობდი, ოჯახში რაღაც შემოსავალი მექნება-მეთქი. ერთი კაპიკი არ ამიღია. ავდექი და თავი გავანებე. მიწის დამუშავება რაც დამიჯდა, ის თანხაც წყალში გადამეყარა. ჩემს შრომას ვინ ჩივის, ბავშვებს პირიდან ლუკმა რისთვისღა გამოვარიდე.

**— ალბათ უკვე იცით, რომ მთავრობა დახმარებას ცდილობს...**

— მე ამ მთავრობის არაფერი მჯერა. რაც გვეკუთვნის, იმას არ გვაძლევს, სხვა დამატებითს მოგვცემს რამეს? რასაც გვპირდებიან, მხოლოდ საბუთების შესაკერად სჭირდებათ, თორემ ჩვენი დარდი ვისა აქვს. ვითომ ამ მამაძაღლობას ვებრძვითო, იძახიან, კორუფცია რომ დაარქვეს. კი, ბატონო, მაგრამ ერთი დამნაშავე მანახეთ დასჯილი და დავიჯერებ ყველაფერს. დასხდებიან სავარძელში, შეჭამენ რაც ხელში და თვალში მოხვდებათ, შვილთაშვილის მომავალსაც უზრუნველყოფენ. მერე ვიღაცას აზრად მოუვა, რომ თურმე საქმე ფუჭდება, გაუშვებენ თანამდებობიდან და მორჩა ამით. ის აუცილებლად დიდ ბიზნესში რჩება, ჩვენ კი შევცქერით „მამა-მარჩენალს“ იმედის თვალით, იქნებ მიხვდეს, ჩვენც ადამიანები რომ ვართ.

**— იქნებ თქვენ გვითხრათ, რა უნდა ვიღონოთ, რომ ხალხმა ირწმუნოს მთავრობის, ნუთუ სტალინის მეთოდებია საჭირო?**

— შვილო, სტალინი რა შუაშია. უწინ, ჩვენი მეფეები, რომ გაეგოთ ნამდვილად რა ხდებოდა ქვეყანაში, განა დიდებული თავადების ლაპარაკს უგდებდნენ ყურს; გადაიცვამდნენ ხოლმე ღარიბი კაცის ტანსაცმელს, შეიცვლიდნენ გარეგნობას, გაერეოდნენ უბრალო ხალხში და ისმენდნენ მათ გულისტკივილს. ჩამოვიდნენ, ბატონო, იმ დიდებული „მერსედესებიდან“ ერთი-ორი თვით, ამოისუფთაონ ჯიბეები და სცადონ ცხოვრების დაწყება სხვისი სახელით და გვარით. აი, მაშინ მიხვდებიან ვის და როგორ უნდა ებრძოლონ. მართალი რომ გითხრა, არც მაინტერესებს მაგათი პოლიტიკა, ნეტავ სანამ ცოცხალი ვარ, შევძლო ჩემი ცოლ-შვილის რჩენა და პატიოსანი კაცის სახელის შენარჩუნება და მეტი არაფერი მინდა.

რამდენი კარგი კაცი ვიცი: მცოდნე, განათლებული, კარგი ხელოსანი, კარგი მუშა, ქვეყანას რომ სჭირდება ისეთი ხალხი, მაგრამ ვერაფერს აკეთებს და მშიერია. ხალხს შრომა ენატრება. მიწიდანაც რომ არაფერი გამოდის?! აჰა, მთელი გაზაფხული ჭაპანწყვეტაში გავატარე, დასვენება მე არ ვიცოდი და ძილი, სიცივე და სიცხე. ახლა კი რა მიჭირავს ხელში? ღმერთიც არ არის ჩვენს მხარეს, რა ცოდვა გვაძევს ამისთანა...

საუბარი მენაყინის საყვირმა შეგვაწყვეტინა. ჩემი მასპინძლის ბავშვები ჟივილ-ხივილით გამოცვივდნენ. რომ დამინახეს ერთ წუთს შედგნენ, ერთმანეთს რაღაც გადაუჩურჩულეს და ნელა მოგვიახლოვდნენ. პაპამ თვალით უარი ანიშნა. ისინიც გულდაწყვეტილები უხმოდ გაგვშორდნენ. დადგნენ მენაყინის შორიახლოს და ნაღვლიანი თვალებით დაუწყეს ცქერა. სასწრაფოდ დავემშვიდობე ჩემს რესპონდენტს და გამოვბრუნდი.

მოხუცმა ქალმა შემაჩერა: შვილო, ადრეც ყოფილა შიმშილობა, განა ეს პირველია, მაგრამ მაშინ არც იშოვებოდა არაფერი. ახლა... ახლა ყველაფერი ბევრია. ბავშვები უყურებენ, უნდათ და საშუალება კი არა გვაქვს, რომ ვუყიდოთ. გული მეტანჯება ამათი ცოდვით. მარტო ჩემების კი არა, საერთოდ... დააკვირდი, ბავშვებსაც კი არა აქვთ სახეზე ბედნიერების ღიმილი... ჩვენ ხომ არაღა ვიკითხებით.

***ლალი შარიმანაშვილი***

# დაზარალებული ასანიძეა, ელიავა კი არა(?!)

*(დასაწყისი იხ. გვ. 5)*

გამოძიების მიერ, ასანიძის დაზარალებულად გამოცხადება მათი მხრიდან სრული ცინიზმია. ასანიძე, რომელსაც თმის ღერიც კი არ ჩამოვარდნია და აკაკი ელიავა „შენი ჭირიმეთი“ ელაპარაკებოდა (რაც ვიდეო მასალაზე შესანიშნავად ჩანს) დაზარალებულად ცხადდება, ხოლო დაღუპული ელიავასა და გვილავას ოჯახები თურმე არ არიან დაზარალებულები(?!).

და ბოლოს, წარმოუდგენლად კურიოზული და სკანდალური განცხადებაა მათი მხრიდან ის, რომ აკაკი ელიავას ოჯახის ადვოკატს ვერ ჩართავენ საქმეში, იმიტომ, რომ იგი მხარე არ არის!

ჩემთვის სავსებით ულოგიკოა ეს განმარტება, რადგან თუკი ელიავა სისხლის სამართლის საქმეში მხარე საერთოდ არ არის, მაშ რის საფუძველზე იძიებენ სისხლის სამართლის საქმეს? ხოლო თუკი იგი მხარეა, რომელი ნორმის საფუძველზე არ მაქვს უფლება, მონაწილეობა მივიღო აღნიშნულ საქმეში?

*— რატომ არ აძლევს ხელს გამოძიებას ამ საქმეში თქვენი ჩართვა?*

— არ სურთ ჰყავდეთ უკანონობის ხელის შემშლელი ოპონენტი, რომელიც საწინააღმდეგო არგუმენტებს დააფიქსირებდა საქმეში.

*— ელიავას ტანსაცმელთან დაკავშირებით რატომ იქმნება პრობლემები, რატომ არ აძლევენ დამოუკიდებელ ექსპერტიზას მისი ნახვის საშუალებას?*

— დრო გაჰყავთ, თორემ ამ საკითხის მოგვარება შესაძლებელია. ექსპერტმა მაია ნიკოლეიშვილმა უკვე მიმართა განცხადებით გამოძიებას და მოითხოვა საექსპერტო განყოფილებაში არსებული ტანსაცმლის დათვალიერება. რამდენიმე დღეში პასუხი იქნება.

*— თუ გენპროკურატურა საბოლოოდ იტყვის უარს თქვენს ჩართვაზე სისხლის სამართლის საქმეში, რა საშუალებებს მიმართავთ, ანუ რას აპირებთ?*

— უკანონო გადაწყვეტილებას სასამართლოში გავასაჩივრებ. ამ საკითხის კანონიერად გადაწყვეტას უდიდესი მნიშვნელობა აქვს გარდაცვლილთა ოჯახებისა და ამ საქმით დაინტერესებული ადამიანებისათვის, ერთი რამ, გამოძიება, რომელიც აშკარა უკანონობაზე მიდის, რაც მომავალში უთუოდ გახდება სერიოზული განსჯისა და კონკრეტული ღონისძიების გატარების საფუძველი, თავისივე ინტერესების საზიანოდ რატომ მოქმედებს? ან რად სჭირდებათ მათ საქმე, რომელიც ასეთი აშკარა კანონდარღვევით იკინძება, მართლმსაჯულება ხომ გამოძიების ეტაპზე არ მთავრდება?

P.S. უკანასკნელი მონაცემებით, დავით ზირაქიშვილმა ადვოკატ ეკა ბესელიას წერილობით განცხადებაზე — სისხლის სამართლის საქმეში ჩართვაზე, უარი განაცხადა.

ადვოკატი ამჯერად საჩივრით მიმართავს გენერალურ პროკურორს.

***ნათია ჩუბინიძე***

# გენერლის მუნდირიანი ქართველი მაესტროს დაშოშმინებას ლამაზფეხება სტიუარდესა შეეცადა

## ფაქტი

ამ ზაფხულს ლონდონის აეროპორტში, თვითმფრინავში მომხდარი ინციდენტის გამო, დააპატიმრეს ცნობილი ქართველი მხატვარი ვლადიმერ კანდელაკი (როგორ და რანაირად, ქვემოთ მოგახსენებთ).

ბატონი ვოვას ცხოვრებაში ამ ბოლო ერთი წლის მანძილზე უსიამოვნო მოვლენების მთელი სერიალი გათამაშდა და იგი ლონდონის ინცინდენტით ვერ დასრულდება. ასე და ამგვარად, მივყვეთ ფანტომასის ნილბიან — როგორც მას მეგობრები უწოდებენ, ქართველი მხატვრის ტრაგიკომიკურ სიტუაციებს.

## შტრიხები ხელოვანის პორტრეტისათვის

ხელოვანის, მით უმეტეს, მხატვრის და თანაც ქართველის, ცხოვრებაში დრო ჩვეულებრივად არ გადის. ერთხელ თურმე მხატვარ ვლადიმერ კანდელაკს კაი ხნის უნახავი მეგობრისთვის უთქვამს, — ერთი თვე თბილისში ვილოთე, „პახმელიაზე“ მთა-თუშეთში გამოვედი, მერე კი აღარც მახსოვს,



ვოვა კანდელაკის ძველებური იარაღის კოლექცია

რამდენ ხანს ვხატეო.

„ჩემი რელიკვიებია: ხატები, საოჯახო ფოტოები, კოჭები, შურდულები, ნალები, მანდილოსანთა ქუდები და მარაოები, ძველებური ხანჯლები, ხმლები... მე მათ მთელი სიცოცხლის მანძილზე ვაგროვებდი, ვხატავდი, ჩემს კოლაჟებსა და პოპ-არტებში ვიყენებდი. ვეფერებოდი, ველოლიავებოდი; ისინიც სიყვარულით მპასუხობდნენ — მუშაობის სტიმულსა და აღმაფრენას მმატებდნენ“, — წერდა ბატონი ვოვა.

იმის ნაცვლად, რომ ცნობილი მხატვრის კონცეპტუალურ ხელოვნებაზე გვესაუბრა, მის ირგვლივ ატეხილ კრიმინალურ ორომტრიალში ამოვყავით თავი. ასეთ დროს კი, ყველას კარგად მოეხსენება დაპირისპირებულ მხარეთა „მოქარგული ენის“ ამბავი.

...რაც მართალია, მართალია — ვოვა კანდელაკი სვამდა. ზოგჯერ შფოთსაც ტეხდა ხოლმე, მარტო ქუჩაში ან რესტორანში კი არა, თვით ცეკას კაბინეტებშიც. მაგრამ ხელოვანის ნატურა ასე ცალსახად ხომ ვერ დახასიათდება?

ვოვა კანდელაკი გახლავთ საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. 1969-90 წლებში იყო სსრკ მხატვართა კავშირის წევრი, საერთაშორისო ფედერაციის იუნესკოს წევრი. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის საპატიო პროფესორი, ინფორმატიფიკაციის საერთაშორისო აკადემიის წევრი. მისი ნამუშევრები ინახება მსოფლიოს რჩეულ მუზეუმებში. საერთაშორისო აღიარება და სოლიდური თანხები მოუტანა ნონკომფორმისტული ხელოვნების ლეგენდარულ კოლექციონერთან ამერიკელ ნორტონ დოჯისთან ურთიერთობამ. ამერიკელი მოხიბლა ვოვა კანდელაკის 70-იანი წლების ბოლოს შესრულებულმა ნამუშევრებმა, როცა მან დროებით გვერდზე გადადო რომანტიკული განცდები და „ვრცელ საბჭოეთზე“ მეტისმეტი სარკაზმით ალაპარაკდა. ეს დიდი ვაჟკაცობა იყო.

სიმონ ცინცაძე, ხელოვნებათმცოდნე, „ვლადიმერ კანდელაკის ფონდის“ პრეზიდენტი: „80-იანი წლების დასაწყისში ვოვა კანდელაკის ხელოვნებაში განსაკუთრებით გამძაფრდა პოლიტიკური ჟღერადობა. ერთი მეორეს მოჰყვა მისი ცნობილი ტილოები: „ბანქოს სახლი“, „ილიჩის ნათურა“, „ჯვრის პროცესია“, „ფარშევანგი გალიაში“ და ა.შ.

ერთხელ ვოვასთან მივედი. ფარშევანგის ფრთას ხატავდა, მეტად ფაქიზად ამუშავებდა. ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ ტილოზე ვიხილეთ ულამაზესი ფრინველი. ვკითხე, — რას გულისხმობ ამ ულამაზეს არსებაში-მეთქი. ეს არის საქართველოო...

შემდეგ მისვლაზე ფარშევანგი გალიაში გამომწყვდეული დამხვდა.

გავიდა წლები და ვოვამ მეორე ფარშევანგი დახატა. ამ მშვენიერი ფრინველისთვის აფრენაც კი არ ეცლიათ, ისე დაძგერებოდნენ და ბრდღვნიდნენ საზარელი, ჯადოსნური ურჩხულები. ვკითხე, ეს რაღას ნიშნავს-მეთქი. ეს განთავისუფლებული საქართველოაო, — მითხრა.

თავისი შემოქმედება ბატონმა ვოვამ ერთ-ერთ ინტერვიუში ასე დაახასიათა: „ეს არის შერწყმა ავანგარდისა და ეთიკისა... რაც შეეხება სოცრეალიზმს, ამ მიმართულების შემოქმედი არასოდეს ვყოფილვარ. ალბათ უფრო ნაციონალური მხატვარი ვიყავი... ის, რაც გაკეთებულია ჩემს შემოქმედებაში — პაროდია საბჭოთა დროზე, ეს უფრო სიურრეალიზმია, ალბათ“. ამიტომაც იყო, რომ ამერიკელებსაც ქართულ ჩოხაზე ელაპარაკებოდა, როგორც საქართველოს ყველაზე ეროვნულ სიმბოლოზე. ამ ჩოხით წავიდა ვლადიმერ კანდელაკი 1990 წელს ამერიკაში და ამ ჩოხაშივე გამოაწყო თავისი კეთილისმყოფელი ნორტონ დოჯიც.

## ვინ „გაიჯეჯილა“?!

გიორგი თოთიბაძე, საქართველოს სახალხო მხატვარი, „ვლადიმერ კანდელაკის ფონდის“ გამგეობის წევრი: „1998 წელს ამერიკაში სახელმოხვეჭილი ვლადიმერ კანდელაკი ფართო საქველმოქმედო პროგრამით ჩამოდის თბილისში და აყალიბებს თავისი სახელობის ფონდს ქართული კულტურის აღორძინებისათვის. ფონდის პროგრამის გათვალისწინებით, თბილისში, კუს ტბის მიდამოებში, ქართული ყოფის და ხუროთმოძღვრების მუზეუმის ტერიტორიაზე იწყება ეკლესიისა და აგრეთვე, ვლადიმერ კანდელაკის მუზეუმის მშენებლობა, სადაც ძირითადად მისი ეთნოგრაფიული კოლექცია მოთავსდება, რომელსაც მხატვარი მთელი სიცოცხლის მანძილზე აგროვებდა. მუზეუმი, აშენებისთანავე, თავისი მდიდარი ექსპოზიციით, საჩუქრად გადაეცემა საქართველოს“.

სიმონ ცინცაძე, ფონდის ახალდანიშნული პრეზიდენტი: „ვოვა კანდელაკის კოლექცია, რომლის ღირებულებაც თითქმის ორ მილიონ დოლარს შეადგენს, დღეს ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის საცავებში ინახება. ესენია: — კავკასიური იარაღის უნიკალური კოლექცია, უძველესი დროის აბჯრები, მუზარადები, ფარები (მათ შორის რამდენიმე ანტიკური ხანისა), ვერცხლისა და სხვა მეტალისაგან დამზადებული საყოფაცხოვრებო ნივთები, ადგილობრივი და ევროპული უნიკალური მუსიკალური ინსტრუმენტები, მათ შორის ოთხფეხა როიალი, უნაგირები და უამრავი სხვა ნივთი“.

ასე რომ, მხატვარ ვლადიმერ კანდელაკის ფონდმა, რომლის პირველი პრეზიდენტიც გახლდათ სამხატვრო აკადემიის პრორექტორი — ეთერ შავგულიძე, ფუნქციონირება 1998 წელს დაიწყო. ფონდის დამფუძნებელი ვოვა კანდელაკი, მის მიერ ხელმოწერილი მინდობილობით, განუზომელ უფლებებს ანიჭებდა ქალბატონ ეთერს საინტერესო საქველმოქმედო საქმიანობისთვის. ისე მოხდა, რომ მხატვარმა მთელი თავისი ოცნება და ფინანსები აკადემიის პრორექტორს ჩააბარა, თვითონ კი კვლავ ამერიკაში გაემგზავრა, საიდანაც ხშირად და დაუნანებლად აგზავნიდა ასობით ათას დოლარს. საბოლოოდ თანხამ 600.000 დოლარს გადააჭარბა. ხოლო, როდესაც ვოვა კანდელაკი ერთი წლის შემდეგ კვლავ დაბრუნდა თბილისში, თავისი ფონდი, ფაქტობრივად, გაკოტრებული დახვდა.

მართალია, ეკლესიის მშენებლობაც დაწყებულია და მუზეუმისაც, გამოიცა დიდი მხატვრის, სერგო ქობულაძის უნიკალური ნაშრომი „ოქროს კვეთაც“, დაისტამბა „ქართული კულტურა“ (ინგლისურ ენაზე), გამოიცა ვლადიმერ კანდელაკის შემოქმედების ამსახველი ილუსტრირებული ალბომი, მაგრამ ეს, როგორც თვითონ ბატონმა ვოვამ ჩათვალა, ზღვაში წვეთია და დაწერა კიდეც გადაწყვეტილება-ბრძანება: „მხატვარ ვლადიმერ კანდელაკის ფონდის“ პრეზიდენტმა, ეთერ შავგულიძემ არამიზნობრივად დახარჯა ფონდის თანხები, რითაც ჩაშალა მისი მუშაობა. შეჩერდა ჩემი მუზეუმის მშენებლობა, აგრეთვე ეკლესიის მშენებლობაც. არ გამოიცა სამხატვრო აკადემიის ალბომი და არ დაურიგდა ჩემი სახელობის სტიპენდიები სტუდენტებს. შეფერხდა და კატასტროფის წინაშე დგას ჩემი კოლექციის გამოფენა კრემლის „ორუჟეინაია პალატაში“. უსახსრობის გამო შეფერხდა ჩემი ამერიკაში გამგზავრება და ჩამეშალა დაგეგმილი გამოფენები...

მოკლედ, ვოვა კანდელაკი პუნქტებად აყალიბებს შესასრულებელი იდეების საკმაოდ გრძელ სიას და, აქედან გამომდინარე, აუქმებს ფონდის პრეზიდენტის სახელზე გაცემულ მინდობილობას. მხატვრის ამ გადაწყვეტილებას კი, ქალბატონი ეთერ შავგულიძე თავისებურად ხსნის და ამბობს, რომ — კანდელაკის ასეთმა ნაბიჯმა იგი გაათავისუფლა ფონდის მიმართ დაკისრებული ყოველგვარი ვალდებულებისგან. „ვალდებულებებში“ იგი გულისხმობს იმ გარიგებებს, რასაც ქალბატონი ეთერი აწარმოებდა სხვადასხვა ორგანიზაციასა თუ კერძო პირთან. არსებობს ქალბატონი ეთერის ხელით დაწერილი, ნოტარიუსით დამოწმებული გარიგებების გრძელი სია და სესხის ხელშეკრულებები — პროცენტებად დარიგებული ასიათასობით დოლარი. ფონდის პრეზიდენტმა 80 ათასი დოლარი ასესხა მეტროსადგურ „დელისთან“ მდებარე მაღაზიის მფლობელს, 60 ათასი — სასტუმრო „ევროპის“ წარმომადგენელს, 50 ათასი — „სოკოს“ აქციების მფლობელს, 50 ათასი დოლარი ერთ-ერთ ფონდს... და კიდევ მრავალი ასეთი ხელშეკრულება თუ ხელწერილი არსებობს. სხვათა შორის, როგორც ბატონმა სიმონმა გვითხრა, მევალეთა ნაწილი მართალია, ვალს აღიარებს, მაგრამ ფინანსურად უჭირთ და როგორც ჩანს, შეუძლებელია თანხის ამოღება. საკუთარი ინფორმაციით კი, მევალე ფონდის პრეზიდენტი საზღვარგარეთ არის გაქცეული, „სოკოს“ აქციები გაკოტრებულია, ხოლო მაღაზია ვალს ვერ იხდის.

ასე რომ, როგორც მხატვრის ფონდის ახალი პრეზიდენტი და ფონდის გამგეობის წევრები ვარაუდობენ, განიავებული თანხების დაბრუნებას მხოლოდ სასამართლო პროცესის წამოწყებით თუ შეძლებენ. ამ პროცესს კი ხელს უშლის ვოვა კანდელაკის ახალი ფათერაკი, რომელიც მას შეემთხვა ლონდონის აეროპორტში, საიდანაც ამერიკაში უნდა გაფრენილიყო.

თბილისის აეროპორტში დაშვებულ ბრიტანულ თვითმფრინავში ბატონი ვოვა ერთობ უჩვეულოდ გამოწყობილი აბრძანდა.

კავკასიური იარაღის უნიკალური კოლექციის შეგროვებისთვის კაზაკთა ორგანიზაციამ ბატონ ვოვას მიანიჭა „საპატიო ატამანისა“ და გენერლის წოდებები და გენერლის მუნდირიც უძღვნა. როგორც მხატვრის მეგობრები ამბობენ — ბავშვივით უხაროდა თურმე ეს უცნაური საჩუქარი და სულ იმ მუნდირით დადიოდა.

მხატვარმა გენერლის მუნდირი ამაყად მოირგო, მკერდზე მიიბნია „ღირსების ორდენი“, რომლითაც საქართველოს ხელისუფლებამ წინა დღეს დააჯილდოვა, მეგობრებთან ერთად ორიოდე ჭიქა ვისკიც გადაკრა მეტად ორიგინალური იერითა და განწყობილებით ერთბაშად მოექცა თვითმფრინავის მგზავრთა არეალში. ვისკით გამხნევებულ მხატვარს მეტი რაღა უნდოდა და საბჭოთა კავშირის ჰიმნი შემოსძახა, მერე კი სიგარეტის მოწევაც სცადა ჯერ სალონში, ხოლო შემდეგ ტუალეტში. ეტყობა, იფიქრა, ბრიტანულ თვითმფრინავში შეიძლებოდა მოწევა. აზარტში შესული ქართველი მაესტროს „დაშოშმინებას“ ლამაზფეხება სტიუარდესა შეეცადა, რომელიც გვერდით მიუჯდა და მომხიბვლელი ღიმილით და სასიამოვნო ხმით გამოელაპარაკა. ინგლისურ ენასთან მწყრალად მყოფმა კანდელაკმა ლამაზი სტიუარდესსას ღიმილიანი საუბარი, ვინ იცის, როგორ მიიღო. თვითონაც ღიმილით შეასხა ქათინაურები. უფრო მეტიც, თურმე ცდუნებას ველარ გაუძლო და მშვენიერ უცხოელს ლამაზ ფეხებზე ხელიც კი მოუთათუნა.

ასე აღმოჩნდა ვოვა კანდელაკი ლონდონის პოლიციაში. მომხდარი ამბის შესახებ აცნობეს საქართველოს საელჩოს ლონდონში და სწორედ მათი მეშვეობით შეიტყვეს ქართველი მხატვრის დაპატიმრების ამბავი თბილისში.

**სიმონ ცინცაძე:** „რამდენიმე დღის შემდეგ ვოვას ამერიკელი მეგობრის, ცნობილი კოლექციონერის ნორტონ დოჯის, აგრეთვე ცნობილი ინგლისელი პოლიტოლოგის, პროფესორ საკვას, მხატვართა საერთაშორისო ორგანიზაცია იუნესკოს დიდი ძალისხმევით (მათ გადაიხადეს ჯარიმა) მოხერხდა ვოვა კანდელაკის თავდებით განთავისუფლება. დღეს იგი, სასამართლოს მოლოდინში, ლონდონში ცხოვრობს და მის ბინას პოლიცია მეთვალყურეობს.

ვოვამ ერთ-ერთ სატელეფონო საუბრისას მითხრა, დღიურებს ვწერ და ვხატავ კიდეც. ყველაფერი გამოვიყენე, რაც ჩემს ხელთ იყო — ქაღალდი, პირსახოცი, ზეწარი... მგონი, საინტერესო რამ გამოდისო.

როგორც ვხედავთ, ბ-ნი ვოვას, მისი ფონდის და აგრეთვე ლონდონის ამბების მთელი „საქმე“, ასე ვთქვათ, შუა გზაშია გაჩერებული.

ვერ ვიტყვით, რომ აღნიშნული სტატიის გამოქვეყნებას სკანდალი მოჰყვება (თუმცა, შესაძლოა ასეც მოხდეს), მაგრამ ძალიან მძიმე სასამართლო პროცესი კი არის მოსალოდნელი.

სიტუაციაში უკეთ გასარკვევად „კვირის პალიტრა“ დაუკავშირდა „ვლადიმერ კანდელაკის ფონდის“ ყოფილ პრეზიდენტს, სამხატვრო აკადემიის პრორექტორს, ქალბატონ **ეთერ შავგულიძეს:**

— ვოვა კანდელაკს და მის მენეჯერს ამერიკაში, ჯანეტა ქორიძეს, 1995 წლიდან დავუკავშირდი. ჯანეტამ მითხრა, რომ მათ კონტაქტი აქვთ ნონკომფორმისტული ხელოვნების ცნობილ ამერიკელ კოლექციონერთან ნორტონ დოჯისთან. მე ვოვას და ჯანეტას ვეხმარებოდი დოჯის კოლექციისთვის ქართველი ნონკომფორმიტი მხატვრების ნამუშევრების მოძიებასა და შერჩევაში.

ვოვა კანდელაკს ამერიკაში მოღვაწეობისას საკმაო თანხა დაუგროვდა და ვურჩიე, რომ თბილისში მუზეუმი აეშენებინა. 1998 წელს იგი კვლავ ჩამოვიდა თბილისში და უკვე მოფიქრებული ჰქონდა თავისი ფონდის შექმნაც და მუზეუმის აშენებაც. მე მას დახმარება აღვუთქვი, ოღონდ ფონდის პრეზიდენტი სხვა უნდა ყოფილიყო. მაშინ არც ერთმა მისმა მეგობარმა ვოვასთან ასეთი კავშირი არ ისურვა, არ ენდობოდნენ მას. მერე კი, როცა დაინახეს, ვოვას ფული ჰქონდა, ყველამ თავი წამოსწია.

მე აუცილებლად ჩავთვალე, პირველ რიგში შექმნილიყო ვოვა კანდელაკის იმიჯი საქართველოში და მთელი წელი ამაზე ვმუშაობდი. ეს იყო საქმის იდეოლოგიური მხარე.

უნდა ვაღიარო, რომ ვოვა კანდელაკი არის მსხვერპლი ჩემიც და იმ სიტუაციისაც, რომელშიც აღმოჩნდა. მან თავი მართლაც დიდ მხატვრად წარმოიდგინა და როგორც კახეთში ამბობენ ხოლმე, „გაიჯეჯილა“.

— **ქალბატონო ეთერ, რატომ ჩავარდა ასეთ დღეში ფონდი, რატომ ვერ მოუარეთ?**

— გასაგებია ყველაფერი. ვხედავ, რომ თქვენ ხელთ გაქვთ ყველა დოკუმენტი, ვინ გადმოგცათ, თუ საიდუმლო არ არის?

— **ქალბატონმა ჯანეტა ქორიძემ და ბატონმა სიმონ ცინცაძემ.**

— ჩემთვის გაუგებარია, რად სჭირდება ქალბატონ ჯანეტას, რომ ეს დოკუმენტები გამოქვეყნდეს. კი ბატონო, თუ ისინი ასე თვლიან, დაიწეროს. მაგრამ წაიკითხეთ მინდობილობა, იქ გარკვევით წერია, რისი უფლებაც მქონდა. მე უნებართვოდ არაფერი გამიკეთებია.

რატომ ავიწყდებათ, რომ როცა ეს ოპერაციები წამოვიწყეთ, ფონდის ფუნქციონირებაზე არც გვქონია საუბარი. ფონდის ფინანსური საქმეები რეალურად არც გვიწარმოებია. მე ჯერ იმიჯს ვუქმნიდი ფონდს.

— **სხვათა შორის, უკვე გავეცანი თქვენ მიერ დადებულ ხელშეკრულებებს, რომელსაც „მხატვარ ვლადიმერ კანდელაკის ფონდის“ პრეზიდენტი ეთერ შავგულიძე აწერს ხელს. თქვენ იმ თანხას, რასაც ბატონი ვოვა გზავნიდა, თვითნებურად წარმართავდით. როგორც ჩანს, ძალიან დიდ თანხებზეა საუბარი.**

— კი, გასაგებია, ძალიან დიდ თანხებზეა საუბარი. მე წარმოდგენაც არ მქონდა, ვოვას თუ ამდენი ფული ექნებოდა. ამ თანხების განკარგვა მე დამევალა, მაგრამ მარტო არავითარი ოპერაცია არ მიწარმოებია. თუ რამეს ვყიდულობდით, ან ვინმეს ვაძლევდით, აქ ვიყავით მე, ვოვა ადვაძე, რომელიც იყო მისი ასევე ნდობით აღჭურვილი პირი და ოთხი წელი ემსახურებოდა კანდელაკსა და ჯანეტა ქორიძეს — აგროვებდა ქართველი მხატვრების ნამუშევრებს და უგზავნიდა მათ ამერიკაში. მესამე პიროვნება გახლდათ ეთნოგრაფიის მუზეუმის დირექტორი ზაზა ჯინჭარაძე, რომლის ტერიტორიაზეც შენდება ვოვა კანდელაკის ახალი მუზეუმი. ჩვენ თუ რამეს ვაკეთებდით, ვაკეთებდით სამივე ერთად. არც ერთი ოპერაცია მარტო არ მიწარმოებია.

— **როგორ ფიქრობთ, ფონდს ბუღალტერი არ სჭირდებოდა?**

— ვოვა კანდელაკმა თვითონ მოისურვა, რომ თავიდან ფონდის საქმეებში არავინ ჩამერია. რა საჭირო იყო ფონდის სახელით მეწარმოებინა ანგარიში და თანხა მეხადა სახელმწიფოსთვის, როცა ვაშენებდით მუზეუმს, რომელიც სახელმწიფოსთვის უნდა გვეჩუქებინა.

— **თქვენ ხელფასს რამდენს იღებდით?**

— 500 დოლარს.

— **დაკარგულ თანხებს რა ეშველება?**

— როდესაც ვოვა კანდელაკმა მინდობილობა გამიუქმა, ამით მთელი პასუხისმგებლობა მომეხსნა. მაგრამ მე მაინც ვეცდები, მოვეხმარო ფონდს თანხის ამოღებაში. მე საერთოდ არ მინდოდა ამ საკითხზე საუბარი, მაგრამ როცა რაღაცაში გადანაშაულებენ, იძულებული ხარ, გარკვეულწილად პასუხი გასცე. ამიტომაც, გეტყვით, რომ არც ერთი ხელშეკრულება გირავნობის საგნის გარეშე არ არის გაფორმებული, მაგრამ მე ქრისტე ღმერთი ხომ არა ვარ, მცოდნოდა, ისეთი სიტუაცია შეიქმნებოდა, რომ 300კვმ მაღაზია 100 ათას დოლარად ვერ გაიყიდებოდა?

აღნიშნული პრობლემის შესახებ განმარტება ვთხოვეთ სამხატვრო აკადემიის რექტორს **ბატონ სოსო ქოიავას.**

— **ბატონო სოსო, იცოდით თუ არა იმის შესახებ, რომ თითქმის თქვენი კაბინეტის გვერდით, აკადემიის პრორექტორის კაბინეტში ნახატების გაცხოველებული ყიდვა-გაყიდვა და მევახშეობა იყო გაჩაღებული?**



ილიჩის ნათურა ინტერიერში

— თუ დამიჯერებთ, ნამდვილად ბევრი არაფერი ვიცოდი ვოვას ფონდის შესახებ. მხოლოდ ეს იყო, რომ აკადემიის საიუბილეო ალბომი უნდა გამოეცათ, მაგრამ მოგვატყუეს. რაც შეეხება ეთერ შავგულიძის საქმიანობას, მე ბოლოს შევიტყვე ამის შესახებ. ველოდებით ვოვა კანდელაკი დაბრუნდება და ამ საკითხს აუცილებლად განვიხილავთ აკადემიის საბჭოს სხდომაზე.

— **რას გვეტყოდით იმ დოკუმენტების შესახებ, რომლებიც ფონდის ახლანდელმა მესვეურებმა გადმომცეს?**

— ეს კრიმინალია და პროკურატურამ უნდა მიხედოს.

— **ბატონო სოსო, როგორც ხედავთ, ხელშეკრულებებზე მითითებული მისამართი, — გრიბოედოვის 22, სამხატვრო აკადემიის ადგილსამყოფელია. არც ამის შესახებ იცოდით რაიმე?**

— დამიჯერეთ, რომ არა.

აღნიშნული ფაქტების შესახებ დღეს უკვე ბევრი ვინმეა საქმის კურსში. ჩვენ კულტურის მინისტრის მოადგილეს, მხატვარ **გიორგი გუნიას** დავუკავშირდით:

— მართალია, „მხატვარ ვლადიმერ კანდელაკის ფონდი“ ცალკე იურიდიული პირია და არავითარი კავშირი არა აქვს კულტურის სამინისტროსთან, მაგრამ მაინც გეტყვით, რომ თუ ეს ყველაფერი ვოვა კანდელაკის ნებართვის გარეშე ხდებოდა, ე.ი. კეთდებოდა თვითნებურად, და ეს სასამართლოს საქმეა. ხოლო, რაც შეეხება იმ „ოპერაციების“ წარმოებას, ასე ვთქვათ, მევახშეობას, რომელიც წარმოებდა სამხატვრო აკადემიაში, ეს უკვე სხვა მხარეა და, უბრალოდ, კრიტიკას ვერ უძლებს, მით უმეტეს, თუ არ არსებობს იმის დოკუმენტიც, რომ სამხატვრო აკადემიის შენობაში გარკვეული ფართი გამოყოფილია მხატვრის ფონდისთვის — ეს უკვე კიდევ ერთი დარღვევაა და კომენტარიც ზედმეტია.

**ნანა გურაშვილი**

# მერთი გადის, მეორე მოდის – ცხელ ადგილს არ აცივებენ

ვერც კი მოასწრო რუსეთის სამხედრო ტექნიკის ნაწილმა საქართველოს ტერიტორიული წყლების დატოვება, რომ ჩვენს ქვეყანას ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მორიგი, ოფიციალური დელეგაცია ესტუმრა.

ამან, ბუნებრივია, მოსკოვში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია — ჯერ საბოლოოდ არ გავსულვართ საქართველოდან და ხედავთ, NATO უკვე კვალში ჩაგვიდგა, ეტყობა, ისინი ჩვენი დატოვებული სამხედრო ბაზების ასათვისებლად ემზადებიანო.

კრემლის ეს ეჭვი იმანაც გააძლიერა, რომ 8 აგვისტოს საქართველოში, NATO-ს სამხედრო-საჰაერო ძალების ცენტრალური ევროპის შტაბის დელეგაცია ჩამოვიდა. NATO-ელი სამხედრო ექსპერტები საკმაოდ კარგად ერკვევიან ყოფილ საბჭოთა სამხედრო ინფრასტრუქტურაში, — სხვა თუ არაფერი, სწორედ რომ NATO-ს საბრძოლო თვითმფრინავებს უნდა მიეყენებინათ ბირთვული საჰაერო დარტყმები სენაკის, კოპიტნარის ან ვაზიანის სამხედრო აეროდრომებისთვის.

„კვირის პალიტრა“ ჯერ კიდევ ამ სამიოდე წლის წინ წერდა, რომ რუსეთის გენშტაბისთვის, ოპერატიული აუცილებლობიდან გამომდინარე, ვაზიანის პირველი კლასის სამხედრო აეროდრომი ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე იქვე მდებარე სამხედრო ბაზა.

დღევანდელი რეალობა ჩვენი სამი წლის წინანდელ ვარაუდს აბსოლუტურად ადასტურებს — მოსკოვი შედარებით იოლად ეგუება ვაზიანის 137-ე რუსული სამხედრო ბაზიდან საბრძოლო ტექნიკის გაყვანას და საბოლოოდ ამ ბაზის სრულ ლიკვიდაციას, სამაგიეროდ, სამხედრო აეროდრომის დათმობას არ აპირებს.

ეს გასაგებიცაა — ვაზიანის, ისევე, როგორც გუდაუთის სამხედრო აეროდრომები, რუსეთის ჯარების ოპერატიული გადასროლის საშუალებას იძლევა მთელი საქართველოს მასშტაბით — ხომ არ დაგვავიწყდა, რომ 1989 წლის 9 აპრილს საბჭოთა სადამსჯელო დანაყოფები სწორედ ვაზიანის აეროდრომზე დაეშვნენ სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავებით, ხოლო აფხაზეთის ომის დაწყებისთანავე ბლოკადაში მოყოლილი სეპარატისტები დახმარებას სწორედ გუდაუთის ბომბორას სამხედრო აეროდრომიდან ღებულობდნენ?

აეროდრომების ეპოპეა ჯერ კიდევ წინაა, რადგან თავის მხრივ, არც NATO-ს სურს ასეთი დიდი და გემრიელი „ლუკმის“ ხელიდან გაშვება.

მაშინ, როდესაც თბილისში ზემოხსენებული NATO-ს ხუთკაციანი დელეგაცია ჩამოდიოდა, რამაც ასე გააღიზიანა კრემლი, ქუთაისთან, კოპიტნარის სამხედრო აეროდრომზე უკვე მუშაობდა თურქეთის შეიარაღებული ძალებისა და გენერალური შტაბის ექსპერტთა ჯგუფი. ამ ჯგუფმა გულდასმით შეამოწმა კოპიტნარის აეროდრომი და მოიწონა კიდეც, როგორც ვარგისი, თურქეთის სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავების მისაღებად.

თურქების დიდი ყურადღება კოპიტნარის აეროდრომის მიმართაც არ უნდა იყოს მთლად შემთხვევითი. ანკარაზე უკეთესად ვინ იცის, რას უპირებდნენ კოპიტნარიდან მთლიანად თურქეთს ამ ათიოდე წლის წინ.



ეს საიდუმლო სადაზვერვო აეროფოტოსურათი თურქეთის ტერიტორიაზეა გადაღებული და მასზე ტყეში დამალული საზენიტო რაკეტები „ნაიკ აიაქსებია“ გამოსახული. ომის დაწყებისთანავე კოპიტნარიდან აფრენილ Су-24M ბომბდამშენებს ეს რაკეტებიც უნდა გაენადგურებინათ. სურათი ქვეყნდება პირველად.

**ჩვენი ცნობა:** ***1992 წლამდე კოპიტნარში დისლოცირებული იყო საბჭოთა 143-ე ბომბდამშენთა საავიაციო პოლკი, რომლის შეიარაღებაში 30 საფრონტო ბომბდამშენი Су-24M - ირიცხებოდა. დიდი ომის დაწყებისთანავე კოპიტნარიდან აფრენილი 10 Су-24M გეზს თურქეთის სამხედრო აეროდრომ დერბაიკირისკენ იღებდა და ასაფრენ ზოლზევე ბომბავდა იქ განთავსებულ F-5 და F-104 ტიპის გამანადგურებელ თვითმფრინავებს, დანარჩენი ოციოდე Су-24M კი თურქეთის ზოგიერთ სტრატეგიულ ობიექტს საჰაერო დარტყმას აყენებდა 500 კტ-ს სიმძლავრის ბირთვული საავიაციო ბომბებით. თითოეულ Су-24M-ს ერთი ან ორი ასეთი ბირთვული ბომბის წაღება შეეძლო.***

სხვათა შორის, თავის დროზე სტატიის ავტორმა კოპიტნარის აეროდრომზე, ნანგრევებში აღმოაჩინა სპეციალური წიგნი, რომელშიც თურქეთის სტრატეგიული ობიექტების (საქართველოზე დამიზნებული რაკეტების გასაშვები პოზიციების) სადაზვერვო აეროფოტოსურათები იყო გადაღებული. ეტყობა, სწორედ ამ სადაზვერვო მონაცემებით ავარჯიშებდნენ Су-24M-ების საბჭოთა მფრინავებს, ჰაერიდან როგორ ამოეცნოთ დასაბომბი ობიექტები.

დღეს სენაკის, კოპიტნარის, მარნეულის, დიდი შირაქის, ვაზიანისა თუ გუდაუთის სამხედრო აეროდრომები NATO-სთვის საკმაოდ დიდ ინტერესს წარმოადგენს, რადგან თვით ევროპის ბევრ განვითარებულ ქვეყანაშიც არ არის ასეთი და ამდენი პირველი კლასის აეროდრომი. მაგალითად, იმავე კოპიტნარის აეროდრომის ბეტონირებული ასაფრენ-დასაფრენი ზოლი თითქმის 3 კმ-ზეა გადაჭიმული, ხოლო მისი სიგანე 80 მ-ს აღწევს. ასეთ აეროდრომებს არა მარტო საბრძოლო, არამედ მძიმე სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავების მიღებაც შეუძლიათ, ეს კი პირდაპირ შეესაბამება NATO-ს და, პირველ რიგში, აშშ-ის მთავარ იდეას — „სწრაფი რეაგირების ძალების“ შესახებ, რომელიც პლანეტის ნებისმიერ ნაწილში დიდი საჯარისო დანაყოფების ოპერატიულ გადასროლას გულისხმობს.

მართალია, ბოლო ათი წლის მანძილზე ზემოხსენებული აეროდრომების უმეტესობა ნაწილობრივ უმოწყალოდ განადგურდა და გაიძარცვა, მაგრამ საჭირო სარემონტო სამუშაოების შემდეგ მათი მწყობრში ჩაყენება შესაძლებელია.

8 აგვისტოს საქართველოში ჩამოსული NATO-ს დელეგაციის მთავარი მიზანიც სწორედ ეს არის — შეაფასონ დარჩენილი აეროდრომების რეალური მდგომარეობა და მათი შემდგომი გამოყენების პერსპექტივა.

# არარეალური ბრალდებები გრძელდება...



*მსუბუქ სპორტული თვითმფრინავებით ჩეჩნებისთვის იარაღის მიწოდება კავკასიის ქედის მეორე მხრიდან წარმოუდგენელია.*

გაჭიანურებული ჩეჩნეთის ომი და, რაც მთავარია, სამხედრო მოქმედებების წარუმატებლობა, რუსეთის ფედერალური ძალების ხელმძღვანელებს აიძულებს, დამნაშავეები სხვა მხარეს ეძებონ, ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით კი, კავკასიის ქედის მეორე მხარეს.

უკვე მერამდენედ, მოსკოვის დავალებით, ახალ დეზინფორმაციას ავრცელებენ დაბალჩინოსანი სამხედროები, რათა კრემლმა დაინახოს ის საპასუხო რეაქცია, რასაც ოფიციალური თბილისი გამოავლენს. რამდენიმე დღის წინ, ჩეჩნეთში მებრძოლი ერთ-ერთი ჩვეულებრივი პოლკის, ასევე ერთ-ერთმა რიგითმა დაზვერვის ოფიცერმა რამდენიმე ჟურნალისტს აცნობა, შატოის რაიონში უცნობმა მსუბუქმა თვითმფრინავებმა საბჭოთა წარმოების პარაშუტებით ჩამოყარეს ჩეჩნებისთვის განკუთვნილი ტვირთი, რომელშიც იარაღი და სურსათი იყო. ამასთან, ასეთი პარაშუტები ჩვენ საქართველოსა და აზერბაიჯანში დავტოვეთ, ხოლო ჩამოყრილ ტვირთს არაბული, თურქული და ქართული წარწერები ამშვენებს და, რაც მთავარია, ეს თვითმფრინავები საქართველოს მხრიდან მოფრინდნენო.

ეს ამ სახის მეორე ბრალდებაა — სამიოდე თვის წინ რუსი მედესანტეები ირწმუნებოდნენ, ჩეჩნეთის მთებში აღმოვაჩინეთ სადესანტო პლატფორმა, რომელიც, ეტყობა, საქართველოდან გადმოფრენილმა სატრანსპორტო თვითმფრინავმა ჩამოაგდოო. მაშინ „კვირის პალიტრამ“ დაამტკიცა, რომ ეს სრული უაზრობა იყო.

ამჯერადაც მოგვიწევს იმავეს გაკეთება.

რუს სამხედრო მზვერავებს ან საერთოდ აღარ შერჩათ პროფესიონალიზმი, ან მათი კადრების შერჩევა ძალზე ზერელედ მიმდინარეობს, თორემ დაზვერვის იმ ოფიცერს უნდა სცოდნოდა, რომ მსუბუქი თვითმფრინავებისთვის (პირველ რიგში, შიდაწვისძრავიანი სპორტული თვითმფრინავები იგულისხმება) კავკასიის ქედის გადალახვა და, მით უფრო, ტვირთით, თითქმის შეუძლებელია, რადგან მათი კაბინები ჰერმეტიზებული არ არის, ხოლო 4,5-6 კმ-ის სიმაღლეზე პილოტი ჟანგბადის უკმარისობას განიცდის. ამასთან, 5-6 კმ სიმაღლე მსუბუქი თვითმფრინავისთვის ფრენის „ჭერია“ და მისი მართვა გაძნელებულია.

რაც შეეხება ხეობებით შეფრენას, არც ეს არის იოლი, რადგან ძალზე დიდ სიმარჯვეს მოითხოვს პილოტისგან, ხოლო მთის კალთებზე ჩარიგებული რუსი მესაზღვრეებისთვის საუკეთესო სამიზნეს წარმოადგენს.

გარდა ამისა, გაოცებას იწვევს ის გარემოებაც, რომ რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალებისა და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის მთავარსარდალი ანატოლი კორნუკოვი განუწყვეტლივ იმეორებს — ჩვენ საიმედოდ გვაქვს გადაკეტილი ჩეჩნეთის ცა და იქ ვერავინ შეფრინდება, ვერც დიდ და ვერც პატარა სიმაღლეზეო.

ყოველივე ეს კი მხოლოდ ერთ რამეზე მეტყველებს — ამ განუწყვეტელი დეზინფორმაციებით მოსკოვი ხელოვნურად ძაბავს სიტუაციას მოსკოვსა და თბილისს შორის და ამ უკანასკნელს აიძულებს, თავი იმართლოს.

# ტერაქტი მოსკოვში, ჩეჩნეთში კი ბარაევი თავისიანებს ხოცავს

8 აგვისტოს მოსკოვში მორიგი ტერაქტი განხორციელდა, ამჯერად რუსეთის დედაქალაქის მეტროპოლიტენში. სადგურ „პუშკინის მოედნის“ გადასასვლელში საღამოს აფეთქება მოხდა, რომელმაც რვა ადამიანი იმსხვერპლა და 50-ზე მეტი დააზარალა (მათ შორის ქართველიც არის).

ექსპერტიზის წინასწარი მონაცემებით, ასაფეთქებელი მოწყობილობა დიპლომატში იყო და იგი სავარაუდოდ 400-800 გრ ტროტილის ეკვივალენტს შეიცავდა. ამ მოწყობილობას არ ჰქონდა სპეციალური გარსი ან წინასწარ გამზადებული ნამსხვრევები, თორემ მსხვერპლი ბევრად მეტი იქნებოდა.

საბედნიეროდ, ტერორისტებს ასაფეთქებელი ნივთიერება თვით მეტროპოლიტენის ვაგონში არ მოუთავსებიათ, თორემ თუკი გვირაბში 80-100 კმ/სთ სიჩქარით მიმავალ სარკინიგზო შემადგენლობაში მოხდებოდა აფეთქება, მაშინ მისი შედეგები მართლაც რომ ძალზე სავალალო იქნებოდა.

აფეთქებას გადარჩენილი თვითმხილველების დაკითხვის შემდეგ, მილიციამ სასწრაფოდ გადაკეტა ქალაქი, ხოლო ქუჩებში შინაგანი ჯარების დანაყოფები გამოვიდნენ საპატრულოდ...

ეს მოსკოვში ტერორისტული აქტების პირველი შემთხვევა არ არის — 1996 წელს უკვე იყო აფეთქებები მეტროსა და ტროლეიბუსებში. გასულ, 1999 წელს კი საცხოვრებელი კორპუსების აფეთქებას ასობით ადამიანი შეეწირა.

რუსეთის ხელისუფლება ყოველივე ამაში დაუფიქრებლად დებს ბრალს ჩეჩენ ტერორისტებს.

რამდენად რეალურია ეს ბრალდება?

ის, რომ ჩეჩნეთში ბოევიკებს საგანგებოდ ამზადებენ დივერსიულ-ტერორისტული საქმიანობისათვის, საიდუმლო არავისთვის არის. მეორე მხრივ, როდესაც რომელიმე ქვეყნის რეგულარული ჯარი შეიარაღებულ სეპარატისტებს თუ პარტიზანებს ბლოკადაში მოაქცევს, ხშირად ამ ქვეყნის დედაქალაქში დამაშინებელი ტერორისტული აქტები იწყება — ამის მაგალითია თუნდაც „ეტას“ მოქმედება მადრიდში ან ქურთების აქციები ანკარასა და სტამბულში.

ასე რომ, სულაც არ არის გამორიცხული, 8 აგვისტოს მოსკოვის ტერაქტის ავტორებს დავალება ჩეჩნეთიდან ჰქონოდათ მიღებული, რაც შეეხება შარშანდელ მოსკოვის აფეთქებებს, დამოუკიდებელ სამხედრო ექსპერტებს ეჭვი ეპარებათ, რომ მასხადოვის მთავრობას ეს ხელს აძლევდა.

თავად ჩეჩნეთში, კერძოდ კი მის სამხრეთით მთებში თავშეფარებულ საველე მეთაურებს შორის რაღაც უთანხმოებაა — ზოგი ერთმანეთს ებრძვის, ზოგიც რუსებს დიდი სიამოვნებით ბარდება, ხოლო ცნობილმა საველე მეთაურმა არბი ბარაევმა ერთ წუთში ათობით მოსისხლე მტერი შეიძინა ისევ თავის თანამემამულეებში.

იმავე 8 აგვისტოს, ერთ-ერთ საველე ბანაკში არბი ბარაევმა სახალხოდ დახვრიტა თავისი სამი თანამებრძოლი — მათ საკუთარი სახლიდან 500 ათასი დოლარის მოპარვა დააბრალა. არადა, ადგილობრივი მოსახლეობის უმეტესობა ვარაუდობს, რომ ეს ფული თავად ბარაევმა „გააქრო“, ხოლო კვალის დასაფარავად სხვები მოიცილა თავიდან.

სხვათა შორის, 27 წლის ბარაევი ჩეჩნეთში ცნობილია, როგორც ყველაზე სასტიკი საველე მეთაური, რომელმაც სახელი ადამიანების გატაცებით გაითქვა, განსაკუთრებით კი ჟურნალისტებისა. სწორედ მის სინდისზე უნდა იყოს ნტვ-სა და ორტ-ს ტელეჟურნალისტების მრავალთვიანი ტყვეობა ჩეჩნეთში.

როდესაც ბარაევმა 1998 წელს გუდერმესში თავისი ძალაუფლების განმტკიცება მოინდომა, რაც ადგილობრივ მოსახლეობასთან შეტაკებაში გადაიზარდა, განრისხებულმა პრეზიდენტმა მასხადოვმა მას ბრიგადის გენერლის წოდება და ჯილდოები სასწრაფოდ ჩამოართვა. რამდენიმე დღეში — 1998 წლის 23 ივნისს კი გროზნოს ცენტრში თავდასხმას ძლივს გადაურჩა თავად მასხადოვი. როგორც ამბობენ, ბარაევმა მასზე შური იძია.

## სამხედრო კალეიდოსკოპი

### პენტაგონისთვის სახსრებს არ იშურებენ

**ვაშინგტონი**. ისევე, როგორც გასულ საფინანსო წელს, ამჯერადაც აშშ-ის კონგრესმა გაზარდა ქვეყნის სამხედრო ბიუჯეტი. ყველაზე საკვირველი კი ის არის, რომ თავად ამერიკელი სამხედროები შედარებით „მოკრძალებულ



ციფრს“ — 291,1 მლრდ დოლარს ითხოვდნენ 2001 წლის სამხედრო ბიუჯეტში, მაგრამ კონგრესმა ეს არასაკმარისად ცნო და ბიუჯეტი 307 მლრდ დოლარამდე გაზარდა. მსოფლიოში აშშ მგონი ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ხელისუფლება, ბევრი სხვა ქვეყნისგან განსხვავებით, დაფინანსებას უზრდის თავის სამხედროებს.

თანხების მომატება გამოიწვია, ძირითადად, თანამედროვე საავიაციო ტექნიკის ათვისებამ — 10 უახლესი F-22 გამანადგურებლის შეძენას — 3,9 მლრდ დოლარი, ხოლო 12 სამხედრო-სატრანსპორტო C-17-ისას — 3 მლრდ დოლარი (ამ თანხაში, გარდა შეძენისა, თავად პროექტების შემდგომი განვითარებაცაა გათვალისწინებული) დასჭირდა.

### ბუნდესვერი მცირდება

**ბერლინი.** გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა რუდოლფ შარპინგმა კანცლერ შრედერს შესთავაზა, რომ გერმანიის ბუნდესვერი 320 ათასი კაციდან 255 ათასამდე შემცირდეს. თუმცა, სპეციალური კომისია, რომელსაც გფრ-ის ყოფილი პრეზიდენტი ვაიცზეკერი ხელმძღვანელობს, მოითხოვს, რომ ბუნდესვერი სულ 240 ათას კაცს მოიცავდეს, რომელთაგან მხოლოდ 30 ათასი თუ გაიწვევა, დანარჩენები კი პროფესიონალები უნდა იყვნენ. როგორც ჩანს, XX საუკუნის პირველ ათწლეულში ყველა წამყვანი ქვეყნის არმია პროფესიონალებით დაკომპლექტდება (ასეთი გადაწყვეტილება საფრანგეთმა უკვე მიიღო). აუცილებლად წამყვანი ქვეყანა უნდა გახდეს საქართველო, რათა მისი ხელისუფლება, ბოლოს და ბოლოს, მიხვდეს, რომ ბრძოლასაც პროფესიონალიზმი სჭირდება, რომ ქუჩაში დაჭერილი და ძალით სამხედრო ნაწილში შეგდებული ახალწვეული ომს ვერ მოიგებს.

### უკრაინა რუსებზე ფულს აკეთებს, ჩვენ კი...

**კიევი.** გასული წლის ბოლოს უკრაინამ რუსეთს 8 Ту-160 და 3 Ту-95MC ტიპის სტრატეგიული ბომბდამშენი და 600-მდე ფრთოსანი რაკეტა დაუბრუნა, სანაცვლოდ ნაწილობრივ ჩამოიჭრა ის მრავალმილიონიანი ვალი, რაც რუსეთიდან მიწოდებული გაზით დაუგროვდა. კიევში, ეტყობა, ჭკუაში დაუჯდათ ასეთი გარიგებები და ახლა ისინი დარჩენილი ბომბდამშენების მოსკოვისთვის გადაცემას აპირებენ — განიხილება სამი Ту-160-ის, შვიდი Ту-95MC-ის, აგრეთვე, ოთხი დაშლილი Ту-95MC-ისა და 80-მდე ფრთოსანი რაკეტის დაბრუნების საკითხი, რა თქმა უნდა, კვლავ ბუნებრივი აირის ვალის ჩამოჭრით.




ბუნებრივია, ჩნდება კითხვა — თუკი „თეთრი სახლი“ დაჟინებით ურჩევს თბილისს არაფერი მოსთხოვოს მოსკოვს და მთლიანად გაატანინოს რუსული სამხედრო ტექნიკა, რატომ იმავეს არ სთავაზობს კიევს? სხვა თუ არაფერი, რუსული T-72 ტანკები ვაშინგტონს ვერაფრით დაემუქრებიან, ხოლო უკრაინიდან რუსეთში დაბრუნებული Ту-160 და Ту-95MC საკონტინენტშორისო ბომბდამშენები სწორედ ვაშინგტონისა და ნიუ-იორკის ბირთვული რაკეტებით დასაბომბად იქმნებოდა.

P.S. უკანასკნელი ინფორმაციით, აშშ-ის ელჩი უკრაინაში გამოვიდა განცხადებით იმის შესახებ, რომ მისი ქვეყანა აღარ დააფინანსებს იმ საბჭოთა სტრატეგიული ბომბდამშენების ლიკვიდაციას, რომლებიც უკრაინაში დარჩა. არადა ვაშინგტონს 13 მილიონი დოლარი ჰქონდა გამოყოფილი ამ მიზნებისთვის. ვაშინტონისგან გაფრთხილებულმა ოფიციალურმა კიევმა სასწრაფოდ შეაჩერა მოსკოვთან მოლაპარაკება რუსეთისთვის სტრატეგიული ბომბდამშენების დაბრუნების შესახებ.

***გვერდი მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

# ყურადღება — ბინის ქურდები!

***ბინის ქურდებისთვის ზაფხული სარფიანი სეზონია... აუტანელი პაპანაქება დღეს უამრავ ადამიანს აიძულებს, ქალაქიდან გავიდეს. ბევრი მათგანი ისე თავქუდმოგლეჯილი გარბის ბინიდან, რომ მის დაცვაზე საერთოდ არ ფიქრობს. ქურდებსაც სწორედ ეს უნდათ და საქართველოში ყოველდღე ათობით ბინის გაქურდვის ფაქტი ფიქსირდება.***

## რამდენიმე ეპიზოდი თბილისელი ბინის ქურდების ცხოვრებიდან

რამდენიმე წლის წინ, საბურთალოს რაიონში უჩვეულო გაქურდვის ფაქტი დაფიქსირდა. მარტოხელა მამაკაცი მივლინებით თითქმის ორი თვე იყო საზღვარგარეთ. ბინა მრავალსართულიანი კორპუსის ბოლო სართულზე ჰქონდა. საგანგებოდ გამაგრებულ რკინის კარსა და გისოსებს თითქოს უნდა უზრუნველეყო ბინის უსაფრთხოება, მაგრამ შინ დაბრუნებულ მამაკაცს თვალწინ მეტად უსიამოვნო სურათი გადაეშალა: მისი სასმელების ცნობილი კოლექცია, რომელსაც მრავალი წლის მანძილზე აგროვებდა, გვარიანად შეთხელებულიყო — ვიღაცას ძვირად ღირებული კონიაკები ბინაშივე დაულევია და დაცლილი ბოთლები სამზარეულოში დაუხვავებია. იქვე, საჭმლის ნარჩენებიც ეყარა. საძინებელ ოთახში ლოგინი აშლილი იყო. ერთი სიტყვით, ბინის პატრონის შინ არყოფნის დროს იქ ვიღაცას უცხოვრია... სანუგეშო ისღა იყო, რომ კონიაკების გარდა, სტუმარს ხელი არაფრისთვის უხლია. „რა გინდა, ძმაო, — განუცხადეს პოლიციელებმა, — დიდად არ დაზარალებულხარ, ერთი-ორი ბოთლი კონიაკი მოგაკლდა და ჩივილს ნუ დაიწყებ. საქმე ისედაც ბლომად გვაქვს“. მამაკაცსაც პოლიციაში განცხადება აღარ შეუტანია.

„დაახლოებით ათი წლის წინ, — იხსენებს პირველი მაისის რაიონის მილიციის ყოფილი თანამშრომელი, — ჩვენს რაიონში ქურდების კარგად ორგანიზებული ჯგუფი მოქმედებდა. გავწამდით და ბოროტმოქმედები ვერაფრით შევიპყარით, არადა, თითქმის ორი თვის მანძილზე, ორ-სამ დღეში ერთხელ ხდებოდა ბინების პირწმინდად გაქურდვა. ხელწერა მუდამ ერთი ჰქონდათ — სახურავიდან თოკებით ეშვებოდნენ და ნადავლიც იმავე გზით მიჰქონდათ. ზაფხული იყო, მოსახლეობის დიდი ნაწილი ქალაქგარეთ ისვენებდა და დამნაშავენიც მშვენივრად სარგებლობდნენ ამით.

ჩვენი განყოფილება რვასართულიანი საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე მდებარეობდა. ერთხელაც, ღამის 2 საათზე, რამდენიმე თანამშრომელი განყოფილების წინ, ქუჩაში ვიდექით და ვსაუბრობდით. უცებ, გრუხუნის ხმა გვესმის. ჩვენს შორიახლო რაღაც საგანი დაიმსხვრა. დავხედეთ, ტელევიზორია, სქელი თოკი აქვს გამობმული, ზევიდან კი ვიღაც ყვირის, ბიჭო, მიშველე რამეო. კორპუსს მეორე მხრიდან შემოვურბინეთ, სადარბაზოში შევცვივდით, მე-8 სართულზე ავირბინეთ და სამი ქურდი შევიპყარით. ისინი ის ქურდები აღმოჩნდნენ, ამდენ ხანს უშედეგოდ რომ ვეძებდით. ძიებისას გაირკვა, რომ მოპარული ნივთები ბინიდან თოკით სახურავზე აჰქონდათ და ტელევიზორის ატანისას თოკი გაუწყდათ. კიდევ კარგი, ზედ არ დაგვეცა, უმალ გაგვაფრთხობინებდა სულს“.

იყო ასეთი შემთხვევაც: გვიან ღამით პოლიციამ შეტყობინება მიიღო, რომ ვეძისის დასახლებაში მდებარე ერთ-ერთ ორსართულიან სახლს ბოროტმოქმედი ძარცვავდა. ოპერატიული ჯგუფის წევრები დაუყოვნებლივ გაეშურნენ მითითებულ მისამართზე, ბინაში შეცვივდნენ და ჰალსტუხსა და კოსტიუმში გამოწყობილი, შუახნის, სანდომიანი მამაკაცი შერჩათ ხელთ — საოცარი სიმშვიდით შეეგება სამართალდამცავებს.

— ვიღაც ნაძირალა ჩემს ბინას ასუფთავებდა. კიდევ კარგი, დროზე მოვუსწარი. ქურდმა დამინახა, ფანჯრიდან გადახტა და მიიმალა.

— დიდი ხანია? — იკითხეს პოლიციელებმა.

— არა, დიდი-დიდი, ერთი წუთი თუ იქნება.

— საით გაიქცა?

— აი, იქით. — ხელი გაიშვირა მამაკაცმა. — დაახლოებით 20 წლის მელოტი ბიჭია, შავი ქურთუკი აცვია. თუ გნებავთ, მეც თან გამოგყვებით.

— თქვენ აქ დარჩით, მალე დავბრუნდებით, — და ოპერრაზმი ბოროტმოქმედის დასაკავებლად გაქანდა.

მხოლოდ მოგვიანებით შეიტყვეს, რომ ქურდი სწორედ ის ჰალსტუხიანი მამაკაცი ბრძანდებოდა.

დიდუბე. 1999 წელი. ერთ-ერთი სახლის სადარბაზოდან რამდენიმე მუშას ავეჯი გამოაქვს და სატვირთო ავტომანქანაზე აწყობს.

— რა, დობორჯგინიძეები საცხოვრებლად სხვაგან გადადიან? — კითხულობს ერთ-ერთი ცნობისმოყვარე ქალბატონი.

— დიახ. ვაკეში ახალი ბინა უყიდიათ და ავეჯიც იქ გადაგვაქვს. — პასუხობს სატვირთოს მძღოლი.

— აფსუს, კარგი მეზობლები იყვნენ. ნეტავ, მათ მაგივრად ვინ მოგვივა? — წუხს მეზობელი.

— ვერაფერს გეტყვით, ქალბატონო...

ავეჯი მანქანაზე დატვირთეს. მუშებმა კარი ჩაკეტეს, ძარაზე დასხდნენ და წავიდნენ.

დობორჯგინიძეები მეორე დღეს ჩამოვიდნენ სოფლიდან, მაგრამ სადღა იყო მათი ავეჯი?!

დღისით-მზისით, ათობით ადამიანის თვალწინ გაუქურდავთ ბინა.

ეს ამბავი კი ლამის ლეგენდად იქცა, თუმცა როგორც ვეტერანი პოლიციელები გვარწმუნებენ, მსგავს შემთხვევას მართლაც ჰქონია ადგილი.

ცნობილი ქურდები ბინაში შეპარულან, მაგრამ მისამართი შეშლიათ და მდიდარი ოჯახის ნაცვლად ღატაკ ცოლ-ქმართან მოხვედრილან. აცეცებენ თვალებს, მოსაპარი კი არაფერია. ძველი, მორყეული ავეჯი, ჩამოგლეჯილი კედლები. რა ფული, რის ფული! სამზარეულოში, მაგიდაზე წერილი დევს. როგორც ჩანს, ცოლმა ქმარს დაუწერა: „ძვირფასო, ეგებ, ისესხო ფული და ბავშვისთვის რძე იყიდო“.

ქურდები ჯიბეს იჩხრეკენ, საკუთარ ფულს მაგიდაზე დებენ და ბინას ღირსეულად ტოვებენ...



***დაბოლოს, უახლესი ცნობები: რამდენიმე დღის წინ, თბილისში გაქურდეს ცნობილი პირების — თსუ რექტორის, როინ მეტრეველის; საბაჟო სამსახურის მაღალჩინოსნების, პაატა გოგეშვილისა და დავით მეგრელაძის; ასევე, პურპროდუქტების კორპორაციის შეფის ანზორ ბურჯანაძის, ბინები. ქალაქში ხმა დადის, — თბილისში ბინის ქურდების ახალი ბანდა მოღვაწეობს, რომელიც მხოლოდ თანამდებობის პირებს ერჩისო...***

## პროფესიონალთა რჩევები

როგორ დავაღწიოთ თავი ბინის ქურდებს? ამასთან დაკავშირებით, ვეტერანი სამართალდამცავები რამდენიმე პრაქტიკულ რჩევას გვაძლევენ:

1. უპირველეს ყოვლისა, გაამაგრეთ კარი. ხის კარი დიდად ვერ დაგიცავთ დამნაშავეთაგან, თუმცა, ხშირად არც რკინაა საიმედო. ამჟამად უამრავი ფირმა გვთავაზობს არცთუ ძვირად ღირებულ ლითონის კარებს, მაგრამ დაბალი ფასით მაინცდამაინც ნუ მოიხიბლებით. შესაძლოა, კარი შესახედავად შთამბეჭდავი კი იყოს, მაგრამ ამავე დროს ჰქონდეს პრიმიტიული საკეტი, რომელსაც ახალბედა ქურდიც კი თვალის დახამხამებაში გააღებს. ამიტომ რკინის კარის შეძენისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ საკეტს. კარგი იქნება, თუ ამაში სპეციალისტს დაიხმართ;

2. მაშინაც კი, თუ ბინიდან ათი წუთით მაინც გადიხართ, არ დაგავიწყდეთ სარკმლის ჩაკეტვა. ეს რჩევა არა მარტო ქვედა სართულების მაცხოვრებლებს ეხება. ბოლო დროს მეტად მომრავლდნენ „ალპინისტები“, რომლებიც უშიშრად „იპყრობენ“ ნებისმიერ სიმაღლეს;

3. იმეგობრეთ მეზობლებთან. კეთილად განწყობილი მეზობელი უთუოდ ატეხს განგაშს, თუ თქვენს კართან მოფუსფუსე უცნობს შეამჩნევს;

4. თუ შეძლებული ბრძანდებით, დააყენეთ სიგნალიზაცია. ბინის ქურდობათა თითქმის 90% ცხელ კვალზე იხსნება. თუ პოლიცია მაშინვე არ დააკავებს დამნაშავეს, ნაქურდლის დაბრუნების ძალიან მცირე შესაძლებლობა რჩება და იმ შემთხვევაშიც კი, თუ თქვენს ნივთებს მაინც იპოვით, მორალურ ზარალს ვერავინ აგინაზღაურებთ;

5. შინიდან დიდი ხნით გამგზავრებისას ძვირფასი ნივთები სანდო პირებს დაუტოვეთ.

## ეშმაკობა ქურდობის წინააღმდეგ

ქურდს ხმაური აფრთხობს, ეს ბევრისათვის ცნობილია და ზოგიერთმა, სხვათა შორის, ორიგინალური „შედევრიც“ შექმნა, თუმცა მსგავს გამოგონებებს ყოველთვის როდი მოუტანია შედეგი.

ერთმა მარტოხელა მამაკაცმა კარის შიგნითა მხარეს, არც მეტი, არც ნაკლები, ეკლესიის უზარმაზარი ზარი ჩამოჰკიდა. ზარიც კარის ყოველი გაღებისას გუგუნებდა და მეზობლებს მოსვენებას არ აძლევდა. ორი დღე ითმინეს და მერე გამომგონებელს მიუცვივდნენ... ისიც იძულებული შეიქნა, თავის ნოუ ჰაუზე უარი ეთქვა.

სხვა მოქალაქემ კი ბინის შესასვლელში ხუთკილოიანი ჰანტელი ჩამოჰკიდა. პირველსავე გამოცდას მოწყობილობამ წარმატებით გაართვა თავი — ბინაში შეპარულ დამნაშავეს თავი გაუტეხა და რამდენიმე საათით გრძნობაც დააკარგვინა. მეტად საინტერესო სანახავი აღმოჩნდა ამ შემთხვევასთან დაკავშირებული სასამართლო პროცესი, სადაც თავგატეხილი ქურდი ბინის პატრონს უჩიოდა. მართალია, ქურდმა პროცესი წააგო, მაგრამ მანამდე საკუთარი სარჩელით კარგა ხანს ანერვიულა ორიგინალური მოწყობილობის ავტორი.

— ბინაში სკოლის ზარი დაამონტაჟეთ! — გვირჩევს თბილისის ერთ-ერთი რაიონის პოლიციის ასაკოვანი ოფიცერი, რომელიც ბინის ქურდობების გახსნის ბრწყინვალე სპეციალისტად ითვლება. — ეს უმარტივესი ხერხია დაუპატიჟებელ სტუმართაგან თავის დასაღწევად. ელექტროობაში ელემენტარულად გარკვეული ადამიანისთვის მსგავსი მოწყობილობის ბინაში (შემოსასვლელ კართან ახლოს ან ფანჯარაზე) დამონტაჟება არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს, ხოლო თუ ეს საქმე არ გეხერხებათ, გამოიძახეთ სპეციალისტი, რომელიც 15-20 წუთში დაგიმონტაჟებთ ზარ-საფრთხობელას. ეს სიამოვნება, ზარის ფასისა და სადენის ღირებულების გათვალისწინებით, სულ რაღაც 30-40 ლარი დაგიჯდებათ, ეფექტი კი მართლაც დიდებულია. კარის გაღებისთანავე ისმის ზარის გამაყრუებელი წკრიალი და დაფეთებული ქურდი კისრისტეხით გარბის შემთხვევის ადგილიდან. ასეთ შემთხვევებში ბინის პატრონი მხოლოდ ერთადერთი რამით ზარალდება — გაქცეული ბოროტმოქმედი მისი მისამართით მაგარ-მაგარ გამოთქმებს არ იშურებს...

თბილისში ხშირად სარგებლობენ კიდევ ერთი ეშმაკური მეთოდით. მეზობლის ბინამდე ჭიმავენ ელექტროსადენს (ეს, რა თქმა უნდა, ისე კეთდება, რომ თელასის თანამშრომლებისთვის და, საერთოდ, უცხო პირთათვის თვალში მოსახვედრი არ იყოს). ქალაქში თქვენი არყოფნის დროს მეზობელი, პერიოდულად, თავის ბინიდანვე ანთებს თქვენსაში შუქს და მავანს აფიქრებინებს, რომ შინ ვიღაც არის. ქურდის დასაფრთხობად ბინაში ანთებული ნათურის დატოვება, თუნდაც რამდენიმე დღით, მიზანშეწონილი არ არის — ჯერ ერთი, მოგიწევთ დახარჯული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა და, რაც მთავარია, ამან შესაძლოა ხანძარი გამოიწვიოს.

## დაცვის პოლიციაც და კერძო ფირმაც გარანტიას გვაძლევს

ამ პრობლემასთან დაკავშირებით მივმართეთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მაღალჩინოსანს.

**— რა მექანიზმებით ხორციელდება მოქალაქეთა ბინების დაცვა?**

***უპირველეს ყოვლისა, გაამაგრეთ კარი. ხის კარი დიდად ვერ დაგიცავთ დამნაშავეთაგან, თუმცა, ხშირად არც რკინაა საიმედო.***

— დავაზუსტებ: ჩვენ ვიცავთ არა მხოლოდ ბინებს, არამედ ნებისმიერ ობიექტს. საამისოდ გვაქვს შესანიშნავი ტექნიკური აღჭურვილობა, კავშირგაბმულობის უახლესი სისტემები, შეიარაღება და გვყავს ბოროტმოქმედთა დაკავების ოპერატიული ჯგუფები. ჩვენი მომსახურებით სარგებლობა ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

**— სპეციალური აპარატურისა და თქვენი მომსახურების ფასი რიგითი მოქალაქეებისთვის, ალბათ, ხელმიუწვდომელია.**

— ვერ ვიტყვი, რომ ბინების დაცვა იაფი ჯდება, თუმცა ყველაფერი დამოკიდებულია ობიექტის ფართობსა და კარ-ფანჯრების რაოდენობაზე, ასევე კლიენტის მიერ საკუთარი ბინის შეფასებაზე. ამის მიხედვით განისაზღვრება ყოველთვიური გადასახადის ოდენობაც.

**— რა გარანტია ეძლევა კლიენტს?**

— ჩვენ მიერ დამონტაჟებული დამცავი სიგნალიზაციის სისტემის მიზეზით ან დაცვის პოლიციის თანამშრომლის უმოქმედობით მიყენებულ მატერიალურ თუ ფინანსურ ზარალს დასაცავ ობიექტს უდანაკარგოდ ვუნაზღაურებთ. აქვე დავძენ, რომ ჩვენ არ ვიცავთ იმ ობიექტებს, სადაც დაცვით სიგნალიზაციას სხვა ფირმები ამონტაჟებენ.

**— ანუ კონკურენტებს ავიწროებთ?**

— სხვების დაყენებული აპარატურის გამო პასუხი რატომ უნდა ვაგოთ?! ვფიქრობ, საქართველოში მხოლოდ დაცვის პოლიციაა უალტერნატივო დაცვითი სტრუქტურა. თავად განსაჯეთ: სხვადასხვა კომერციული დამცავი სტრუქტურა, რომელსაც კანონით აკრძალული აქვს ცეცხლსასროლი იარაღის ტარება და გამოყენება, ღირსეულ წინააღმდეგობას ნამდვილად ვერ გაუწევს შეიარაღებულ თავდამსხმელებს. ამის დასტური სულ რამდენიმე დღის წინ მომხდარი ფაქტიცაა: კაზინოში შეჭრილმა ავტომატიანმა ბოროტმოქმედმა იოლად სძლია იქაურ დაცვას. რაც შეეხება ჩვენს ოპერატიულ ჯგუფებს, განგაშის სიგნალის გამოცხადების შემთხვევაში, ისინი სულ რაღაც ორ-სამ წუთში ცხადდებიან ობიექტზე და წამებში განაიარაღებენ დამნაშავეებს.

**— დავუშვათ, მიიღეთ სიგნალი, რომ ბინაში ვიღაც არის. ვითარება ითხოვს, რომ შიგ შეხვიდეთ... ბინის პატრონები კი უცხოეთში იმყოფებიან. მათ ვერაფრით უკავშირდებით. ამ შემთხვევაში თუ გაქვთ ობიექტზე შესვლის უფლება?**

— კლიენტთან დადებული ხელშეკრულება ასეთ ვითარებასაც ითვალისწინებს. ობიექტის პატრონი ყოველთვის გვისახელებს ნდობით აღჭურვილ პირებს, მათ კოორდინატებს და თქვენ მიერ აღწერილი შემთხვევის დროს სწორედ ამ პირებს ვუკავშირდებით.

**— თუ ისინიც ვერ იპოვეთ?**

— ბინის პატრონის ან მისი ნდობით აღჭურვილი პირების გამოჩენამდე ვახდენთ ობიექტის ბლოკირებას.

**— საინტერესოა, გქონიათ თუ არა აფერის შემთხვევები? მაგალითად, ადამიანმა თავისი ბინა და ქონება მილიონ ლარად შეაფასა, დაგიდოთ ხელშეკრულება, შემდეგ კი თავად გაქურდა ბინა და ზარალის ანაზღაურება მოგთხოვათ.**

— ასეთი რამ გამორიცხულია. დამონტაჟებული აპარატურა და დაცვის სისტემა მსგავსი აფერის საშუალებას არ იძლევა.

**— თქვენ ბრძანეთ, რომ სიგნალიზაციას, ძირითადად, კარსა და ფანჯრებზე ამაგრებთ, მაგრამ ქურდს ხომ შეუძლია იატაკიდან, ჭერიდან ან კედლიდან შევიდეს ბინაში და ნივთებიც იმავე გზით გაიტანოს?**

— ამ მხრივაც დაზღვეულები ვართ. ობიექტზე ვამონტაჟებთ ე.წ. მოძრაობის დეტექტორებს, რომლებიც უმალ აფიქსირებს ნებისმიერ მოძრაობას. მახსოვს, ატყდა ერთხელ განგაში და ოპერატიული რაზმიც სასწრაფოდ გამოცხადდა შემთხვევის ადგილზე, მაგრამ გარეგნული დაზიანება ვერსად აღმოაჩინა. გაირკვა, რომ კლიენტს ბინაში კატა ჰყავდა და დეტექტორიც მისი შეხების გამო ამუშავებულა.

**— ერთი სიტყვით, ვინც თქვენთან დაამყარებს კავშირს, შეუძლია ზაფხულში ქალაქგარეთ არხეინად დაისვენოს?**

— რა თქმა უნდა.

*კერძო ფირმები, რომლებიც ასევე იცავენ ბინებს, აცხადებენ, რომ მათ პოლიციაზე არანაკლები აპარატურა აქვთ. მათივე თქმით, პოლიცია მომსახურებისთვის კლიენტს უზარმაზარ თანხას სთხოვს:*

*– ოროთახიან, სტანდარტულ ბინაში საჭირო ტექნიკის დამონტაჟებაში სამართალდამცავები დაახლოებით 1.000 ლარს ითხოვენ, ყოველთვიური გადასახადი კი 200 ლარამდეა. ჩვენთან ეს ფასები თითქმის განახევრებულია. რაც შეეხება ცეცხლსასროლ იარაღს, ის მართლაც არ გვაქვს, სამაგიეროდ, გვაქვს ცრემლსადენი და გაზის პისტოლეტები, ჩვენი ბიჭები კი, ფიზიკური მონაცემებით, ბევრად უკეთ გამოიყურებიან, ვიდრე დაცვის პოლიციელები.*

*ბოლოს და ბოლოს, ვის ვანდოთ ჩვენი ბინა, პოლიციელს თუ კერძო დეტექტივს? დაე, ეს საკითხი თავად კლიენტმა გადაწყვიტოს.*

***გვერდი მოამზადა მიხეილ ჩერქეზიამ***

# ცხოვრებისეული კურიოზები

## სიძუნწის მსხვერპლი



პაპანაქება სიცხეა.

„გადამდგარი“ ეკონომისტი გრიშა გვარამია შინ ბრუნდება აქოთქოთებული ქალაქიდან.

„მარშრუტკით“ წასვლა გადაწყვიტა ოფლში გაწურულმა, მაგრამ ამუშავდა ეკონომისტის ინსტინქტი.

— „მარშრუტკა“ 25 თეთრი ღირს, ავტობუსი — 10 თეთრი, მოდი, ავტობუსით წავალო — გაიფიქრა და აბუტბუტდა, — კაცო, ზოგი იტყვის ახლა, რაა 15 თეთრიო... რავა არაა, თუ ძმა ხარ?! 15 თეთრი, ბიძია, ძველი დროით სამი შაურია. 15 თეთრი ფულია, „სამი კარობკა სპიჩკაა“. მაგას რო 75 თეთრი წაუმატო, კაი ერთი კილოგრამი შაქარია — ჩაიში ჩასაყარი და თუ, მაგალითად, ამ თანხას კიდო 3 ლარს დაუმატებ, ერთი კილო ძვლიანი ხორცია. თუ არ დაიზარებ და 3 ლარსაც დაუმატებ, კაი მოკლესახელოებიანი საროჩკაა... აბა! რატომ დავხარჯო ამხელა დოვლათი? — რავა, ავტობუსი არ მივა ჩემს სახლთან თუ აუვლის გვერდს? ასეა... ასე, გრიშა... ეკონომიკა გადაარჩენს საქართველოს და ჩემს ოჯახს.

ამ ფიქრებით გართული დაძრულ ავტობუსს ახალგაზრდული სიჩაუქით შეახტა და კუთხეში მოკალათდა.

მის გაჩერებამდე ცოტა რჩებოდა, რომ მოესმა:

— გრიშას სიცოცხლე... ჩვენს გრიშაიას!!!

ბარე 6 კარგად ჩაბუჟბუჟებული მეზობელი დალანდა (გადაგაშენათ ჭირმა!)

— ოო, მეზობლებო... კაი სალამი... კაი.

— არ გაბედო, გრიშა, ფულის გადახდა... არ გაბედო, თუ გიყვარდეთ! — ჩვენ გადავიხდით... ჩადი შენ, ჩადი.

— რაო? — გააქტიურდა ეკონომისტი, რაა ახლა რაცხა 70 თეთრი, თქვე კაი ხალხო. აილე, შოფერ, აგერ ლარი — 7 კაცის.

— ხურდა არ მაქვს, — „დაირცხვინა“ მძღოლმა.

— დიდი ამბავი... იყოს, კაცო... ახლა კაპიკებზე ვინ ლაპარაკობს, „დაამშვიდა“ გრიშამ მძღოლი და ვალმოხდილი ჩავიდა.

ახია ჩემზე, დაჯექ, შე ვირო, „მარშრუტკაში“ და მიდი სახლში შენს გემოზე... ახია...

***მურმან მერკვილიშვილი***

## „სარჩუქარი“



ქუჩაში ბინტით თავშეხვეული ყოფილი თანამშრომელი გივი შემხვდა. მოვიკითხეთ ერთმანეთი. ტრავმის მიზეზი ვკითხე და მანაც ნაღვლიანად ასეთი ამბავი მიამბო:

- სიმამრს, რომელიც 75 წლის გახდა, დაბადების დღეზე მაჯის საათი და შავი ფერის ფეხსაცმელები მივართვი. ეს ყველაფერი ბაზრობაზე შევიძინე იაფად კერძო პირისაგან. ოჯახურ სადილობაზე, შინაურთა გარემოცვაში, საჩუქრებით გახარებულ ბერიკაცს ფეხსაცმლის ჩაცმა მოესურვა, მარჯვენა მშვენივრად მოერგო, მარცხენაზე ჩაცმისას, შიგნით, ჩემდა ჭირად, ინგლისურ ენაზე დაბეჭდილი ბარათი იპოვა, რომლის გადათარგმნა მისმა ქალიშვილმა (ჩემმა ცოლისდამ) ითავა. სიჩუმეში გაიჟღერა პათეტიკურმა, მაგრამ ჩემთვის (და ალბათ ყველასათვის) თავზარდამცემმა ფრაზამ: „ერთჯერადი ფეხსაცმელი მიცვალებულთათვის. დამზადებულია აშშ-ში“.

ამის თქმა იყო და, თურმეგივიკოს თავზე რაღაც დაემსხვრა და გონება დაკარგა...

***მიშიკო კვანტალიანი***

## ხუმრობს ალიკა ბარათაშვილი

## — მომკლა კაცი...

1991 წელს, რაჭაში მიწისძვრის შემდეგ, ერთმა რაჭველმა გადაწყვიტა საცხოვრებლად იმერეთში გადასახლებულიყო.

— აქანა სულ აყანყალებს, ცხოვრება აღარ შეიძლება — დაასკვნა მან.

იმერეთში ერთ კაცს შეევაჭრა სახლზე, ვერ მორიგდნენ, ორივე ერთმანეთზე უარესი ძუნწი იყო.



რაჭველმა იფიქრა, — ამას თუ რაიმე შარი არ მოვდე, ფასს არაფრით არ დაუკლებსო... და მოიფიქრა, — კოლო ეცოდინება აქანა!

იმერელმა იფიცა, იმტკიცა, კოლო არ იცისო, მაგრამ რაჭველი, რაღამც შარის მიზეზი მოიგონა, აღარ მოეშვა. გაბრაზებულმა იმერელმა უთხრა:

— მოდით, დავნიძლავდეთ, საღამოს, ვახშმის მერე, შიშველს მიგაბამ ხეზე. თუ ერთი კოლო მაინც გიკბენს, იმ ფასში მოგყიდი ჩემს სახლს, რა ფასზეც მევაჭრები.

რაჭველი დათანხმდა.

ვახშმის მერე იმერელმა შიშველი რაჭველი ვაშლის ხეზე ბაწრით მიაბა და დატოვა. გათენდა თუ არა, გარეთ გავიდა და რას ხედავს, — რაჭველი ხეზე საცოდავად ჩამოკონწიალებულა.

— რა მოგივიდა, კაცოო, — შეიცხადა.

— დაგექცა სახლი და კარი — ამოიკვნესა რაჭველმა, — კოლო დააბი და ძუძუს ხბო ოუშვი? მოვა, მოშინჯავს, — არ არის რძე, დაიხევს უკან, მრეკამს თავს, გამათავა კაცი!

## ბიძა მყავდა...



ერთ-ერთი მორიგი ქეიფის დროს, თამადამ მშობლების სადღეგრძელო შესვა. ჩვენმა თანამეინახემ სასტიკი უარი განაცხადა, მამის შესანდობარს არ დავლევო. ყველანი გაკვირვებით შევაჩერდით და მიზეზი ვკითხეთ.

— მამაჩემი უვარგისი კაცი იყო, მომენტს არ გაუშვებდა, რომ არ ვეცემე. ერთხელ გულმოსულმა წამიყვანა, აგვისტოს თვე იყო, საშინელ სიცხეში, შუა მინდორში პალოზე მიმაბა და მიმატოვა. კინაღამ მოვკვდი, მცხავს, მწყურია... მშველელი გამომიჩნდა, — ბიძა მყავდა, იმას გაუმარჯოს ღმერთმა, კეთილი კაცი იყო, ნაღდი ქართველი. გამოიარა, რომ შემხედა რა დღეშიც ვიყავი, წამიყვანა და... ჩრდილში დამაბა.

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



ქართული ენის მასწავლებელმა დაფაზე ასეთი წინადადება დაწერა: „დედამ შვილს კაბა შეუკერა“.

— აბა, რომელი გაარჩევთ? — იკითხა.

ყველამ თავი შეიკავა, მხოლოდ ძგვიბიმ ასწია ხელი და თქვა:

— დედამ შვილს რომ კაბა შეუკერა, რა სხვისი გასარჩევია?

***ჯანო ონიანი, ქუთაისი***



მეგრელმა სვანი კინოში დაპატიჟა. კადრში ჩანს, როგორ ადის კაცი კლდეზე.

მეგრელმა დაიჟინა, — ჩამოვარდება აგი ახლა.

სვანმა: — არ ჩამოვარდება.

დანაძლევდნენ. სვანმა წააგო. ფილმი რომ დამთავრდა, მეგრელი სვანს გამოუტყდა: „ბოდიში უნდა მოგიხადო, ეს ფილმი ნანახი მქონდა“.

— მეც ვუყურე, მაგრამ რა ვიცოდი, ერთხელ რომ ჩამოვარდა, ჭკუას თუ ვერ ისწავლიდა?! — სინანულით თქვა სვანმა.

***თინა ნინიძე, თბილისი***



ფსიქიატრთან პაციენტი მივიდა...

დახატა ექიმმა წრე.

— რა არის ეს? — ჰკითხა.

— ტიტველი ქალი — არც დაფიქრებულა ავადმყოფი.

ახლა რომბი დახატა.

— ეს რაღაა?

— ტიტველი ქალი...

შეიშმუშნა ექიმი, მაგრამ ახლა კვადრატი დახატა:

— ეს?

— ტიტველი ქალი.

ფსიქიატრმა სათვალე შუბლზე აიწია:

— ყველაფერი გასაგებია, თქვენ სექსუალური მანიაკი ხართ...

— ვა? ტიტველ ქალებს შენ ხატავ და მანიაკი მე ვარ?!

***დანტისტი***



კახელი და სვანი ერთად მსახურობდნენ ჯარში... გათავისუფლებიდან კარგა ხნის შემდეგ კახელს მეგობარი მოენატრა და ნახვა გადაწყვიტა. ცოლ-შვილი ავტობუსში ჩასხა და ზემო სვანეთში გაემგზავრა. მეგობრის სახლამდე 7-8 კილომეტრი იქნებოდა დარჩენილი, როცა ავტობუსი გაფუჭდა. რა ექნა, თავისი ცოლ-შვილით ფეხით გაუდგა გზას. უცებ გზაზე კაცი გამოჩნდა, რომელსაც ხელში „კამაზის“ საჭე ეჭირა, მიუახლოვდა კახელს და ჰკითხა:

— საით მიდიხართ?

კახელმა აუხსნა.

— დაჯექით, — უთხრა სვანმა.

— სად დავჯდეთ? — ფერი დაეკარგა კახელს.

— დაჯექით! — უბრძანა სვანმა.

კახელმა სვანს ჩაჰკიდა ხელი, მას — ცოლ-შვილმა და სირბილით გაუყვნენ გზას. „კამაზმა“ გულამოვარდნილი სტუმრები მასპინძლის ეზოში შეიყვანა, თვითონ კი გზა განაგრძო. მასპინძელი გამოეგება, ერთმანეთი მოიკითხეს, მერე კი დაღლის მიზეზი ჰკითხა. კახელმა დაწვრილებით უამბო ყველაფერი.

მასპინძელი გაბრაზდა, გამოიტანა „მერსედესის“ საჭე, კახელს მიუტრიალდა და:

— დაჯექი, აგერვე მივეწევი და მაგის სეირსაც გაყურებინებ!

* * *



წინა დღის ნაქეიფარ ჭიჭიკიას საშინელ გუნებაზე გაეღვიძა — „პახმელია“ თავისას შვრებოდა. უცებ ფანჯრის რაფაზე შემოდგმული წითელი ლიმონათით სავსე ბოთლი დაინახა, ცოლს გულში მადლობა გადაუხადა და ბოთლი მიიყუდა. თითქმის დაცლილი ბოთლი ტუჩიდან რომ მოიცილა, მიხვდა — მანქანის „ჟიტკოსტი“ დაელია, ატეხა ყვირილი:

— ჟუჟუნია! ჟუჟუნია!

შეშინებული ცოლი გავარდა და ექიმი მოიყვანა.

— „ჟიტკოსტი“ აქვს დალეული, — დაასკვნა ექიმმა.

— მაგი კი დავლიე, მარა რა მეშველება, — იკითხა ჭიჭიკიამ.

ექიმმა ურჩია:

— წადი ახლა საფიჩხიაზე, გამოიქეცი იქედან, თეატრის თავდაღმართში „რესკად“ დაარტყი „ტორმუზი“, თუ გაასხა, გადარჩები, თუ არა, კუბოს ზომა აილე...

***ალიკა ბარათაშვილი***

**ბატონო მკითხველო, რედაქცია კვლავ ელის თქვენგან კურიოზებსა და ანეკდოტებს. გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე**

მსოფლიო მოგზაურობა

# ქართველი ოდისევსი, ანუ კაცი — პერპეტუუმ-მობილე



ლევილი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის საფლავთან

13 აგვისტოს მოგზაურობის დაწყებიდან 7 წელი შესრულდა.

„ისე აეწყო ჩვენი სამშობლოს, ჩემი ოჯახის, ჩემი პირადი საქმეები, რომ აუცილებლად უნდა მივსულიყავი და მივედი კიდეც ამ ურთულესი მოგზაურობის სტარტზე, რასაც თავის დროზე სული შთაბერა ჩვენმა ეროვნულმა გმირმა, ჩემმა მეგობარმა ჟიული შარტავამ“... — ამბობს **ჯუმბერ ლეჟავა** მსოფლიოს გასაგონად და მოკრძალებით დასძენს, რომ მისი მიზანი იყო დაეძლია დედამიწის ყველა გეოგრაფიული და კლიმატური სარტყელი, მოეარა ყველა კონტინენტი, ყველა ქვეყანა და დედაქალაქი, ექსტრემალურ ვითარებაში გამოეცადა თავისი გონება, ძალა და დაემტკიცებინა, რომ ღვთის ნებით, ადამიანს, ასაკის მიუხედავად, სასწაულების გაკეთება შეუძლია...

თავად განსაჯეთ, 1993 წელი — არაბეთი. იემენის ომში მოხვედრილს უდაბნოში უთენია თავს შაშხანიანი არაბი დაადგა და დაატყვევა. აუხდა გაფრთხილება, იემენელი, ჩრდილოეთელი იქნება თუ სამხრეთელი, სულ ერთია, უცხოელ ტურისტში მხოლოდ ჯაშუშს ხედავს და თავს ჭრისო. თვითგადარჩენის ინსტინქტმა თუ ცხოვრების სიბრძნემ მოქმედება უკარნახა, რადგან ახსნას, ლაპარაკს, ხუთი ენის ცოდნას აზრი არ ჰქონდა — არაბმა ჯარისკაცმა ერთადერთი არაბული იცოდა. უცებ ხელებზე აზიდვა დაიწყო, ერთი, ორი, სამი, ასი, ორასი, სამასი... შიში არ უგრძვნია, განრისხებულ მასპინძელზე ამან იმოქმედა. ტყვე შტაბში წაიყვანა. იქ გაირკვა, ვინ იყო და სადაური. კაცურად მოექცნენ. აქლემი ათხოვეს — უგზო უდაბნოს სხვაგვარად ვერ გაივლიო. ველოსიპედი და ბარგი-ბარხანა აჰკიდეს. თვითონაც ზედ შესვეს და ომანის საზღვრამდე მიაცილეს. ჯუმბერს კარგი ფეხი ალმოაჩნდა, რამდენიმე კვირაში იემენი გაერთიანდა...

1994 — ინდოეთი. 23 დღე კოკისპირულ, მუსონურ წვიმებში 3.300 კმ იარა; ღამე დამბალ საძილეში ეძინა, თუ ამას ძილი ჰქვია... 1995 — ავსტრალია. ჰედლენდიდან გამოსულს თავს დაატყდა ციკლონი „ბობი“ და ველოსიპედიანად ქვიშაში ჩამარხა... 1996 — ჩინეთი, მონღოლეთი. გობის უდაბნოში 14 დღე ებრძოდა 26 გრადუსიან ყინვას და პირქარს, მოეყინა ფეხის თითები, თვალები, ყურის ბიბილოები... 1997 — ამერიკა. ანდების მაღალმთიანეთში ქარიშხალი, უგზოობა და უჟანგბადობა იწვნია, ხოლო ანტარქტიდაში თეთრი სიცივე, სადაც არგენტინელ და იტალიელ მეცნიერთა წყალობით ოზონის ხვრელსაც დააკვირდა... 1998 — ევროპა. მადრიდიდან ლისაბონამდე ზამთრის წვიმებში იარა. პორტუგალიაში გადასულს მანქანა დაეჯახა. 1999 — თებერვლის თვეში ალპების დიდთოვლობა, ხოლო აპრილში საჰარის უდაბნოს პაპანაქება გამოსცადა... 2000 — აფრიკის ატლანტისპირეთში ომს გარიდებულმა თავსხმა წვიმები, წყალდიდობები, შიმშილი და მალარიის ციებ-ცხელება გადაიტანა, ახალი წელი საავადმყოფოში გაატარა...

„მე მორწმუნე ვარ, ამ მოგზაურობას ღმერთის ნებით ვასრულებ!“ — კლინიკური სიკვდილის დროს მივიღე ეს დავალება... ახლა საოცნებო მაქვს სამი რამ: მოგზაურობის დასრულება, მშვიდობიანი დედამიწისა და გამარჯვებული (მთლიანი) საქართველოს ხილვა“, — იწერება იგი.

მალე აფრიკიდან მადაგასკარის გავლით ჩრდილოეთისაკენ მომავალ ჯუმბერ ლეჟავას ვიხილავთ ეგვიპტეში, პირამიდების ქვეყანაში, სადაც დედამიწის გარშემო, ყველა კონტინენტის, ყველა ქვეყნისა და დედაქალაქის გავლით 8 წლიანი უწყვეტი მარტოდმარტო ველომოგზაურობის დიდი წრე შეიკვრება. თქვენი თანადგომის შემთხვევაში ფილმის მთავარი გადაღებები კაიროში, ალექსანდრიაში, ნილოსის და სუეცის სანახებში განხორციელდება.

ფილმში მთავარ სათქმელს თვითონ მოგზაური იტყვის.

ამჟამად ჩვენი მოგზაური აფრიკაშია, ზურგს უკან დარჩა ყველა კონტინენტის 155 ქვეყანა, 417 ათასი კმ, ხოლო გასავლელი — შედარებით მცირე ნაწილი...

ამ ფილმში, ცხადია, ჯუმბერ ლეჟავას ცხოვრებისა და მოღვაწეობის სხვა უმნიშვნელოვანესი სურათებიც გაცოცხლდება.

დაიბადა თბილისში.

დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. არის 23 გამოგონების და სამეცნიერო შრომის ავტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

ჰობი: არქიტექტურა, მხატვრობა, მებაღეობა, სპორტი, მოგზაურობა.

კრედო: ათი მცნება პლუს მოძრაობა, მოძრაობა და მოძრაობა.

1986 წელს სასიკვდილო საფრთხე დაემუქრა: თეძოს ნაწლავის განგრენა, მეზენტერული სისხლის ძარღვების თრომბოზი. ორჯერ გაუკეთდა ოპერაცია, ორჯერ განიცადა კლინიკური სიკვდილი. ორივე ოპერაციის შედეგად ამოკვეთეს 3 მეტრი ნაწლავი. ექიმებმა ინვალიდობა უწინასწარმეტყველეს. მან კი ვარჯიში დაიწყო და მალე აზიდვებში ზედიზედ თერთმეტი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. სამოგზაუროდ იმიტომ წავიდა, რომ ასეთ ვადებში ასეთი მრავალფეროვანი პროგრამა, ჯერ არავის შეუსრულებია. გინესის რეკორდამდე ალარაფერი რჩება...

ჯუმბერ ლეჟავას მოგზაურობის მთავარი მიზანი ზემოთ უკვე ითქვა. არის კიდევ ერთი: თავის ქვეყანას შესძინოს ახალი მეგობრები, დაინტერესებულ საზოგადოებას აჩვენოს სამკურნალო ვარჯიშის — მკლავებზე აზიდვის და უძრავი, უსაწვავო და უკვამლო ტრანსპორტის — ველოსიპედის სიკეთე. სამშობლოს კი მიაწოდოს თავისი ნანახი, მოსმენილი და განცდილი. შექმნას ილუსტრირებული მრავალტომეული, ვიდეოფილმები, მსოფლიო მოგზაურობის მუზეუმი, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ცენტრი...

***გვანჯი მანია***

# გაიხსნა დავით და დოდო გარეჯელების საფლავები

საქართველოს ფეოდალური ხანის მატერიალური კულტურის მრავალრიცხოვან ძეგლთა შორის თავისი გრანდიოზულობითა და ისტორიულ-მხატვრული ღირებულებით დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

დავით გარეჯის კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს გარე კახეთში. იგი გადაჭიმულია გარეჯის მთის ნახევრად უდაბურ კალთებზე 25 კილომეტრის მანძილზე და დღესაც ანცვიფრებს მნახველს სამშენებლო ხელოვნებისა თუ ფერწერის მაღალი მხატვრული დონით.

როგორც ჩვენამდე მოღწეული საისტორიო წყაროებიდან ვიგებთ, დავით გარეჯის მონასტერი V საუკუნის 1 ნახევარში დაუარსებია „13 ასირიელ მამათაგან“ ერთ-ერთს — დავითს. დავითი გარეჯის მთის გამოქვაბულში დასახლდა და აქ შექმნა პირველი მონასტერი, რომელსაც დღეს დავითის ლავრა ეწოდება. ამავე საუკუნეში დავითის მოწაფეებმა და თანამოღვაწეებმა დააარსეს კიდევ ორი სამონასტრო განშტოება: დოდომ — დოდოს რქა, ხოლო ლუკიანემ — ნათლისმცემელი.

„კვირის პალიტრისათვის“ ცნობილი გახდა, რომ ამ დღეებში გაიხსნა მამა დავით გარეჯელის და მისი მოწაფის — დოდო გარეჯელის საფლავები. უფრო სრული ინფორმაციისათვის ჩვენ დავუკავშირდით საპატრიარქოს სიწმინდეთა მოძიებისა და დაცვის განყოფილების წევრს **ბატონ თეიმურაზ ბერიძეს.**

**— ბატონო თემურ, რამ განაპირობა დავით გარეჯელის საფლავის გახსნა?**

— განზრახული გვქონდა ღირსი მამა დავით გარეჯელის საფლავის განახლება. მამა დავითის საფლავის უკეთ მოწყობის მიზნით გავაკეთეთ ესკიზი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქეთი აბაშიძემ, კოკი დადიანმა, ზაზა სხირტლაძემ და კონსტანტინე ბერიძემ. გაკეთდა საფლავის ქვა. იმ ადგილას, სადაც ეს ქვა უნდა დაგვესვენებინა, დავინახეთ, რომ რაღაც სიცარიელე ისინჯებოდა. ჯგუფმა, მეტი უსაფრთხოების მიზნით, მიზანშეწონილად მიიჩნია საფლავის გახსნა.

სასწრაფოდ ჩამოვედით უწმინდესთან, რათა აგვეღო ლოცვა-კურთხევა. ორი დღის განმავლობაში მიმდინარე ინტენსიური სამუშაოების შემდეგ საყდრის იატაკიდან 1 მეტრის სიღრმეში გამოჩნდა კლდეში ამოკვეთილი აკლდამა, სადაც ესვენა ღირსი მამა დავით გარეჯელი — პირვანდელ მდგომარეობაში. ცხედარი იკითხებოდა სრულად. საფლავის გახსნის პირველ დღეს მისი სახის გამომეტყველების წაკითხვაც კი შეიძლებოდა. მეორე დღეს, ბუნებრივია, ეს სურათი გაფერმკრთალდა, რადგან შეხება მოხდა ჰაერთან.

ალსანიშნავია, რომ საფლავის სიღრმემდე განლაგებული იყო ქვების სამი შრე. ხოლო ზედა შრეებში ალინიშნებოდა საფლავის დარბევის კვალი. ჩვენი ვარაუდით, ქვების სამშრიანი განლაგება სწორედ იმაზე იყო გათვლილი, რომ მტერს საფლავი ცარიელი ჰგონებოდა.

დავით გარეჯში ჩამობრძანდა უწმინდესი. რომელმაც დავით გარეჯელის საფლავისათვის შესწირა ნელსაცხებლებით გაჟღენთილი აბრეშუმის ქსოვილი — ცხედარზე ზემოდან გადასაფარებლად და მან საფლავზე მიმოაბნია იერუსალიმიდან ჩამოტანილი მიწა. იმავე დღეს დაიფლა სხეული.

შემდგომ დღეებში გაიხსნა ტაძრის ჩრდილო კედელთან — საკურთხევლის მარცხნივ მდებარე საფლავი, რომელიც, ქართველ ისტორიკოსთა გადმოცემით, დავით გარეჯელის მოწაფის — ღირსი ლუკიანეს საფლავი უნდა ყოფილიყო. ჩვენი აზრით, იმ ადგილას, უნდა ყოფილიყო დავითის მოწაფის — დოდო გარეჯელის საფლავი. მართლაც აქ ვნახეთ კლდეში ამოკვეთილი ლუსკუმა (სანაწილე), სადაც აღმოჩნდა ღირსი მამა დოდო გარეჯელის წმინდა ნაწილები. სიწმინდე გადასვენებულ იქნა ეკლესიაში გასაპატიოსნებლად.

**— ღირსი ლუკიანეს საფლავის მოძიება თუ შეიძლება?**

— ჩვენი აზრით, ღირსი მამა ლუკიანეს საფლავი უნდა იყოს ტაძრის შიგნით, — დღევანდელი ძველი კანკელის წინ. უნდა მოგახსენოთ, რომ დავით და დოდო გარეჯელების საფლავების მოწყობაზე მუშაობა კვლავაც გრძელდება. ამას გარდა ტაძრის შიდა სივრცე საჭიროებს რეკონსტრუქცია-განახლებას. ყოველივე ამისათვის კი გარკვეული თანხებია საჭირო, რომელიც საპატრიარქოს არ გააჩნია. ასე რომ, ჩვენი მომავალი საქმიანობა ალბათ საზოგადოების შემოწირულობებზე იქნება დამოკიდებული.

***ესაუბრა ნინო ტარყაშვილი***

# — ქართველები „ვეფხისტყაოსანმა“ გადაგვარჩინა...

ფაშისტებთან თანამშრომლობის გამო ყოფილი ემიგრანტი შალვა მაღლაკელიძე სამშობლოს მოღალატედ იყო გამოცხადებული. მაგრამ ახლა სრულიად საპირისპირო დასტურდება.

რამდენიმე კვირის წინ „კვირის პალიტრაში“ (№30) გამოქვეყნებულ წერილს „თუ სამშობლოს სიყვარული ფაშიზმია, მაშინ ფაშისტი ვარ“, გამოეხმაურა მაღლაკელიძის ბატალიონის წევრი, 80 წლის გივი შუბლაძე, რომელსაც, როგორც თვითონ ამბობს, მიზეზთა გამო, თავისი თავგადასავალი არავისთვის გაუმხელია.

გთავაზობთ **გივი შუბლაძის** ნაამბობს:

— ომმა ჯარში ყოფნისას მოmისწრო. დნეპროპეტროვსკში სამი თვე ვიგერიებდით გერმანელების შემოტევას. ბოლოს, ვერ მოვახერხეთ მტრის დაკავება და უკან დახევა გადავწყვიტეთ. გეზი დნეპრის ხიდისკენ ავიღეთ, მაგრამ დაგვასწრეს და აგვიფეთქეს. წინ გერმანელები აღმოჩნდნენ, უკან — უზარმაზარი დნეპრი, რომლის გადაცურვა შეუძლებელი იყო. წყალსა და მტრებს შორის მოქცეული რამდენიმე ათასი კაცი ფაშისტებმა ტყვედ ჩაგვიგდეს. ქალაქ დნეპროპეტროვსკში, მეფის დროინდელ ციხეში შეგვყარეს. სამხედრო მეთაურები, ჯარისკაცები და ებრაელები დაგვაცალკევეს. რამდენიმე თვის შემდეგ კრივოი როგის საკონცენტრაციო ბანაკში გადაგვიყვანეს. საშინელ დღეში ჩაგვყარეს. მხოლოდ უკრაინელ ტყვეებს ექცეოდნენ შედარებით კარგად. შიმშილისაგან დისტროფია დამემართა, თვალთ სინათლე დამაკლდა.



ბანაკიდან ყოველდღე ათობით მიცვალებული გაჰყავდათ და შორიახლო მარხავდნენ. სიკვდილი თვალებში გვიყურებდა. ქართველები ყველაზე შავ დღეში ვიყავით, ტყვეებიც კი „სტალინსკიე სინკის“ გვეძახდნენ... უკრაინელები სამუშაოდაც გჰყავდათ ხოლმე და კარგადაც აჭმევდნენ. როგორღაც მოვახერხე უკრაინელებში შერევა. ერთი ღამე მათ საკანში გავათიე. დილით სამუშაოდ გაგვიყვანეს და ის იყო, ობიექტებზე გვანაწილებდნენ, რომ ერთ-ერთმა ტყვემ მიცნო. დამიჭირეს, მაგრად მცემეს და ბანაკში დამაბრუნეს. იქ კიდევ ტყვე შუააზიელებმა დამიმატეს...

მალე გერმანელებმა ქართველები გამოგვარჩიეს და ერთ დარბაზში შეგვიყვანეს. ალბათ უნდა დაგვხვრიტონო, ვფიქრობდით. მაგრამ დარბაზში შემოვიდა ქართულ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი წარმოსადეგი ვაჟკაცი, თან ახლდა რამდენიმე ქართველი და გერმანელი გენერალი. ჩოხოსანი შალვა მაღლაკელიძე გახლდათ. მან შემოგვთავაზა საქართველოს განმათავისუფლებელ „თეთრი გიორგის“ ბატალიონში შესვლა. დაგვპირდა, რომ გვიმკურნალებდა, მოგვაკეთებდა და მხოლოდ საქართველოსთვის გვაბრძოლებდა. ვინ არ დათანხმდებოდა? თანაც იგი ნამდვილად არ ჩანდა ერის მოღალატე, პირიქით, სამშობლოს სიყვარულით იყო ანთებული. უკლებლივ ყველამ თანხმობა მისცა. ჩაგვიყვანეს პოლონეთში. გზადაგზა მატარებელი ჩერდებოდა და ქართველი ტყვეები გვემატებოდა.

1942 წლის ზამთარი იდგა.

ვარშავის მოშორებით, ტყეში, მავთულხლართებით შემოღობილ უზარმაზარ ტერიტორიაზე ასევე მაღალი ღობეებით შემორაგვული პატარა ბარაკები იდგა. ბანაკს კოშკურებზე მდგარი შეიარაღებული ჯარისკაცები ყარაულობდნენ.

მისვლისთანავე აბანოში შეგვყარეს, გვაბანავეს, გაგვასუფთავეს. რამდენიმე დღე გვასულიერებდნენ. შემდეგ ისევ გამოგვეცხადა მაღლაკელიძე და ის გერმანელი გენერალი, რომლის გვარიც, საწუხაროდ, აღარ მახსოვს. მაღლაკელიძემ გვითხრა, — ვისაც გსურთ სამშობლოსათვის ბრძოლა, დარჩით, ვისაც არა, წინ გამოდით. მხოლოდ რამდენიმე კაცი გამოგვეყო.

***(გაგრძელება იხ. გვ. 14)***

# რას გვეტყვი, მამაო?

**— როგორ უნდა მოიქცეს ქრისტიანი, თუ მაღალი თანამდებობა ხელს უშლის მას ღვთიური კანონებით ცხოვრებასა და სულის ხსნაში?**

— თუ მაღალი თანამდებობა ხელს გიშლით ღვთიური კანონებით ცხოვრებაში და თქვენი სულის ხსნას ელობება წინ, უნდა დატოვოთ ეს თანამდებობა. სჯობს იყოთ რიგითი მუშაკი, ოღონდ სული იხსნათ და თავი გადაირჩინოთ. რა სარგებელია შენდა, თუნდა მთელ ქვეყანას დაეუფლო და სული კი წარიწყმიდო?

**— მე ჩემს თავს არ ვთვლი წმინდა ზიარების მიღების ღირსად და ამიტომ მხოლოდ ერთხელ ვეზიარები წელიწადში. სწორად ვიქცევი თუ არა?**

— ვართ თუ არა ღირსნი წმინდა ზიარებისა, ანუ ქრისტეს სისხლისა და ხორცის მიღებისა — ამის მსაჯულად დადგენილნი არიან მღვდელმსახურნი აღსარების საიდუმლოების პროცესში. ხოლო ის, ვინც თვითნებურად აყენებს თავს ზიარების მიღმა, არასწორად იქცევა და ემსგავსება ერეტიკოსსა და წარმართს.

**— ვცხოვრობ ეკლესიიდან მოშორებით. მინდა გადმოვსახლდე უფრო ახლოს, რათა მეტი მადლი მოვიპოვო, რაშიც, ვფიქრობ, ეკლესიასთან ახლოს ცხოვრება დამეხმარება. რამდენად გამართლებულია ჩემი მოსაზრება?**

— ერთი ბერი უდაბნოში მოსახლეობდა, რომლის სენაკი წყლიდან ორი კილომეტრით იყო დაშორებული. ერთხელ, წყაროსთან მისული სასოწარკვეთილებაში ჩავარდა და თქვა: აბა, რა სარგებელია ამ შრომაში? მოდი, დავსახლდები ამ წყალთან ახლოს. თქვა ეს და გამობრუნდა უკან. ხედავს, მიჰყვება უკან ვიღაც და მის ნაბიჯებს ითვლის. ბერმა ჰკითხა: „ვინ ხარ შენ?“ „მე უფლის ანგელოზი ვარ — უპასუხა მან, — მე წარმოგზავნილი ვარ, რათა შენი ნაბიჯები ვითვალო და ჯილდო მოგანიჭო“. გაიგო ეს ბერმა, საღმრთო მოშურნეობად აღენთო, გამხნევდა და თავისი სენაკი კიდევ უფრო შორს — ხუთ კილომეტრზე გადაიტანა წყაროდან...

**— ყველა გარდაცვლილისთვის სასარგებლოა თუ არა „ფსალმუნების“ კითხვა?**

— ფსალმუნების კითხვა გარდაცვლილთათვის დიდი კეთილი საქმეა, მაგრამ ყველა გარდაცვლილისათვის მისი კითხვა არ შეიძლება, სახელდობრ: თვითმკვლელებისათვის, ალკოჰოლის თუ ნარკოტიკისაგან გარდაცვლილთათვის, ურწმუნოთათვის, მოუნათლავთათვის და სხვა სარწმუნოების პირთათვის.

**— იხდიან თუ არა მორწმუნენი თავიანთ დაბადების დღეს?**

— მართლმადიდებლური ჩვეულებით, მორწმუნენი დიდი ზეიმით არ იხდიან თავიანთ დაბადების დღეს, არამედ დღესასწაულობენ თავიანთ ზეციური მფარველის — წმინდანის მოხსენიების დღეს.

**— ღვთის წინაშე აგებს თუ არა ადამიანი პასუხს უქმად მდუმარებისათვის.**

— წმ. ამბროსი გვმოძღვრავს, რომ თუკი ჩვენ პასუხს ვაგებთ უქმად მეტყველებისათვის, წინდახედულნი უნდა ვიყოთ, რომ არ მოგვიხდეს პასუხის გაცემა უქმად მდუმარებისათვის.

**— აქვს თუ არა გარდაცვლილის სულისათვის მნიშვნელობა, რა სახით იქნება ის დაკრძალული?**

— გახსოვდეთ, რომ გარდაცვლილის მარადიული ხვედრისათვის დაკრძალვის სახეს (კუბო, გვირგვინი, მუსიკა, კატაფალკა) არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ყველა განისჯება თავისი საქმეებით.

**— როდესაც სხვებთან ერთად ვლოცულობ, შეიძლება თუ არა სულის შინაგანი მოძრაობები გარეგნულადაც გამოვხატო?**

— როდესაც ჩვენ სხვებთან ერთად ვლოცულობთ, საკმარისია, გულითა და გონებით გამოვხატოთ უფლის წინაშე სულის შინაგანი მოძრაობა და არ მივიღოთ სევდიანი, გნებავთ, მტირალი გამომეტყველება, რათა მავანთაგან არც განსაკუთრებული პატივი დავიმსახუროთ და არც დაცინვა, — და ამით ავიცდინოთ შინაგანი უხერხულობის განცდა. მაგრამ, როდესაც ჩვენ მართალნი ვართ და სხვები ვერ გვხედავენ, მაშინ სახეც შეიძლება შევიცვალოთ ლოცვის შესაბამისად, ხმაც შეგვიძლია დაგვისევდიანდეს, ცრემლიც შეიძლება გადმოგვცვივდეს, ხელებიც შეგვიძლია ზე აღვაპყროთ და მიწასაც ვეამბოროთ.

**— როგორ უნდა ვაფასებდეთ ჩვენ მიერ ჩადენილ საქციელს, თუ გვსურს ხსნის გზა მოვიპოვოთ?**

— ხსნის გზა იწყება საკუთარი თავის გაკიცხვით ყოველგვარ საქმეში, თუნდაც ძალიან სასიკეთო ქმედების დროს: სულ უნდა გვაფიქრებდეს, არის კი უფლისათვის სათნო შენ მიერ ჩადენილი საქციელი?

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 28*

***თქვენს შეკითხვებს პასუხობენ მართლმადიდებელი მამები***



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. მადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გვეხუმრებიან

ტელევიზორში დილიდან საღამომდე პარლამენტში მოხვედრის მსურველები მხარდაჭერას ითხოვენ (არჩევნების პერიოდია). **პატარა თამუნა** კითხულობს:

— დე, დე, დვალიშვილი მუნჯია?
— არა, შვილო. რატომ კითხულობ?
— აბა, რატომ უნდა მივცეთ ხმა?

* * *

**3 წლის ოთარ ოქრომჭედლიშვილი** ელექტრობოძის თავზე შესკუპებულ კატას შესცქერის და ყვირის:
— ბებო, ბებო! მოდი, რა გაჩვენო. ჩვენი ფისო მონტიორი გამხდარა!...

* * *

**4 წლის თამუნა ხვედელიძე** უყურებს ფეხბურთს და დედას ეკითხება:

— დედიკო, ფეხს რომ ურტყამენ ბურთს, ხომ იმიტომ ჰქვია ფეხბურთი?
— კი, — პასუხობს დედა.
— ხელი რომ დაარტყან, ხელბურთი ერქმევა?
— კი.
— ტაკუნა რომ დაარტყან, მაშინ ტაკაბურთი ერქმევა, ხომ დედი?

* * *

**თამუნა** ზის ღამის ქოთანზე და დედას ეკითხება:

— დედიკო, საჭმელს რომ ვჭამ, ხომ მუცელში ჩადის და მერე გარეთ გამოდის?

— კი, — პასუხობს დედა.

თამუნა ჩაფიქრდა. ახსოვს, დედა ფეხმძიმედ რომ იყო და ეკითხება:
— დედიკო, დათოც (დათო მისი პატარა ძამიკოა) შეჭამე, მუცელში რომ გყავდა?

* * *

ბავშვები გუნდურად კითხულობენ: „ვაჟამ მდინარის პირას კაჟი იპოვა“.
— მდინარეს პირი აქვს? — უკვირს **6 წლის სულხან სუხიშვილს.**

* * *

**3 წლის მაკო კაპანაძემ** სოფელში ყოფნის დროს მეზობლის ძროხა დაინახა, რომელიც იწვა და იცოხნებოდა. მომიბრუნდა მკითხა: ბები, ძროხას შენ მიეცი საღეჭი რეზინი?.

* * *

**თეონა მახარაძე** ეკითხება დეიდას: — დეიდა, მე ისევ მახარაძე ვიქნები, თუ აწი ოზურგეთს დამიძახებენ?

## I კროსვორდი




**შვეულად:** 1) ქართული მულტფილმის პერსონაჟი ბატი...; 2) დათვის შვილი; 3) ფუტკრის სახლი; 4) თბილისში მდებარე საბავშვო ქალაქი; 5) გარეული ფრინველი, რომელიც ხეზე ნისკარტის კაკუნით ირჩენს თავს; 6) „დედა ენის“ ავტორის სახელი; 7) „ბაზალეთისა ტბის ძირას ოქროს... არისო“; 8) კომში ანუ...; 11) დინგიანი ღორმუცელა ცხოველი.

**თარაზულად:** 6) სახარების ერთ-ერთი ავტორის სახელი; 8) ვაგზალი, ისანი, ლილო, ელიავა — რა აერთიანებს ამ ოთხ უბანს; 9) რა არის ის, რაშიც ქალები ხშირად იყურებიან და იპრანჭებიან? 10) ყოველ დილა რომ იხეხავ, ის რა არის? 11) მფრინავი თაგვი; 12) პარკოსანი მცენარეა, კალორიული, იაფი და გაზიანი; 13) არქტიკის საწინააღმდეგო მხარე.

## II რებუსი



## ცოცხში და ჩიტები

მინდორში ერთი ვაშლის ხე დგას, მას რამდენიმე ტოტი აქვს. თუ თითოეულ ტოტზე თითო ჩიტი დაჯდება, ერთი ჩიტი უტოტოდ დარჩება. თუ თითოეულ ტოტზე ორ-ორი ჩიტი დაჯდება, მაშინ ერთი ტოტი თავისუფალი დარჩება. რამდენი ტოტი აქვს ვაშლის ხეს და რამდენი ჩიტია?

(პასუხი გამოგვიგზავნეთ წერილობით.)

**წინა ნომერში შემოთავაზებულ მოთხრობა-გამოცანის სწორი პასუხები გამოგვიგზავნეს:** ნინო ტომარაძემ, მარიამ ბოჭორიშვილმა, გიორგი მელქაძემ, ქეთია ქვრივიშვილმა, ლელა ოჩხიკიძემ, გიგა გაბრიჩიძემ, ლანა ლანჩავამ, ნიტა არდიშვილმა, ლანა ხარებავამ, ეკა გოდელაძემ, ქეთინო კოკოაშვილმა, ლამარა ეგნატაშვილმა, ნია და გიორგი დავითაშვილებმა, თეონა გოგაძემ, ნატო ნატრიაშვილმა, ნათია ბეკურაშვილმა, ანა და ინა მგელიაშვილებმა, ეკატერინე შამათავამ, ლაშა ართილაყვამ, ნათია და მაია ჭუმბურიძეებმა, მარი ბოლაშვილმა, გურამ და ირაკლი ჯოხაძეებმა, ნუგზარ ყანჩაველმა, რინა და მარი მარჯანიძეებმა, ლიკა გოლავამ და სოფიკო გრძელიშვილმა.

**სწორი პასუხი კი ასეთი გახლავთ:** კონვერტი გიორგის შებრუნებულად ეჭირა და 86-ის ნაცვლად 98 წაიკითხა.

## III

გამოიცანით გამოტოვებული ასოები და წაიკითხეთ ისრის მიმართულებით




## IV სახალისო გამოცანები

ა

ტყეში დასახლდა რადისტი,
სად რას გადასცემს,
არ ვიცი!
ოღონდ ეს არის — მის კაკუნს,
ხის ქერქში მატლი განიცდის.

ბ

სავსე ტომარას ახურავს
კოხტად კახური ქუდი,
და ხეზე დაკიდებულა,
იმავე ქუდის კუდით.

გ

ოთხი ცნობილი მეფეა,
ერთურთს ტახტს ეცილებიან,
გამარჯვებულნი მბრძანებლად,
მხოლოდ სამ თვემდე რჩებიან,
და ეს ცილობა გრძელდება
მილიონობით წლებია.

## V




მოძებნეთ საერთო დაბოლოება ათივე სიტყვისთვის

## იპოვეთ 10 განსხვავება



## VI

არსებობს საყოველთაოდ ცნობილი არაერთი სიტყვათა წყობა და დასახელება, რომელშიც საკუთარი სახელი მონაწილეობს (მაგ. კაპიტანი ნემო, მაგდანას ლურჯა და ა.შ.). შეეცადეთ, ქვემოთ მოცემული სიტყვებით (ერთი მარცხენა სვეტიდან, მეორე — მარჯვენადან) შეადგინოთ სწორი შესატყვისი:

| | |
|---|---|
| 1) ქოშები | 1) მორზე |
| 2) ანბანი | 2) ეიფელი |
| 3) ქუსლი | 3) ბაბაჯანა |
| 4) კოშკი | 4) ალადინი |
| 5) ლამპარი | 5) აქილევსი |

## VII



ამ ქართველი მწერლის კალამს ქვემოთ ჩამოთვლილი ნაწარმოებებიდან, მხოლოდ ერთი არ ეკუთვნის. გამოიცანით მწერალი და გამორიცხეთ სხვისი ნაწარმოები.

1) კაცია-ადამიანი?!;
2) კაკო ყაჩაღი;
3) არსენა;
4) აჩრდილი.



ბიძია ვარლამს სიბერე შემოეპარა, რა ქნას თუკი დიდხანს უნდება საჭირო ნივთების მოძებნას. ბავშვებო! იქნებ თქვენ აპოვნინოთ მეორე წინდა.

## VIII თავსატეხი

ჩაწერეთ ამ რგოლებში რიცხვები ერთიდან ცხრამდე ისე, რომ მათი ჯამი თითოეულ გვერდზე უდრიდეს ოცს.



მადლობას ვუხდით 15 წლის ნინო ტომარაძეს აქტიური თანამშრომლობისთვის.

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა




პასუხები იხილეთ 25-ე გვერდზე

**„კვირის პალიტრის" რედაქციას**

***სათქმელი ბევრია... ქაღალდი ყოველივეს ვერ დაიტევს. ერთს გთხოვთ, არ დაივიწყოთ აფხაზეთის თემა, გააცოცხლეთ იგი. ეს მთლიანი საქართველოს ტკივილია.***

***დიდი პატივისცემით, ა. იაშვილი***

# იმ დღეს სოხუმის რადიოთი ბოლო ქართული გადაცემა გავიდა...

14 აგვისტოს სოხუმში ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებები დაიწყო. აფხაზეთის ციტადელი 1 წლის შემდეგ, 27 სექტემბერს დაეცა... ყველაზე მეტად ამ ფაქტის დაჯერება ადგილობრივ ჟურნალისტებს უჭირდათ, რომლებიც ბოლო წუთამდე მოსახლეობის გამხნევებას ცდილობდნენ. ისინი ომმა შვა. სხვადასხვა პროფესიის ადამიანი ომის დაწყებისთანავე გაერთიანდა და უმცირეს დროში დაეუფლა ჟურნალისტის ხელობას.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ აფხაზეთში, პირველ რიგში, საინფორმაციო ომი წავაგეთ. ამაზე ბევრი საფუძვლიანი მოსაზრება წარმოითქვა და ითქმება მომავალში, მაგრამ ყველაზე უსუსური არგუმენტი ჟურნალისტების მისამართით წაყენებული პრეტენზიები იქნება. ვინ არ იცის, რომ სოხუმს მხოლოდ ჟურნალისტები ვერ გადაარჩენდნენ?!

ჩვენი მიზანი კოლეგების ღირსების დაცვა არ გახლავთ. 7 წელი გავიდა და თითქმის კულისებს მიღმა კიდევ კარგა ხნით გადაინახეს ეს თემა. ჩვენ ვსაუბრობთ იმედგაცრუებულ მეომრებთან, ვეძებთ ორიგინალურ პასუხებს და ხანდახან ჩვენ გვერდით ვერ ვამჩნევთ იმ ჟურნალისტებს, რომლებიც მათთან არიან გათანაბრებულები და დღესაც ჩუმად, უხმაუროდ აკეთებენ საქმეს. ერთ-ერთმა მათგანმა, პროფესიით ფილოსოფოსმა, **ლადო ქირიამ** უკანასკნელმა, სოხუმის დაცემის წინ, გასაღებით ჩაკეტა რადიოს ოთახი და ეს გასაღები რელიკვიად ახლაც აქვს შენახული.

— ომამდე აფხაზეთში მოქმედ აფხაზურ ტელერადიოკორპორაციაში მხოლოდ რუსულ და აფხაზურ გადაცემებს უშვებდნენ, ქართულს ეთერი თითქმის არ ეთმობოდა და სტუდიაშიც ქართველი თანამშრომლები 1 პროცენტს თუ შეადგენდნენ, გვიამბობს ბატონი ლადო. ქართული რადიო და ტელევიზია სოხუმში კრიტიკულ წუთებში შეიქმნა, როცა დაწყებული ომის გამო მაღალკვალიფიციური ჟურნალისტების ძებნის დრო არ იყო. ახალშექმნილ ტელერადიოკომპანიაში 14 აგვისტოდან, ერთ კვირაში, თბილისელი სპეციალისტების დახმარებით, ერთ მუშტად შეკრულმა კოლექტივმა მუშაობა დაიწყო. თავიდან მას ცნობილი ჟურნალისტი საშა ბერულავა ხელმძღვანელობდა. ის ორჯერ დაიჭირეს აფხაზებმა და ორჯერ გადარჩა. მესამედ კი უგზო-უკვლოდ გაქრა და დღემდე არავინ იცის ამ დიდებული პიროვნების ასავალ-დასავალი. შემდეგ, სოხუმის დაცემამდე, საქმეს თბილისელი თამაზ პაიჭაძე უძღვებოდა. მის გვერდით კი ძირითად შემოქმედებით ჯგუფში იყვნენ ისტორიკოსები: კობა ბენდელიანი, გოჩა ხუნდაძე, მალხაზ პატარაია. ვერასოდეს წარმოვიდგენდი თავს ჟურნალისტად, მაგრამ მუშაობა რადიოში დავიწყე — ასე იყო საჭირო.

რადიოტელევიზია აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს შენობის მარცხენა ფლიგელში იყო მოთავსებული. იგი თავიდანვე მიზანში იყო ამოღებული და ტელერადიოკორპორაციაც სტრატეგიული დანიშნულების ობიექტად მოიაზრებოდა. სტუდიაში მუშაობისას შუქს ვაქრობდით, მაგრამ როგორც კი ეთერში გავიდოდით, იწყებოდა ინტენსიური დაბომბვა. ერთხელ, ტელევიზიის ჟურნალისტები იძულებული გახდნენ სტუდია დაეტოვებინათ. აფხაზეთის ტელევიზიის დიქტორმა მანანა ბიგვავამ სულ რამდენიმე წამით გაასწრო ჭურვს, რომელიც ზუსტად მის სამუშაო მაგიდასთან გასკდა.

27 ივლისამდე, ვიდრე სამშვიდობო მორატორიუმს ხელს არ მოაწერდნენ, სოხუმი გრადის ტიპის ჭურვებით დღეში რამდენჯერმე იბომბებოდა. უკვე ინტუიციით ვგრძნობდით, როდის აფეთქდებოდა ჭურვი. სიკვდილის აჩრდილი უკან დაგვსდევდა, მაგრამ ყოველთვის ვუგებდით...

ერთხელ, ჩვენმა ოპერატორმა, კუკური ადანაიამ სადილზე დაგვიძახა, ცხონებული მამასავით ზრუნავდა ჩვენზე. 10 წუთში ჭურვი ფანჯარასთან დაეცა და იქაურობა იავარ ჰყო. ასეთი რამ თითქმის ყოველ წუთში ხდებოდა და თავს ვერაფრით დაიზღვევდი კაცი, მაგრამ შინაგანად რაღაც განსაკუთრებულ ძალას ვგრძნობდით. ერთხელ, დაბომბვა რომ დაიწყო, კობა ბენდელიანი მასალას ამზადებდა. როცა დამთავრდა, კობამაც ჩაიკითხა: მაგრამ მაინც ფუჭია აფხაზების მცდელობა, ჩვენ გავიმარჯვებთ... ეს მართლაც ასე იყო. ერთი წამითაც ბოლომდე არ დაგვიშვია სხვანაირად. ჩვენ ვგრძნობდით, რომ აუცილებელ საქმეს ვაკეთებდით. გატაცებით ვმუშაობდით წინა ხაზზე და საველე პირობებში.

თავიდან, ტელერადიოკომპანიის ჩამოყალიბებისას, 1992 წლის ნოემბრიდან ორი თვე ტელევიზია გაჩერებული იყო. რადიოს თანამშრომლები ეთერში დღეში ორჯერ გამოვდიოდით და შეშინებულ მოსახლეობას ექსპრეს-ინფორმაციებს ვაწვდიდით, დიზელით ვმუშაობდით და სარდაფში შეყუჟულ ადამიანებს რადიომიმღებებით ახალი ცნობების მოსმენის იმედს არ ვუცრუებდით. სატელევიზიო ხაზები მალე აღადგინეს, მაგრამ რადიო ფართო მასებისათვის უფრო პრაქტიკული იყო.

27 ივლისს სამშვიდობო მორატორიუმი გაფორმდა. აფხაზეთის ტერიტორიიდან ქართველებმა მძიმე ტექნიკის გაყვანა დაიწყეს. 16 სექტემბრამდე საომარი მოქმედებები შეწყდა, მაგრამ ადგილობრივი ჟურნალისტებისათვის ყველაზე მძიმე და ტრაგიკული ეს მცირე პერიოდი მშვიდობის ქურქში გახვეული ომი აღმოჩნდა.

საბედისწერო დღეს, 8 აგვისტოს, სოხუმში ფართომასშტაბიანი სროლები შეწყვეტილი იყო და საშიშს ვერაფერს ვხედავდით... ქალაქში სიუჟეტის მომზადება გადავწყვიტე. ოთხნი ვიყავით — ტელევიზიის ერთ-ერთი „უხუცესი", ოპერატორი კუკური ადანაია, ენემეო სიდიანი, დიქტორი ნუგზარ ჭანტურია და მე, როგორც რადიოს თანამშრომელი.

ჩვენი მანქანა რესტორან „დიოსკურიასთან" ფორმიანმა შეიარაღებულმა კაცმა გააჩერა და მანქანიდან ჩამოუსვლელად კამერისა და კასეტის ჩაბარება მოგვთხოვა. კუკური ადანაიას ახსნა-განმარტებამ არ გაჭრა და ბოლოს წართმევაც მოინდომა. ამ ძიძგილაობისას ჩვენი მანქანის უკან ტანკი დაიქოქა. ფორმიანმა ერთი მოგვაძახა, — თავს უშველეთო და გაიქცა. დაბნეულებმა უცებ მანქანაც ვერ დავძარით. ამასობაში ტანკი მანქანას მოაწვა. დარწმუნებული ვიყავით, რომ კასეტის გამო გვსჯიდნენ, ტანკის სიმძიმით მანქანის კარები ჩაიკეტა და გარეთ ვერ გამოვდიოდით. რამდენიმე წამი სიკვდილის მოლოდინში ვიყავით. დღესაც არ ვიცი, რა ძალამ გადაგვარჩინა. ტანკმა უცებ უკან დაიხია და ვითომც არაფერიო, გზა გააგრძელა.



1993 წელი, სოხუმი, ომის განახლებამდე 10 დღე დარჩა. აფხაზეთის ტელერადიოკომპანიის თანამშრომლები. შუაში ლადო ქირია

დასახიჩრებულები 10 წუთი მიწაზე გართხმულნი ველოდით უაზრო სროლების შეწვეტას. საბოლოოდ გადაგვეწურა კუკური ადანაიას გადარჩენის იმედი. ჩვენგან განსხვავებით, მას ერთი ნაკაწრიც არ ჰქონდა, გულზე ტელეკამერა ჰქონდა დაკიდებული. სამნი გადავრჩით, კუკური კი მანქანაში გაიგუდა...

მაშინდელ სოხუმში ეს საკმაოდ სერიოზული სკანდალი იყო. ამ საქმეში ცხონებული ჟიული შარტავა ჩაერია და უშუალოდ მისი დავალებით საქმის გამოძიება დაიწყო. მოგვიანებით გაირკვა, რომ ტანკისტები მოროდიორები იყვნენ და კამერის დანახვაზე უეჭვიათ, ხომ არ გვიღებენო, ტანკი კი მოტაცებული იყო. „მებრძოლი" ტანკისტი ირწმუნებოდა, ტანკით სიგარეტის საყიდლად გამოვედი, გაჩერებული მანქანა მობრუნებაში ხელს მიშლიდაო... მხოლოდ მეორე დღეს გავიგე, მანქანას რომ გადავუარე და კაცი მოვკალიო...

ეს ყველაფერი ჩვენი ერთ-ერთი დამღუპველი სიმახინჯე იყო, რომელიც ბუმერანგივით ჩვენვე მოგვიბრუნდა.

გამოძიება ბოლომდე ვერ მივიდა, ზესტად მეორმოცე დღეს სოხუმში ომი განახლდა. კუკური ადანაიას სასაფლაოზე ასვლა მოვასწარით...

ჩვენი ჟურნალისტური მოღვაწეობა ახალ ფაზაში შევიდა. მტყუან-მართლის გარჩევის თავი უკვე არავის ჰქონდა. სოხუმის დაცემა სულ უფრო გარდაუვალი ხდებოდა, მაგრამ ეს არც მორატორიუმის დარღვევამდე გვჯეროდა და არც მის შემდეგ, ვიდრე ფაქტის წინაშე არ აღმოვჩნდით.

მაშინ სოხუმში ფუნქციონირებდა საბჭო, რომელსაც ბორის კაკუბავა ხელმძღვანელობდა. მასში გაერთიანებული იყვნენ სამთავრობო სტრუქტურისა და თითქოს ყველა მოქმედი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები და საჭირბოროტო საკითხები უნდა განეხილათ. სამშვიდობო მორატორიუმის დროს გამართულ ერთ-ერთ შეხვედრაზე სოფელ შრომის მკვიდრმა გვარად გურჩიანმა, საჯაროდ განაცხადა, შრომასა და კამანში სანგრები ითხრება და გზები გაჰყავთ. ბულდოზერებით მუშაობენ და ნაცვლად იმისა, რომ გაიყვანონ, პირიქით, მშვიდობიან პერიოდში ტანკები შემოჰყავთო, მაგრამ ამისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. ამის შედეგი იყო ის, რომ სექტემბერში, სოხუმის დაცემამდე რამდენიმე ხნით ადრე, სწორედ აქედან შემოვიდნენ, ანუ მორატორიუმი აფხაზებმა ძალების მოსაკრებად გამოიყენეს და ჩვენს თვალწინ გაყვანილი გზიდან ტანკები შემოიყვანეს.

განახლებულ ომს ინსტინქტურად ავყევით. სანამ შევძლებდით, უკან არ უნდა დაგვეხია. ინფორმაციებს უბრალოდ თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრიდან ვიღებდით. მთელი თბილისი იქ იყო და კომენტარებს პირდაპირ ეთერში ვუშვებდით. ბოლო წუთამდე იყო მოწოდებები, იმედები და დაპირებები — მოდის გუჯაბიძე, მოდის ჭუმბურიძეო. არც მძიმე ტექნიკა გვყოფნიდა და საკმარისი არც ცოცხალი ძალა იყო. ჩვენ არანაირ ცენზურას არ განვიცდიდით და ვაღიარებ, ხანდახან ისეთ გულუბრყვილო შეცდომებს ვუშვებდით, რითაც მოწინააღმდეგე მხარის წისქვილზე ვასხამდით წყალს. ეს კი ისევ ჩვენ გვიბრუნდებოდა.

სხვათა შორის, ომის დროს არანაკლებ აქტიურად მუშაობდა აფხაზური ტელერადიოკორპორაცია. მათ გაგრა და გუდაუთა ჰქონდათ ხელში და რუსულ-აფხაზურ გადაცემებთან ერთად ქართულსაც უშვებდნენ ეთერში. ჩვენს საპირისპიროს აცხადებდნენ და როგორც დღეს, მაშინაც აგრესორებსა და დამპყრობლებს გვიწოდებდნენ.

სოხუმის დაცემამდე 4-5 დღით ადრე ტელეანძა ააფეთქეს, რის შემდეგაც შეწყდა ტელეგადაცემები. რადიოს კვლავ მასობრივი დატვირთვა მიეცა. დღეში რამდენჯერმე გავდიოდით ეთერში და ეს სახელმწიფო მეთაურის სურვილი იყო. კრიტიკულ ეტაპზე მინისტრთა საბჭოს შენობაში სიტუაცია მუდმივად იცვლებოდა. სახელმწიფო მეთაური დღეში 3-ჯერ ჟურნალისტებს საკუთარი ინიციატივით გვხვდებოდა. შევარდნაძის სურვილი იყო, ხალხი პანიკაში არ ჩაგვეგდო და ჩვენც, სანამ მას ვხედავდით, სოხუმის დაცემა გულში არ გაგვივლია.

არადა აფხაზები, რუსული ტექნიკით შეიარაღებულნი, შრომასა და აჩადარაში იყვნენ გამაგრებულნი და სოხუმის დაცემაც დღე-დღეზე გარდაუვალი ხდებოდა. ბოლო 3-4 დღე სახელმწიფო მეთაური მინისტრთა საბჭოს შენობაში არ გამოჩენილა, რამაც შეგვაშფოთა აქამდე იმედიანად განწყობილი ჟურნალისტები. თამაზ პაიჭაძე, რომელიც გვამხნევებდა, თვითონაც შეიცვალა და დაბნეული ჩანდა, თითქოს რაღაცის თქმას აპირებდა და გვიმალავდა.

ტელერადიოკომიტეტშიც არავინ მოდიოდა, ოჯახის პატრონებს უფრო რთულად ჰქონდათ საქმე, დაუოჯახებლები ღამეც რადიოს სტუდიაში ვრჩებოდით. ტელევიზიის ოპერატორმა ენემეო სიდიანმა სულ რაღაც ნახევარ საათში აუღო ალღო რადიოს. ბოლოს სამნიღა დავრჩით, ჩვენთან ერთად სტუდიაში მუშაობდა ლეილა ნაროუშვილი.

25 სექტემბერს, როცა სოხუმი ალყაში მოექცა, მგონი, ქალაქში მარტო რადიო მუშაობდა, თუმცა გაგრძელებას უკვე აზრი არ ჰქონდა. შიმშილისაგან სული მიგვდიოდა, მაგრამ ცხონებულმა თემურ ფიფიამ გვიხსნა — ერთი ტომარა შოთი პური გვაჩუქა. ცარიელი პურით სული მოვითქვით, ნაწილი სეიფში მეორე დღისთვის საგულდაგულოდ შევინახეთ. 26 სექტემბერს რადიოეთერში ბოლო გადაცემა გავიდა, ვამხნევებდით ხალხს — სოხუმი არ დაეცემა, დამხმარე ძალები გვიხსნიან, ექსპრეზიდენტის მომხრეები შემოუერთდებიან საომარ მოქმედებებსო, მაგრამ ჩვენი ნათქვამისა უკვე ჩვენც არ გვჯეროდა. დრო იყო, საკუთარი თავისთვის მიგვეხედა და ევაკუაციაზე გვეზრუნა. ენემეო გულრიფშისაკენ გზას ფეხით დაადგა... რადიოს სტუდია კი მივალაგე, ოთახი გასაღებით ჩავკეტე იმ ფიქრით, რომ სამსახურში მეორე დღესაც დავბრუნდებოდი, ცარიელი შენობა დავტოვე. იმედი რომ არ მქონოდა, შესაძლოა იქაურობა მე თვითონ ამეფეთქებინა იმ ერთადერთი ხელყუმბარით, რომელსაც ბოლო დღეებში სულ თან ვატარებდი. ხელუხლებელი, საათივით აწყობილი რადიო დავტოვე...

ქალაქში ნამდვილი ჯოჯოხეთი ტრიალებდა. ვინ სვანეთისკენ ფეხით გაუდგა გზას. გემები ხალხს ვერ იტევდა. მე ერთ-ერთი უკანასკნელი გემით, მაჭარკოს გავლით დავტოვე სოხუმი. ერთი დღე შუა ზღვაში ვიდექით, 27 სექტემბერს, დილის 10 საათზე, იქიდან ვუყურებდი სოხუმის დაცემას... გემბანიდან ხელისგულივით ჩანდა, თუ როგორ დაჯირითობდნენ ქალაქში ტანკები, იწვოდა ყველაფერი და შავ ბოლს სივრცეში გამარჯვების ფეიერვერკი კვეთდა. ცეცხლის ალში იყო გახვეული ტელერადიოკომპანიის ფლიგელი, რომელიც რამდენიმე საათის წინ გაჰკიოდა, რომ ეს არ მოხდებოდა. გულის ჯიბეში კი რადიოსტუდიის გასაღები მედო...

საღამოს ფოთში ჩამოვედი, სულ მცირე ხანში ტელერადიოკომპანიის ყველა ჟურნალისტი თბილისში შევიკრიბეთ და აქ კომპანიის ხელმძღვანელის მოადგილის მალხაზ პატარაიას ძალისხმევით საბურთალოზე გამოგვიყვეს შენობა, სადაც ამჟამადაც მუშაობს აფხაზეთის რადიოტელევიზია. ომში ჟურნალისტებად ქცეულმა სხვადასხვა პროფესიის ადამიანებმა არ ვუღალატეთ ამ საქმეს.

ჩვენი დამარცხების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ ჩვენ, აფხაზებისაგან განსხვავებით, აფხაზისაგან მტრის ხატი არ შევიქმნია, მათ კი ეს ბრწყინვალედ გააკეთეს. ჩვენ გამოკვეთილი იდეოლოგია არც ომის დროს გვქონდა და არც მის შემდეგ; ჩვენ მოვლენებს დღესაც არ ვარქმევთ კონკრეტულ სახელებს და არ ვიცით, აფხაზი მტერია თუ მოყვარე?! ყველაზე უარესი გაურკვეველი პოზიციაა, როცა ვაღიარებთ ინკოგნიტო კონფლიქტს და გვეშინია მისთვის სახელის დარქმევა...

***რუსუდან მიქენაია***

# — ქართველები „ვეფხისტყაოსანმა" გადაგვარჩინა...

**(დასაწყისი იხ. გვ. 12)**

ისინი იმ განცალკევებული ბარაკებისაკენ წაიყვანეს. დანარჩენებს დაგვირიგეს ხაკისფერი სამხედრო ფორმები, რომელიც უფრო პოლონურს ჰგავდა. გადაგვიყვანეს რამდენიმე კილომეტრის მოშორებით ფიჭვნარ ტყეში. სწორედ იქ შეიქმნა პირველი ქართული ბატალიონი „თეთრი გიორგი". გავდიოდით სამხედრო მომზადებას. გვეუბნებოდნენ, რომ ჩვენი საქმე წმინდა ქართული, პატრიოტულია, „თეთრი გიორგი" არაფერს მოღალატურს არ აკეთებს, ქართველს ტყვიას არ ვესვრითო.

როცა გერმანელები კავკასიაში შევიდოდნენ, ჩვენი ბატალიონი საქართველოში უნდა ჩამდგარიყო და წესრიგი დაემყარებინა. ამისათვის ამზადებდნენ „თეთრ გიორგის".

გერმანელები ჩრდილოეთ კავკასიას მიადგნენ. ოთხი ქართული ასეულიც იქით გადაისროლეს. ეს ის პერიოდია, როცა საქართველოს ტერიტორიაზეც აქა-იქ დადგეს ფეხი ფაშისტებმა. ახლა უკვე გერმანული ფორმა გვეცვა. რუსული იარაღით ვიყავით აღჭურვილნი და ბრძანებას ველოდებოდით. ჩემი ასეული ცეცხლის ხაზიდან ხუთი კილომეტრით იყო დაშორებული. ჩვენზე წინ კიდევ რამდენიმე ქართულ-გერმანული ასეული იდგა. ჩვენ წინ მყოფი ასეულები შეთანხმებიან საბჭოთა მხარეს, რომ ნიშნის მიცემის შემდეგ გადავიდოდნენ მათ მხარეზე და დანარჩენებსაც ფრონტის ხაზზე გადაგვიყვანდნენ.

ერთ ღამეს ბატალიონში ჩოჩქოლი ატყდა, — ადექით, მივდივართო. ავიშალეთ, მაგრამ არც ერთმა ჩვენგანმა არ იცოდა, სად მივდიოდით, კითხვის უფლებაც არ გვქონდა — ომში რასაც გიბრძანებენ, ის უნდა გააკეთო. მხოლოდ მერე გავიგეთ, რომ საბჭოთა მხარეზე გადავდიოდით. თუმცა, ჩვენ კი გადავდიოდით, მაგრამ ვინ გვიშვებდა? გარეთ გამოვედით თუ არა, გერმანელებმა ალყა შემოგვარტყეს, იარაღი დაგვაყრევინეს და დაგვატყვევეს. გერმანელები ამას ნამდვილად არ გვაპატიებდნენ და დაგვხვრეტდნენ, მაგრამ ისევ მაღლაკელიძემ და იმ გერმანელმა გენერალმა იმარჯვეს. თუმცა ამის შემდეგაც იყო საუბარი, რომ ყოველი მეხუთე დაეხვრიტათ.

მიუხედავად გერმანული პრინციპულობისა, მაღლაკელიძის დაჟინებამ მაინც გაჭრა, მან ცენტრს სთხოვა ჩვენთვის სიცოცხლე შეენარჩუნებინათ — სად გვყავს დასახვრეტი ქართველებიო, — უთქვამს. ამბობენ, გერმანელებმა უსაყვედურეს მაღლაკელიძეს — რა ხალხი ხართ ეს ქართველები. სიკვდილს გადაგარჩინეთ, ჩაგაცვით და დაგახურეთ, გასვით და გაჭამეთ, სამშობლოს გათავისუფლების შანსი მოგეცით და თქვენ ისევ გვიღალატეთო. მაღლაკელიძეს ამაყად მიუგია, — ჩვენ ის ხალხი ვართ, მსოფლიოს „ვეფხისტყაოსანი" რომ მისცაო. ეგ რაღააო, — გაკვირვებიათ ფაშისტებს. მაღლაკელიძეს შოთას პოემის თარგმანი წაუკითხავს მათთვის...

თურმე ნაწილობრივ „ვეფხისტყაოსნის" გენიალურობამ განაპირობა ჩვენი გადარჩენა.

ჩვენთვის ხელი არავის უხლია. მაშინ 1943 წლის ზამთარი იდგა. მთებში ვიყავით და საშინლად გავცივდი. ორივე ფილტვის ანთება დამემართა და თავის ტკივილი დამჩემდა. ჰოსპიტალში გადამიყვანეს. მკურნალობის შემდეგ სამხედრო კომენდატურაში გადამაგზავნეს გასანაწილებლად. ისევ ჩემს ბატალიონში დაბრუნება მოვითხოვე, მაგრამ სამწუხაროდ, ბატალიონი ვერსად აღმოაჩინეს. ჩემნაირი გზააბნეული ბევრი იყო. კომენდატურაში ყველას ერთად მოგვხვიეს ხელი და ავსტრიაში, ვენის ახლოს გადაგვისროლეს. იქ მთებში გვირაბს გვათხრევინებდნენ. გერმანელები მთის გულში საიდუმლო ქარხნის აგებას აპირებდნენ, მაგრამ აღარ დასცალდათ. 1945 წელს ავსტრიაში ამერიკელები და ინგლისელები შემოვიდნენ, გერმანიის კაპიტულაციის ამბავიც იქ შევიტყვე. ახლა ინგლისელებმა შემოგვთავაზეს, — ვისაც გინდათ, სამშობლოში დაბრუნდით, ვისაც არადა, თქვენი ადგილი აქაც მოიძებნებაო. ყველამ კარგად ვიცოდით, საბჭოთა კავშირში დაბრუნება რადაც დაგვიჯდებოდა, მაგრამ უმრავლესობამ მაინც ეს ვარჩიეთ. გაგვასამართლეს. 25-25 წელი მოგვისაჯეს. შემომატარეს მთელი რუსეთი, მათ შორის ციმბირი, შორეული აღმოსავლეთი, ვიყავი კოლიმაზე, მაგადანში ოქროს საბადოებზე ვმუშაობდი, მერე იაკუტიაში ამომაყოფინეს თავი. სწორედ აქ შევხვდი ჩემი ბატალიონის რამდენიმე წევრს. მათ მიამბეს, რაც შემდეგ მომხდარა. დახვრეტას გადარჩენილი „თეთრი გიორგი" ინგლისელების წინააღმდეგ საბრძოლველად გადაუსროლიათ, სადაც ტყვედ ჩაუგდიათ და ამერიკაში გადაუგზავნიათ, იქიდან — საბჭოთა კავშირში. სასჯელი, ცხადია, მათაც არ ასცდენიათ. ყველა შორეულ აღმოსავლეთში გაუმწესებიათ და ასე ციხე-ციხე მოგზაურობდნენ ჩემსავით. ტყვეთაგან, ვინც სამშობლოში წამოსვლას ამერიკაში დარჩენა ამჯობინა, ლათინური ამერიკის ქვეყნების არმიებში გაუგზავნიათ. მას შემდეგ მათზე აღარაფერი მსმენია...

მე ციხეში 12 წელი გავატარე. როგორც იქნა, გავთავისუფლდი. შევქმენი ოჯახი და მას შემდეგ არავის შევუწუხებივარ. თუმცა ჩემი თავგადასავალი დღემდე არავისთვის მიამბნია...

***ესაუბრა თამაზ ხაბეიშვილი***

## ფრაგმენტებიანი კროსვორდი



### თარაზულად:


**3** მეტყველების თანმხლები ან მისი შემცვლელი ხელის მოძრაობა


**8** ტიტული


**9** შუქფარი


**10** ფოსტალიონის ჩანთა


**11** მშენებლობის საწარმოებლად საჭირო დოკუმენტთა ერთობლიობა


**12** სითხე, რომლის გამოყოფასაც აძლიერებს ეს მცენარე


**15** კავკასიის გარეული თხა


**16** დედალი ღორი


**18** პურეული მცენარე

**20** დიდმარხვის წინა კვირა


**21** ნერვული სისტემის დაწყნარების საუკეთესო საშუალება

**23** ნაცარტუტაში გამოხარშული ხის სოკო, გამოიყენება ტალკვესთან ერთად


**25** (სახელმწიფო)


**26** სპირტიანი სასმელი, რომლის სამშობლო ირლანდია და შოტლანდიაა


**30** ბზიების თამაში


**32** ძველ რომაელთა ფეხსაცმელი


**33** ბავშვი, ყმაწვილი



**34** „მფრინავი“ ლითონი


**35** გზის ტიპი


**36** თანამესუფრე. (საბა)

### შვეულად:


**1** ვაგონის დახურული ბაქანი


**2** საქონლის მოსათავსებელი ქურჭელი


**3** კონკურსზე პრემიების მისანიჭებლად გამოყოფილი სპეციალისტთა ჯგუფი


**4** გულმავიწყობა


**5** სასპორტო ან სასეირნო-ტურისტული გემი


**6** ფულის ნიშნებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების კურსის აწევა



**17** ნამდვილი ბორჯომის №2 განმასხვავებელი ნიშანი



**28** ქვეყანა


**7** ოპერა „ჯამბაზების“ შესავალი


**19** ეროვნება


**29** მიწათმოქმედი


**13** ძველბერძენი მათემატიკოსი


**22** „წმინდა მეფე ლუდოვიკოს ხიდი“ (1927), „მარტის იდები“ (1948) (მწერალი)



**31** რაიმე ფაქტის დამადასტურებელი საბუთი



**14** სუპერკონტინენტი


**33** ყველაზე პოპულარული სასმელი


**15** ჯიბით სატარებელი დასაკეცი დანა


**24** ოპტიკური ხელსაწყო


**16** ლიტერატურაში მოიხსენიება როგორც — „ტრიქტრაკი“დასავლეთში — „ბეგკემონი“, ჩვენში?


**27** მოწყობილობა ხაზვისათვის, რომელსაც შერჩა გამომშვები ფირმის სახელწოდება.

კროსვორდი შეადგინა *რამაზ ალანიამ*

**„კვირის პალიტრა“ №32 კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 7. ტრანსპორტი; 8. ეპითელიუმი; 10. ალგებრა; 11. რეიტუზი; 12. ბრინჯაო; 16. მილსადენი; 18. ბგერა; 19. კადრი; 20. აბისინია; 21. შოკოლადი; 25. ბოთლი; 26. ამბრი; 27. ალიგატორი; 30. მაგნატი; 31. ქანდარა; 34. კუპიურა; 35. პრეფერანსი; 36. ციფერბლატი.

**შვეულად:** 1. არქიპელაგი; 2. ეპიფიზი; 3. სტილი; 4. ოპერა; 5. ტენდერი; 6. იმპერატორი; 9. მელომანი; 13. წინანდალი; 14. ანტიკვარი; 15. არაბული; 17. გახდომა; 22. ბომბარდირი; 23. ბრაზილია; 24. ერითროციტი; 28. მტკვარი; 29. საყვირი; 32. პულსი; 33. ორგია.

• ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი •

**21.25 „სიჩქარე-2“ — აშშ**



თავად მოგეხსენებათ, რომ ყველა წარმატებულ ფილმს ამერიკელები ზედიზედ რამდენიმე გაგრძელებასა და დამატებას მოაყოლებენ ხოლმე. ასე მოხდა ამჟამადაც. ფილმში ისევ დაძაბული სიუჟეტია... „სიჩქარე-2“ პირველისგან იმით განსხვავდება, რომ მამაკაცის მთავარ როლს კიანუ რივზი აღარ ასრულებს. რეჟ. იან დე ბონტი. მთ. როლებში სანდრა ბალოკი, ჯეისონ პატრიკი და უილემ დეკო.

**01.00 „ორი ჯეიკი“ — აშშ**



ლოს-ანჯელესი. 1948 წელი. მიწის ნაკვეთით მოვაჭრე ჯეიკ გერმანი თავის სეხნიას ჯეიკს დაიქირავებს, რათა საკუთარ ცოლს უთვალთვალოს. დაქირავებული ჯეიკი ეჭვიან ქმარს დეტალურად აწყობინებს ყველაფერს. გერმანი კლავს ცოლის საყვარელს, რომელიც მისივე პარტნიორი აღმოჩნდება ბიზნესში. დაქირავებულ ჯეიკს ეჭვი უჩნდება, რომ ეს მკვლელობა წინასწარ იყო დაგეგმილი. რეჟ. ჯეკ ნიკოლსონი, მთ. როლებში: ჯეკ ნიკოლსონი, ჰარვი კეიტელი, მეგ ტილი.

**16.00 „ლამაზმანი“ — აშშ**



ზღაპრული „კონკიას“ თანამედროვე ვერსიას მაყურებლის წინაშე წარდგენა არ სჭირდება, რადგან უკვე დიდი ხანია მოიპოვა საყოველთაო სიყვარული და რომანტიკული კინოს კლასიკად იქცა. ფილმის მთავარი გმირი მომხიბლავი და გულუბრყვილო ვივიანი შემთხვევით მოხვდება მილიონერი ბიზნესმენის ცხოვრებაში და მათ შორის უცნაური სიყვარული იფეთქებს... რეჟ. ჰარი მარშალი. მთ. როლებში: ჯულია რობერტსი, რიჩარდ გირი.

**23.50 „განსაკუთრებული მერი“ — აშშ**



ქრონიკული უიღბლობით გატანჯულ ყმაწვილს მშვენიერი გოგონა უყვარს. მაგრამ იგი სხვა ქალაქში მიემგზავრება. სასოწარკვეთილი ჭაბუკი მის საპოვნელად კერძო მაძებარს დაიქირავებს, რომელიც თავად დაადგამს თვალს ძიების ობიექტს. ვის დარჩება საბოლოოდ ქალიშვილი? რეჟ. პიტერ და ბობი ფარელები. მთ. როლებში: ბენ სტილერი, კამერონ დიასი, მეტ დეიმონი, კრის ელიოტი და ლი ევანსი.


**ქართულ-გერმანული სკოლა „ა-Z“ (ა-ცეტ)**

ქართული სკოლის კეთილი ტრადიციების გაგრძელება და ევროპული სკოლის გამოცდილების დანერგვა;

მაღალკვალიფიციური პედაგოგ-მასწავლებლები და არასტანდარტული საავტორო პროგრამები;

ესთეტიური აღზრდისა და ჟურნალისტური სტუდიები;

გულისხმიერი აღმზრდელები და კეთილისმყოფელი გარემო თქვენი შვილებისათვის 9-დან 17 სთ-მდე;

ჩვენ არა მხოლოდ საფუძვლიან განათლებას გპირდებით, არამედ თქვენი შვილების თავისუფალ მოაზროვნე შემოქმედებისუნარიან პიროვნებად ჩამოყალიბებაზეც ვიზრუნებთ..

**ქართულ-გერმანული სკოლა „ა-ზ“**

**ევროპული ტიპის ქართული სკოლა**

მობრძანდით 21 აგვისტოდან, პეტრიაშვილის ქ. №7-ში (მე-6 გიმნაზიის შენობა) ინფორმაციისთვის დარეკეთ 19 სთ-დან. ტ: 52-10-05



**მეტალოპლასტიკის კარები და ფანჯრები ევროპიდან**



WINHOUS®

ფასი 80$-დან

შპს „გეოკოლორი“, თბილისი, დიდუბის ქ. №5

☎29-40-30


• ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი •

**ორშაბათი**

08.00, 13.00 ალიონი 09.30 აერობიკა 09.45, 21.00 სერიალი "შავი მარგალიტი" 10.25 მხ.ფ. "ვერ დაგელოდები" 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 00.00 მოამბე 12.10 ენერგია 12.25 ინტერპანორამა 12.40 ტვ-მობილი 14.30 სპა 14.50, 19.40, 21.50 უ-თუ-ოდ 15.10 საკვირაო გამოფენა 15.25 კონცერტი 16.10 მხ.ფ. "ციცი საუზმე" 17.40 მესაკუთრე 18.10 "50-50" 18.45 როგორ შეაფასებდით 19.45 ბასტი-...

... თხოვნით - მხ.ფილმი 18.50 ფილმების ინტერაქტივი 18.55 მუსიკალური ინტერაქტივი 19.00 ანონსი 19.05 ტელეგაზეთი 19.10 სპორტული ინფორმაცია 19.25 მოკლედ... 19.30 ეკრანი, რეალობა, ადამიანი. 19.45 „ეკრანული სახეები“ - მხ.ფ. **„შეგნება“** მძაფრსიუჟეტიანი. როლებში: ბრიჯიტ ფონდა და მაიკლ ო,კიფი. 21.15 ფილმების ინტერაქტივი 21.20 „აჩიკუდა“ 21.50 ტელეგაზეთი 22.00 სპორტული ინფორმაცია 22.05 ეკრანი, რეალობა, ადამიანი 22.15 ფილმების ინტერაქტივი 22.20 „კინოკლუბი„ - მხ.ფ **„მოახლე“**. ცხოვრებისეული. როლებში: სალი ფილდი, ჯუდი დეივისი. 23.55 დოკ.ფ. „ბრიტანეთის სპეცსამსახურები“ 00.15 მუსიკალური ტაიმაუტი 00.25 ტელესერიალი „მენტები“ - 9 სერია.

ОРТ 07.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 01.10 Новости. 10.15, 17.55 Сериал "ВАВИЛОНСКАЯ БАШНЯ". 11.15 Поле чудес. 12.20 Ералаш. 12.30 Сериал "КОМПЬЮТЕРНЫЕ ВОЙНЫ". 13.15 Телеканал "Добрый день". 13.50 Х/Ф "БЕЛЫЕ РОСЫ". 15.30 "Вместе". 16.20 Мультфильм. 16.40 Звездный час. 17.10 "... До 16 и старше". 17.45 Вкусные истории. 20.15 Х/Ф "ПАРОЛЬ ЗНАЛИ ДВОЕ". 22.00 Время. 22.45 "ТЫСЯЧЕЛЕТИЕ". 23.40 Х/Ф "ИГЛА". 01.25 "ПАРАНОРМАЛЬНЫЕ ЯВЛЕНИЯ".

РТР 07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ВЕСТИ 07.15 Доброе утро, Россия. 07.20, 09.30 Семейные новости. 07.50, 08.50, 09.50 Новости Москвы. 08.15, 10.15 "Черным по белому". 08.20 Почта РТР. 08.35, 21.30 Дежурная часть. 10.35 Мультфильм. 11.00 "МАНУЭЛА". 12.35 "САНТА-БАРБАРА". 13.30 Диалоги о животных. 14.30 "Марьина роща". 15.30 "ЧЕРНАЯ ЖЕМЧУЖИНА". 16.25 "БОГАТЫЕ И ЗНАМЕНИТЫЕ". 17.20 "ПРОСТЫЕ ИСТИНЫ". 18.30 Сам себе режиссер. 19.00 "ГРАФИНЯ ДЕ МОНСОРО". 20.00 "КОМИССАР РЕКС". 21.50 Сериал "ИСТОРИЯ ЛЮБВИ". 23.55 Сериал "СЛЕДСТВИЕ ВЕДУТ ЗНАТОКИ". 01.35 "К-2" представляет.

НТВ 07.00 Сегодня утром. 07.20, 08.20, 19.40 Криминал. 07.35, 08.50 "Карданный вал". 07.50, 09.20 Впрок. 08.35, 09.45 Мультфильм. 09.55 "НЕПРИКАСАЕМЫЕ". 11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня. 11.25 Сериал "ЛЮБОВЬ И ТАЙНЫ САНСЕТ БИЧ". 13. 25 Х/Ф "ТОРПЕДОНОСЦЫ". 15.30 "Чистосердечное признание". 16.00 Сериал "ГОЛУБОЕ ДЕРЕВО". 17.35 "Намедни-73". 18.40 Футбольный клуб. 20.35 Х/Ф "ТРИ МУШКЕТЕРА - ПОДВЕСКИ КОРОЛЕВЫ". 22.25 "Русские тайны". 23.45 "Тушите свет". 00.00 "КРУТОЙ УОКЕР". 01.05 Антропология.

**სამშაბათი**

08.00, 13.00 ალიონი 09.30 აერობიკა 09.45, 21.00 სერიალი "შავი მარგალიტი" 10.20 ქართ.მხ.ფ. "დაკარგული სამოთხე" 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 00.00 მოამბე 12.10 ვიდეოპატრული-02 14.30 სავერბურთო მიმოხილვა 14.50, 19.40, 21.50 უ-თუ-ოდ 15.10 დავით ალმაშენებელი 15.45 ჩვენი მისამართია 16.15 მხ.ფ. "ფულის ორმო" 17.45 პატარა კონცერტი 18.10 მამული ჩემი 18.25 "ქართული კინოს ...

... ინფორმაცია 19.25 მოკლედ... 19.30 ეკრანი, რეალობა, ადამიანი 19.40 ფილმების ინტერაქტივი 19.45 „ეკრანული სახეები“ - მხ.ფ. **„ჯეკი ბრაუნი“** მძაფრსიუჟეტიანი. როლებში: ბრიჯიტ ფონდა, მაიკლ კიტონი, რობერტ დე ნირო. 22.15 „აჩიკუდა“ 22.50 ტელეგაზეთი 23.00 სპორტული ინფორმაცია 23.05 ეკრანი, რეალობა, ადამიანი 23.15 ფილმების ინტერაქტივი 23.20 „კინოკლუბი„ - მხ.ფ. **„განდიდების მანია“** შესანიშნავი კომედია ლუი დე ფიუნესის მონაწილეობით. 01.05 დოკ. ფ. „ბრიტანეთის სპეცსამსახურები“ 01.35 მუსიკალური ტაიმაუტი 01.45 ტელესერიალი „მენტები“ - 10 სერია.

ОРТ 07.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 01.20 Новости. 10.15, 17.55 Сериал "ВАВИЛОНСКАЯ БАШНЯ". 11.15 Здоровье. 11.45 "Колесо истории". 12.30 Сериал "КОМПЬЮТЕРНЫЕ ВОЙНЫ". 13.15 Телеканал "Добрый день". 14.25 Сериал "СПРУТ". 15.30 "Вместе". 16.20 Мультфильм. 16.40 Царь горы. 17.10 "... До 16 и старше". 17.45 Вкусные истории. 19.30 Х/Ф "ХИЩНИКИ". 21.15 Жди меня. 22.00 Время. 22.45 "УГОЛ АТАКИ". 23.40 Звезда по имени Солнце. 10 лет спустя. 00.10 Виктор Цой и группа "Кино". Последний концерт. 01.35 "К ВОСТОКУ ОТ РАЯ". 02.40 "ЗАТЕРЯННЫЕ НА ЗЕМЛЕ".

РТР 07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ВЕСТИ 07.15 Доброе утро, Россия. 07.20, 09.30 Семейные новости. 07.50, 08.50, 09.50 Новости Москвы. 08.15, 10.15 "Черным по белому". 08.20 Почта РТР. 08.35, 21.30 Дежурная часть. 10.35 Мультфильм. 11.00 "МАНУЭЛА". 12.35 "САНТА-БАРБАРА". 13.30 Диалоги о животных. 14.30 "Марьина роща". 15.35 "ЧЕРНАЯ ЖЕМЧУЖИНА". 16.25 "БОГАТЫЕ И ЗНАМЕНИТЫЕ". 17.20 "ПРОСТЫЕ ИСТИНЫ". 18.30 Сам себе режиссер. 19.00 "ГРАФИНЯ ДЕ МОНСОРО". 20.00 "КОМИССАР РЕКС". 21.50 Сериал "ИСТОРИЯ ЛЮБВИ". 00.00 "СЛЕДСТВИЕ ВЕДУТ ЗНАТОКИ". 01.35 "К-2". 01.55 Х/Ф "УЛИЦА КАНАРЕЕК".

НТВ 07.00 Сегодня утром. 07.20, 08.20, 19.40 Криминал. 07.35, 08.50 "Карданный вал". 07.50, 09.20, 18.30 Впрок. 08.35, 09.45 Мультфильм. 09.55, 00.00 "КРУТОЙ УОКЕР". 11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00, 01.00 Сегодня. 11.25 Сериал "ЛЮБОВЬ И ТАЙНЫ САНСЕТ БИЧ". 13.25 Х/Ф "БЛОНДИНКА ЗА УГЛОМ". 15.30 "Дог-шоу. Я и моя собака". 16.00 Сериал "ГОЛУБОЕ ДЕРЕВО". 17.35 "Намедни-74". 18.40 "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО". 20.35 Х/Ф "ТРИ МУШКЕТЕРА - МЕСТЬ МИЛЕДИ". 22.25 Один день. 23.45 "Тушите свет". 01.05 Антропология.

**ოთხშაბათი**

08.00, 13.00 ალიონი 09.30 აერობიკა 09.45, 21.00 სერიალი "შავი მარგალიტი" 10.30 მხ.ფ. "ზორო 30" 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 00.00 მოამბე 12.10 დავით ალმაშენებელი 12.50, 21.50 უ-თუ-ოდ 14.30 "ფეხბურთი მუნდიალი" 15.10 ვიდეოპატრული-02 15.25 მხ.ფ. "სტალკერი" 18.10 ფეხბურთი. კოლუმბია - ურუგვაი 19.45 "ბასტი-ბუბუ" 20.50 "ვიდეოპატრული - 02" 22.00 ვესტნიკი 22.20 ფეხბურთი. ...

20.55 პროგრამა "F" მხ.ფ. "დამაჯერელი მახვილი" 22.45 "ბრაუნ". მხ.ფ. "ნაღმები-4 - შელოცვა". მთ. როლში ნაზ პალმინტერი. 00.40 "ლამურა" მხ.ფ. "ყვავილების ხანა" 02.20 ნონ-სტოპი

09.00 ინფორმაცია "დილას" 09.15, 18.15 მულტფილმი "მიჩარე მხედარიბი" 09.40 მხ.ფ. "შოლტალოგი" 12.35, 13.15, 22.05, 00.10 მუსიკა 12.50 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 13.30 მხ. ფილმი "სარისკო ბიზნესი" 15.05, 18.45 შემეცნებითი პროგრამა "დისქავერი" 15.55 მხ.ფ. "მატყუარა, მატყუარა" 18.00 საინფორმაციო პროგრამა "საღამოს ექვს საათზე" 20.30 საინფორმაციო პროგრამა "ცხრის ნახევარზე" 20.55 "ველური ბუნება" 21.20 "სრულიად საიდუმლოდ" 22.25 მხ. ფილმი "პატრიარქი" მთ. როლში კურტ რასელი. 00.00 საინფორმაციო პროგრამა "შუაღამისას" 00.30 მხ. ფილმი "საიდუმლო ზონები" მთ. როლებში გაბრიელ ბირნი, სტივენ ბოლდუინი.

VII არხი 09.15 ინფორმაცია დილისათვის 09.20 სპორტული ინფორმაცია 09.30 „აჩიკუდა“ 09.55 მუსიკალური ინტერაქტივი 10.00 მხ.ფ. **„ჯუნგლების წიგნი“**, სათავგადასავლო ჟანრის. როლებში: ჯეისონ სკოტ ლი, სემ ნილი. 11.40 ფილმების ინტერაქტივი 11.50 სპორტული ინფორმაცია 11.55 ტელეგაზეთი 12.00 ეკრანი, რეალობა, ადამიანი 12.10 ნახატი ფილმი 12.30 დოკ.ფ.„ბრძოლა წესების გარეშე“ 12.55 მუსიკალური ინტერაქტივი 17.05 ტელეგაზეთი 17.15 ფილმების ინტერაქტივი 17.20 ფილმი თქვენი თხოვნით - მხ.ფილმი 18.45 ფილმების ინტერაქტივი 18.55 მუსიკალური ინტერაქტივი 19.05 ტელეგაზეთი 19.10 სპორტული ინფორმაცია 19.25 მოკლედ... 19.30 ეკრანი, რეალობა, ადამიანი 19.40 ფილმების ინტერაქტივი 19.45 „ეკრანული სახეები“ - მხ.ფ. **„მეუღლე“** მძაფრსიუჟეტიანი დეტექტივი. როლებში: ბრიჯიტ ფონდა, კიფერ საზერლენდი. 21.20 „აჩიკუდა“ 21.40 მუსიკალური ინტერაქტივი 21.55 ტელეგაზეთი 22.00 ვალუტის კურსი 22.05 სპორტული ინფორმაცია 22.10 ეკრანი, რეალობა, ადამიანი 22.20 ფილმების ინტერაქტივი 22.25 „კინოკლუბი„ - მხ.ფ. **„პაპანაქება“** საშინელებათა ჟანრის. 00.00 დოკ. ფ. „ბრიტანეთის სპეცსამსახურები“ 00.30 მუსიკალური ტაიმაუტი 00.35 ტელესერიალი „მენტები“ - 12 სერია.

ОРТ 07.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.25 Новости. 10.15, 17.55 Сериал "ВАВИЛОНСКАЯ БАШНЯ". 11.15 Пока все дома. 11.50 Жди меня. 12.30 Сериал "КОМПЬЮТЕРНЫЕ ВОЙНЫ". 13.15 Телеканал "Добрый день". 13.40 "СПРУТ". 15.30 "Вместе". 16.20 Мультфильм. 16.40 Зов джунглей. 17.10 "... До 16 и старше". 17.45 Вкусные истории. 19.30 Диагноз для чикатило. 19.55 Футбол. Россия - Израиль. 22.00 Время. 22.45 "УГОЛ АТАКИ". 23.40 Как стать Наполеоном. 00.40 Цивилизация. 01.15 "К ВОСТОКУ ОТ РАЯ". 02.00 "ЗАТЕРЯННЫЕ НА ЗЕМЛЕ".

РТР 07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ВЕСТИ 07.15 Доброе утро, Россия. 07.20, 09.30 Семейные новости. 07.50, 08.50, 09.50 Новости Москвы. 08.15, 10.15 "Черным по белому". 08.20 Почта РТР. 08.35, 21.30 Дежурная часть. 10.35 Мультфильм. 11.00 "МАНУЭЛА". 12.35 Сериал "САНТА-БАРБАРА". 13.30 Диалоги о животных. 14.30 "Марьина роща". 15.30 "ЧЕРНАЯ ЖЕМЧУЖИНА". Сериал 16.25 Сериал "БОГАТЫЕ И ЗНАМЕНИТЫЕ". 17.20 "ПРОСТЫЕ ИСТИНЫ". 18.30 Сам себе режиссер. 19.00 "ГРАФИНЯ ДЕ МОНСОРО". 20.00 "КОМИССАР РЕКС". 21.50 Сериал "ИСТОРИЯ ЛЮБВИ". 00.00 "СЛЕДСТВИЕ ВЕДУТ ЗНАТОКИ". 02.05 Х/Ф "АФРИКАНСКИЙ ЛЕВ".

НТВ 07.00 Сегодня утром. 07.20, 08.20, 19.40 Криминал. 07.35, 08.50 "Карданный вал". 07.50, 09.20, 18.30 Впрок. 08.35, 09.45 Мультфильм. 09.55, 23.55 "КРУТОЙ УОКЕР". 11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00, 01.00 Сегодня. 11.25 Х/Ф "ЧЕТВЕРТАЯ ПЛАНЕТА". 13.25 Х/Ф "ШОФЕР МИСС ДЕЙЗИ". 15.30 "Без рецепта". 16.00 Сериал "ГОЛУБОЕ ДЕРЕВО". 17.35 "Намедни-75". 18.40 "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО". 20.35 Х/Ф "БОЛЬШАЯ СЕМЬЯ". 22.20 "Криминальная Россия". 23.45 "Тушите свет". 01.05 Антропология.

**ხუთშაბათი**

08.00, 13.00 ალიონი 09.30 აერობიკა 09.45, 21.00 სერიალი "შავი მარგალიტი" 10.30 მულტფილმი "ჩემი მეგობარი ტოტორო" 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 00.00 მოამბე 12.15 ვიდეოპატრული-02 12.30 აქცენტი 12.50, 19.30, 21.50 უ-თუ-ოდ 14.30 ლოტ. გადაცემა - გზასაშველი 15.15 დოკ. პროგრამა 15.55 მხ.ფ. "პოლიტკორექტული მდევარი" 17.45 მესაკუთრე 18.10 "50-50" 18.45 მინისერიალი "კრიმინალური პოლიციის ინსპექტორი" ...

... მუსიკალური ინტერაქტივი 19.05 ტელეგაზეთი 19.10 სპორტული ინფორმაცია 19.25 მოკლედ... 19.30 ეკრანი, რეალობა, ადამიანი 19.40 ფილმების ინტერაქტივი 19.45 ეკრანული სახეები - მხ.ფ. **„მკვლელი (ნიკიტა)“** მძაფრსიუჟეტიანი. როლებში: ბრიჯიტ ფონდა, გაბრიელ ბირნი, ხარვი კეიტელი. 21.30 „აჩიკუდა“ 21.50 მუსიკალური ინტერაქტივი 22.05 ტელეგაზეთი 22.15 სპორტული ინფორმაცია 22.20 ეკრანი, რეალობა, ადამიანი 22.30 ფილმების ინტერაქტივი 22.35 „კინოკლუბი„ - მხ.ფ. **„ვიკინგები“**. ისტორიული. მთავარ როლში კერკ დუგლასი. 00.05 ფილმების ინტერაქტივი გვიან ღამით 00.10 მუსიკალური ტაიმაუტი 00.20 დოკ. ფ. „ბრიტანეთის სპეცსამსახურები“

ОРТ 07.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.25 Новости. 10.15, 17.55 Сериал "ВАВИЛОНСКАЯ БАШНЯ". 11.15 Смехопанорама. 11.50 Человек и закон. 12.30 Сериал "КОМПЬЮТЕРНЫЕ ВОЙНЫ". 13.15 Телеканал "Добрый день". 13.40 "СПРУТ". 15.30 "Вместе". 16.20 Мультфильм. 16.40 Программа 100%. 17.10 "... До 16 и старше". 17.45 Вкусные истории. 19.30 Каламбур. 20.00 Х/Ф "НЕЖНЫЙ ПОЛИЦЕЙСКИЙ". 22.00 Время. 22.45 "УГОЛ АТАКИ". 23.40 Как быть Наполеоном. 00.40 "Собрание заблуждений". 01.10 "К ВОСТОКУ ОТ РАЯ". 02.05 "ЗАТЕРЯННЫЕ НА ЗЕМЛЕ".

**პარასკევი**

08.00 "ალიონი" 09.30 "აერობიკა" 09.45, 21.00 ტელესერიალი "შავი მარგალიტი" 10.30 მხ.ფ. "გაპრიჭო გაზონი" 12.00, 15.00, 18.00, 20.00, ყ 00.00 მოამბე 12.10 ვიდეოპატრული-02 12.25 ბელკანტო 12.45 "ჩვენი ენა ქართული" 12.55, 19.35, 21.50 უ-თუ-ოდ 14.30 საქმე 15.10 "აქცენტი" 15.30 კონცერტი 16.20 მხ.ფ. "მატყუარები" 18.10 "50-50" 18.45 მინისერიალი "კრიმინალური პოლიციის ...

ОРТ 07.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.35 Новости. 10.15 Сериал "ВАВИЛОНСКАЯ БАШНЯ". 11.15 Женские истории. 11.45 Клуб "Белый попугай". 12.25 Ералаш 13.15 Телеканал "Добрый день". 13.40 "СПРУТ". 15.30 "Вместе". 16.20 Страна чудес. 16.55 КВН-2000. 19.30 "Джентльмен-шоу". 20.00 Человек и закон. 20.45 Вкусные истории 20.55 Поле чудес. 22.00 Время. 22.45 Х/Ф "ЛАВРЫ И ЯД". 23.50 Как стать Наполеоном. 00.50 Х/Ф "ЛИХОРАДКА".

РТР 07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ВЕСТИ 07.15 Доброе утро, Россия. 07.20, 09.30 Семейные новости. 08.15, 10.15 "Черным по белому". 08.20 Почта РТР. 08.35, 21.30 Дежурная часть. 10.35 Мультфильм. 11.00 "МАНУЭЛА". 12.35 Сериал "САНТА-БАРБАРА". 13.30 Диалоги о животных. 14.30 "Марьина роща". 15.30 "ЧЕРНАЯ ЖЕМЧУЖИНА". Сериал 16.25 Сериал "БОГАТЫЕ И ЗНАМЕНИТЫЕ". 17.20 "ПРОСТЫЕ ИСТИНЫ". 18.30, 20.00 Сам себе режиссер. 19.00 "ГРАФИНЯ ДЕ МОНСОРО". 20.25 Вино-шоу- кур. 21.50 "ИСТОРИЯ ЛЮБВИ". 00.00 Х/Ф "ПРЕСТУПНЫЕ СВЯЗИ". 02.00 Х/Ф "МЕНЯ ЗОВУТ АРЛЕКИНО".

НТВ 07.00 Сегодня утром. 07.20, 08.20, 15.30, 19.40 Криминал. 07.35, 08.50 "Карданный вал". 07.50, 09.20, 18.30 Впрок. 08.35, 09.45 Мультфильм. 09.55 "КРУТОЙ УОКЕР". 11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня. 11.25 Сериал "ЛЮБОВЬ И ТАЙНЫ САНСЕТ БИЧ". 13.25 Х/Ф "УНИКУМ". 15.30 Служба спасения. 17.30 "Намедни-77". 18.40 "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО". 20.40 Х/Ф "ПОЛОСАТЫЙ РЕЙС". 22.20 "Женский взгляд". 23.45 "Тушите свет". 00.00 Х/Ф "КОГДА ЛЮБОВЬ УБИВАЕТ". 01.45 Х/Ф "КЕНТЕРБЕРИЙСКИЕ РАССКАЗЫ".

**შაბათი**

10.00 დილის პაემანი 11.30 "თბილისის დროით" 11.50 მულტფილმი "პრინცესა მონონოკე" 14.00 ზღვარი 14.40 ეძიე ქალი 15.00 "ვესტნიკი" 15.15 სატ. დადგმა "აკომპანიატორი" 15.50 რეგიონი 16.15 მხ.ფ. "დონ-ჟუანი" 17.40 სააგენტო "აბდა-უბდა" 17.55, 19.40, 20.45 უ-თუ-ოდ 18.00, 20.00, 00.00 "მოამბე" 18.10 "მიქელანჯელო" 18.40 აუდიტორია 19.20 სტადიონი 19.45 "ბასტი-ბუბუ" ...

... ილიას პუბლიცისტური წერილების მიხედვით. 20.10 რაგბი. სამი ერის ჩემპიონატი. 22.10 „აჩიკუდა“ 22.30 მუსიკა თხოვნით 22.50 ეკრანული სახეები - მხ.ფ. **„ბატონი ეჭვიანობა“** კომედია. როლებში: ბრიჯიტ ფონდა, ერიკ შტოლცი. დიდ სიყვარულს ყოველთვის ახლავს თან ეჭვიანობა... ეჭვი ყველა დროისა და ყველა ერის სენი... მტერი ყველანაირი გრძნობისა. ღამის სეანსი 00.35 ანონსი 00.40 ტელეგაზეთი 00.45 ვალუტის კურსი 00.50 სპორტული ინფორმაცია 00.55 „კინოკლუბი„ - მხ.ფ **„ბრალმდებელნი“**. დეტექტივი. როლებში: სტოკარდ ჩენინგი, მიშელ ფორბსი. 02.20 ფილმების რეკლამა გვიან ღამით 02.25 მუსიკალური ტაიმაუტი 02.30 დოკ.ფ. „ბრიტანეთის სპეცსამსახურები“ 03.05 ამინდის პროგნოზი 03.10 ანონსი

ОРТ 09.00, 11.00, 16.00, 19.00 Новости. 09.10 Слово пастыря. 09.25 "Все путешествия команды Кусто". 10.20 Играй, гармонь любимая. 10.50, 19.45 Ералаш. 11.10 Смак. 11.30 Спасатели. 12.00 С легким паром. 12.30 Утренняя почта. 13.05 Праздник Преображения Господня. 15.00 В мире животных. 15.45 История одного шедевра. 16.10 "ГОРЕЦ". 17.00 Седьмое чувство. 17.40 Х/Ф "СТРАХОВОЙ АГЕНТ" 19.15 "Женские истории". 20.05 Звезды эстрады в Кремле. 22.00 Время. 22.45 Х/Ф "НЕ МОЖЕТ БЫТЬ". 00.35 Х/Ф "САМОРОДОК". 04.30 "Все звезды".

РТР 09.00 Мультфильмы. 09.15 Х/Ф "НЕВЕРОЯТНЫЙ КАПИТАН НЕМО". 11.00 Доброе утро, страна. 11. 50 "Сто к одному". 12.35 Сам себе режиссер. 13.05 "ДРУЗЬЯ-2". 13.40 "Золотой ключ". 14.00 "России верные сыны". 15.00, 21.00 ВЕСТИ 15.20 Х/Ф "ДАМА С ПОПУГАЕМ". 17.00 Вечера в Политехническом. 18.00 "Пресс-клуб". 19.00 Моя семья. 20.00 "Два рояля". 21.30 Городок. 22.05 "Аншлаг" и Ко. 23.10 Х/Ф "НОЧНОЙ ОГОНЬ". 01.10 Х/Ф "СТРИНГЕР".

НТВ 09.00, 11.00, 13.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня. 09.15 Х/Ф "ПОЛОСАТЫЙ РЕЙС". 10.45 Мультфильм. 11.15 Криминал. 11.40 "Экстремальные ситуации". 12.25 "Растительная жизнь". 13.25 Х/Ф "ПРАВО НА ТАНЕЦ". 15.40 "В нашу гавань заходили корабли". 16.35, 22.35 Профессия-репортер. 17.30 Намедни-78. 18.20 Дог-шоу. 18.50 "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО". 20.35 Х/Ф "ПОЛИЦЕЙСКАЯ ИСТОРИЯ". 23.45 "ТРИ ДНЯ КОНДОРА". 01.55 Про это.

**კვირა**

10.00 ქართ. მხ.ფ. "კაცია ადამიანი?!" 11.30 "საკვირაო გამოფენა" 11.45, 14.50, 20.40 უ-თუ-ოდ 11.50 მსოფლიოს ახალი ამბები 12.05 ცეკვავს "მარტვილი" 12.30 ბავშვები უპირველეს ყოვლისა 12.40 მულტფილმების პროგრამა 13.45 ლიტ. გადაცემა 14.15 გლობუსი 15.00 ვესტნიკი 15.10 მულტფილმი "საზრალონი" 15.40 ტელე-სინე-ვიდეო 16.05 ...

... 17.20 სპორტული ინფორმაცია 17.25 ვალუტის კურსი 17.30 ნახატი ფილმი 17.45 დოკ.ფ.„ბრძოლა წესების გარეშე“ 18.10 ფილმი თქვენი თხოვნით - მხ.ფილმი 19.55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. „მანჩესტერ იუნაიტედი“- -„ნიუკასტლი“ 21.55 „აჩიკუდა“ 22.15 მუსიკა თხოვნით 22.35 ეკრანული სახეები - მხ.ფ. **„ჯადო“** მისტიკური ჟანრის. მთავარ როლში ბრიჯიტ ფონდა. ღამის სეანსი 00.20 ანონსი 00.25 ტელეგაზეთი 00.30 სპორტული ინფორმაცია 00.35 ამინდის პროგნოზი 00.40 „კინოკლუბი„ - მხ.ფ. **„ინკოგნიტო“**. მძაფრსიუჟეტიანი. როლებში: ჯეისონ პატრიკი, ირენ ჟაკობი. 02.20 ფილმების რეკლამა 02.25 ამინდის პროგნოზი 02.30 ანონსი

ОРТ 09.00, 11.00, 16.00, 19.00 Новости. 09.10 Армейский магазин. 09.40, 17.25 Дисней-клуб. 10.10 Утренняя звезда. 11.10 "Непутевые заметки". 11.30 Пока все дома. 12.05 "АЛЬФ". 12.35 Здоровье. 13.05 Х/Ф "УМИРАТЬ НЕ СТРАШНО". 15.00 Клуб путешественников. 15.45 История одного шедевра. 16.10 "ГОРЕЦ". 17.05 Возможно все. 18.15 "Чтобы помнили...". 19.15 Смехопанорама. 19.50 Ералаш. 20.05 Х/Ф "ОСОБЕННОСТИ НАЦИОНАЛЬНОЙ ОХОТЫ". 22.00 Время. 23.00 Х/Ф "ГОЛУБОЙ ГРОМ". 00.55 Время футбола. 01.40 Х/Ф "ДЬЯВОЛ И ДЕСЯТЬ ЗАПОВЕДЕЙ".

РТР 09.00 Устами младенца. 09.30 Мультфильм. 09.50 "Папа, мама, я - спортивная семья". 10.50 ДОБРОЕ УТРО, СТРАНА 11.30 "АНШЛАГ" ПРЕДСТАВЛЯЕТ 12.30 "Городок". 13.00 Русское лото. 13.40 Прославление Новомучеников и исповедников Российских. 15.00, 21.00 Вести. 15.25 Диалоги о животных. 16.20 "Планета Земля". 17.20 Х/Ф "ПРОЕКТ А". 19.10 Х/Ф "ВОЗВРАЩЕНИЕ СВЯТОГО ЛУКИ". 21.35 Х/Ф "ЧЕРНЫЙ КВАДРАТ". 23.50 "Сам себе концерт". 01.45 Х/Ф "ОСНОВНОЕ СОБЫТИЕ".

НТВ 09.00, 11.00, 13.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня. 09.15 Х/Ф "СИНЯЯ ПТИЦА". 11.20 "Путешествия натуралиста". 11.50 "Рублевая зона". 12.20 "Полундра". 13.30 "Служба спасения". 14.00 Х/Ф "РИО-ЛОБО-ВОЛЧЬЯ РЕКА". 16.10 "Фитиль". 16.20 "Без рецепта". 17.25 "Большие родители". 18.00 "Независимое расследование". 18.50 Сериал "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО". 20.40 Х/Ф "ЗОНА ПРЕСТУПНОСТИ". 22.40 "Куклы". 23.45 "НЕПРИКАСАЕМЫЕ"

• ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი •


MEDI მედი



**ჭარბთმიანობის კომპლექსური მკურნალობა**

- ეპილაცია ალექსანდრიტის უახლესი სისტემის ლაზერით
- ჰორმონალური გამოკვლევები
- მედიკამენტოზური მკურნალობა

სპეციალური საზაფხულო ფასდაკლება 10%

ი. ჭავჭავაძის გამზ. №70 25-02-02 22-50-43


**22.15 „იქ, სადაც ფულია“ — აშშ**



ბანკების გამოცდილი მძარცველი ჰენრი ციხის საკანს საავადმყოფოს პალატაზე ცვლის. ეშმაკ მძარცველს მხოლოდ მედდა კეროლი მიუხვდება სიმულიანტობას. „პაციენტთან“ დაახლოების შემდეგ კი, ქალი სულ სხვა წარმოდგენის რჩება ცხოვრებაზე და საკუთარ საქციელზე. რეჟ. მარეკ კანევსკა. მთ. როლებში: პოლ ნიუმენი, ლინდა ფიორენტინო, დერმოტ მალრუნი.

**00.50 „საბოლოო ანალიზი“ — აშშ**



ცნობილი სპეციალისტი, კეთილსინდისიერი ექიმი ბარი, როგორც აღმოჩნდება, სრულიად ვერ ერკვევა სულის ხვეულებში. მას თავისი პაციენტის მშვენიერი და შეუყვარდება და ვერც მიხვდება, როგორ აღმოჩნდება წინასწარ დაგებულ ხაფანგში. მოკლედ, ფილმში უხვად არის მძაფრი ბოროტება, მკვლელობები, სექსი და მოულოდნელი სიურპრიზები. რეჟ. ფილ ჯოანუ. მთ. როლებში: რიჩარდ გირი, კიმ ბესინჯერი.

**22.15 „ნიჭიერი ბატონი რიპლი“ — აშშ**



ტომ რიპლი დარწმუნებულია, რომ წინ წაიწევს ცხოვრებაში. შემთხვევით გაცნობილი მდიდარი ამერიკელი მას იტალიაში აგზავნის „უძღები ვაჟიშვილის“ დასაბრუნებლად, რომელიც უმისამართოდ ფლანგავს ფულს. მალე ტომი დიკ გრინფილდსა და მარჯის გაიცნობს და მოიხიბლება კიდეც მათი უზრუნველყოფილი ცხოვრებით. მოგვიანებით კი, მოვლენები იმგვარად განვითარდება, რომ ტომი დიკის ადგილის დაკავებას გადაწყვეტს. რეჟ. ენტონი მინგელი. მთ. როლებში: მეტ დეიმონი, გვინეტ პელტროუ, ჯუდ ლოუ.

**16.45 „როკი“ — აშშ**



ფილმი „როკი“ იწყებს სერიალს მოკრივეზე, რომელმაც თავად შექმნა საკუთარი თავი. სცენარის ავტორი გახლავთ სილვესტერ სტალონე, რომელიც ხელმძღვანელობდა ჩაკ უეპნერის იდეალით. ეს მოკრივე თვით მუჰამედ ალისაც კი შეხვდა რინგზე. სამი „ოსკარის“ მფლობელია საუკეთესო ფილმის, რეჟისორისა და მონტაჟის ნომინაციებში. რეჟ. ჯონ ჯ. ავილდსენი. მთ. როლებში: სილვესტერ სტალონე, მარია შირი, ბერტ იანგი, კარლ უეზერსი.

• ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი •

## ბინები

დიდუბეში 2 ოთახიანი ბინა 30 კვმ მიშენებით (I სართულზე), სარდაფებით, გისოსებით, ორმაგი კარებით, აივნებით, ა/მანქანის სადგომი ადგილით, ბუნებრივი აირით, ცხელი წყლით. ფასი 14.000$. მის: წყალტუბოს ქ. მე-4 კორპ. მე-3 სად. ტელ: 34-52-34

3 ოთახიანი, არასტანდარტული ბინა, ვაჟა-ფშაველას ძეგლთან, სველი წერტილებით ცალ-ცალკე. საწყისი ფასი 20.000$. ტელ: 32-08-90; 32-69-64

მიცკევიჩის ქუჩაზე №6-ში 4 ოთახიანი (3+1), არასტანდარტული, მაღალჭერიანი, კუთხის ბინა ტელეფონით, ლოჯიით, გისოსებით, რკინის კარით, ოთხი სარდაფით, მანქანის დასაყენებელი ადგილით, 5-სართულიანი სახლის მაღალ ბელეტაჟზე. გამოდგება საოფისედაც. საწყისი ფასი 42.000$. ტელ: 37-22-19; 38-24-11

ზემო ვეძისში 2 სართულიანი კერძო სახლის I სართული, 6 ოთახი დიდი ლოჯიით, სარდაფითა და ყველა სათავსოთი. ტელ 37-72-70 ნანა

მთაწმინდის რაიონში, ოქროყანაში 2.000 კვმ მიწა. ტელ: 98-36-43. სოსო

აგარაკი საგურამოდან 6 კმ-ში, სოფელ ბურიანში, სახლის დაწყებული მშენებლობით. I სართული ამოყვანილია კაპიტალურად, II-ზე იატაკი დასხმულია და დაწყებული. მიწის ფართი 800კვმ. ფასი 500$. ტ: 23-07-65; 877 43-32-33

სასწრაფოდ! აგარაკი ორსართულიანი სახლით, ცალკე ტუალეტითა და სააბაზანოთი, სასმელი წყლის ჭაბურღილით, 900 კვმ ხეხილის ბაღით, კასპში, სოფ. თელათგორში (მაღალი ზონა ნიჩბისთან). ტელ: 34-55-08 (ბინა); 93-65-78; 899 56-99-86. გურამი

## ქირავდება

1 ოთახიანი, გარემონტებული ბინა გამსახურდიასა და საბურთალოს ქუჩის კუთხეში, ავეჯით, მაცივრით, კონდენციონერით, ტელეფონით, მე-8 სართულზე. ლიფტი მუშაობს. ფასი 150$. ტელ: 93-49-85 (18 სთ-ის შემდეგ); 52-84-15 (დილის საათებში). ია

## მილოცვა

**დინა და გიორგი ჯიბლაძეებს!**
გილოცავთ ვაჟიანობას. ღმერთმა გიდღეგრძელოთ პატარა მიხეილი.

*საუკეთესო სურვილებით პალიტრელები*

**ეკა ჯანაშიას და დათო თორთლაძეს!**
გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. გაგეხარდოთ, გაგიმრავლდეთ პატარა ბორისი. თეკლესთვის ღირსეული ძმობა გაეწიოს. ღმერთმა დაგლოცოთ.

*ახლობლები*

ქალბატონ **იზო ნონიაშვილს** ვულოცავთ იუბილეს და ვუსურვებთ ყოველივე კარგს.

*მანანა და მადონა ბეგიაშვილები*

ჩვენს საყვარელ
**თათია და საბა ზაალიშვილი-ბაგრატიონებს** ვულოცავთ დაბადების დღეს.

*ბებიები*

## გთავაზობთ სამუშაოს

ორგანიზაცია სთავაზობს 17-25 წლამდე გოგონებს და ვაჟებს გამგზავრებას საფრანგეთსა და გერმანიაში, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 96-07-81

## მომსახურება

ეპილაცია ვოლფრამის ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასაჟის თანხლებით). ვასწავლი კოსმეტიკასა და ეპილაციას. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნატო ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი“, არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტ: 77-86-27

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12. ლიკა გიორგობიანი

„ფესვები“, ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაპარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – 200$. მის: იოსებიძის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტელ: 37-71-66; 877 44-97-46. ნინო ჭელიძე

ვაკეთებ ეპილაციას ერთჯერადი ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი განიკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპებისა და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნანემსარი. შემოგთავაზებთ საუკეთესო სახის გამწმენდ და მკვებავ საშუალებებს. მის: იოსებიძის ქ. №66. მე-2 სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. მანანა

სილამაზის სალონი „სტილი“: თმის მოცილება სახესა და ტანზე მცენარეული დეპილატორით (თმა მცირდება და ქრება), ეპილაცია ინდივიდუალური ვოლფრამის ნემსით, ანესთეზიით (გაღიზიანების გარეშე); სახის გაწმენდა, ლაქების მოცილება; თმის მოდელური შეჭრა-დავარცხნა, კატალოგების მიხედვით – 6 ლარი; დეკორატიული მელირება – 15-20 ლარი; შეღებვა WELLA -KOLESTON-2000 – 15-17 ლარი; ქიმიური დახვევა, გასწორება – 15-20 ლარი; საბანკეტო ვარცხნილობა – 15-20 ლარი. აგრეთვე სასწავლო ცენტრი „თემსი“ აცხადებს მიღებას კოსმეტიკის, მაკიაჟის, და საპარიკმახერო კურსებზე. გაიცემა სერტიფიკატი. მის: აღმაშენებლის გამზ. №115. კაბ. №20 (ეზოში). ტელ: 94-01-82; 96-22-89; 899 58-77-09. საერთაშორისო კატეგორიის კოსმეტოლოგი ირინა ჯანაშია და სტილისტი ლალი

ს/ს „ძმვილდოსანი“ აწარმოებს სახლების მშენებლობას, მიწისა და მიწისქვეშა სამუშაოებს, კეთილმოწყობას. ამზადებს საკედლე ქვებს, ზეძირკვლისა და სხვა კონსტრუქციებს მაღალი ხარისხით, შეღავათიან ფასად. მის: წერეთლის გამზ. №57. ტ: 34-82-30; 34-14-81

COMPUTER COMPANY „PULSAR“ – კომპიუტერები და ორგტექნიკა; კომპიუტერების ყიდვა-გაყიდვა; სათადარიგო ნაწილები; კომპიუტერების, ორგტექნიკის შეკეთება, მომსახურება; კეტრიჯებში ტონერის ჩაყრა; უფასო კონსულტაციები. დაგეხმარებით კომპიუტერის გაყიდვაში. ტელ: 33-08-71. მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №16 შპს „პულსარი“

სწრაფად აგიკრეფთ ნებისმიერი მოცულობის ტექსტს ქართულად, ინგლისურად. 1 გვერდის ფასი: 80 თეთრი – 1 ლარი. ტელ: 34-32-79; 877 44-95-48

აგიკრეფთ და დაგიკაბადონებთ წიგნებს, ბუკლეტებს, გაზეთს და ა.შ. ტელ: 61-51-17; 95-46-79

ვაკეთებ რბილი და მყარი ავეჯის რესტავრაციას. სამეულებზე, არაბულ ტახტებსა და სკამებზე ზამბარიანი მატრასების დარბილება-გადაკვრას, განახლებას. აგრეთვე ვამზადებ ახალ სამეულებს. ტელ: 95-72-98

ნებისმიერი ავეჯის რესტავრაცია, რბილი ავეჯის გადაკვრა, სამზარეულოები, ჩაშენებული კარადების – სწრაფად, იაფად, ხარისხიანად. ტელ: 32-26-82; 96-73-12. მამუკა

ვაკეთებ რბილი ავეჯის რესტავრაციას, სამეულებზე შალითების შეცვლას და განახლებას; არაბული ტახტების, ნებისმიერი სახის სკამისა და სხვა ავეჯის აღდგენა-განახლებას გარანტიით. ტელ: 96-37-20. ნოდარი

ვაკეთებთ რბილი ავეჯის რესტავრაციას, არაბული ტახტების, ყველანაირი სკამისა და სხვა რბილი ავეჯის აღდგენა-განახლებას გარანტიით; ვცვლით სამეულებზე შალითებს, ტელ: 95-38-61. მევლუდი, ვალერი

## მკურნალობა

მეჭეჭებისა და სხვა ხორცმეტების მოცილება სახესა და ტანზე უმტკივნეულოდ და ნაკვალევის გარეშე. მიღება ექიმ რუსუდან საყვარელიძესთან, სამკურნალო ცენტრში. მის: დავით აღმაშენებლის გამზ. №115 (პოლიციის შენობის უკან, ეზოში). ტელ: 95-83-54

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, უშვილობის, ანთებების მკურნალობა, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უხეშხული მასაჟებისა და ნემსების გარეშე, ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით. შედეგი და ანონიმურობა გარანტირებულია. ტელ: 96-62-58; 97-47-24

**სამკურნალო განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება**

## ვასწავლი

სწრაფი, დაჩქარებული კურსით შეგასწავლით პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობას ინდივიდუალურად, ხარისხიანად (MS DOC, NC, WINDOWS-98, WORD, EXCEL, PAGE MAKER). ტელ: 34-32-79; 877 44-95-48

თუ დღემდე ვერ გადაწყვიტეთ, რომელ სკოლას ანდოთ თქვენი შვილის აღზრდა-განათლება, მიმართეთ ქართულ-გერმანულ სკოლა „ა-Z“-ს (ა-ცეტ). მის: პეტრიაშვილის ქ. №7 (მე-6 გიმნაზიის შენობაში). მარინა ანდრონიკაშვილი, თამარ სარაჯიშვილი. ტელ: 52-10-05

## სხვადასხვა

თბილისის ეკონომიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტი აცხადებს მიღებას დასწრებულ და დაუსწრებელ განყოფილებებზე:

1. სამართალმცოდნეობა (იურისტ-ეკონომისტი);
2. ეკონომიკური (ეკონომისტ-იურისტი);
3. უცხო ენები.

უმაღლესდამთავრებულები მიიღებიან III კურსზე. ფასი 200-250 ლარი.

მის: თოფურიას ქ. №12, ვაჟა-ფშაველას მე-4 კვარტალი, 128-ე საშ. სკოლა. ტელ: 32-82-60; 32-06-97 (საღამოს)

## იყიდება

სარეალიზაციოდ გვაქვს ნებისმიერი რაოდენობის, სხვადასხვა ზომისა და უჯრედის მქონე შემოსალობი მავთულბადე. აგრეთვე რუსეთის გამოშვების, კარგი ხარისხის ეკლიანი და Ф1,2÷Ф1,5მმ-იანი „ვიაბანი“ მავთული. მის: ქ. თელავი, ფიროსმანის ქ. №4 (ძველ პროფილაქტიკასთან). ტელ: 3-21-76

1) ნიჟარების („რაკუშკების“) ფარდა (1.20X2.00). ფასი 130 ლარი; 2) ძველებური, ბრინჯაოს ჭაღი მძივებით. ფასი 250 ლარი. ტელ: 23-07-65 (დილით, საღამოს)

ბალზაკი, 15 ტომი – 40 ლარი (რუსულად); ლეო ტაქსილი (წმინდა ბუნაგი, სახალისო ბიბლია და სახარება), 3 წიგნი – 10 ლარი; ათას ერთი ღამე, 3 ტომი (რუსულად) – 4 ლარი; ორტომეულები (ცვაიგი, ჰიუგო, მერიმე), რუსულად, 2 ტომი – 5 ლარი; პუშკინი (1899 წ.), რუსულად – 15 ლარი. ტელ: 23-07-65 (დილით, საღამოს)

ტელეფონი „ERICSSON T28s“ ნებისმიერი რაოდენობით. ფასი 280$. აგრეთვე ვიღებ შეკვეთებს ნებისმიერი მობილური ტელეფონის მოდელზე. ტელ: 899 57-96-46. ლევანი

## შევიძენ

შევისყიდით გრძელ თმას. მის: ცენტრალური რკინიგზის სადგური, II სართ. მაღაზია „ესთეტი“. 12-17 სთ, დასვენება შაბათ-კვირას.

## ხსოვნა

**ვახო გოჯიაშვილის გახსენება**



რა საოცარი სისწრაფით გაირბინა ორმა წელმა, ჩემო გაუხარელო შვილო. ძალიან გვიყვარხარ და გვენატრები. არ არსებობს ნუგეში შვილდაკარგული მშობლებისათვის, მხოლოდ შენი პატარა ანდრო გვანუგეშებს, რომელიც უიმედოდ გელის.

„ვერ მოესწარ შვილის გაზრდას,
მისგან მამის დაძახებას,
იმედია, ჩემო შვილო,
მანდ გაიგებ მის კაცურ ხმას.“

ღმერთმა ნათელში დაამკვიდროს შენი სპეტაკი სული.

*შენი თვალცრემლიანი დედა, მამა, კახა, შორენა, მეუღლე რუსიკო, შვილი ანდრო*

**ვლადიმერ ტიტიკოს ძე გამყრელიძის ხსოვნას**



12 აგვისტოს შენი გარდაცვალებიდან მე-40 დღეა. შენი გარდაცვალებით უდიდესი ტკივილი და უსაზღვრო მონატრება დაგვიტოვე.

არაჩვეულებრივი მეუღლე, დიდი, ლამაზი ოჯახის მამა და ბაბუა იყავი.

წმინდა სანთლებით მოვალთ შენს საფლავზე, ვილოცებთ შენი ლამაზი სულისთვის. ღმერთმა ნათელში გამყოფოს, ჩემო საყვარელო მამიკო!

*შენი ნინო*

**ლევანიკო გულიანის გახსენება**



11 აგვისტო შენი დაბადების დღეა. უკვე მეშვიდე წელია, უშენოდ, მოუშუშებელი ჭრილობითა და გაუნელებელი ტკივილით ვხვდებით ამ დღეს. როგორ გვენატრება შენი ლამაზი სახე, თვალები, სიცილი, სიმღერა. 21 წელი შეგისრულდა, ჩვენო ვაჟკაცო!

გილოცავთ დაბადების დღეს და ღმერთს შევთხოვთ, მოგანიჭოს ზეციური სასუფეველი და ნათელში ამყოფოს შენი სული. გვიყვარხარ უსაზღვროდ და გვენატრები.

*ოჯახი*

**კოტე ქანდარიას ხსოვნას**



წელიწადი შესრულდა 19 აგვისტოს – ფერიცვალების დღეს, რაც შენმა ლამაზმა სულმა მარადისობაში დაიმკვიდრა ადგილი... ნაადრევად წახვედი ჩვენგან და სულში დაგვიტოვე უდიდესი ტკივილი, რომელიც გაუნელებელი იქნება ჩვენი სიცოცხლის ბოლომდე.

ძმაო, შენ ხომ სიცოცხლე გიყვარდა, მაგრამ განუკურნებელმა სენმა წაგვართვა შენი თავი. სიკვდილს ვაჟკაცურად შეხვდი. თან დაგვსდევს შენ მიერ წარმოთქმული სიტყვები, – მე სიკვდილის არ მეშინიაო.

ძმაო, ძალიან გვენატრები ყველას.

ღმერთმა ნათელში გვიმყოფოს შენი უმანკო სული. ამინ!

*ოჯახი, ახლობლები*

## ნეკროლოგი

მეგობართა ჯგუფი იუწყება
**ნანა როსტოშვილი-აბდუშელიშვილის**



გარდაცვალებას.

გარდაცვალებულის სულს ყველაზე მეტად კეთილად მოიხსენიება ახარებსო... პაატასა და ნინოს მეგობრები, მათი დედები და კიდევ, ვინ მოსთვლის, რამდენი ნათესავ-მეგობარი გაცილებს თვალცრემლიანი. შენი ღიმილი დაგიფარავს, აქ დარჩენილნი კი მერამდენედ აღმოვაჩენთ სიკეთის სიკეთეს... ჩუმად, გულში გეტყვით მადლობას და პატიებასაც გთხოვთ...

*მეგობრები*

მუხრანის ქ. №58-ში მცხოვრები მეზობლები და ახლობლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**ვალოდია ნაბახტეველი**
და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს.







*ფასები მოყვანილია ეროვნულ ვალუტაში (ლარი) დღგ-ს ჩათვლით.

თბილისი: ბაქოს ქ. 2; კოსტავას ქ. 35. საინფორმაციო ცენტრი 928.


CMYK

# ჩემი ბედი, სხვათა შორის, ბუტერბროდმა გადაწყვიტა...

**ახალს ვერაფერს ვიტყვი... გავიმეორებ, გიორგი დანელია ყოველთვის ხალისიან, სანტიმენტალურ ფილმებს იღებს. უცნაურია, როგორ უნდა უსაყვედურო მეზღაპრეს — ჩვენთვის ახალი ზღაპარი რატომ მოიგონეო, ანდა იმისთვის განსაჯო, ზღაპრებში ცხოვრება სხვანაირია, არა ისეთი, როგორც სინამდვილეშიო. მაშასადამე, არ გჯერა, რომ ჩვენი ცხოვრება და ჩვენ — სულ მთლად წყალწაღებულნი არა ვართ.**

***იური როსტი***

ლიტერატორთა სახლის რესტორანში სავახშმოდ მისულ გიორგი დანელიას და რასულ გამზათოვს კარისკაცი წინ გადაუდგა — დანელიას შეშვება არ უნდოდა. დანელიამ მაშინვე იპოვა გამოსავალი, — მე გამზათოვის მძღოლი გახლავართო, — განუცხადა მკაცრ დარაჯს. მას შემდეგ იგი ხშირად დადიოდა და არასოდეს მოუთხოვიათ საშვი.

ერთხელ გიორგი დანელიამ რესტორანში მიიწვია იტალიელი კინემატოგრაფისტები. რა თქმა უნდა, თავისუფლად შეუშვეს, მაგრამ ადმინისტრატორმა უსაყვედურა კარისკაცს, რატომ უშვებ უცხო ხალხსო. კარისკაცმა თავი იმართლა, — ეს გამზათოვის მძღოლია და



შვილიშვილთან — ალიონასთან ერთად

სტუმრები მოიყვანაო. ცნობილი კინორეჟისორი, შესანიშნავი ფილმების — „დავდივარ მოსკოვის ქუჩებში“, „არ იდარდო“, „მიმინო“, „საშემოდგომო მართონი“, „ქინ-ძა-ძა“, „პასპორტი“ და სხვათა ავტორი იმდენად თავმდაბალი და მოკრძალებული პიროვნებაა, რომ ბევრი მას სახითაც არ იცნობს.

**— გიორგი ნიკოლაევიჩ, თქვენი ოჯახი ძალიან არტისტულია. გავიხსენოთ თუნდაც დეიდა — სახელგანთქმული ვერიკო ანჯაფარიძე. ამბობენ, მისი სახლი მთელმა თბილისმა იცოდაო...**

— როცა თბილისში ჩავიდოდი, რა თქმა უნდა, დეიდის ოჯახში ვცხოვრობდი. საკმარისი იყო, ტაქსისტისთვის გეთქვა, ვერიკოსთან წამიყვანეო, მისამართი არ იყო საჭირო. დეიდა უკვე გარდაცვლილი იყო. ჩვეულებისამებრ ვუთხარი მძღოლს და მან... პანთეონში მიმიყვანა! ახლა იმ სახლში ჩემი დეიდაშვილი სოფიკო ჭიაურელი ცხოვრობს.

მამაჩემს — ნიკოლოზ დანელიას ხელოვნებასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა, ის მეტროს აშენებდა — ხელმძღვანელობდა სადგურების — „კიროვსკაიას“, „ბაუმანსკაიას“ მშენებლობას, მოკრძალებული ადამიანი იყო. სიბერეში თავისი ოთახიდან საერთოდ არ გამოდიოდა. მეც მას დავემსგავსე, დავამთავრე მოსკოვის არქიტექტურის ინსტიტუტი. მშენებელი მინდოდა ვყოფილიყავი, დედაჩემი, მერი ანჯაფარიძე, მთელი სიცოცხლე „მოსფილმში“ მეორე რეჟისორად მუშაობდა. ძალიან არტისტული ბუნებისა იყო, უყვარდა სტუმრიანობა. შვიდის ნახევარზე რომ დამერეკა და მეთქვა, შვიდზე ჩემთან სტუმრები მოვლენ-მეთქი, ზუსტად იმ დროისთვის სუფრა გაშლილი მხვდებოდა.

**— გემრიელი ჭამა-სმა გიყვართ?**

— საკმაოდ გულგრილი ვარ ჭამის მიმართ. მუშაობის დროს კი საერთოდ არ ვაქცევ ყურადღებას, რას ვჭამ — ბუტერბროდს, ნამცხვარს...

**— უცნაურია, თქვენ ხომ ჭეშმარიტი ქართველი ხართ?!**

— მერე რა? მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ვარ, თითქმის მთელი სიცოცხლე მოსკოვში გავატარე. რატომღაც ჰგონიათ, რომ ქართველები მთელი დღე ჭამენ და სვამენ, სუფრას არ შორდებიან. ისინი სადილზე ისევე მიირთმევენ კოტლეტს და მაკარონს, როგორც სხვები. ხოლო როცა სტუმრებს ელიან, მაშინ ამზადებენ საცივს და ათასნაირ ნუგბარს... ჩემი ბედი კი, სხვათა შორის, ბუტერბროდმა გადაწყვიტა.

**— ?!**

— ერთ-ერთ კანტორაში არქიტექტორად ვმუშაობდი და „მომავლის სახლებს“ ვაპროექტებდი. რა თქმა უნდა, ამ პროექტებით არავინ აპირებდა სახლების აშენებას. ერთ მშვენიერ დღეს ვზივარ ჩემს კანტორაში მოწყენილი და ჩაფიქრებული. მოახლოვდა შესვენება. სასადილოში არ წავედი, რადგან შინიდან წამოღებული ბუტერბროდი მქონდა... გემრიელად გეახელით და რახან საქმე არაფერი მქონდა, ქუჩაში სასეირნოდ გავედი. სტენდზე დავინახე „ლიტერატურნაია გაზეტა“, სადაც ეწერა, რომ გაიხსნა „მოსფილმთან“ არსებული უმაღლესი სარეჟისორო კურსები. იმ დღეს ბუტერბროდი რომ არ წამომეღო შინიდან, ვინ იცის, ჩემი ცხოვრება სულ სხვა გზით წარმართულიყო.

**— დედას მოეწონა თქვენი არჩევანი?**

— მას ეჭვი ეპარებოდა ჩემს შესაძლებლობებში და რჩევისთვის რეჟისორ მიხეილ კალატოზოვთან გამგზავნა. ბატონი მიხეილი ძალიან ჩუმი და სიტყვაძუნწი პიროვნება იყო. დიდხანს ფიქრობდა, რა ეთქვა ჩემთვის და ბოლოს მკითხა, — თვითშემოქმედებაში თუ მონაწილეობთო. არა-მეთქი, მივუგე. დუმილი ჩამოვარდა.

— მოთხრობა თუ დაგიწერიათ? — მკითხა ისევ დიდმა რეჟისორმა.

— არა.

— ფოტოს გადაღება იცით?

— არა.

— რაიმე ინსტრუმენტზე თუ უკრავთ?

— დოლზე, — ვუპასუხე და მივხვდი, რომ წასვლის დრო იყო, მის თვალებში უსაზღვრო სევდა ამოვიკითხე. უკვე კარი გამოვაღე, რომ მან ისე, ზრდილობისათვის, მკითხა: — რა საქაღალდე გიჭირავთო. ჩემი ნახატებია-მეთქი. თუ შეიძლება მაჩვენეთო. მან დაათვალიერა ნახატები და მკითხა, — რატომ არ თქვით, რომ ხატავთ? არ გიკითხავთ-მეთქი.

მას ნახატები მოეწონა და სწორედ ამ ნამუშევრების წყალობით მიმიღეს კურსებზე. მაშინ არც მიფიქრია დამდგმელ რეჟისორობაზე. მეგონა, დედაჩემივით მეორე რეჟისორად ვიმუშავებდი.

**— თქვენ ხომ თქვენს თანაკურსელთან, იგორ ტალანკინთან ერთად გადაიღეთ პირველი ფილმი „სერიოჟა“, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად...**

— ჩვენ დავწერეთ სცენარი ვერა პანოვას მოთხრობის მიხედვით. სტუდიამ მოიწონა; თუმცა, ფილმის გადაღების ნებართვა ავტორისგან ჯერ არ მიგვეღო. პანოვა დიდხანს და ყურადღებით კითხულობდა სცენარს. მერე კარგა ხანს დუმდა. შემდეგ გვითხრა, — ყმაწვილებო, მე ერთი მნიშვნელოვანი შენიშვნა მაქვს. აი, აქ გიწერიათ: „ჩვენს საპირისპიროდ პიონერები მოდიოდნენ“. შეიძლება ჩავასწორო — „გვერდით პიონერებმა ჩაგვიარეს.“

წარმატებაზე კი რა გითხრათ... სახკინოს ფილმი არ მოეწონა. გვითხრეს, — ვერ გავიგეთ, რაზეა ეს ფილმიო. მე და იგორმა გადავწყვიტეთ, კინოსთვის თავი დაგვენებებინა. წავედით და მაგრად დავთვერით. ვიფიქრე, ისევ არქიტექტურას დავუბრუნდები-მეთქი... შემდეგ „სერიოჟა“ კარლოვი ვარის ფესტივალზე გაგზავნეს და იქ... მთავარი პრიზი მიიღო.

**— ალბათ ხშირად გიხდებოდათ სახკინოს ჩინოვნიკების კრიტიკის ატანა...**

— თანდათან მათთან ლაპარაკი ვისწავლე. მაგალითად, როცა ვაბარებდი ფილმს „დავდივარ მოსკოვის ქუჩებში“, მკითხეს, — რის შესახებაა თქვენი ფილმიო. უცბად ენაზე მომადგა, — ეს ხომ კომედიაა-მეთქი. სასაცილო რატომ არ არისო? იმიტომ, რომ ეს ლირიკული კომედიაა-მეთქი. მაშინ ასევე მიუთითეთ ტიტრებში, რომ ხალხი მიხვდესო. მეც მივუთითე და ასე გავხდი ახალი ჟანრის — „ლირიკული კომედიის“ მამამთავარი.

**— მას შემდეგ, რაც ევგენი ლეონოვის გადაღება დაიწყეთ, ყველა თქვენს ფილმში ის ერთსა და იმავე სიმღერას მღერის — На речке, на речке, на том бережочке... რატომ?**

— არქიტექტურის ინსტიტუტში სწავლისას ზაფხულობით მივყავდით სამხედრო შეკრებებზე. თვითშემოქმედების წრის წევრები იარაღის წმენდისგან თავისუფლდებოდნენ. წრეში, რა თქმა უნდა, ყველა ადგილი დაკავებული აღმოჩნდა, მხოლოდ მომღერალთა გუნდში აკლდათ ბანები და უმალ ჩავეწერე. ქართველი კი ვარ, მაგრამ სიმღერა საერთოდ არ მეხერხება. ამიტომ მხოლოდ პირს ვაღებდი. ერთადერთი სიმღერა, რომელიც დავიმახსოვრე, იყო На речке, на речке, на том бережочке, мыла Марусенька белые ножки. რა თქმა უნდა, მიმიხვდნენ, რომ არ ვმღეროდი და გუნდიდან გამომაძევეს. სამაგიეროდ, სიმღერის ტექსტი შემომრჩა და როცა ლეონოვი მოვიწვიე, ეს სიმღერა შევთავაზე. მასაც მოეწონა და მას შემდეგ ყველა ფილმში სხვადასხვა ყაიდაზე ასრულებდა. მისი სიკვდილის შემდეგ კინოფილმ „ფორტუნაში“ სიმღერა კაპელასთან ერთად შეასრულა ბუბა კიკაბიძემ, მაგრამ ისეთი სევდიანი გამოვიდა, რომ ამოვიღე.

**— „ფორტუნაში“ თქვენ უჩვეულოდ გადაიღეთ თქვენი მეუღლე...**

— დიახ, დეპუტატობის კანდიდატის ნადეჟდა სტრიჟის როლში. გალიას პორტრეტი ეკრანზე ჩანს მხოლოდ წინასაარჩევნო პლაკატზე. ეს პლაკატი დიდხანს გვეკიდა შინ. სტუმრებს უკვირდათ, რომ გალია დეპუტატობაზე კენჭს იყრიდა და ვერაფრით გაეგოთ, რატომ ეწერა მისი პორტრეტის ქვეშ სხვისი გვარი — ნადეჟდა სტრიჟი.

**— როდის გაიცანით გალინა ივანოვნა?**

— არ გეტყვით. იმიტომ, რომ შესაძლოა, მას არ მოეწონოს. მაშინ გალია საბავშვო ბაღში დადიოდა. როცა დავქორწინდით, ასაკობრივი სხვაობა დიდი იყო და წლებთან ერთად უფრო მატულობდა. ახლა უკვე შვილიშვილად მერგება... ასაკთან დაკავშირებით გამახსენდა, როგორ წაკამათდნენ ერთხელ დედაჩემი და დეიდაჩემი. დედა უკვე 80-ს უახლოვდებოდა, როცა ავად გახდა და საავადმყოფოში მოვათავსეთ. მთელი ქვეყანა შემოვირბინე და უახლესი წამლები მივუტანე. რა საჭიროა, — მითხრა დედამ, — მოვხუცდი და მინდა მშვიდად მოვკვდეო. შევეკამათე, — რა დროს შენი სიბერეა, დედიკო? შენი და, ვერიკო შენზე ხუთი წლით უფროსია და ნახე, რა ახალგაზრდულად გამოიყურება. დღისით შენ გივლის, საღამოს კი სპექტაკლში თამაშობს-მეთქი.

— რვა წლით, — უცებ წაიჩურჩულა დედამ.

— რა რვა წლით? — დაიძაბა ვერიკო.

— შენ ჩემზე რვა წლითა ხარ უფროსი.

— არაფერიც, მხოლოდ ხუთით!

— რვით! შენ პასპორტში წელი გადაიკეთე!.

— სულელო, — იფეთქა ვერიკომ.

— სულელის ხმა მესმის, — არ შეეპუა დედა.

ასე კარგა ხანს იკამათა ამ ორმა ხანდაზმულმა ქალმა... ერთ-ერთი მათგანი კი თითქოს სიკვდილს აპირებდა!

**— კარგი, ასაკზე ნუღარ ვილაპარაკებთ. იქნებ ის მაინც მიამბოთ, როგორ დაქორწინდით?**

— ჩვენი რომანი კარგა ხანს გრძელდებოდა. „საშემოდგომო მარათონის“ გადაღების შემდეგ ავად გავხდი. ამომკვეთეს ნაღვლის ბუშტი. ოპერაციას გართულება მოჰყვა და პერიტონიტი განვითარდა. ვკვდებოდი... კლინიკური სიკვდილიც გამოვიარე. ძლივს გადამარჩინეს, მაგრამ საშინლად გავხდი, 40 კილოგრამს ვიწონიდი, ლურჯი ფერი მედო. გალინა მაშინვე ჩემთან გაჩნდა და ჩემზე ზრუნვა დაიწყო.

**— გალინა ივანოვნაც ხომ კინორეჟისორია. ძნელი არ არის ორი რეჟისორის ერთად ცხოვრება?**

— სულაც არა. ჩვენ საერთო ინტერესები გვაქვს, ერთმანეთს რჩევებს ვაძლევთ. გალიამ ორი ფილმი გადაიღო, ახლა კი სამხატვრო გალერეის არტ-დირექტორია.

**— იმიტომ ხომ არა, რომ თქვენი ვაჟი კირილი მხატვარია?**

— გალია ძალიან საინტერესო მხატვრების გამოფენას აწყობს. ზვერევის, პურიგინის, ნემუხინის და, რასაკვირველია, კირილის. ახლახან მოეწყო ასეთი გამოფენა — „სამი დ“. გიორგი დანელია, კირილ დანელია და უფროსი ვაჟი კოლია დანელია. კოლია ძალიან ნიჭიერი რეჟისორი, მხატვარი და პოეტი იყო. საუბედუროდ, 26 წლის ასაკში დაიღუპა (ნიკოლაი გიორგი დანელიასა და მსახიობ ლიუბოვ სოკოლოვას ვაჟი იყო, — რედ.).

**— ასეთმა დიდმა უბედურებამ როგორ არ გაგტეხათ, როგორ შეძელით თავს მორეოდით?**

— სმა დავიწყე. მაგრამ უფრო ცუდად ვხდებოდი და მივატოვე. უკვე ათი წელია, წვეთიც აღარ დამილევია. შინ მირჩევნია ყოფნა, სტუმრად კი გალიას გარეშე, რადგან როგორც კი სხვები დალევენ და გუნებაზე მოდიან, მე მწყინდება და „ვითესები“. როცა გალია ჩემთან ერთადაა, ეს ნომერი არ გამომდის, არ მომყვება და მეუბნება, — უხერხულია, სად მიდიხარ, ჩვენ ხომ ახლახან მოვედითო...

**— კიდევ რა გიყვართ?**

— იმპროვიზაცია სინთეზატორზე. ჩემი ცოლი ამტკიცებს, როცა შინა ხარ, ჩვენთან მაინც არა ხარო. მართალია. მე ხომ მუდამ ფილმებზე ვფიქრობ.

**— ამბობენ, რომ მუსიკალური იმპროვიზაციები კარგად გამოგდით. გამიგონია, თურმე თქვენი ფილმების კომპოზიტორებს რაღაც მელოდიას მიანიშნებთ და სთხოვთ, მუსიკა დაწერონ. თავად არ გიცდიათ მუსიკის დაწერა?**

— მე არ ვიცი ნოტები.

**— გიორგი ნიკოლაევიჩ, თქვენ უამრავი ნათესავი გყავთ. ისინიც ხელოვნებასთან არიან დაკავშირებულნი?**

— დანარჩენები იურისტები არიან.

**— როგორ, იურისტები?**

— ჩემი ქალიშვილი სვეტლანა, პირველი ქორწინებიდან — იურისტია, მისი მეუღლე იურაც იურისტი; სვეტლანას ქალიშვილი ირინაც — იურისტია, ვაჟიშვილი საშაც იურისტია — სტუდენტი. კოლიას ქალიშვილი მარ-



გარიტა და მისი ქმარი ლიონიაც იურისტები არიან. სხვათა შორის, გალიას დაც, ლენა იურისტია.

**— დანარჩენი შვილიშვილები?**

— კოლიას უმცროსი გოგონა, ალიონა ჯერ კიდევ კოლეჯში სწავლობს, კირილის ბიჭები კი ძალზე პატარები არიან. ვინ იცის, რა პროფესიას აირჩევენ? ხელოვანისას თუ იურისტის?

***7 დღე №30***



# საქართველოში არ არის მრჩევლების პრობლემა, პრობლემა რჩევების გათვალისწინებაშია...

საქართველოს ეკონომიკაში ახალი, მნიშვნელოვანი ეტაპი დაიწყო. ცნობილი პოლონელი ეკონომისტი, პოლონეთის ეკონომიკური რეფორმებისა და შოკური თერაპიის ავტორი, ლეშეკ ბალცეროვიჩი საქართველოს პრეზიდენტის ეკონომიკური მრჩეველი გახდა. მან ამ პოსტზე თანხმობა განაცხადა გასულ კვირას, პრეზიდენტ შევარდნაძესთან შეხვედრის შემდეგ.

საქართველოს ეკონომიკის შესახებ ცნობები ბალცეროვიჩს ჯერ კიდევ 5 წლის წინ ჰქონდა, რაც მისი მეუღლის, სოციალურ-ეკონომიკური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელის, ევა ბალცეროვიჩის დამსახურებაა.

— პოლონეთის განვლილ ეტაპსა და დღევანდელ საქართველოს მდგომარეობას შორის მსგავსებას ვხედავ. სტრატეგიამ, რომელიც წაადგა პოლონეთის ეკონომიკას, საქართველოსაც უნდა მოუტანოს წარმატება. მაქვს კონკრეტული წინადადებები სახელმწიფოსა და ეკონომიკის რეფორმებთან დაკავშირებით. მინდა ჩემი გამოცდილება გავუზიარო საქართველოს და გავუუმჯობესო ეკონომიკური პირობები მის მოსახლეობას, — განაცხადა ბალცეროვიჩმა და დასძინა, — სავალუტო ფონდის დაუხმარებლად საქართველო ეკონომიკური კრიზისიდან ვერ გამოვაო.

სხვათა შორის, რომან გოცირიძის აზრით, ბალცეროვიჩი, თუ შეიძლება ასე ითქვას, სავალუტო ფონდის ფრიადოსანი მოწაფეა და პოლონეთში განხორციელებული რეფორმები, სხვა არა იყო, თუ



არა სავალუტო ფონდის რეკომენდაციებისა და რჩევების განხორციელება. ამის დასტურად შეიძლება ჩაითვალოს სავალუტო ფონდის წარმომადგენლის, ქრისტოფერ მეიინის განცხადებაც: „ბალცეროვიჩი საქართველოში პრეზიდენტის მოწვევით ჩამოვიდა და ვფიქრობ, ეს გარკვეულწილად მოხსნის პრობლემას. საქართველომ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან უნდა მოიწვიოს მრჩევლები, მას ეს სჭირდება. თუმცა, არა მგონია, საბოლოოდ ბალცეროვიჩისა და ჩვენს რეკომენდაციებს შორის დიდი სხვაობა იყოს".

ბალცეროვიჩის საქართველოში ჩამოსვლასთან დაკავშირებით, ქართულ ეკონომიკურ სპექტრში სხვადასხვა შეხედულება არსებობს. მეწარმეების აზრით, ბალცეროვიჩის მუშაობას მანამდე არ მოჰყვება შედეგი, ვიდრე ხელისუფლებას თვალი ექნება დახუჭული იმაზე, რომ ყველა ეკონომიკური ბერკეტი ერთი და იმავე ჯგუფის ხელშია.

თუ ამ მოსაზრებებს გავყვებით და იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გარდა ეკონომიკაში გაბატონებული კლანური მენტალიტეტისა, ბალცეროვიჩს ხვდება კორუფციით დაუძლურებული ქვეყანა, უმოქმედო და პოლიტიკურად გაკოტრებული ხელისუფლება, მაშინ შეიძლება რეალობისაგან შორს არც იყოს საქართველოში მისი მოღვაწეობის შეფასება, რომელიც ეკონომისტმა ვაჟა ფარულავამ გააკეთა. „ამერიკის ხმისათვის" მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა — ბალცეროვიჩი სამუშაოდ საქართველოში არ ჩამოვა. თუ ჩამოვიდა, მალე გაიქცევა... თუ არ გაიქცა, წააბრძანებენო. თუმცა, ბ-ნ ვაჟა ფარულავას აზრით, ბალცეროვიჩის ჩამოსვლა, როგორც არ უნდა განვითარდეს მოვლენები, მაინც დადებითი მოვლენაა, რადგანაც მისი ეკონომიკური ინტელექტი ათჯერ მეტი მაინც არის მთელი ქართული ეკონომიკური გუნდის ინტელექტუალურ დონესთან შედარებით. ფაქტობრივად, ეს მოსაზრება ჰგავს ამას წინათ პრეზიდენტის მიერ დაუკონკრეტებელი ადრესატის (თუმცა, მასში არავის გასჭირვებია ყოფილი ეკონომიკის მინისტრის ლადო პაპავას ამოცნობა) მიმართ გაკეთებულ მკაცრ განცხადებას; მიუხედავად ადრესატისადმი დიდი პატივისცემისა, მან პროვინციალიზმი უწოდა ბალცეროვიჩის ჩამოსვლასთან დაკავშირებულ მის ნათქვამს, — ნუთუ ისე გადავგვარდით, რომ ახლა ბალცეროვიჩმა უნდა გვასწავლოს ჭკუა, განა ჩვენი გამოცდილება საკმარისი არ არისო... საკითხავია, თუკი ქართველ ეკონომისტთა გამოცდილება და ინტელექტი საკმარისია, მით უმეტეს, რომ ზოგი მათგანი ხელისუფლებაშიც იყო, შედეგი რატომ ვერ მივიღეთ? შესაძლოა ამ კითხვაზე პასუხი გარკვეულწილად ჩანდეს რომან გოცირიძის ნათქვამში — საქართველოში არ არის მრჩევლების პრობლემა, პრობლემა რჩევების შესრულებაში მდგომარეობს.

მის შინაარსში შეიძლება ვიგულისხმოთ ხელისუფლების მხრიდან რადიკალური ცვლილებების განხორციელების სურვილის უქონლობა (რაც გამოწვეულია ჩამოყალიბებული კლანურ-კორუფციული სისტემის ხელისუფლებასთან ორმხრივად მომგებიანი ალიანსით), ან არ არსებობს ამ რადიკალური ცვლილებების განსახორციელებლად საჭირო ძალა, ანუ ხელისუფლება უსუსურია (სავსებით შესაძლებელია, ერთიც იყოს და მეორეც). თავის სამოქმედო გეგმაში ბალცეროვიჩს საგადასახადო და საბაჟო სამსახურების რეფორმასთან ერთად ყველაზე კორუმპირებული ორგანიზაციების დაშლაც აქვს განზრახული. ეს, ფაქტობრივად, კორუფციული სისტემის ძირის გამოთხრას ნიშნავს, რაც, რა თქმა უნდა, ხელისუფლებამ უნდა განახორციელოს. ხოლო როგორ ახორციელებს ხელისუფლება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას და რა შედეგებსაც იღებს, ყველასათვის ნათელია. საეჭვოა, რომ ბალცეროვიჩმა რაიმე ისეთი ჯადოსნური სიტყვა იცოდეს, რაც ხელისუფლებას გააკეთებინებს იმას, რისი გაკეთების საჭიროებაც მან მშვენივრად იცოდა, მაგრამ არ გააკეთა. მოუწევს თუ არა ამ მხრივ ბალცეროვიჩს რაიმე კომპრომისზე წასვლა?

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი ბ-ნი **რომან გოცირიძე** ამ საკითხთან დაკავშირებით ამბობს:

— ბალცეროვიჩს ორმხრივი პრობლემა შეექმნება, მარცხნიდან და მარჯვნიდან. პრობლემებს შეუქმნიან ის ძალები, რომლებიც ამბობენ, — ჩვენ ვართ სპეციფიკური ქვეყანა და ამიტომ სულ სხვაგვარი მეთოდებით უნდა იმართებოდეს მდგომარეობაო და ა.შ.; ყოველივე ამის მიღმა კი მათი საკუთარი ინტერესები დგას. პრობლემები ექნება ხელისუფლებასაც, რომელიც ყოველთვის უთმობდა ამ ძალებს (ცხადია, ბალცეროვიჩთან მუშაობის შემთხვევაში ან ხელისუფლებამ უნდა აიღოს ხელი მათთან კომპრომისზე, ან ბალცეროვიჩი უნდა მოერგოს შექმნილ სისტემას და თავად წავიდეს კომპრომისებზე).

რაც შეეხება მარჯვენა მხარის პრობლემებს, ეს არის ლიბერალური მიმართულების, ჩემნაირი, ადამიანები, რომლებიც, ბუნებრივია, არ აპატიებენ მას კომპრომისებს. აქვე უნდა ითქვას, რომ ბალცეროვიჩი გახლავთ საქართველოსკენ მომართული ამერიკის თვალი და ყური. იმ საბიუჯეტო კრიზისის და ქვეყანაში გაბატონებული კორუფციის ფონზე რაღაც ცვლილებების განხორციელება აუცილებელია, რითაც ამერიკაცაა დაინტერესებული. ისინი უზარმაზარ ფულს იხდიან იმისთვის, რომ საქართველოში შექმნილ ვითარებაზე ინფორმაცია კიდევ ერთი კერძო ექსპერტისაგან მიიღონ, თორემ სავალუტო ფონდზე დიდი ექსპერტი და მეთვალყურე არ არსებობს მსოფლიოში.

პრაქტიკულად, ბალცეროვიჩი იმას იტყვის, რასაც ჩვენ ვამბობდით, მაგრამ მისი სიტყვის უკან დგანან გავლენიანი სახელმწიფოები და ბალცეროვიჩის ნათქვამის შეუსრულებლობის შემთხვევაში მათი დამოკიდებულება საქართველოს მიმართ შეიძლება შეიცვალოს.

ბალცეროვიჩის ჩამოსვლის დადებითი მხარე ის იქნება, რომ კვლავ გაცოცხლდება ლიბერალური ეკონომიკური იდეები და ამასთან ერთად ხელისუფლება იძულებული იქნება, ანგარიში გაუწიოს იმ სახელმწიფოებს, რომლებიც ბალცეროვიჩის რეფორმებს უდგანან უკან. იმ შემთხვევაში, თუ ბალცეროვიჩის რჩევები არ იქნება გათვალისწინებული, იგი დატოვებს საქართველოს (თავისთავად ეს სკანდალის ფორმას მიიღებს) და ნათელი გახდება, რომ საქართველოში საჭიროა ძირეული პოლიტიკური ცვლილებების გატარება. ხოლო თუ მისი რჩევები განხორციელდება, მაშინ საჩუქრებსაც მივიღებთ იგივე ამერიკის, ევროკავშირის, სხვა სახელმწიფოებისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან.

ზოგადად, ბალცეროვიჩის ჩამოსვლა, როგორც პიროვნებისა, არსებით გავლენას ვერ მოახდენს საქართველოს ეკონომიკაზე, მაგრამ ეს უკეთესი უფროა, ვიდრე უარესი, — განაცხადა ბ-ნმა რომანმა.

ბალცეროვიჩის ჩამოსვლასთან დაკავშირებით, აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირთა ნეგატიური დამოკიდებულება საკმაოდ პრაგმატული მოსაზრების საფუძველზე გამოიხატა, — ისინი ამბობენ, რომ თუ საქმე გაკეთდება, ყველაფერი ბალცეროვიჩს მიეწერება და თუ წახდება, ჩვენ დაგვბრალდებაო.

ბალცეროვიჩი ეკონომიკურ მრჩევლად შემოგვთავაზა ამერიკის პრეზიდენტის მთავარმა მრჩეველმა ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან ურთიერთობის საკითხებში სტივენ სესტანოვიჩმა. ბალცეროვიჩს პოლონეთში აღარ უკავია აღარც პრემიერის და აღარც ფინანსთა მინისტრის პოსტები, იგი თავისუფალია, რამაც გარკვეული როლი ითამაშა მისი კანდიდატურის წარდგინებისთვის. არის კიდევ ერთი დეტალი — სესტანოვიჩი წარმოშობით პოლონელია და საკმაოდ ახლო ურთიერთობა აქვს ბალცეროვიჩთან. ცხადია, ამ ფაქტორმაც განაპირობა ბალცეროვიჩის საქართველოსთვის წარდგენა, რომელსაც შრომას ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო აუნაზღაურებს.

საქართველოში იმუშავებს პოლონელ ეკონომისტთა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც ალბათ ბალცეროვიჩის მეუღლეც იქნება. თავად კი სამ თვეში ერთხელ ეწვევა საქართველოს. პოლონელი ექსპერტები და საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები ერთად შეიმუშავებენ ახალ ეკონომიკურ პოლიტიკას.

*მამუკა გიორგაძე*

# იაპონური ფირმები ინგლისიდან გარბიან

უმსხვილესმა ელექტრონულმა კორპორაციამ TFEZGZPSEU-მ განაცხადა, — რომ წყვეტს საქმი-



ანობას დიდ ბრიტანეთში და სხვა ევროპულ ქვეყნებში გადააქვს წარმოება. იაპონელებს ხელს არ აძლევს ლონდონის უარი, შეუერთდეს ევროპულ სავალუტო კავშირს. იაპონური კომპანიის გაქცევამ შესაძლოა სერიოზული დარტმა მიაყენოს ბრიტანულ ეკონომიკას.

დაახლოებით 70-იანი წლებიდან ბევრმა იაპონურმა კომპანიამ დაიწყო თავისი წარმოების გატანა სამშობლოდან, სადაც უსწრაფესად იზრდებოდა შრომის საფასური. ამასთან, წარმოება გაჰქონდათ არა მარტო აზიურ ქვეყნებში, სადაც ტრადიციულად არსებობს იაფი მუშახელი, არამედ ევროპასა და ამერიკაში, სადაც გარანტირებული იყო მუშაობის მაღალი ხარისხი. მაგალითად, ფირმა HONDA აქტიურად თანამშრომლობდა ბრიტანულ ROVER-თან, რის შედეგადაც გაჩნდა მანქანების ახალი მოდელები. თუმცა 90-იან წლებში იგივე HONDA დაზარალდა იმის შედეგად, რომ ROVER-ის აქციები გერმანიის კონცერნმა BMW-მ იყიდა და იაპონიის ტექნოლოგიური საიდუმლოებები მისი კონკურენტის — გერმანელი ავტომშენებლების ხელში აღმოჩნდა.

საერთოდ კი, ბრიტანეთის ეკონომიკაში ინვესტირება იაპონელებისთვის მომგებიანი გამოდგა. მასპინძლებიც კმაყოფილები იყვნენ, ათასობით სამუშაო ადგილი მიიღეს. ახლა კი იაპონია-ბრიტანეთის საქმიანი კავშირი დაშლის გზაზეა. ევროპის მიმართ გირვანქა სტერლინგის მაღალი კურსი დიდ ბრიტანეთში წარმოებას უცხოელ ინვესტორთათვის არახელსაყრელს ხდის.

ბრიტანეთიდან ესპანეთსა და საფრანგეთში თავისი წარმოების გატანის თაობაზე უკვე განაცხადეს კორპორაცია NISSAN-ის ხელმძღვანელებმა. იმავეს აპირებს MITSUBISHI. მისი თავკაცის კუნიო ნაკამურას თქმით, თუ დიდი ბრიტანეთი არ შემოიღებს ქვეყანაში ევროს, მისი კორპორაცია თავის საწარმოო სიმძლავრეებს ჩეხეთში გადაიტანს.

*კომერსანტი №146*



# კითხვა-პასუხი

**ჩემთვის ცნობილია, რომ ბიბლიის წიგნები სხვადასხვა ენაზეა შექმნილი. გთხოვთ გაგვარკვიოთ, კერძოდ რომელ ენაზე დაიწერა ძველი და ახალი აღთქმის წიგნები?**

***ადვაძე***

ძველი აღთქმის წიგნთა უმეტესობა და კერძოდ მისი უძველესი ნაწილი დაწერილია ძველებრაულ (ივრითი) ენაზე, რომელიც ამჟამად მკვდარ ენად ითვლება. ძველი აღთქმის მხოლოდ ზოგიერთ ფრაგმენტშია გამოყენებული არამეული (სირიული) ენა, რომელზეც ბიბლიის შემდეგდროინდელი წიგნებია დაწერილი. რაც შეეხება ახალ აღთქმას, იგი უმთავრესად შექმნილია ძველბერძნულად (კოინეს კილო). ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ახალი აღთქმის მხოლოდ მცირე ნაწილია შექმნილი კლასიკურ ბერძნულ ენაზე.

***თეიმურაზ ფანჯიკიძე, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი***

**ბავშვს აწუხებს თირკმლები, ზაფხულში კი ძალიან იზიდავს „კოკა-კოლა" და სხვა გამაგრილებელი გაზიანი სასმელები. მის ჯანმრთელობაზე ხომ არ იმოქმედებს ეს სასმელები?**

***ერთგული მკითხველი***

კოკა-კოლასა და პეპსი-კოლას მსგავსი სასმელები შედგება კოფეინისაგან, ფოსფორმჟავისა და რაფინირებული შაქრისაგან, — ამ სამი არცთუ უვნებელი სტიმულატორისაგან, აგრეთვე, გაზირებული წყლისაგან, რომლებიც აღიზიანებს თირკმლებსა და ღვიძლს. ამიტომ თირკმლებითა და ღვიძლით დაავადებულთათვის არ არის სასურველი ამ სახის სასმელების მიღება.

***კ. საბახტარიშვილი, ტრადიციული მედიცინის კაბინეტის გამგე***

**გვყავს პერსონალური პენსიონერი მოხუცი მშობლები, რომელთა პენსიასაც ვიღებთ შემნახველ სალაროში. დღემდე მინდობილობას ამოწმებდნენ სახლმმართველობაში. ახლა გამოგვიცხადეს, რომ ძალაში იქნება მხოლოდ ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, რაც საკმაოდ ძვირია. რამდენად კანონიერია ისედაც უმწეო პენსიონერებისგან ზედმეტი თანხის გადახდა?**

***მოქალაქე***

პენსიის ასაღებად ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა არ არის აუცილებელი. თქვენ შეგიძლიათ განცხადებით მიმართოთ თქვენი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სოციალური დაცვის ორგანოს, სადაც განმარტავთ, რომ არ შეგიძლიათ სალაროში სიარული და პენსიას ყოველგვარი ზედმეტი ხარჯის გარეშე მიიღებთ ბინაზე.

***ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური პოლიტიკის დეპარტამენტის საპენსიო პოლიტიკის სამმართველო***

**ბინაში, რომელიც არ არის პრივატიზებული, ჩაწერილი ვართ ოთხი სული. ჩემი მეუღლე, ვისზეც ბინაა გაფორმებული, რუსეთის ციხეში იხდის სასჯელს. გთხოვთ განგვიმარტოთ, როგორ შეიძლება ბინის პრივატიზება და შემდეგ მისი გაყიდვა?**

***ნანა***

რაკი ბინა მეუღლის სახელზეა გაფორმებული, საჭიროა მისი წერილობითი თანხმობა, რომ თავისი ქონების განმკარგავად თქვენ გასახელებთ, რისთვისაც არ არის აუცილებელი თქვენი რუსეთში გამგზავრება. უბრალოდ, ციხეში მყოფმა მეუღლემ უნდა გამოგიგზავნოთ მინდობილობა, რის შემდეგაც შეგეძლებათ ბინის გაყიდვა.

***საბურთალოს რაიონის სერვისული მომსახურების ცენტრი***

**ეკუთვნის თუ არა ქალაქად მცხოვრებ გათხოვილ შვილს მიწის ნაკვეთი მამისეულ სოფელში და რამდენი?**

***ნინო მარგიშვილი, თბილისი***

ადრე ქალაქად მცხოვრებ შვილსაც ეკუთვნოდა მამისეულ სოფელში მიწის ნაკვეთი. 1999 წლის 1 იანვრიდან კი მიწის გაცემა მოსახლეობისათვის შეწყვეტილია.

***თ. ბექაური, მიწის მართვის დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე***

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 12 აგვისტოდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| **აშშ დოლარი** | 1,9700 |
| **გერმანული მარკა** | 0,9150 |
| **ინგლ. გირვანქა სტერლინგი** | 2.9493 |
| **ევრო** | 1,7895 |
| **რუსული რუბლი** | 0,0712 |
| **თურქული ლირა (10.000)** | 0,0306 |

ფირმა «გარანტი»
აწარმოებს ბრტყელი სახურავების, ღია აივნების, ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს იმპორტული მასალით,

საუკეთესო ხარისხით.
გარანტია — 10 წელი
მის: წერეთლის გამზ. №142, „სამთო ქიმიის" შენობა, მე-3 სართ, ოთახი 78
☎ 34-05-52; 63-05-26; 877-43-85-69

ფირმების რეგისტრაცია
თარგმნა და ბეჭდვა
სწრაფად, იაფად
თავისუფლების მოედანი 7, ცეკავშირის შენობა, VI სართ, ოთ. 639
☎ 99-02-80; 899-53-91-91

ქაღალდი პოლიგრაფიისთვის
ადგილზე მიტანით

ფურცლებში და რულონებში
ტელეფონი: 71-04-14
877-43-28-62
სხვადასხვა ფორმატი
A1; A2; A3

# შეხვედრები ოკინავაზე

ჟაკ შირაკი იაპონიაში ორმოცდამეხუთეედ ჩავიდა და სანამ ოფიციალური შეხვედრები დაიწყებოდა, მისთვის საინტერესო ადგილები მოინახულა. დაესწრო სუმოს ტურნირს. 5.000-მა მაყურებელმა ოვაცია გაუმართა ამ ქვეყანაში ყველაზე ცნობილ მესამე ფრანგს (ალენ დელონისა და ჟან რენოს შემდეგ). ჟაკ შირაკი სიამოვნებით ეწვია რესტორნებს და, თქვენ წარმოიდგინეთ, ბუტიკებსაც კი.



კუნძული ოკინავა მეორე მსოფლიო ომის დროს წყნარი ოკეანის ყველაზე მძაფრი ბრძოლების ასპარეზი გახდა. იგი ამერიკელებმა 1972 წელს დათმეს, მაგრამ სამხედრო ბაზების 20% ჯერ კიდევ მათ ეკუთვნით. უმაღლესი დონის შეხვედრის დროს კუნძულს 22 ათასი პოლიციელი იცავდა.



ფრანგი და რუსი პრეზიდენტების აერობუსი A-310 და Ил-62 ძალზე მოკრძალებულად გამოიყურებოდნენ ბილ კლინტონის ორი უშველებელი ბოინგ-747-ის გვერდით. ამერიკის პრეზიდენტის თვითმფრინავში არის საძინებელი, სასადილო და საკონფერენციო დარბაზები, სააბაზანო, 2 სამზარეულო, პრეზიდენტის ორი კაბინეტი, სამკურნალო ბლოკი, 6 ტუალეტი და 84 ტელეფონი. მოკლედ, მცირე მფრინავი თეთრი სახლია.

ჟაკ შირაკს თან ახლდა 22 მცველი, მათგან მხოლოდ ერთს — პირად მცველს ჰქონდა იარაღის ტარების უფლება. ბილ კლინტონის დაცვას ზურგს უმაგრებდა კანდოს ამერიკული ბაზა. კლინტონს ისე ფხიზლად იცავენ, რომ წყლის მარაგიც კი თან აქვთ.

პრეზიდენტებს დახვდნენ უმაღლესი კლასის მანქანებით — ექვსკარიანი „მერსედესით“, უზარმაზარი „ნისანებით“ და „ტოიოტებით“. კლინტონისთვის საგანგებოდ ამერიკიდან ჩამოიყვანეს ჰოლივუდის შესაფერი შავი, ჯავშნიანი კადილაკი.

ვლადიმირ პუტინი გუშიკავას სპორტულ დარბაზს ეწვია. მან საბრძოლო ხელოვნების საუკეთესო ცოდნა გამოამჟღავნა და შავი ქამრის ღირსეული მფლობელიც აღმოჩნდა.

იაპონელმა პრემიერ-მინისტრმა შეცდომებისადმი მიდრეკილება გამოამჟღავნა. მას სპეციალურად ასწავლეს რამდენიმე ინგლისური სიტყვა: „How are you“ (როგორ ბრძანდებით?), რასაც უნდა მოჰყოლოდა პასუხი „Very well, and you?“ (ძალიან კარგად. თქვენ?) და საბოლოო: „Me too“ (მეც აგრეთვე). იაპონელს შეეშალა და კლინტონისათვის უკითხავს. „Who are you?““ (ვინ ხართ თქვენ?) კლინტონს შეკითხვა ხუმრობად მიუღია და ხუმრობითვე უპასუხია: „I am Hillary's husband“ (მე ჰილარის ქმარი ვარ), იაპონელსაც გაუგრძელებია: „Me too“ — მეც ასევეო!

ჟაკ შირაკმა იაპონიაში ჩასვლა ყველას დაასწრო და უკანაც გვიან დაბრუნდა. რით აიხსნება მისი ამგვარი სიმპათიები იაპონიის მიმართ? ახალგაზრდობაში იგი რუსულის მასწავლებელს ინდოეთით დაუინტერესებია. შირაკი ამით არ დაკმაყოფილებულა, ჩინეთითაც მოხიბლულა, მერე კი იაპონიის ჯერიც დამდგარა, ამიტომ დამღლელი შეხვედრების შემდეგ ცოტა ხნით გახალისდა ოკინავაზე და დიდი სიამოვნებაც მიიღო.

***პარი მატჩი №26/71***

# ასეთი რამ ამერიკაში ჯერ არ მომხდარა



ამერიკის ვიცე-პრეზიდენტმა და აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატმა ალბერტ გორმა მსოფლიო გააკვირვა არასტანდარტული პოლიტიკური ნაბიჯით. ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელა სენატორი ჯოზეფ ლიბერმანი. ამერიკის ისტორიაში ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატად პირველად დასახელდა ებრაელი. გორის გარემოცვას მიაჩნია, რომ სენატორი ლიბერმანი ვიცე-პრეზიდენტისთვის საჭირო ყველა თვისებას აკმაყოფილებს. გორს სჯერა მისი, აუცილებლობის შემთხვევაში ლიბერმანს შეუძლია პრეზიდენტის ფუნქციის შესრულება.

სადღეისოდ საპრეზიდენტო ბრძოლაში გორს უსწრებს ტეხასის შტატის გუბერნატორი ჯორჯ ბუში. კარგი მეწყვილის შერჩევა ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია გორსა და ბუშს შორის არსებული მანძილის შესამცირებლად. გორის თქმით, ლიბერმანი პარტიის, XX საუკუნის დემოკრატის ჭეშმარიტი სახეა. 58 წლის სენატორი ჯოზეფ ლიბერმანი ჭეშმარიტი კონსერვატორია. იგი დემოკრატიულ ხელმძღვანელთაგან ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც საჯაროდ გაკიცხა კლინტონი მონიკა ლევინსკისთან კავშირის გამო. ლიბერმანი ორთოდოქსი ებრაელია. მართალია, ზოგჯერ შაბათობითაც მონაწილეობს სენატის მუშაობაში, მაგრამ ყოველთვის ცდილობს ამ დღეს არ იმუშაოს.

ოცდაათი წლის წინ ჯონ კენედი პირველი კათოლიკე იყო, რომელმაც კენჭი იყარა ვიცე-პრეზიდენტის პოსტის დასაკავებლად. ეს გახლდათ გარკვეული გადახვევა დაუწერელი კანონებიდან, რომლის თანახმადაც, პრეზიდენტობის კანდიდატი და მისი მეწყვილე შეერთებული შტატების ერთ-ერთი მთავარი ეკლესიის წარმომადგენელი უნდა იყოს. თუმცა, ბოლოდროინდელი გამოკითხვა ცხადყოფს, რომ ამერიკელები გაცილებით ტოლერანტულნი გახდნენ რელიგიის, ეთნიკური და სექსუალური თვითგამორკვევის საკითხების მიმართ.

სენატორი ლიბერმანი ცნობილია, როგორც კინოში სექსისა და ძალმომრეობის პროპაგანდის მოწინააღმდეგე, თავდაცვისა და საგარეო პოლიტიკის დარგში კი ყოველთვის უჭერდა მხარს ამერიკის სამხედრო ძლიერების გაზრდასა და მსოფლიოში არსებულ შეიარაღებულ კონფლიქტებში ჩარევას.

***ნოვიე იზვესტია №144***

# გუსინსკი გიბრალტარზე იცხოვრებს

რუსმა ოლიგარქმა, რომელსაც კონფლიქტი აქვს პრეზიდენტ პუტინსა და საგადასახადო პოლიციასთან, გიბრალტარზე ცხოვრების ნებართვა მიიღო. ეს მოხდა ამ ტერიტორიაზე მულტიმილიონრების მიზიდვის ახალი პოლიტიკის თანახმად. მისმა კომპანია „მედია-მოსტმა“, რომელიც ფლობს ტელეარხ ნტვ-ს და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ქსელს, გიბრალტარში თავისი წარმომადგენლობა გახსნა, ბატონმა გუსინსკიმ აქ მდიდრული აპარტამენტები შეიძინა.

მუდმივად ცხოვრების ნებართვა გასცა ტერიტორიის შეფ-მინისტრმა პიტერ კარუანამ. ამას წინათ, მან გადასახადისაგან თავის დაღწევის მდიდარი მსურველების მოსაზიდად შეარბილა კანონმდებლობა. ერთ-ერთ ინტერვიუში ბატონმა კარუანამ უარყო ბრალდება, თითქოს გიბრალტარს ბინძური ფულის ჩამოსარეცხად იყენებდნენ. მან ისიც განაცხადა, რომ არ სურს კომენტარი გაუკეთოს წაყენებულ ბრალდებას გუსინსკის მიმართ, რომელსაც ბიზნესი (რუსეთის გარდა) აქვს დიდ ბრიტანეთში, ისრაელსა და ამერიკაშიც. რაც შეეხება გიბრალტარს, მას აქ კანონსაწინააღმდეგო არაფერი ჩაუდენია. რუსმა ოლიგარქმა რუსეთი მაშინვე დატოვა, როგორც კი გაიარა საზღვარგარეთ წასვლის აკრძალვის სამთვიანმა ვადამ და, როგორც ვარაუდობენ, ახლა ესპანეთში იმყოფება.

ამჟამად „მედია-მოსტის“ ოფისი კორელ როუდზე იმყოფება. ამბობენ, გუსინსკიმ მდიდრული აპარტამენტები შეიძინა ფეშენებელურ რაიონში, თუმცა ცნობილი არ არის, აპირებს თუ არა, იქ მუდმივად ცხოვრებას.

გადაწყვეტილებას, რომლის თანახმად, ბატონი გუსინსკი შეძლებს შეუერთდეს გიბრალტარში მცხოვრებ 2000 მილიონერს, რომლებიც წელიწადში სულ 20 ათას გირვანქა სტერლინგს გადაიხდიან, დაწვრილებით შეისწავლის დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო. მას არ სურს გუსინსკის ან სხვა ვინმე მდიდრის გამო ეკამათოს რუსეთს. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა — „ბურთი მათ მოედანზეა, მაგრამ მისი უდიდებულესობის მთავრობა შედეგებზე პასუხს აგებს. ვფიქრობთ, გიბრალტარი ცუდ ბიჭებს არ მიიღებს“

ბატონ კარუანას მთავრობა, რომელსაც სურს გიბრალტარი „საგადასახადო სამოთხედ“ აქციოს, ამტკიცებს, რომ მდიდრები, რომლებიც აქ მუდმივად ცხოვრების ნებართვას მიიღებენ, საგულდაგულოდ მოწმდებიან და რომ ბატონმა ვლადიმირ გუსინსკიმაც გაიარა ეს შემოწმება.

***თაიმსი***

# ბოევიკების უკანასკნელი რეზერვი

ჩეჩენ ბოევიკთა ლიდერმა ცამეტი წლის ბავშვების მობილიზაცია გამოაცხადა, ეტყობა, ბოევიკები არ ყოფნის. ახალწვეულებს, რასაკვირველია, გართობა და მამების მიერ დამოძღვრა არ ელოდებათ, სამაგიეროდ, დედის ცრემლები უხვად იღვრება. როგორც პრეზიდენტის თანაშემწის აპარატი იუწყება, ბოევიკები პატარებს დახვრეტით ემუქრებიან, აშინებენ მშობლებსა და უხუცესებს, რომლებიც ვერ ახერხებენ ახალწვეულთა გამოყვანას. რა ელოდებათ 13 წლის მეომრებს — მასხადოვის „ჰიტლერიუგენდებს“, იოლი მისახვედრია.




ნოჟაი-იურტის რაიონის მთიანეთში გახსნილია სამხედრო სასწავლო ბაზები, სადაც 20-30 „მგლის ლეკვი“ გაიწვრთნება. ბანდფორმირებას მკაფიო გრადაცია გააჩნია: ომის ერთი დღე 300 დოლარი ღირს. მაგრამ საქმე ის არის, რომ ერთ თვეში ამ ახალწვეულთაგან 10% არ რჩება ცოცხალი. ფედერალების სამხედრო ტექნიკის განადგურებისა და თვითმფრინავის ჩამოგდებისთვის — პატარებს 30 ათას დოლარს ჰპირდებიან, შვეულმფრენის ჩამოგდებისათვის — 25 ათას დოლარს, ტანკის აფეთქებისთვის — 15 ათას დოლარს, БТР-ის პირადი შემადგენლობის განადგურებაში — 10 ათას დოლარს უხდიან (ეს ყველაფერი ბლეფია). ჩეჩენი პატარებისათვის ომში მონაწილეობა ახალი არ არის; ჯერ კიდევ ჩეჩნეთის პირველ ომში რუსი მეკონტრაქტეების დახვრეტაში მოზარდები მონაწილეობდნენ. რუსეთის კონტრდაზვერვამ დაადგინა, რომ აპრილის თვეში მძევლად აყვანილ ინგლისელებს 15 წლის ჩეჩენმა მოჰკვეთა თავი.

მოკლე ექსკურსი ამ საკითხთან დაკავშირებით: 1944 წლის სექტემბერში, როდესაც გერმანულ არმიას ცოცხალი ძალა დააკლდა, ჰიტლერმა „ფოლკს შტურმის“ შექმნა ბრძანა, სადაც გერმანელებს 16 წლიდან იწვევდნენ (ხშირად 12 წლისებიც მონაწილეობდნენ). ირან-ერაყის ომში 80-იან წლებში ირანის არმია 14 წლის ყმაწვილებით ივსებოდა, რომელთაც შთააგონებდნენ — ბრძოლის ველზე ალაჰისთვის სიკვდილი — სულის გადარჩენის გზააო.

დღეს ყველაზე მეტი მცირეწლოვანი ჯარისკაცი აფრიკაში მსახურობს. ტაილანდისა და მაიამის საზღვარზე „საღვთო არმიის“ რაზმი ძირითადად 12 წლის ჯარისკაცებისაგან შედგება. სხვათა შორის, ამ ყმაწვილებს მათივე თანატოლი ტყუპი ძმები — ლუთერი და ჯონი ხელმძღვანელობენ.

***კომსომოლსკაია პრავდა №142***

# პრეზიდენტები ჩვენების მისაცემად დაიბარეს

ალექსანდრ კვასნევსკი სასამართლოშია გამოძახებული: პოლონეთის პრეზიდენტს იმის დამტკიცება მოუწევს, რომ კომუნისტების დროს, ე.ი. 1989 წლამდე არ თანამშრომლობდა სპეცსამსახურებთან. მისი მთავარი იდეური მოწინააღმდეგე, ლეხ ვალენსაც იმავე მდგომარეობაშია — მალე „სოლიდარობის“ დამაარსებელსა და პოლონეთის ყოფილ გმირსაც მოუწევს საზოგადოებისათვის საკუთარი საიმედოობის დამტკიცება.



სასამართლო განიხილავს პოლონეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივიდან ამოღებულ მასალებს, რომელთა დანიშნულებაა, უარყონ პრეზიდენტ კვასნევსკის ადრე ნათქვამი, რომ მას არასოდეს ჰქონია კავშირი პოლონეთის სპეცსამსახურებთან. თუ კვასნევსკი ვერ შეძლებს ადრე ნათქვამის დადასტურებას, მაშინ მას 10 წლით ჩამოერთმევა საზოგადოებრივი მოღვაწეობის უფლება. რა თქმა უნდა, ვერც სახელმწიფოს მეთაურის არჩევაში ვერ მიიღებს მონაწილეობას — მატყუარებს კანონი ამის უფლებას ართმევს. რაც, თავის მხრივ, გლობალურ კონსტიტუციურ კრიზისს გამოიწვევს.

კვასნევსკის თქმით, „მაკომპრომატირებელი“ მასალების უკან მემარჯვენე ფრთის წარმომადგენლები დგანან, მაგრამ საქმე მაინც ალბათ ისაა, რომ ახალი კანონების თანახმად, 1998 წლიდან უმაღლეს პოსტზე პრეზიდენტობის კანდიდატი (კვასნევსკის კი სურს 8 ოქტომბრის არჩევნებში კენჭი იყაროს) ვალდებულია, დაამტკიცოს, რომ არავითარი კავშირი არ ჰქონია საიდუმლო სამსახურთან.

არ გვეეჭვება, რომ პრეზიდენტმა სიმართლე თქვა, ჩვენ ვაგრძელებთ საარჩევნო კომპანიას — აცხადებს კვასნევსკის საარჩევნო შტაბის პრეს-მდივანი.

რიგით მოქალაქეთაგან არავის სჯერა, რომ ლეხ ვალენსა ოდესლაც ჯაშუშობდა, მაგრამ კანონის თანახმად, მასაც მოუწევს შემოწმება.

ამ ბინძური პოლიტიკური თამაშების გამო, პოლონეთი მსოფლიოს თვალში ულამაზოდ გამოიყურება — აცხადებს „სოლიდარობის“ ლეგენდარული აქტივისტი ადამ მიხნიკი.

თავად ვალენსას მიაჩნია, რომ მის წინააღმდეგ მიმართული საბუთები, რა თქმა უნდა, ყალბია.

პოლონეთს სურს, დღეს გააკეთოს ის, რაც დიდი ხნის წინ გააკეთეს ექს-სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში — საბოლოოდ ახადოს ფარდა პოლიტიკურ საიდუმლოებებს.

***სეგოდნია №157***

# მშვიდობის დროშა სილამაზის კუნძულზე



პარიზში, საფრანგეთის მთავრობამ და კორსიკის ხელისუფლებამ კუნძულისთვის შეიმუშავეს სპეციალური სტატუსი, გამოიკვეთა მეამბოხე რაიონის მომავალიც. მატინიონის 20 ივლისის შეთანხმებამ თითქოს უნდა დაასრულოს 25 წლიანი დაძაბულობა და ძალმომრეობის წლები. პარიზშიც და კორსიკაზეც როგორც იქნა, ირწმუნეს, რომ დაუბრუნდებიან სამოქალაქო მშვიდობასა და დიალოგს. პრემიერ-მინისტრის კაბინეტმა პირობა დადო, რომ გადახედავენ კონსტიტუციას და 2004 წლიდან კორსიკელები შეძლებენ ფრანგული კანონების ადგილობრივ რეალობასთან შეფარდებას. იქნებ მართლა სჭირდება გადახედვა იმ ურთიერთობებს, რაც კონტინენტსა და კუნძულს 1789 წლიდან აკავშირებთ და შესაძლებელი გახდეს მათი საბოლოოდ შერიგება.

***პარი მატჩი №26/71***

# მოკლედ

წლეულს **იაპონიამ** აღნიშნა ატომური დაბომბვის 55 წლისთავი. ჰიროსიმაში დაბომბვის მსხვერპლთა ხსოვნის სამგლოვიარო ცერემონიაში მონაწილეობა მიიღო იაპონიის პრემიერ-მინისტრმა იოსირო მორიმ, რომელიც კინაღამ თავად გახდა მსხვერპლი. დილის 9 საათზე, ცერემონიის დამთავრებისთანავე ვილაც ახალგაზრდა კაცმა გაარღვია ხალხი და იმ მანქანას მივარდა, რომელშიც პრემიერ-მინისტრი ჯდებოდა, დაცვამ მოასწრო მისი დაკავება. ამჟამად იკვლევენ მის ვინაობას და თავდასხმის მოტივს.

**ამერიკის შეერთებული შტატების** 11 შტატში გრძელდება უძლიერესი ხანძრები. კალიფორნიაში ცეცხლმა გაანადგურა 10 ათას აკრზე მეტი ტყე. მეხანძრეები უძლურნი არიან ცეცხლის სტიქიის წინაშე, რომლის გავრცელებას ხელს უწყობს სიცხე და ძლიერი ქარი.

**თალიბებმა** საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს მოსთხოვეს, რომ ავღანელი სპორტსმენები დაუყოვნებლივ მიიწვიონ სიდნეიში. თალიბთა სპორტის მინისტრის თქმით, ავღანელი მძლეოსნები ძალიან შეაწუხა ოლიმპიური კომიტეტის მიერ ადრე მიღებულმა გადაწყვეტილებამ იმის თაობაზე, რომ ავღანელებს ეკრძალებათ წლევანდელ ოლიმპიადაში მონაწილეობა.

**უზბეკეთის** სამხრეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებში უკვე რამდენიმე დღეა, მიმდინარეობს ბრძოლა სამთავრობო ჯარებსა და ისლამისტთა რაზმებს შორის. უზბეკეთის ისლამური მოძრაობის პრესცენტრის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ საერთაშორისო ტერორისტმა ოსან ბენ ლადენმა სამხედრო ოპერაციებისათვის ფული გამოუგზავნა მათ. უზბეკეთის სპეცსამსახურების კონტრტერორისტული ოპერაცია — შვეულმფრენებით თავდასხმა ბოევკების პოზიციებზე წარუმატებლად დამთავრდა.

კომპიუტერულ ქსელში წესრიგის დასამყარებლად **ჩინეთში** იქმნება ინტერნეტ-პოლიცია. მისი ძირითადი ამოცანაა — ბრძოლა თალიბების წინააღმდეგ. ამჟამად ჩინეთის ანხოის პროვინციაში ინტერნეტ-პოლიციის ქვედანაყოფი მოქმედებს, რომელიც ავრცელებს ინფორმაციას კომპიუტერული ვირუსების შესახებ, ამუშავებს ინტერნეტ-საიტის „ფილტრაციის“ საგანგებო პროგრამებს, რომელიც ბავშვებს გამოადგებათ. ჩინეთში ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვი დაახლოებით 17მლნ-ს აღწევს.

რამდენიმე დღის წინ **იაპონიაში**, კუნძულ მიაკეძიმაზე, რომელიც ტოკიოდან 190 კმ-ის დაშორებით მდებარეობს, ამოიფრქვა ვულკანი ოიამა. მისი სიმაღლე 815 მეტრია. პირველად იგი 28 ივნისს ამოქმედდა და მაშინვე კუნძულიდან ევაკუირებული იქნა 2500 ადამიანი. ამჟამად დახურულია აეროპორტი მიაკე. სეისმოლოგები ზუსტ პროგნოზებს არ იძლევიან. მათი თქმით ვულკანის ამოქმედება ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი

# რა ვჭამოთ და რა ვსვათ ზაფხულში



აღმოსავლელ მედიკოსთა აზრით, სიცხეში ყველანაირი ხილის ჭამა არ შეიძლება. კარგია ციტრუსები, განსაკუთრებით ფორთოხალი და გრეიპფრუტი.

ინდურ-ტიბეტური მედიცინა თვლის, რომ გამაგრილებელი თვისებები გააჩნია ცხოველურ პროდუქტებსაც: კარაქს, ძროხის და ღორის ხორცს. მცენარეული ზეთის გამოყენება სიცხეში არ არის სასურველი. ეს ცეცხლზე ნავთის დასხმას ნიშნავს. განსაკუთრებით საშიშია მდოგვის ზეთი, ყველას ყურძნის კურკების ზეთი სჯობს.

მწვანილეულიდან სიცხეში უკეთესია კამა (თესლიანად). ალკოჰოლის ზომიერად მიღება სასარგებლოც კია, მაგრამ უნდა შევარჩიოთ სეზონის მიხედვით. ზაფხულში სჯობს ანადუღარ წყალში გაზავებული ღვინის მიღება (1X2).

*ზდოროვიე №7*



# უნდა ვიცოდეთ

სამკურნალო ბალახებმა რომ არ გავნოთ, განურჩევლად არ უნდა მიიღოთ. მაგალითად, **თავშავა** ვნებს ორსულებს, **ლიმონურას** ჩაი არ უნდა დალიოთ ჰიპერტონიისა და უძილობის დროს. არც კრაზანას ჩაი უნდა სვან მაღალწნევიანებმა, მისი ხანგრძლივი მიღება იწვევს ფიტოდერმატომას და აქვეითებს პოტენციას.

**ზღვის კომბოსტო,** რომელიც კორეული სალათების აუცილებელი კომპონენტია, არ უნდა მიიღოთ ნეფრიტის (თირკმლების ანთება), ორსულობისა და ალერგიის დროს.

**შავი ცირცელი** საზიანოა ჰიპერტონიისა და მომატებული სისხლის დროს.

**კონახურზე** ორსულობისას უნდა თქვათ უარი.

**ლეღვი, მჟაუნა და რევანდი**, რომლებიც შეიცავენ მჟაუნმჟავას, არ უნდა სვან მათ, ვისაც შარდში ქვები აღმოაჩნდება.

თუ გაწუხებთ დიაბეტი, სიმსუქნე, შეშუპება — უარი უნდა თქვათ **ყურძენზე**.

**ჟოლო** — საზიანოა ნიკრისის ქარით და თირკმლით დაავადებულებისათვის, ხოლო ისეთი სასარგებლო მწვანილი, როგორიცაა **ოხრახუში,** არ უნდა მიიღონ ორსულობისას.

**პირშუშხა, შავი ბოლოკი, მწვანე ხახვი, ნიორი** არ ჭამოთ ღვიძლის ან თირკმლის დაავადებისას.

*ლიზა №31*

# ჭუჭყს ჯერ არავინ მოუკლავს

ბერლინის ჰუმბოლტის სახელობის ინსტიტუტში ცდიან ე.წ. ჭუჭყის ვაქცინას, ძირითადად მდიდარი ან ძალიან ზიზღიანი მშობლებისთვის, რომლებიც შვილს ქუჩაში გუბურის ორთქლსაც კი არიდებენ. დადგინდა, რომ სისუფთავე ასუსტებს აზიზი ბავშვის იმუნურ სისტემას, რის გამოც ჩვეულებრივი გაცივება შეიძლება ტრაგიკულად დამთავრდეს.

*ოტდოხნი №30*

# მწერებისაგან თავის დაცვა

ყვავილობამდე დაამტვრიეთ უცვეთელას ტოტები და გაახმეთ. ოთახში მოაბნიეთ, ტარაკანები თვითონ წავლენ.

ჭიანჭველებისაგან დაგვიცავს ველური მაიორანი. მასაც ყვავილობამდე კრეფენ, ახმობენ, დაფხვნიან და ყრიან იქ, სადაც ჭიანჭველები ბუდობენ. ისინიც მალე გაიქცევიან.

კორეელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ყავა არა მარტო ამხნევებს და პარკინსონის დაავადებებისაგან იცავს ადამიანს, არამედ ალერგიისაგან კურნავს კიდეც. ალერგიის მძიმე შეტევის დროს, როცა ავადმყოფი სივდება და იხრჩობა, ერთი ფინჯანი მაგარი ყავა აჩერებს რეაქციას, ზოგიერთ შემთხვევაში სიცოცხლეც შეუნარჩუნებია ადამიანისთვის. ეს ფაქტი, შესაძლოა, ბევრმა თქვენგანმა იცოდეს, მაგრამ ის, რომ კრაზანები ვერ იტანენ ყავის სუნს, ნამდვილად ახალი აღმოჩენა იქნება.

*მეგაპოლის-ექსპრესი №30*

# პეც უილსონის დიეტა

პოპულარული მსახიობი, ნიკიტას როლის შემსრულებელი ამავე სახელწოდების ტელესერიალში, პეტ უილსონი, მაყურებელს ხიბლავს ლერწამივით ტანით, კოხტა სიარულით, სინატიფით. ამ მშვენიერ ქალს მართლაც ყველაფერი უხდება, რადგან არ ამძიმებს სიმსუქნე. პეტს თურმე უყვარს გემრიელი ჭამა-სმა, მაგრამ უფრო ხილ-ბოსტნეულს ეტანება, ალკოჰოლს არ ეკარება — სახის კანს აბერებსო. გარეგნობა რომ შეინარჩუნოს, მსახიობი პროფილაქტიკისთვის თვეში ერთხელ დიეტას იცავს და თქვენც გთავაზობთ, ძვირფასო მანდილოსნებო:

**I დღე** — 5 ცალი საშუალო ზომის მოხარშული კარტოფილი, 1,5 ლ უცხიმო მაწონი;

**II** — 100 გ მოხარშული ქათამი, 1,5 ლ უცხიმო მაწონი;

**III** — 100 გ ნებისმიერი მოხარშული ხორცი, 1,5ლ. უცხიმო მაწონი;

**IV** — 100 გ მოხარშული თევზი, 1,5 ლ უცხიმო მაწონი;

**V** — ხილი და ბოსტნეული (ყურძნისა და ბანანის გარდა), 1,5 ლ. უცხიმო მაწონი;

**VI** — მხოლოდ მაწონი;

**VII**— მინერალური წყალი;

დიეტის დაწყებამდე გავისუფთაოთ კუჭ-ნაწლავი, ყველა რეკომენდებული საჭმელი უნდა მომზადდეს უმარილოდ და უშაქროდ.

*სთარი №23*

SGS - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
SGS - თანამედროვე ტექნიკური ბაზა
SGS - მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
SGS - განკურნების მაქსიმალური გარანტია
SGS - აბსოლუტური ანონიმურობა

ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!

ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის:
„პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი“),
მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე

# A ჰეპატიტი

ზაფხულს მოუთმენლად ველოდებით და გასაგებიცაა. მაგრამ არ გეგონოთ, რომ ცხელი დღეები მხოლოდ ადამიანებს იზიდავდეს. ზაფხული განსაკუთრებით „უყვართ“ ინფექციურ დაავადებათა გამომწვევ მიკრობებს. სწორედ ზაფხულშია შესაძლებელი ადამიანის ორგანიზმის ინფიცირება, რომელიც გარკვეული პერიოდის გავლის შემდეგ მთელი სიმწვავით გამოვლინდება. ასეთ პათოლოგიათა რიცხვს მიეკუთვნება ყველასათვის კარგად ცნობილი ბოტკინის დაავადება — A ჰეპატიტიც.

A ჰეპატიტი ამჟამად მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ინფექციურ დაავადებათა რიცხვს მიეკუთვნება. დადგენილია, რომ 50 წლის ასაკის შემდეგ ადამიანთა 70-90%-ს A ვირუსის მიმართ ანტისხეულები აღენიშნებათ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობის უმრავლესობას A ჰეპატიტი ამა თუ იმ კლინიკური ფორმით აქვს გადატანილი.

ინფექციის წყარო ავადმყოფი ადამიანია. განსაკუთრებით საშიშია უსიყვითლო ან ე.წ. უსიმპტომო ფორმით „შეპყრობილი“ ადამიანები. ამ დროს, როგორც წესი, დიაგნოზი ვერ დგინდება. ამოუცნობი რჩება ინფექციის წყარო, არ ხდება იზოლაცია, უფრო მეტიც ადამიანმა არც კი იცის პათოლოგიის არსებობის შესახებ. ინფექციის გადაცემის ძირითადი მექანიზმი ფეკალურ-ორალურია. დაინფიცირება ვირუსით დაბინძურებული წყლისა და საკვების მიღების დროს ხდება. ძალზე მნიშვნელოვანია პირადი ჰიგიენაც. ბოტკინს ხომ სხვაგვარად — ბინძური ხელების დაავადებასაც უწოდებენ.

სხვადასხვა ასაკის ადამიანთა მგრძნობელობა დაავადებისადმი განსხვავებულია. 1 წლამდე ასაკში A ჰეპატიტი თითქმის არ გვხვდება, რაც თანდაყოლილი იმუნიტეტით უნდა იყოს განპირობებული. ინფექციისადმი მგრძნობელობა განსაკუთრებით მატულობს 2-დან 15 წლის ასაკში.

A ჰეპატიტს პერიოდულობა და სეზონურობა ახასიათებს. შემთხვევები მატულობს ზაფხულის მიწურულს, შემოდგომასა და ზამთარში.

დაავადების გადატანის შემდეგ მყარი იმუნიტეტი გამომუშავდება, ამიტომაც განმეორებითი შემთხვევები ძალიან იშვიათია. თუმცაღა, ეს სულაც არ უშლის ხელს ჰეპატიტების სხვა ფორმების, განსაკუთრებით B და C ჰეპატიტებით ინფიცირებას. ორგანიზმში მოხვედრილი ვირუსი კუჭ-ნაწლავის ლორწოვანის გზით აღწევს ლიმფურ კვანძებს. შემდეგ იქიდან სისხლში ხვდება და პირველ რიგში ღვიძლს აზიანებს.

კლინიკური გამოვლინების მიხედვით არჩევენ A ჰეპატიტის 3 ფორმას. ყველაზე ხშირი კი სიყვითლით მიმდინარეა. ორგანიზმში ვირუსის მოხვედრიდან დაავადების პირველი ნიშნების გამოვლინებამდე პერიოდი, საშუალოდ 2-3 კვირა გრძელდება. ამის შემდეგ პათოლოგია მწვავედ იწყება. ზოგადი ინტოქსიკაციის ფონზე გამოვლინდება სხვადასხვა ნიშნები: ყველაზე ხშირია გრიპისმაგვარი მიმდინარეობა — ადამიანს ამცივნებს, მატულობს ტემპერატურა, გამოვლინდება სისუსტე, თავის ტკივილი, სხეულში ტეხვის შეგრძნება, ხველა, ყელის ტკივილი. ამ სიმპტომებს 3-5 დღეში თან დაერთვის — უმადობა, გულის რევა, ღებინება, სიმძიმის შეგრძნება მარჯვენა ნეკნთა ქვეშა არეში, შეკრულობა და ფაღარათი.

აღნიშნული პერიოდის ბოლოს, რომელიც დაახლოებით 5-7 დღე გრძელდება — შარდი მუქდება. ამ დროს დიაგნოზის დადგენა ძალზე მარტივია.

შარდი მოყავისფრო, ლუდისფერი და ქაფიანია. ამის შემდეგ იწყება სიყვითლის გამოვლინება, რომლის ინტენსივობა თანდათან მატულობს. სიყვითლის გამოვლინებისთანავე ზემოჩამოთვლილ ნიშანთა უმრავლესობა სრულიად ქრება და ავადმყოფი თავს უკეთ გრძნობს.

პირველ რიგში — სიყვითლე შეიმჩნევა სკლერებზე, რბილ სასაზე, შემდეგ კი მთელი სხეულის კანზე. ეს პერიოდი 10-15 დღე გრძელდება. აქვე აღინიშნება ბოტკინისათვის დამახასიათებელი კიდევ ერთი ნიშანი — აქოლია (განავლის გაუფერულება).

A ჰეპატიტის დროს სიყვითლე უფრო მარტივად ცხრება, ხოლო გადიდებული ღვიძლი და ელენთა უფრო ნელა უბრუნდება ნორმას.

A ჰეპატიტის უსიყვითლო ფორმის დროს გამოხატულია ყველა სიმპტომი, გარდა სიყვითლისა. დიაგნოზი სისხლში ღვიძლის ფუნქციური სინჯებისა და შარდის ანალიზის საფუძველზე დაისმება. სიყვითლის გამოვლენის და შარდის დამახასიათებელი ფერის მიღების დროს — დიაგნოზი ეჭვგარეშეა. მაგრამ მანამ, სანამ ეს სიმპტომები გამოვლინდება დაავადების დადასტურება სახლის პირობებში მარტივად თქვენვე შეგიძლიათ. ავადმყოფი ადამიანის შარდი პატარა გამჭვირვალე ჭურჭელში (სინჯარაში) ჩაასხით და შიგ ერთი წვეთი იოდის ხსნარი ჩააწვეთეთ. თუ შედეგად მომწვანო შეფერილობის რგოლი მიიღეთ, ეს ბოტკინის დაავადების დამადასტურებელი იქნება. სინჯი შეგიძლიათ დღეში რამდენჯერმე გაიმეოროთ.

A ჰეპატიტის მსუბუქი და საშუალო სიმძიმის ფორმით დაავადებულთა უმრავლესობა მედიკამენტურ მკურნალობას არ საჭიროებს. საკმარისია ბაზისური თერაპია: წოლითი რეჟიმი და დიეტა. სიყვითლის პირველი 7 — 10 დღე აუცილებელია წოლითი რეჟიმი, შემდეგი 30 დღე კი ნახევრად წოლითი.

მნიშვნელოვანია სრულფასოვანი კვება — ვიტამინებით, ცილებითა და ნახშირწყლებით მდიდარი საკვები. უნდა შეიზღუდოს ძნელად მოსანელებელი ცხიმი. დასაშვებია 30-50 გ კარაქი.

*ცილა* — ხაჭოს, ქათმის, ძროხისა და ახალი თევზის, ყველის სახით.

*ნახშირწყლები* — ბრინჯის ფაფის, თაფლის, წიწიბურის, თეთრი პურის, კარტოფილის, ბოსტნეულითა და ხილით.

მიზანშეწონილია მოზრდილებისათვის 3 ლ-მდე სითხე — წვენები, კომპოტები, მინერალური წყალი.

*აკრძალულია* — შემწვარი, ცხარე საკვები, ალკოჰოლი, შოკოლადი, ნამცხვარი, ყავა, კონსერვები;

A ჰეპატიტის მძიმედ მიმდინარეობისას აუცილებელი ხდება ადამიანის ჰოსპიტალიზაცია.

*მაია მუხიგული*

# ბაქტერიალური დიზენტერია ბავშვებში

ამ დაავადების გამომწვევია ბაქტერია. დაავადება, როგორც წესი, ზაფხულის მიწურულს აღწევს კულმინაციას, მაგრამ ცალკეული შემთხვევები მთელი წლის მანძილზე შეინიშნება.

**როგორ გადადის ინფექცია?** დიზენტერია ყველაზე ხშირად გვხვდება ერთიდან 4 წლამდე ბავშვებში. მთავარი წყაროა ადამიანი, რადგან ეს სნეულება ცხოველებს არ ეკარება. მოწამვლა ხდება ფეკალის მოხვედრისას წყალში ან საკვებ პროდუქტებში. ინფექციის გადაცემის მიზეზი შეიძლება სათამაშოც გახდეს.

ახალშობილს დაავადება გადაედება დიზენტერიით დაავადებული დედისაგან — მშობიარობის პერიოდში ან ძუძუთი კვების დროს.

დიზენტერია ვითარდება ბაქტერიის შეღწევისას კუჭ-ნაწლავის ეპითელიალურ ქსოვილში, სადაც ხდება მისი გამრავლება. ინკუბაციური პერიოდი 36-72 საათია.

**დაავადების სიმპტომები**. დიზენტერიის პირველი სიმპტომი არასპეციფიკურია: სიცხის მომატება, სისუსტე, თავის ტკივილი. რამდენიმე საათის განმავლობაში ჩნდება ტკივილები მუცლის არის ქვედა ნაწილში. ჩნდება კუჭში გასვლის სურვილის შეგრძნება. ავადმყოფობის პირველ დღეებში განავალი ჩვეულებრივია, მაგრამ დროთა განმავლობაში ხდება ლორწოვანი და სისხლიანი. კუჭის მოქმედების სიხშირე დღე-ღამეში 20-მდე აღწევს, ზოგ შემთხვევაში აღემატება კიდეც.



დიზენტერიამ მრავალგვარი გართულება შეიძლება გამოიწვიოს. ხანდახან, განსაკუთრებით ბავშვებში, ზიანდება ნერვული სისტემა. მაღალი სიცხის ფონზე შესაძლოა, განვითარდეს კრუნჩხვები, მენინგიტის და ენცეფალიტის მსგავსი სიმპტომები.

ამ დაავადებას უნდა ვუმკურნალოთ ანტიბიოტიკებით. თერაპიის მთავარი ეტაპია ბავშვის რეაბილიტაცია. რაციონიდან უნდა ამოიღოთ ცხარე, ცხიმიანი კერძები. ვიტამინები უნდა აღდგეს წვენების, შემწვარი ვაშლის საშუალებით, ხშირად აუცილებელია რკინის შემცველი პრეპარატების მიცემა.

**როგორ ავარიდოთ ბავშვი დიზენტერიას?** პირველ რიგში, აუცილებელია პირადი ჰიგიენის წესების დაცვა, ჭურჭლის დამდუღვრა, ყოველი კვების წინ საწოვარას გამოხარშვა. არ გავაჭაჭანოთ ბინაში ბუზი, არ დავტოვოთ თავახდილი პროდუქტი.

*ლიზა №31*

# მაგნიტური ქარიშხალი — პლანეტური მოვლენა



## გაზეთ „კვირის პალიტრის“ მთავარ რედაქტორს

**პატივცემულო რედაქციავ, გთხოვთ გამოაქვეყნოთ წერილი მაგნიტური ქარიშხლებისა და მისი ზეგავლენის შესახებ ადამიანის ორგანიზმზე.**

**ნ. ნიჟარაძე, ქუთაისი**

ბოლო დროს ბევრი უჩივის უმიზეზო თავის ტკივილს, სისუსტეს, დაღლილობას, გაღიზიანებას; ეძებენ მიზეზს, ხან რას აბრალებენ და ხან რას... სინამდვილეში ეს ყველაფერი აქტიური ნათების, მაგნიტური ქარიშხლების ბრალია. ჩვენ ყველანი ამ მაგნიტური ქარიშხლების მსხვერპლნი ვართ. როგორც მაგნიტობიოლოგიური ლაბორატორიის თანამშრომლები გვამცნობენ, პლანეტათაშორისო სივრცეში უდიდესი სიძლიერით გამოიყოფა მზის პლაზმის დიდი ღრუბელი, რომელიც არნახული სისწრაფით უახლოვდება დედამიწას. მას მეორენაირად მზეზე აფეთქებებს უწოდებენ. ამ დროს კოსმოსში დამუხტული ნაწილაკების ნაკადი მოედინება. წინ თუ დედამიწა შეეჩეხება, მაშინ იწყებს ფორიაქს ჩვენი პლანეტა. მზეზე აფეთქებების მე-2, მე-3 დღეს ატმოსფეროში იწყება მაგნიტური ქარიშხალი, რომელიც ზოგჯერ ჩვენამდე არც აღწევს.

ამჟამად, როგორც სპეციალისტები იუწყებიან, დიდი ნათება აქტივობის პიკს განიცდის და ამიტომაც ხდება ხშირი აფეთქებები მზეზე. მზე აქტიურდება ყოველ მეთერთმეტე წელს. მაგნიტური ველების მერყეობა უფრო ჩრდილოეთ განედზე იგრძნობა; სამხრეთით ზოგჯერ სულაც არ შეინიშნება. მოსახლეობის 10-15% მგრძნობიარეა მაგნიტური ქარიშხლის მიმართ. რა ხდება მაშინ ადამიანის ორგანიზმში? როგორც მედიკოსები ვგამცნობენ, მაგნიტური ველის მერყეობის დროს გულ-სისხლძარღვთა სისტემით დაავადებულთა შორის იცვლება კაპილარებში სისხლის მიმოქცევა. ჩვეულებრივ მდგომარეობაში ერითროციტები სისხლში მშვიდად და ზომიერად მოძრაობენ, აქტიურად შთანთქავენ ჟანგბადსა და გადააქვთ მთელ ორგანიზმში. ქარიშხლის დროს კი, ერითროციტები „გიჟდებიან“, დიდ ჯგუფებად ერთიანდებიან, რის შედეგადაც ორგანიზმის ქსოვილებში ჟანგბადის უკმარისობა იწყება. რაც უარყოფითად მოქმედებს თირკმელზედა ჯირკვალზე, გამოიყოფა დიდი რაოდენობით ადრენალინი, შეიმჩნევა უმიზეზო გაღიზიანება და დაღლილობა, სისხლში ქოლესტერინის დონე მატულობს. ამიტომაც, ექიმები გვირჩევენ, მაგნიტური ქარიშხლის დროს არ მივირთვათ ცხიმიანი საკვები და ტკბილეულობა. ამ ვითარების თავიდან ასაცილებლად, რეანიმაციის განყოფილებებში არსებობს სპეციფიკური ოთახები, რომლის კედლები მოპირკეთებულია ისეთი მასალით, რომელიც მაგნიტური ქარიშხლის შედეგებს თითქმის ხუთჯერ ანეიტრალებს. მაგნიტური ველების ძლიერი მერყეობისას აქ ათავსებენ სერიოზულ ავადმყოფებს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ადამიანები კლაუსტროფობიით არ იყონ დაავადებულნი (ვერ იტანენ ფანჯრებიან ოთახს). საერთოდ, მეტეომგრძნობიარე ადამიანები ქარიშხლის მოახლოებას გრძნობენ 2-3 დღით ადრე. ამიტომაც შესაძლებელი ხდება „მტერს შეიარაღებული“ დახვდნენ. უსიამოვნო შეგრძნების გაჩენისთანავე მიიღეთ ასპირინის აბები. იგი სისხლს ათხელებს და თავის ტკივილს მოგიხსნით. ასპირინის ხშირი მიღება კუჭით დაავადებულთათვის მიზანშეწონილი არ არის.

მნიშვნელობა არა აქვს, სად შეხვდებით მაგნიტურ ქარიშხალს — შინ თუ გარეთ, ისე სჯობს ბუნებაში, სუფთა ჰაერზე... კრიტიკულ დღეებში გულის ფუნქცია უარესდება, ამიტომ სასურველია ნაკლებად დაიღალოთ, არ ივარჯიშოთ... მშვიდად ჩაჯექით სავარძელში და იკითხეთ საინტერესო წიგნი. მაგნიტური ქარიშხლის დღეები ამძაფრებს ჰიპერტონიას, სტენოკარდიას, გულის იშემიურ დაავადებას, მიოკარდის ინფარქტს, ინსულტს, თრომბოფლებიტს, ვენების ვარიკოზულ დაავადებას, გულის ასთმას და შაქრიან დიაბეტს.

გირჩევთ, თვალყური ადევნოთ არახელსაყრელი დღეების პროგნოზს.

# „თეთრი დათვი“, ანუ როგორ გაუცრუა ბერიამ „აბვერს“ „უკანასკნელი იმედი“

1942 წლის შემოდგომაზე, საბჭოთა კავშირის ჯარების მიერ „კურსკის რკალის“ სახელით ცნობილი წარმატებული ბრძოლების შემდეგ საბოლოოდ დასამარდა ადოლფ ჰიტლერის გეგმა, ელვისებური ომით დაეჩოქებინა წითელი იმპერია. ფაშისტური გერმანია მზად არ იყო ხანგრძლივი ომისათვის. სულის მოსათქმელად რაღაც უნდა ეღონათ. 1942 წლის მიწურულს ჰიტლერულმა დაზვერვამ დაგეგმა ტერორისტული აქტი: საბჭოთა კავშირში შესაგზავნად მზადდებოდა აგენტი, რომელსაც უნდა მოეკლა „საბჭოთა მთავრობის ერთ-ერთი დიდი ფიგურა“. ოპერაციას კოორდინაციას უშუალოდ ჰიმლერი უწევდა, უმთავრეს საკითხებს უთანხმებდა ჰიტლერს. მისი ვარაუდით, ამ გეგმის წარმატებით განხორციელება შეაჩერებდა წითელი არმიის წინსვლას, განხეთქილებას შეიტანდა ანტიჰიტლერულ კოალიციაში, გერმანია დროს მოიგებდა, რათა საერთო ენა გამოენახა ინგლისთან, ამერიკასთან და იაპონიასთან. ფაქტობრივად, ამ ოპერაციას კვლავ გერმანელთა სასარგებლოდ უნდა შეეტრიალებინა ომის ბედი, რის შემდეგაც დაიწყებოდა საბჭოთა კავშირის განადგურება.

ოპერაცია ზესაიდუმლო ვითარებაში მზადდებოდა. გეგმის ავტორი იმპერიის უშიშროების მთავარი სამმართველოს უფროსი, ობერგრუპენფიურერი ერნსტ კალტენბრუნერი იყო. თავად აგენტმა, რომელსაც ოპერაციის შესრულება დაევალა, საბჭოთა კავშირში გამგზავრებამდე 3 დღით ადრე შეიტყო, თუ ვინ უნდა მოეკლა!



## აგენტი „პოლიტოვი“

პეტრე ივანეს ძე შილო 1909 წელს ჩერნიგოვის ოლქში დაიბადა. მამამისი 1918 წელს დახვრიტეს ბოლშევიკებმა. თავად ჯერ 1932 წელს დააპატიმრეს სარატოვში დიდძალი სახელმწიფო ქონების გაფლანგვისთვის, მაგრამ ციხიდან გაიქცა და იმალებოდა სერკოვის, გავრინის, ბოლოს ტავრინის გვარით. 1935 წელს კვლავ ციხეში მოხვდა და კვლავ გაიქცა. 1941 წელს, საბოლოოდ უკვე პეტრე ტავრინი — ომში გაიწვიეს.

1942 წლის 30 მაისს ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის მებრძოლებთან ერთად, ღამის დაზვერვაზე წასული ნებაყოფლობით ჩაბარდა ტყვედ ფაშისტებს. გერმანელებს განუცხადა, რომ საბჭოთა ხელისუფლების მიერ რეპრესირებული მეფის არმიის პოლკოვნიკის შვილი იყო, გასცა მისთვის ცნობილი ყველა საიდუმლო და ფაშისტების სასარგებლოდ მუშაობის სურვილი ფიცით დაამტკიცა.

ტავრინი მეტად ერთგული და მუყაითი ადამიანი გამოდგა. იგი მალე მოხვდა თვალში ფაშისტურ დაზვერვას. არაერთი დავალება შეასრულა წარმატებით სხვადასხვა ბანაკსა და თვით ვენის ციხეშიც კი. აწ უკვე გერმანული დაზვერვის აგენტი „პოლიტოვი“ საგანგებო დავალებებსაც ასრულებდა. ბანაკებსა და ციხეებში ანტიფაშისტურ აგიტაციას ეწეოდა, გაქცევებს აწყობდა, ბოლო მომენტში კი თავად აცნობებდა გაქცევის თარიღს ადმინისტრაციას. უამრავი ანტიფაშისტი გამოააშკარავა „პოლიტოვმა“. მისმა სახელმა ბერლინამდეც მიაღწია და გესტაპოში განსაკუთრებულ აღრიცხვაზეც აიყვანეს.

1943 წლის ივლისში ვენის ციხეში მორიგმა დასმენამ წარმატებით ჩაიარა და ტავრინი „საგანგებო, განსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობის აქციების შესასრულებლად“ უშიშროების მთავარი სამმართველოს შეფს შტაინერს დაუქვემდებარეს, ბერლინში გადაიყვანეს და აღმოსავლეთის განყოფილების უფროსს გრეიფეს წარუდგინეს. ამ დროს უკვე არსებობდა იდეა საბჭოთა მთავრობის უმაღლეს ეშელონებში ტერაქტის განხორციელებისა, რომელიც კალტენბრუნერმა და ოტო სკორცენიმ ჰიმლერს შესთავაზეს. მან მოიწონა. დაიწყო შემსრულებლის ძებნა. აგენტს შეგნებული უნდა ჰქონოდა, რომ საბჭოთა ჩეკისტების ხელში ჩავარდნა სიკვდილს უქადდა. აგრეთვე, იგი უნდა ყოფილიყო სისხლის სამართლის დამნაშავე, შეგნებული მოღალატე და პროვოკატორი. აი, ეს იყო პირველადი დავალება, რომელიც გრეიფემ მიიღო სკორცენისგან. გრეიფემ შეისწავლა „პოლიტოვის“ დოსიე, ბიოგრაფია, რამდენჯერმე გაესაუბრა მას და მოხსენებითი ბარათი წარუდგინა სკორცენს. აგენტი „პოლიტოვი“ პირველ ეტაპზე აკმაყოფილებდა ყველა მოთხოვნას. 1943 წლის სექტემბერში ტავრინი მოსამზადებლად გაგზავნეს ფსკოვში — სადაზვერვო ორგანო „ცეპელინის“ მთავარი რაზმის „რუსლან-ნორდის“ უფროსის ოტო კრაუსის განკარგულებაში.

## სახენაიარევი კაცი

გერმანული დაზვერვის მიერ მთელ მსოფლიოში დატრიალებული უბედურებების ნახევარზე მეტი სახენაიარევი კაცის, ოტო სკორცენის მოფიქრებული და განხორციელებული იყო. სწორედ ამ კაცთან მიიყვანა გრეიფემ ტავრინი. სკორცენი მთელ საღამოს ესაუბრა მას. ბევრი უცნაური გამოცდა მოუწყო, მაგრამ ვერ ჩაჭრა ტავრინი.

სკორცენიმ გააძლიერა ტავრინზე მეთვალყურეობა. მას უამრავი დამსმენი და მოთვალთვალე მიუჩინეს, მცირე შეცდომაც ტავრინს სიკვდილს უქადდა, რამდენჯერმე დაათვრეს, სასმელში გამაბრუებელი საშუალება შეაპარეს, რომ სიფრთხილემოდუნებულსა და გონებამისუსტებულს, იქნებ რაიმე აუგი დასცდენოდა გერმანელებზე, ფიურერზე. გერმანელთა რუსი აგენტები ამ დროს ჰიტლერის ლანძღვას მოჰყვებოდნენ, ნოსტალგიური გრძნობებით საუბრობდნენ სამშობლოში დაბრუნებაზე, გერმანული ჯარების გარდაუვალ მარცხზე, ცდილობდნენ, ტავრინიც აეყოლიებინათ, მაგრამ ამაოდ. იმავე დღესვე ტავრინი გრეიფეს მოახსენებდა არასანდო პირების შესახებ. სკორცენის არ ეეჭვბოდა — იდეურად აგენტი „პოლიტოვი“ მზად იყო ოპერაციის განსახორციელებლად. რჩებოდა ერთი, „უმნიშვნელო“ დეტალი — როგორ შეხვდებოდა ტავრინი, როცა გაიგებდა, რომ მას მოსკოვში საბჭოთა დიდჩინოსანი უნდა მოეკლა? ტავრინს ყოველდღე ჩასჩიჩინებდნენ, რომ მას ისტორიული მისია ჰქონდა შესასრულებელი, რომ თავისი ქმედებით გერმანელი ერის გმირად იქცეოდა, მაგრამ საკმარისი იყო რებუსებით საუბარი? აგენტისათვის ამ უდიდესი საიდუმლოს, ფაქტობრივად, მთავარი დავალების გაცნობა ოტო სკორცენიმ ითავა.

## საიდუმლო თათბირი

1944 წლის იანვარში, ნაახალწლევს, უშიშროების მთავარი სამმართველოს უფროსის, ობერგრუპენფიურერის ერნსტ კალტენბრუნერის კაბინეტში საიდუმლო თათბირი ჩატარდა. თათბირს უფროსის მარჯვენა ხელი შელენბერგი, სკორცენი, გრეიფე და „რუსლან-ნორდის“ უფროსი კრაუსი ესწრებოდნენ. ამ თათბირზე უნდა დამტკიცებულიყო საბოლოო გეგმა მოსკოვში აგენტის შეგზავნისა და ტერაქტის მოწყობისა.

ოტო სკორცენიმ დეტალურად მიმოიხილა გეგმა. დაზვერვაში გამობრძმედილმა ადამიანებმა მასში მცირე ხარვეზი ვერ აღმოაჩინეს. სკორცენის დაევალა, მის განსახორციელებლად ფული არ დაეზოგა. ჰიმლერის ნებართვით, ოტო სკორცენის იმავე თათბირზე მიენიჭა საგანგებო უფლებამოსილებანი. ოპერაციის განხორციელებამდე შეუზღუდავად იმოქმედებდა: დღე-ღამის ნებისმიერ დროს წინასწარი შეთანხმების გარეშე შესულიყო ფიურერთან. ნებისმიერი რაოდენობის თანხა გაეტანა ხაზინიდან და შეხედულებისამებრ დაეხარჯა, საბჭოთა კავშირში მოქმედი ნებისმიერი უმაღლესი კლასის ჯაშუში გამოეყენებინა, თუნდაც ამას აგენტის ჩავარდნა მოჰყოლოდა.

იმავე დღეს გეგმა მოიწონა და დაამტკიცა ჰიმლერმა. 1944 წლის 26 იანვარს კი გეგმა ჰიტლერის კაბინეტში იდო. ფიურერი ამჯერადაც უყოყმანოდ ენდო თავის საყვარელ კაცს.

## მზადება

გეგმა დამტკიცდა. სკორცენი, გრეიფე და კრაუსი მის განხორციელებას შეუდგნენ. გესტაპოს, სდ-ისა და „აბვერის“ ათობით განყოფილებამ სასწრაფოდ მოამზადა სხვადასხვა საბჭოთა საბუთის, შტამპისა და ბეჭდის, სამხედრო ფორმის, ფრონტზე სახმარი ნივთის ნიმუში. ესესელების მთავარი ცენტრის „ტექნიკური დამხმარე საშუალებების“ უფროსი ბერნჰარდ კრუგერი პირადად ხელმძღვანელობდა ფიქტიური საბუთების დამზადებას.

ტავრინი უნდა გადაესროლათ მოსკოვის მისადგომებთან, როგორც რიგითი ოფიცერი. მას მაიორის ფორმა შეუკერეს, მკერდზე სსრკ გმირის ოქროს ვარსკვლავი და სხვა უმაღლესი საბრძოლო ორდენები მიუბნიეს. ამ „დამსახურებათა“ დასასაბუთებლად მოამზადეს ორდენების მფლობელის წიგნაკები, გაზეთებიდან ამონაჭრები, სადაც სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და სარდლობის სათანადო ბრძანებები იყო დაბეჭდილი, გაზეთებში ლეგენდები ისე იყო აღწერილი, სიმართლეს შეესაბამებოდა. ტავრინი სამი კვირით დააწვინეს საუკეთესო კლინიკაში, მუცლისა და მარცხენა ფერდის არეში ხელოვნურად გაუკეთეს ყუმბარის ნამსხვრევებისგან მიყენებული მძიმე ჭრილობის იმიტაცია. დასტურად, საბჭოთა ჰოსპიტლის ცნობაც მისცეს.

საბჭოთა ტერიტორიაზე ტავრინს აუცილებლად მოელოდა დაკითხვები და შემოწმებები. მას ორჭოფული პასუხები უნდა გაეცა და რაღაც „სამსახურებრივ საიდუმლოებაზე“ გადაეკრა სიტყვა, ამით ეხსნა თავი. ტავრინს მოუმზადეს საბუთები: იგი ბალტიისპირეთის პირველი ფრონტის 39-ე არმიის კონტრდაზვერვის, „სმერშის“ განყოფილების უფროსის მოადგილე „იყო“.

მოსკოვამდე რომ შეუფერხებლად ემგზავრა, ტავრინს მისცეს განსაკუთრებული კონვერტი, რომელსაც სახელმწიფო მნიშვნელობის პაკეტის ყველა გარეგანი აუცილებელი ნიშანი ჰქონდა. დალუქული „საიდუმლო პაკეტი“ ტავრინს „პირადად უნდა გადაეცა“ „სმერშის“ სამმართველოს უფროსისთვის.

შესაძლოა, ტავრინს გარეშე პირთა დახმარება დასჭირვებოდა, ამიტომ მას გადასცეს სხვადასხვა სახის 500 საბუთი და ბლანკი, სამსახურებრივი მოწმობები, პასპორტები, შრომის წიგნაკები, სამივლინებო და შვებულების ბლანკები, ყველა სახის მანქანის მართვის მოწმობები, ტექნიკუმებისა და უმაღლესი სასწავლებლის დიპლომები, მილიციის განყოფილების უფროსების ბეჭდები, შტამპები და ბლანკები, პარტიული, სამხედრო და სახელმწიფო დაწესებულებების ბეჭდები და შტამპები, უკიდურესი შემთხვევისთვის უზრუნველყვეს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისა და თავდაცვის მინისტრის ფაქსიმილეთიც კი.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ტერორისტული აქტის განხორციელების საშუალებებს. ტავრინს მისცეს უშიშროების სამმართველოს ლაბორატორიებში საგანგებოდ შექმნილი რეაქტიული იარაღის „პანცერკნაკეს“ ორი აპარატი — ხელის ჯავშანსამსხვრევი ნაღმსატყორცნი, რომლის ყუმბარაც 40 მმ სისქის ჯავშანს 300 მეტრიდან ხვრეტდა. ფეთქებადი და შხამიანი ტყვიებით მოამარაგეს, მისცეს დიდი გამანადგურებელი ძალის მცირეკალიბრიანი მაგნიტური ნაღმი, რომელიც რადიოსიგნალების მეშვეობით ფეთქდებოდა. ტავრინს უამრავი სხვადასხვა სიხშირის რაცია, აგრეთვე პორტატიული რადიოგადამცემი, შესაბამისი დასაშიფრ-გასაშიფრი უბის წიგნაკებით, ბერლინთან კავშირის დასამყარებლად ყველა თანამედროვე საშუალება დაუმზადეს.

საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ყოფნისა და თავდასხმის მომზადებისათვის სახარჯოდ ნახევარი მილიონი მანეთი გამოუყვეს.

ამ დროს ტავრინი რიგაში იმყოფებოდა, ტერორისტისა და დივერსანტის ხელოვნების უკანასკნელ დეტალებს ხვეწდა. 1944 წლის აგვისტოს მიწურულს კი მზადება დასრულებულად ჩაითვალა. ბოლო მომენტში შეიცვალა გეგმის ერთი ნაწილი. სკორცენის დაჟინებული თხოვნით ტავრინს დასახმარებლად მისი საყვარელი ლიდია შილოვა უნდა ხლებოდა რუსეთში. სინამდვილეში შილოვას ფხიზლად უნდა ედევნებინა თვალი აგენტისთვის. თუ ტერორისტი სულმოკლეობას ან სიმხდალეს გამოიჩენდა, ან განზრახ შეაფერხებდა თავდასხმას, იარაღისა და მუქარის ძალით უნდა აეძულებინა მისიის შესასრულებლად, უკიდურეს შემთხვევაში კი მოეკლა. შილოვა გამოცდილი აგენტი იყო. საბუთებით იგი „სმერშის“ იმავე განყოფილების მდივანი „იყო“, სადაც ტავრინი „მსახურობდა“.

ოპერაციის დასაწყებად ყველაფერი მზად იყო. კალტენბრუნერმა გასცა შესაბამისი განკარგულება. ამ დროს ფრონტზე გერმანელთა საქმე უარესობისკენ მიდიოდა. ეს ოპერაცია გერმანელთა უკანასკნელი იმედი იყო, რათა ფაშიზმი არ დამხობილიყო. გეგმას „თეთრი დათვი“ უწოდეს, თუმცა, მესამე რაიხის უმაღლეს ეშელონებში მას მაინც „უკანასკნელ იმედს“ უწოდებდნენ.

## უნდა მოკვდეს!

უკანასკნელი ინსტრუქციების მისაღებად პეტრე ტავრინი ოტო სკორცენისთან მიიყვანეს. სკო-



რცენი დიდხანს ესაუბრა ტავრინს, მერე ჰკითხა:

— იცი, რა მისია უნდა შეასრულო?

— დაახლოებით, ვიცი, ბატონო შტურმანფიურერო! ვიღაც დიდი კაცი უნდა „დავაძინო“.

— მერე მზად ხარ?

— თუნდაც მარშალი ჟუკოვი იყოს, უკან არ დავიხევ! — ამაყად უპასუხა ტავრინმა.

სკორცენიმ ცოტა ხანს იყუჩა, მერე წამოდგა, მიუახლოვდა ტავრინს და უთხრა:

— ტავრინ, შენ უნდა მოკლა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, მარშალი სტალინი!

ოტო სკორცენის სიტყვებს ტავრინი ხუმრობად ვერ მიიღებდა. უკანასკნელი ინსტრუქციებისას, რა დროს ხუმრობაა! წამიერად შოკში ჩავარდა. ფიქრიც კი, უარის თქმაზე არ შეიძლებოდა, მოკლავდნენ. ხანგრძლივი ყოყმანიც კი ძვირად დაუჯდებოდა.

ტავრინმა ძალა მოიკრიბა, სავარძლიდან წამოხტა, სკორცენის გაეჯგიმა და რაც შეეძლო ომახიანად შესძახა:

— ფიურერის სახელით, მზად ვარ!

გეგმის პირველი ნაწილი ჩინებულად შესრულდა. სუპერაგენტმა ბერლინში ყველა გამოცდა წარმატებით ჩააბარა. რჩებოდა სამნაწილიანი გეგმის ბოლო ორი ნაწილი — აგენტის მოსკოვში უსაფრთხოდ შეგზავნა-დამკვიდრება და გადამწყვეტი — სტალინის ლიკვიდაცია.

## მკვდრადშობილი გეგმა

„თეთრი დათვი“ მართლაც უკანასკნელ იმედად დაურჩათ ფაშისტებს. გერმანიის ჯარებს ძალები ეცლებოდა, რუსები დღითი დღე უახლოვდებოდნენ გერმანიას. ჰიტლერმა მოითხოვა ოპერაციის დაჩქარება. ტავრინს საბჭოთა ქვეყნის მეთაური 1944 წლის 7 ნოემბერს, რუსეთში სოციალისტური რევოლუციის 27-ე წლისთავის ზეიმზე, წითელ მოედანზე დემონსტრაციის დროს უნდა მოეკლა, ან წინა დღით, დიდ თეატრში, საბჭოთა მთავრობის საზეიმო სხდომაზე.

1944 წლის 4 სექტემბერს, ღამით, „რუსლან-ნორდის“ შენობიდან სამი ავტომობილი გამოვიდა. პირველ მანქანაში კრაუსი იჯდა, მის უკან კი — ტავრინი და შილოვა. მალე „რუსლან-ნორდის“ მკაცრად გასაიდუმლოებულ აეროდრომზე მივიდნენ. მგზავრები ოთხძრავიან გიგანტ „არადო-332“-ში ავიდნენ. თანამედროვე ჰაერსაწინააღმდეგო მოწყობილობა თვითმფრინავს საშუალებას აძლევდა, ეფრინა ღამით და ყველანაირ მეტეოროლოგიურ პირობებში. ღამით მას ნიღბავდა ძრავებზე დაყენებული ხმის ჩამხშობი მოწყობილობა, ალჩამქრობები, თანაც მისი ქვედა ნაწილი და გვერდები შავად იყო შეღებილი. მას რადარები ვერ აფიქსირებდნენ. იმ დროისთვის „არადო-332“ სამხედრო თვითმფრინავებში საუკეთესოდ ითვლებოდა, ხოლო ეს გაუმჯობესებული, შეკვეთით შესრულებული ნიმუში, სპეციალურად დამზადდა ოპერაციისთვის „თეთრი დათვი“.

თვითმფრინავი სმოლენსკში, ტყეში დაჯდა, საგანგებოდ შერჩეულ ადგილზე. ტავრინმა სწრაფად გადმოათრია თვითმფრინავიდან ასევე სპეცშეკვეთით დამზადებული მოტოციკლი „ცუდნაპი“, რომელიც საათში 120 კმ-ს ფარავდა. „ცუდნაპი“ იარაღით, ათასგვარი აპარატურითა თუ დოკუმენტაციით იყო დატვირთული. ეტლში „თანაშემწე“, შილოვა ჩაისვა და გზას გაუდგა. რიჟრაჟამდე რომელიმე დასახლებულ პუნქტამდე უნდა მიეღწიათ. შემდეგ ყველაფერი გეგმის მიხედვით განხორციელდებოდა.

დაახლოებით 80 კმ გაიარეს. სმოლენსკის ოლქის ერთ პატარა ქალაქთან შეაჩერეს საგუშაგო პოსტთან. ტავრინი უშფოთველად გადმოვიდა მოტოციკლიდან, მკერდს სსრკ გმირის ვარსკვლავი უმშვენებდა, თან გუშაგს მოწმობები გადმოუგლაგა. ლეიტენანტი მაიორ ტავრინს გაეჭიმა, და მოკრძალებით შეჰკადრა, — მივლინების ფურცელი შეცდომითაა შევსებული, შტაბში გამომყევით, რომ შტამპი დავარტყა, თორემ გზაში საკონტროლო-გამშვებ პუნქტებთან გულს გაგიწყალებენო. ომს თავისი კანონები აქვს და მაიორი დაემორჩილა ლეიტენანტს, გაჰყვა ოციოდე ნაბიჯში მდებარე შტაბში.

...ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა. ხელბორკილიანი ტავრინი ვერ მიხვდა, რატომ დააპატიმრეს. დაპატიმრებას, უარეს შემთხვევაში, ის მოსკოვში ელოდა, თუმცა, დარწმუნებული იყო, რომ ესეც გამორიცხული იყო. ტავრინის თვალწინ საბჭოთა სამხედროებმა მოტოციკლიდან უამრავი საბრძოლო მასალა, რადიოაპარატურა, რაციები, ბლანკები, ბეჭდები, შტამპები და ფული გადმოაწყვეს. ტავრინი მიხვდა, რომ ჩავარდა.

იმავე დღეს შინაგან საქმეთა კომისარიატის სმოლენსკის ოლქის უფროსმა გერასიმოვმა მოსკოვში დაშიფრული დეპეშა აფრინა და ლავრენტი ბერიას ოპერაციის წარმატებით დასრულება აუწყა. საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურები თითქმის წელიწადი ელოდნენ სმოლენსკისა და კალინინის მიდამოებში სუპერ-აგენტის გამოჩენას, რომელსაც ქვეყნის მეთაურის — სტალინის მოკვლა ჰქონდა დავალებული და, აი, როგორც იქნა, ისიც გამოჩნდა.

## КГБ „აბვერის“ წინააღმდეგ

ჯერ კიდევ 1943 წლის ივნისში, ოპერაციის დაწყებამდე ერთი წლით ადრე, იმ მიდამოებში, სადაც „არადო“ დაჯდა, საბჭოთა სამხედრო დაზვერვის თანამშრომლებმა დააკავეს პარაშუტისტთა ჯგუფი. მათი ჩვენებით, პარაშუტისტებს დავალებული ჰქონდათ სადესანტო თვითმფრინავისთვის ღამით დასაჯდომი ადგილის შერჩევა. ამ დღიდან დაიწყო სმოლენსკის მიმდინარე ტყეების მუდმივი პატრულირება. საამისოდ სამხედრო ძალები არ მოცდენილან, ადგილობრივი სოფლების მცხოვრებლებისგან შეიქმნა მოხალისე ჯგუფები, რომლებიც მუდმივად საქონელს აძოვებდნენ აქ, ან სოკოს კრეფდნენ, ან ტყეს ჩეხდნენ...

მთავარი ინფორმაციაც მალე გამოჩნდა, რითაც საიდუმლოს ნათელი მოეფინა.

აგვისტოში, კალტენბრუნერის მიერ „არადო-332“-ის დაშვების რაიონისა და ოპერაციის განხორციელების წინასწარი დამტკიცების (ჰიმლერთან შეთანხმების) შემდეგ, ობერშტურმანფიურერ ჰენგელოჰუპტის ერთ-ერთმა თანაშემწემ იმავე საღამოს ერთ-ერთი ბერლინური კაბარეს მომხიბვლელ მომღერალს ფრანგული სუნამოს საუცხოო კომპლექტი მიართვა პატივისცემის ნიშნად. ფრაუ ზაიფერტმა, კლიენტები რომ მიმოიფანტნენ და კაბარე დაცარიელდა, საწოლ ოთახში ფრთხილად გახსნა კოლოფის ცალი გვერდი და მუყაოს ფენებს შორის ციფრების სვეტებით აჭრელებული ვიწრო ქაღალდის ნახევი ამოიღო. ქაღალდზე, მარცხენა კუთხეში პატარა ნიშანი მოჩანდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ დაშიფრული ტექსტი განსაკუთრებით საიდუმლო და ცენტრში სასწრაფოდ გადასაცემი იყო. ფრაუ ზაიფერტი ერთ საათში კაბარეს სარდაფში იყო და მისთვის ცნობილ ტალღაზე ორჯერ გადასცა ეთერში დაშიფრული ტექსტი.

დილით გაშიფრული რადიოგრამა „სმერშის“ მთავარი სამმართველოს უფროსის მაგიდაზე იდო.

ბერლინის წყარო იტყობინებოდა, რომ ერთი წლის შემდეგ, სავარაუდოდ, აგვისტო-სექტემბერში, სმოლენსკის ან კალინინის ოლქში უახლოესი კონსტრუქციის ღამის სადესანტო თვითმფრინავით, რომელიც მდელოზეც კი თავისუფლად ჯდებოდა, სსრკ-ის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის — სტალინზე თავდასხმის მიზნით უნდა გადმოესვათ საბჭოთა არმიის ოფიცრად გადაცმული, საგანგებოდ გაწვრთნილი აგენტი-ტერორისტი.

რადიოგრამა შეადარეს სმოლენსკის ტყეში დაჭერილი პარაშუტისტების ჩვენებებს და ნათელი გახდა, რომ ორივე რგოლი ერთი ჯაჭვისა იყო.

ინფორმაცია იმდენად მნიშვნელოვანი გახლდათ, ვერც „სმერშის“ უფროსმა, ვერც სამხედრო დაზვერვის ხელმძღვანელობამ ვერ იკისრა მისი რეალიზაცია და კონტრდაზვერვითი გეგმის შემუშავება, სტალინის სიცოცხლეზე და ჯანმრთელობაზე პასუხისმგებლობა მართლაც ურთულესი საქმე იყო. ამიტომ ყველა ინფორმაციამ კრემლში მოიყარა თავი. ინფორმაციის რეალიზება შინსახკომს დაეკისრა.

კონტრ-ოპერაციის შესახებ მხოლოდ 8 კაცმა იცოდა. მისი დაგეგმვა და განხორციელება ლავრენტი ბერიას დაევალა. ბერიამ ბრწყინვალედ გაართვა თავი ამ საქმეს და სტალინი თავდასხმას გადაარჩინა.

*ლევან ჯავახიშვილი*

# შეეჯახება თუ არა 2028 წელს დედამიწა ასტეროიდ X-F-11-ს?



უკვე ინტენსიურად მუსირებს ერთი შემაშფოთებელი ინფორმაცია, რომლის მიხედვით, ზუსტად 28 წლის შემდეგ, მოსალოდნელია კოსმოსური სხეულის, ასტეროიდის საკმაოდ საშიშ მანძილზე მოახლოება დედამიწასთან და თვით შეჯახებაც არ გამოირიცხება. ისტორია დაიწყო 1997 წლის 6 დეკემბერს. აშშ-ის ცნობილი კით-პიკის ობსერვატორიის უფროსი ასტრონომი დიმ სკოტი ის-ის იყო შეუდგა ღამის დაკვირვებას ვარსკვლავებზე, რომ მისმა კომპიუტერმა დააფიქსირა უცნობი ასტეროიდი, რომელიც საშინელი კოსმოსური სიჩქარით მოძრაობდა, სკოტი დაუყოვნებლივ შეუდგა გაანგარიშებას და ელდა ეცა — კოსმოსური სხეული დედამიწასთან ახლოს იმყოფებოდა, ხოლო მოძრაობის სიჩქარე გაცილებით დიდი იყო, ვიდრე მარსისა და იუპიტერის ორბიტებს შორის მოძრავი ასტეროიდებისა, რომლებიც არანაირ საფრთხეს არ უქმნიან დედამიწას. სკოტმა განგაში ატეხა! უპირველესი საქმე იყო ამ ასტეროიდის კოორდინატების განსაზღვრა კოსმოსში და მიღებული შედეგების გადაგზავნა მცირე პლანეტების შესწავლის ცენტრში, რათა სასწრაფოდ გამოეთვალათ ასტეროიდის მოძრაობის ორბიტა.

ცენტრის ხელმძღვანელი, გამოჩენილი ამერიკელი ასტრონომი ბრაიან მარსდენი დაუყოვნებლივ ჩაება საქმეში და წინასწარი გაანგარიშებით მართლაც თავზარდამცემი შედეგი მიიღო: გამოთვლამ აჩვენა, რომ ასტეროიდის დიამეტრი ორი კილომეტრია, რომ მისი ორბიტა გადაკვეთს დედამიწის ორბიტას 2028 წლის 26 ოქტომბერს და რომ შესაძლებელია შეჯახება დედამიწასთან! ეს გახლავთ სენსაციური გამოთვლა, მარსდენმა გაავრცელა ეს ინფორმაცია, რამაც შოკში ჩააგდო სამეცნიერო სამყარო, ხოლო როცა ჟურნალისტებმა ახსნა-განმარტება ნასა-საგან (აშშ-ის კოსმოსური კვლევის ცენტრისაგან) მოითხოვეს და პასუხად სიჩუმე მიიღეს, დაიწყო ნამდვილი სკანდალი.

აღმოჩნდა, რომ ნასა-მ არაფერი იცოდა ამ ასტეროიდისა და მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. იმთავითვე ყველა მეცნიერი მივიდა დასკვნამდე, რომ ასტეროიდი „X-F-11" (ეს სახელი შეარქვეს მას) აუცილებლად შეეჯახებოდა დედამიწას. ორი კილომეტრი დიამეტრის მქონე სხეულის ჩამოვარდნა კი გამოიწვევდა გლობალურ კატასტროფას: თუ ხმელეთზე დაეცემოდა, მის სრულ მოოხრებას და ყველაფერ ცოცხლის მოსპობას, ხოლო თუ ოკეანეში ჩავარდებოდა, წარმოიქმნებოდა 800-1.000 მეტრი სიმაღლის ტალღა, რომელიც რამდენჯერმე შემოუვლიდა პლანეტას და წალეკავდა ყველაფერს...

დიახ, ასტეროიდი 2028 წელს მართლაც მოუახლოვდება დედამიწას, მაგრამ მას ჩაუვლის ერთი მილიონი კილომეტრის მანძილზე! გაავრცელა ნასა-მ ეს ინფორმაცია და კვლავ... გაჩუმდა. ამან ეჭვი გააძლიერა, ბრაიან მარსდენი კი კვლავაც არ გამორიცხავს, რომ შეჯახება შეიძლება მართლაც მოხდეს. ბოლო დროს ამერიკის სამეცნიერო წრეებსა და პრესაში გაჟონა ცნობამ, რომ ნასა ფლობს საკმაო ინფორმაციას, მაგრამ, ჯერჯერობით, რატომღაც ასაიდუმლოებს(!).

საერთოდ კი, მსოფლიოს წამყვანი ასტრონომები უკვე საკითხს სვამენ არა ისე — მოხდება თუ არა ოდესმე დედამიწის შეჯახება რომელიმე კოსმოსურ სხეულთან, არამედ — როდის მოხდება ეს! ანუ დარწმუნებულნი არიან მის გარდაუვალობაში... ვფიქრობ, ინტერესს არ იქნება მოკლებული ამ თემაზე აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის, მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორის **გიორგი მელიძის** კომენტარი:

— რასაკვირველია, დედამიწასთან რომელიმე ასტეროიდის შეჯახების ალბათობა არსებობს. კაცობრიობის ისტორიიდან ცნობილია, რომ მსგავსი კატასტროფები მართლაც ყოფილა ერთი მილიონი, ათი, თუ 65 მილიონი წლის წინ. რაც შეეხება ამ ასტეროიდს, რომელმაც 2028 წელს უნდა ჩაუაროს დედამიწას თითქოსდა მილიონი კილომეტრის სიახლოვეს, მისი ორბიტის პარამეტრები დღეისათვის არ არის ცნობილი იმდენად ზუსტად, რომ შევძლოთ სწორი და ზუსტი გაანგარიშება — ნამდვილად დაეჯახება იგი დედამიწას თუ ჩაუვლის ასე თუ ისე დიდი მანძილით! ყოველ შემთხვევაში, თუ გაირკვა, რომ ეს ასტეროიდი საშიშროებას უქმნის დედამიწას, დღეისათვის უკვე არსებობს გარკვეული პროექტები და ტექნიკური შესაძლებლობები იმისათვის, რომ ასეთი კოსმოსური სხეულის შეჯახება დედამიწასთან თავიდან ავიცილოთ.

**— რა გარანტია გვაქვს, რომ დედამიწისკენ საშინელი სიჩქარით მომავალ ასტეროიდს შევაჩერებთ ან კურსს შევაცვლევინებთ?..**

— შეჯახებამდე რამდენიმე წლით ადრე მაინც უნდა გაიგზავნოს ხელოვნური თანამგზავრი, რომელმაც უნდა მიიტანოს ამ ასტეროიდთან მძლავრი ბირთვული ან წყალბადის მუხტი, რის შედეგადაც მოხდება აფეთქება დედამიწიდან საკმაოდ დაშორებულ მანძილზე. არსებობს შეჯახებების თავიდან ასაცილებლად მეორე პროექტიც; საკმაოდ დაშორებულ ორბიტაზე მოხდეს მისი განადგურება. თუ ახლოს მოხდა აფეთქება, უკვე რადიოაქტიური მტვერიც საკმაოდ დიდ ზარალს მიაყენებს დედამიწას და ყველაფერ ცოცხალს. გარანტია კი ის არის, რომ დღევანდელი მეცნიერებისა და ტექნიკის დონე შესაძლებელს და განხორციელებადს ხდის ამგვარი ამოცანის გადაწყვეტას.

**— გაცილებით დიდი კოსმოსური სხეული რომ წამოვიდეს, ვთქვათ, კომეტა, მაშინ?**

— ასეთი დიდი სხეული რომ იყოს მზის სისტემაში, უკვე გვეცოდინებოდა მის შესახებ და მეორეც, მილიონობით წლების წინ რომ ყოფილიყო იგი, ერთხელ მაინც დაეჯახებოდა დედამიწას და დედამიწაც არ იარსებებდა. ყველაზე დიდი ასტეროიდი, ცნობილია, გახლავთ დაახლოებით 700 კგ მოცულობის სხეული, მაგრამ ის მოძრაობს მზის გარშემო თავის ორბიტაზე და მზისგან ორ-ნახევარჯერ მეტი მანძილითაა დაშორებული, ვიდრე დედამიწა. მასთან შეჯახების საშიშროება არ არის. აგერ, მთვარე ყველაზე ახლოსაა, მაგრამ არ გვიქმნის საშიშროებას, რადგან თავისი მყარი ორბიტა აქვს და მოძრაობს იქ. ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს ისეთი კოსმოსური სხეული, რომელსაც დღეს ვერ ვხედავთ მისი მცირე ზომის გამო.

**— დედამიწის შეჯახებას კოსმოსურ სხეულთან და მისგან გამოწვეულ გლობალურ კატასტროფას მეცნიერები უკავშირებენ დინოზავრების მოსპობა-გადაშენებას, აგრეთვე წარღვნას, რომლის შესახებაც მსოფლიოს ყველა უძველესი ხალხის თქმულებებში არის ლაპარაკი, ბიბლიაზე რომ არაფერი ვთქვათ...**

— დინოზავრები გადაშენდნენ დაახლოებით 65 მილიონი წლის წინათ და არსებობს საკმაო დამამტკიცებელი ფაქტები იმისა, რომ მართლაც მაშინ, დედამიწას დაეჯახა მოზრდილი ასტეროიდი. მისი კრატერი დღეს ატლანტიკის ოკეანითაა დაფარული მექსიკის ყურის რაიონში. ამ დაჯახებამ ისეთი მასშტაბის კატასტროფა გამოიწვია, რომ დიდი ზომის ცხოველები ამოწყდნენ.

გარდა ამისა, არის თეორია: როდესაც მზე ათბობს კომეტას, ხდება კომეტის შემადგენელი ნივთიერებების აორთქლება და ის წარმოქმნის კუდს, რომელიც ვიზუალურად ჩანს ხოლმე დედამიწიდან, მაგრამ კომეტის მტვერი თუ მოხვდა დედამიწის ატმოსფეროში, მან შეიძლება იმოქმედოს ადამიანზე, კერძოდ, გამოიწვიოს ფსიქოზური და ნერვული გართულებები. ამიტომ შეიძლება გარკვეული საფუძველი ჰქონდეს კიდეც იმ წარმოდგენას, რომ კომეტების გამოჩენა იწვევს, ვთქვათ, ომებს, კატასტროფებს და ა.შ.

**— თქვენ მხედველობაში გაქვთ კომეტა ჰალეა, რომელიც უფრო „კუდიანი ვარსკვლავის" სახელითაა ცნობილი და რომლის გამოჩენაც წინათ შიშის ზარს სცემდა ადამიანებს?...**

— დიახ, ჰალეა გამოჩნდა 1910 წელს და შემდგომ, გახსოვთ, 1986 წელს. და აი, ეტყობა, მისმა მტვერმა და ნივთიერებამ შემოაღწია დედამიწაზე, მერე დაიწყო პირველი მსოფლიო ომი, 80-იანი წლების ბოლოს კი, რაც მოხდა აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში, ესეც ცნობილია და მსგავსი მაგალითები ისტორიაში უამრავია. სხვათა შორის, ამ მოსაზრებას არ უარყოფს მეცნიერებაც.

რაც შეეხება წარღვნას, იგი შეიძლება გამოეწვია დედამიწასთან უფრო მცირე ზომის სხეულის ან კომეტის დაჯახებას. თუ ის ჩავარდებოდა ოკეანეში, წარმოქმნილი უზარმაზარი ტალღა რამდენჯერმე შემოუვლიდა დედამიწას და დაფარავდა ხმელეთს. მეორე მხრივ კი, ეს ფაქიზი საკითხია, რადგან ერთია, ჩვენ წარღვნას გავიგებთ სიტყვასიტყვით, როგორც ბიბლიაშია გადმოცემული, თუ ეს არის რაღაც ალეგორია, იგავი, რითაც არის მოთხრობილი სიმართლე...

**— დაახლოებით რა ზომის კომეტასთან ან ასტეროიდთან შეჯახებამ შეიძლება გამოიწვიოს დედამიწის სრული კატასტროფა და სიცოცხლის მოსპობა?**

— რამდენიმე ათეული კილომეტრის, თუნდაც ათკილომეტრიანი სხეულის შეჯახებაც კი დამღუპველი იქნება დედამიწისთვის. უფრო დიდი სხეულის შეჯახებამ კი შეიძლება დედამიწას შეუცვალოს ორბიტა და შედეგად, მიუახლოვდეს ჩვენი პლანეტა მზეს, რაც საბოლოო კატასტროფის ტოლფასი იქნება. დედამიწა რომ ცოტა უფრო ახლოს ან ცოტა შორს ყოფილიყო მზისგან, აქ სიცოცხლე არ იქნებოდა. დედამიწა არის ზუსტად იმ ორბიტაზე, სადაც სიცოცხლისათვის ყველა პირობაა შექმნილი...

**— საინტერესოა, რომ 1994 წელს გაცილებით დიდი მასშტაბის შეჯახება მოხდა იუპიტერსა და კომეტა „შუმახერ-ლივის" ორბიტების გადაკვეთისას. ჩემთვის ცნობილია, რომ აბასთუმნის ობსერვატორიიდანაც აკვირდებოდით ამ მოვლენას ქართველი მეცნიერები...**

— გახსოვთ, 1994 წელი როგორი მძიმე პერიოდი იყო ჩვენთვის, არ გვქონდა ელექტროენერგია, დაკვირვების ორგანიზება ცუდი იყო. იუპიტერს კომეტა იმ მეორე მხარეს დაეჯახა, რომელიც დედამიწიდან მაშინ არ ჩანდა. მაგრამ როცა იუპიტერი შემოტრიალდა, დაჯახების შედეგად წარმოქმნილი ლაქები გამოჩნდა. გარდა ამისა, დააკვირდნენ იმ გამოყოფილი ენერგიის მასშტაბს, რომელიც დაჯახებამ გამოიწვია. აფეთქება კი ფანტასტიკური მასშტაბისა იყო, რომლის მსგავსი დედამიწას საერთოდ გააქრობდა.

**— კვლავ დასაწყისში დასმულ კითხვას დავუბრუნდები, ე.ი. კაცობრიობამ მაინც უნდა იფიქროს იმაზე, თუ როდის შეიძლება მოხდეს კოსმოსური სხეულის შეჯახება დედამიწასთან, რომ ეს გარდაუვალია!**

— რასაკვირველია. ყოველგვარი სენსაციურობის გარეშე, ამაზე ფიქრი და მუშაობა გამუდმებით მიმდინარეობს. ეს არის ნორმალური სამუშაო პროცესი და განუწყვეტელი დაკვირვება კოსმოსურ სხეულებზე. მომავალში ჩაფიქრებულია, რომ მთვარეზე მოეწყოს სპეციალური სადგური, კოსმოსური ობიექტი,



რომლიდანაც მოხდება ბირთვული იარაღით ასტეროიდის განადგურება ან უვნებელყოფა, თუ ის დედამიწას დაემუქრება და ა.შ.

**— ე.ი. ამ თემატიკაზე გადაღებული ჰოლივუდის ფილმებიც ამ მუშაობის კონტექსტში ჯდება.**

— ეს ფილმები, ბუნებრივია, ფანტასტიკური ჟანრისაა, მაგრამ მეორე მხრივ, ამ ფილმების გადაღება ნასა-ს დაკვეთით ხდება და მათი მიზანიც ის არის, რომ აშშ-ის კონგრესმა ამ პროექტების რეალიზაციისათვის ფული გამოყოს, ანუ ეს არის წმინდა პროპაგანდისტული ფილმები, რათა ამ სერიოზულ გეგმებს დაფინანსება ჰქონდეს!

***ზურაბ მჭედლიშვილი***

## „საზალოო-სალაღო" გვერდის პასუხები

**I კროსვორდი**

**შვეულად:** 1. ტასიკო; 2. ბელი; 3. სკა; 4. მზიური; 5. კოდალა; 6. იაკობი; 7. აკვანი; 8. ბია; 11. ღორი.

**თარაზულად:** 6. იოანე; 8. ბაზრობა; 9. სარკე; 10. კბილი; 11. ღამურა; 12. ლობიო; 13. ანტარქტიკა.

**II რებუსი** „საზამთრო";

**III** „ბურატინო".

**IV** ა) კოდალა; ბ) რკო
გ) გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი.

**V** „ელი"

**VI** 1) ბაბაჯანას ქოშები;
2) მორზეს ანბანი;
3) აქილევსის ქუსლი;
4) ეიფელის კოშკი;
5) ალადინის ლამპარი;

**VII** ილია ჭავჭავაძე; „არსენა".

**VIII** პასუხის არაერთი ვარიანტი არსებობს. გთავაზობთ ერთ-ერთ მათგანს.




## მითხარი, რას ჭამ და გეტყვი, ვინცა ხარ



იაპონური ბუნებრივი კვების ასოციაციის ექსპერტებმა დაადგინეს, რომ ადამიანის ხასიათზე ზეგავლენას ახდენს ის, თუ რომელ საჭმელს აძლევს უპირატესობას. გასტრონომიული ჩვეულებების მიხედვით, შეიძლება ადამიანის ექვსი ძირითადი ტიპის გამოყოფა:

— ის, ვინც უპირატესობას ანიჭებს ცვრიან ბივშტექსს, იმპულსურია, ესწრაფვის კარიერას (რომელიც ხშირად კრახით მთავრდება), ხშირად აღწევს წარმატებას, მაგრამ დაწყებული საქმე ყოველთვის ბოლომდე ვერ მიჰყავს.

— თევზის (განსაკუთრებით კამბალას) მოყვარული მშვიდი და მდგრადი ხასიათისაა, რის გამოც მეგობრებისა და კოლეგების პატივისცემას იმსახურებს. ასეთ ადამიანს შეიძლება ოჯახი მთლიანად მიენდოს. აჯობებს, თუ უფრო გულღია იქნება, რადგან გულცივობის გამო გარშემომყოფთ ის შურიანი ჰგონიათ.

— მოშუშული სტაფილოსა და სხვა ბოსტნეულის მოყვარული ხშირად ძუნწი და პატივმოყვარეა. ჩვეულებრივ მშვიდია, ცდილობს, პარტნიორებთან ჰარმონიული ურთიერთობა ჰქონდეს, უფრთხილდება ჯანმრთელობას.

მათ ვურჩევთ, მოერიდონ მარილის ხმარებას, რათა აირიდონ კუჭისა და თავის ტკივილი.

— ის, ვინც გვერდს ვერ უვლის ხილსა და კენკრას, ძალიან ადვილად პოულობს მეგობრებს, მას ყურადღებიან და გულისხმიერ ადამიანად მიიჩნევენ. მისთვის უცხოა პატივმოყვარეობა, არ მიელტვის კარიერას, როგორც წესი, ირჩევს შემოქმედებით პროფესიას. ზოგჯერ უზრუნველ ცხოვრებას ეწევა. ასეთი ტიპის მამაკაცები თავშეკავებულნი არიან.

— მწარე წიწაკისა და ცხარე სანელებლების მოყვარული მეტად ტემპერამენტიანია, ცდილობს დაიკმაყოფილოს სურვილები, არ ერიდება არანაირ ავანტურას, ეძებს რისკიან სამუშაოს, ხშირად დადის მივლინებაში, სიყვარულში ქარაფშუტაა, მისი ყველაზე დიდი ნაკლია ეგოიზმი, ამასთან, მისი უშრეტი ენერგია ვერ იტანს წინააღმდეგობებს, რაც ხშირად კონფლიქტის მიზეზი ხდება.

— ის, ვინც უპირატესობას ანიჭებს ცხიმიან საჭმელს, საოცრად მკვირცხლი და მარდია. განსაკუთრებით გაწაფულია ფლირტში. მის ხიბლს ყველა ემორჩილება. თუმცა, სამსახურში მარტოსულად მიიჩნევენ. ხშირად აღწევს კარიერას. ერთი კია, მისი დაუცხრომელი ენერგია აიძულებს გარშემომყოფთ, მასთან ფრთხილად იყვნენ.

ამგვარ ადამიანებს ვურჩევთ, უფრო ტაქტიანები გახდნენ.

***ორაკული №8***

# დედა-დედოფალს 100 წელი შეუსრულდა, სამეფო ოჯახის უხუცეს წევრს ჯინი და დოღი უყვარს... ინგლისი აღმერთებს და თაყვანს სცემს რკინის ლედის...

# ბრიტანელთა ასი წლის გოგონა

დედა-დედოფალი, ასე უწოდებენ ამ ქალბატონს ბრიტანელები. თუმცა წლეულს, მისი 100 წლის საიუბილეოდ, მას მეორე სახელიც შეარქვეს — 100 წლის გოგონა.

ელისაბედ ბოუზ-ლაიონი შოტლანდიის სამეფო სახლის შთამომავალია. მათ საგვარეულო გლამისის კოშკს ოდესღაც შექსპირის მაკბეტი ფლობდა, სწორედ აქ მოკლა მან დუნკანი. XV საუკუნიდან კოშკი შოტლანდიის მეფეთა რეზიდენციად იქცა. აქ ელისაბედის მშობლებს ხშირად სტუმრობდნენ ბრიტანეთის მონარქთა ოჯახის წევრები. ერთ-ერთი მათი ვიზიტისას პირველად იხილა ელისაბედმა 10 წლის ალბერტი, იორკის მომავალი ჰერცოგი. გოგონა მაშინ 5 წლისა იყო. მან პრინცს ტორტიდან ამოღებული დაშაქრული ალუბალი მიაწოდა.

ლედი ელისაბედი იყო მე-14 გრაფ სთრეტმორელის ოჯახის მე-9 შვილი. მან განათლება შინ მიიღო. თავისუფლად ფლობდა ფრანგულ ენას და საერთოდ, ყველაფერი იცოდა, რაც უნდა სცოდნოდა მისი წრის ქალიშვილს. 1914 წლის 4 აგვისტოს, ზუსტად მის დაბადების დღეს, ინგლისმა ომი გამოუცხადა გერმანიას. გლამისის კოშკი სამხედრო ჰოსპიტლად გადაიქცა და პატარა არისტოკრატი გოგონა იქ მოსამსახურეც იყო და დამლაგებელიც.

ომის შემდეგ ლედი ელისაბედი ისევ ზეპურ საზოგადოებაში ტრიალებს. კვლავ შეხვდა პრინც ალბერტს. ალბერტი იუტლანტის საზღვაო ლაშქრობაში მონაწილეობდა, მაგრამ სუსტი ჯანმრთელობის გამო ფლოტიდან დაითხოვეს. იგი კემბრიჯის უნივერსიტეტში იურისპრუდენციას დაეუფლა. ბერტის, როგორც მას შინ ეძახდნენ, ენაბრგვილობა ტანჯავდა. ამის გამო ძალზე მორცხვი იყო. პრინცმა ორჯერ ითხოვა ელისაბედის ხელი; ლორდმა სთრეტმორმა სასტიკად აუკრძალა ქალიშვილს უფლისწულთან ურთიერთობა, რადგან უკანასკნელი 200 წლის მანძილზე ერთი შემთხვევაც არ ყოფილა, რომ მეფის ძეს მასზე ნაკლები წარმომავლობის ქალი შეერთო ცოლად, მაგრამ სიყვარულმა გაიმარჯვა და 1923 წლის 26 აპრილს ვესტმინსტერის სააბატოში ახალგაზრდებმა ჯვარი დაიწერეს. ახალდაქორწინებულებს იორკის ჰერცოგისა და ჰერცოგინიას ტიტული მიანიჭეს.



ეს იყო სიყვარულით ქორწინება.

ყოველი საჯარო გამოსვლის წინ ელისაბედი ალბერტს მეტყველებაში ავარჯიშებდა, ოფიციალურ მიღებებზე მის გვერდით მიაბიჯებდა, სუსტფეხებიანი ალბერტი მეუღლის მხარს ეყრდნობოდა ხოლმე. ელისაბედი ყველანაირად ცდილობდა, ქმარი სასაცილო არ გამოჩენილიყო. ამ უსაზღვროდ ოპტიმისტი, მონარქიის პატივისმცემელი ქალის გარეშე ალბერტი-მბრძანებლის ფიგურა ტრაგიკული იქნებოდა. ელისაბედი პირდაპირ ღვთის საჩუქარი იყო ავადმყოფი ალბერტისთვის, რომელიც 1936 წელს იძულებით აიყვანეს ტახტზე ჯორჯ V-ის სახელით. ის ოჯახში უმცროსი იყო და ცხადია, სამეფოდ არ ამზადებდნენ.



საქმე ის გახლავთ, რომ ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრეს, ედვარდს თავდავიწყებით შეუყვარდა მომხიბლავი ამერიკელი ქალი უელის სიმფსონი. გალანტურმა ჭაბუკმა უამრავ ბრწყინვალე ასულთ რატომღაც ორნაქმარევი სიმფსონი არჩია. მაგრამ იგი სასახლეში არ მიიღეს. სამეფო ოჯახმა მის გადედოფლებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტად ჩათვალა. ჭაბუკმა ედვარდმა, რომელიც მამის შემდეგ მეფედ ეკურთხა, გაუგონარი რამ ჩაიდინა — ტახტზე ასვლიდან ათი თვის შემდეგ გადადგა და ჰერცოგ უინძორის ტიტულს დასჯერდა — მე ვერ შევძლებ ჩემზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას საყვარელი ქალის გარეშეო, — განაცხადა, უელისი ცოლად შეირთო და ამერიკაში გაემგზავრა.

ამ ამბავს ჟურნალისტებმა „აღდგომის შემდეგ ყველაზე დიდი სასწაული" უწოდეს, ხოლო უინსტონ ჩერჩილი დაცინვით ამბობდა, — იგი ფლოტის ადმირალი იყო, ახლა კი ერთი ამერიკელი კახპის მესამე ქმარიაო.

ელისაბედისთვის ამერიკელი რძალი „იმ ქალად" დარჩა და იგი ამ სიტყვებს ყოველთვის ზიზღით წარმოსთქვამდა.

როცა 1952 წელს ალბერტი გარდაიცვალა, ელისაბედმა ამაში „დეზერტირი" მაზლი დაადანაშაულა, რომელმაც „იმ ქალის" გამო მის საყვარელ ქმარს მეფობის მძიმე ტვირთი აჰკიდა. სინამდვილეში ალბერტი ფილტვების კიბოთი გარდაიცვალა.

MUM — დედიკო ბრიტანელების კერპია. თანამემამულეთა ყველაზე დიდი სიყვარული და გულწრფელი პატივისცემა მან მსოფლიო ომის წლებში მოიპოვა. 1940 წლის სექტემბერში, როცა გერმანიის თვითმფრინავები ინგლისს ბომბავდნენ, დედოფალმა ქვეყნის დატოვებაზე ცივი უარი განაცხადა. რამდენიმე დღეში კი გერმანელებმა ბუკინგემის სასახლე დაბომბეს. არც ამის შემდეგ მიატოვა ზეპურმა ოჯახმა სასახლე.

მხრჩოლავ ნანგრევებში მოსიარულე დედოფალი მართლაც რომ მომხიბვლელად გამოიყურებოდა. იგი ათვალიერებდა და აკონტროლებდა მთელ ქვეყანაში ბომბებით დანგრეულ ქალაქებსა თუ შენობებს. მას არასოდეს ჩაუცვამს შავი (ფრიად სამგლოვიარო) და არც წითელი (ფრიად საზეიმო). იგი ოპტიმისტურ ფერებს ირჩევდა: ვარდისფერს, ცისფერს, იასამნისფერს, შესაფერის თავსაბურავს და სამკაულებს. „დედოფალს ზოლიანი, დიდებული რობე (მანტია) ესხა და მისთვის ჩვეული მომხიბვლელი, მხიარული ღიმილი სახეზე დასთამაშებდა, მაშინ, როცა ლონდონის ხიდი ბომბებმა ნანგრევებად აქცია", — დიდი პატივისცემით იგონებს ერთი ჯარისკაცი. ხოლო, როცა ბუკინგემის სასახლე დაბომბეს, დედოფალმა თავისი სუსტფეხება მეუღლე სასახლიდან თავად გამოიყვანა, თვალთაგან ცრემლი არ გადმოვარდნია, ილიმებოდა და მაშინ წარმოსთქვა საქვეყნოდ ცნობილი ფრაზა: „მართალი გითხრათ, მიხარია კიდევაც, რომ დაგვბომბეს. ახლა ბომბებით დანგრეულ East END-თან სოლიდარობას ვგრძნობ" (ლონდონის მუშათა უბანი დაბომბვის შემდეგ ხომ ყველაზე მეტად განადგურდა)...

პრემიერმა ჩერჩილმა სამეფო ოჯახს ლონდონიდან გასვლა შესთავაზა. დედოფალმა უპასუხა: „ჩემი შვილები უჩემოდ არსად წავლენ, მე მეფეს არ მივატოვებ, მეფე კი ბუკინგემიდან ფეხს არ მოიცვლის!" ევაკუაციის ნაცვლად დედოფალმა რევოლვერის და თოფის სროლაც ისწავლა.

რადიოში გადმოცემული დედოფლის მიმართვა თავისი ქვეშევრდომებისადმი ომის წლებში მტრისგან დაპყრობილმა მთელმა ევროპამ მოისმინა. შოტლანდიელ ქალს, რომელმაც I მსოფლიო ომში ძმა დაკარგა, ეზიზღებოდა გერმანელები და მით უმეტეს ნაცისტები. მან პათეტიკური ტონით გამოთქვა თავისი ხალხის სურვილი, ებრძოლა გამარჯვებისთვის: „ვიცით, ჩვენი გზა ქვაღორღიანი იქნება და ამდენად ძნელად გასავლელი, მაგრამ ეს არის ერთადერთი სწორი გზა და გვწამს, რომ დიადი საქმისთვის ვიბრძვით". დედოფალს გერმანელების წინაშე თავი არასოდეს დაუხრია. ჰიტლერმა მას ევროპის ყველაზე საშიში ბანოვანი უწოდა, ვინაიდან ის ზნეობრივი ბურჯი გახლდათ II მსოფლიო ომის დროინდელი ბრიტანეთისა. გერმანელი დიქტატორი არ ცდებოდა, რადგან არაფერი ახდენს ისეთ ზემოქმედებას ერზე და არ აღაფრთოვანებს მტრის წინააღმდეგ საომრად, როგორც ბრძოლის ჟინით შეპყრობილი დედოფალი.

ამ მეასე წლისთავზე, ომის მომსწრე ბრიტანელებს კვლავაც ახსოვთ დედოფლის სიმამაცე, ხოლო ომისშემდგომი თაობა კი ვეტერანების მონათხრობზეა აღზრდილი. მათთვის, კი, ვინც დღეს 20 წლისაა, დედა-დედოფალი ძალიან საყვარელი, უცნაური პოპ-ფიგურაა, პასტელის ფერებში გახვეული მხიარული ბებია, რომელიც, მიუხედავად ორჯერ ნაოპერაციევი თეძოს ძვლისა, მაინც შოტლანდიის მდინარეებში ფეხშიშველა დგას და თევზაობს.

დედა-დედოფალი ტახტის სიმტკიცის მსახურად ითვლება და მიღებების, დოღის, ნადირობის, ალლუმების აქტიური მონაწილეა. არის საქველმოქმედო ფონდების პრეზიდენტი, ბევრი პოლკის საპატიო პოლკოვნიკი და მრავალი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი.

მაგრამ მუდამ მოღიმარე ბებიას მავნე ჩვევებიც აქვს: დოღზე დიდ თანხებს აგებს, რისთვისაც მილიონობით ვალი დაიდო. საჯაროდ კიცხავენ, ის კი გულუბრყვილოდ საყვედურობს თავის ქალიშვილს, — ადრე რომ ვცხოვრობდით, ისე რატომ ვეღარ ვცხოვრობთო.

დედა-შვილი დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან. შვილი-დედოფალი ხელმომჭირნეობით გამოირჩევა. ელისაბედ ბოუზ-ლაიონმა ასი წელი იმ შეგონებით გაატარა, რომ ფულზე ფიქრიც კი უზნეობააო. შვილები მთელი სიცოცხლე ისმენდნენ დედის წუწუნს — ჩასაცმელი არა მაქვსო. თუმცა ყოველ წელიწადს აახლებდა თავის გარდეროზს. ზოგჯერ ერთბაშად ექვს მოდელს უკვეთავდა, რასაკვირველია, მას უნდა ხლებოდა შესაფერისი ფეხსაცმელი, ჩანთა და ქუდი. დღეს კლარენს-ჰაუზის რეზიდენციაში შეგროვილია ყველა კაბა, რაც დედოფალს უტარებია XX საუკუნეში (სადღესასწაულო თუ ყოფითი, ჩაისა თუ სადილისთვის განკუთვნილი, ვიზიტებისთვის, სასეირნო თუ სამგზავრო). დედა-დედოფალს უყვარს „საყვარელ რელიკვიებში გასეირნება". ზოგიერთი ლონდონის მუზეუმებში გამოუფენია, მაგრამ არც ერთი კაბა არასოდეს გაუყიდია. დედა-დედოფალს ამშვენებს მარია-ანტუანეტას ნაქონი ბრილიანტის ყელსაბამი, ფაბერჟეს ნაკეთობათა საოცარი კოლექცია.

დედოფლის გვირგვინს ამშვენებს ცნობილი უძველესი ბრილიანტი „კოჰ-ი-ნორი". ელისაბედ ბოუზ-ლაიონი უნიკალური ფერწერული ტილოების და შესანიშნავი ავეჯის, აუარება ძვირფასეულობისა და ვერცხლის ფანტასტიკური ნაკეთობების მფლობელია.

აქვს ოთხი სასახლე. კლარენს-ჰაუზში, სადაც უფრო ხშირად ცხოვრობს, მას 50 ადამიანი ემსახურება. მცირე ხნით — წელიწადში ორჯერ, შოტლანდიის მეის კოშკს მოინახულებს. იგი დაჟინებით მოითხოვს, რომ სასახლეები და კოშკები ყოველწლიურად შეკეთდეს და ბაღ-ბოსტანი გაშენდეს. მისი საყვარელი სასმელებია ტონიკიანი ჯინი, სადილად — შამპანური. მართალია, სმას უშლიან, მაგრამ ერთორს გადაკრავს ხოლმე.

მას შემდეგ, რაც 1953 წელს, ტახტზე მისი ქალიშვილი ელისაბედ II ავიდა, ყოფილი დედოფალი ენერგიულად შევიდა ახალი, ძლევამოსილი დედა-დედოფლის როლში. იგი დღესაც მის უდიდებულესობად იწოდება და თავის ქალიშვილს რჩევებს აძლევს.

დედა-დედოფალი დღესაც არ ღალატობს თავის სტილს. თავის დროზე ქვრივმა ელისაბედმა შავი სამოსის ტარებაზე უარი განაცხადა და თავადვე შეარჩია დედა-დედოფლის იერსახე: პასტელის ფერები ყველა ვარიაციაში, იდაყვიდან ზემოთ ხელის აქნევა და ღიმილი, ღიმილი, ღიმილი. ორი სტანდარტული ფრაზით „ო, ნამდვილად", „რა საინტერესოა" იგი ყველა მოსაუბრეში ღირსების გრძნობას აღვივებს და დედოფლის ასეთი მიმართვით და ყურადღებით ბედნიერი ვინმე ქვეშევრდომი აღფრთოვანებული და გაბრწყინებული სახით ტოვებს დედოფალს.

რიტუალები და ცერემონიალები სასახლეში არ იცვლება. მაგალითად მმართველი დედოფლის მიერ რაინდად კურთხევის ცერემონიალის ინსტრუქცია საუკუნეების სიღრმიდან მოდის: „ხმალს დასწვდით მარჯვენა ხელით, დადექით მარცხენა ფეხზე, და სკამზე მოხარეთ მარჯვენა ფეხი".

„არ ესაუბროთ დედა-დედოფალს სასახლეში რეფორმების შესახებ" — უკვე წლების განმავლობაში აფრთხილებენ ელისაბედთან სადილად მოწვეულ სტუმრებს. ტრადიციის მკაცრი მუშტი უმცროსმა ქალიშვილმა, პრინცესა მარგარეტმაც იგემა, რომელსაც 1955 წელს ცოლს გაშორებული პოლკოვნიკი შეუყვარდა, მაგრამ სამეფო ოჯახმა ახალგაზრდებს დაქორწინებაზე სასტიკი უარი განუცხადა. საყვარელ ადამიანთან იძულებითმა განშორებამ მარგარეტს თავისი დაღი დაასვა და მხიარული პრინცესა მარტოსულ მოხუც ქალად გარდაიქმნა, რომელიც ბევრს სვამს.

დედა-დედოფალი ყოველთვის მომხიბვლელი და უცოდველი არ გახლავთ. „ყველას ჰგონია, რომ ძალიან სათნო ვარ, მაგრამ ასეთი ნამდვილად არა ვარ", — ამბობს თავად ელისაბედ I და ეს მართალია. „ხავერდის ხელთათმანიანი რკინის მუშტი" უწოდა თავის დროზე მას ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, ლორდმა ჰალიფაქსმა. და დედა-დედოფლის რკინის მუშტი ხვდება ყველას, ვინც კი მონარქიის შერყევას მოინდომებს.

როცა 1981 წელს პრინც ჩარლზის საცოლე, 19 წლის დაიანა სპენსერი სასახლეში გამოჩნდა, დედა-დედოფალმა გადაწყვიტა სამეფო სახლის ეტიკეტში გაუთვითცნობიერებელი საბავშვო ბაღის აღმზრდელისათვის ზოგი რამ ესწავლებინა და მისთვის სასახლის წეს-ჩვეულებები გაეცნო. მაგრამ, როცა „მოსწავლე" მეორე დღესვე სახლიდან გაექცა, დედა-დედოფალი მაშინვე მიხვდა, რომ ეს გოგონა, ერთხელაც იქნებოდა და, სამეფო ოჯახში არეულდარეულობას შეიტანდა. 12 წლის შემდეგ კი „სასახლეში დაიანასი ყველას ძალიან ეშინოდა, რადგან ქალი კონტროლს არ ემორჩილებოდა — წერს ბრიტანელი ისტორიკოსი სარა ბრედ ფორდი, — დაიანა არაკონტროლირებადი ნაღმივით იყო, რომელიც არავინ იცოდა, რა წამში აფეთქდებოდა".



სამეფო კარის ცხოვრების მემატიანე — ნიკოლას დევისი კი დარწმუნებულია, რომ სამეფო ოჯახს (უილიამის და ჰარის გამოკლებით) 1997 წელს დაიანას ტრაგიკულად დაღუპვის გამო მწუხარება არ განუცდია, უბრალოდ ოჯახის წევრები შოკში ჩაცვივდნენ და კიდევ განიცადეს შვება, თითქოს მძიმე ტვირთისგან განთავისუფლდნენ. ის ხომ ოჯახს უამრავ პრობლემას უქმნიდა. დაიანამ გაუგონარი რამ მოიმოქმედა: — თავის ქმარს, მომავალ მეფეს, მთელი ნაცია აუმხედრა და მონარქია კატასტროფის წინაშე დააყენა და მიუხედავად ყველაფრისა, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ექსდედოფალი ყველაზე ემოციური და გულჩვილია ბუკინგემის სასახლეში. ამბობენ, დაიანას დაკრძალვაზე მხოლოდ იგი ტიროდა გულამოსკვნით და იმის მაგივრად, რომ შვილებისთვის მიესამძიმრებიათ, დედოფალს ამშვიდებდნენო. მაშინ ისიც კი ითქვა, რომ დედოფალმა გვირგვინის ღირსება შელახაო.

შვილიშვილები რომ წამოიზარდნენ, ბებიას ახალი საზრუნავი გაუჩნდა: დაიწყო მათი პირადი ცხოვრების მოგვარება. სასახლესთან დაახლოებული პირები ამბობენ, უსაყვარლესი შვილიშვილი — ჩარლზი უკანასკნელი ათი წლის მანძილზე თავს დამტყდარი სტრესებისგან სწორედ ბებიამ გამოიყვანაო. ხმა დაირხა, ელისაბედის მითითებით ბალმორალის რეზიდენციაში საიდუმლო სატელეფონო ხაზი გაიყვანეს, რომლის საშუალებითაც პრინცი ჩარლზი თავის სატრფოს — კამილა პარკერს ესიყვარულებაო.

ამბობენ, ელისაბედ ბოუზ-ლაიონის ყოველი დაბადების დღე ერთი და იმავე სცენარით ტარდება. ყოველ 4 აგვისტოს კლარენს-ჰაუზის რეზიდენციაში სამეფო ოჯახის წევრები იყრიან თავს და დედიკოს დაბადების დღეს ულოცავენ. ეს უკანასკნელი კი, ნასაუზმევი, ზუსტად 12 საათზე გამოვა, ბაღის შესასვლელთან მას უთვალავი თაყვანისმცემელი ელოდება ყვავილებით, დროშებით, პლაკატებით "HAPPY BIRTH DAY"-ის თანხლებით. დედა-დედოფლის პატივსაცემად სამეფო პოლკი 21 სალუტს ისვრის ხოლმე.

წელს ელისაბედ I-ის დაბადების დღემ დიდი პომპეზურობით ჩაიარა (დღესასწაულმა 2 კვირაზე მეტს გასტანა) — ასეც იყო მოსალოდნელი, ხუმრობა ხომ არ არის, დედა-დედოფალს ასი წელი შეუსრულდა... ცერემონიის მსვლელობას დედა-დედოფალი მისთვის ჩვეული ღიმილით თალარიდან ადევნებდა თვალს, თან თავისი საყვარელი შვილიშვილი, ჩარლზი ახლდა. მის წინ მისი საყვარელი ბედაური და აქლემიც კი ჩამოატარეს; იუბილარს 7,6 მ სიმაღლის ტორტი მიართვეს, რომელსაც უშველებელი მოსალოცი ბარათი მოყვებოდა. აღფრთოვანებულმა დედიკომ წარმოთქვა: „შესანიშნავი საღამოა... დიდი მადლობა... გფარავდეთ ღმერთი. დარწმუნებული ვარ, ყველამ ისე ისიამოვნა, როგორც მე".

კიდევ ერთი შტრიხი: მთელი სამეფო ოჯახის წევრებიდან პირად ცხოვრებაში ბედნიერი მხოლოდ დედა-დედოფალი იყო, მაგრამ საყვარელი მეუღლის დაკარგვის შემდეგ 48 წლის მანძილზე იტანჯება. „მე ვიცი, ბევრისთვის გაუგებარია ეს, მაგრამ ტკივილი ვერა და ვერ მტოვებს", — გულახდილად უთხრა მან მეგობარს. საზოგადოებაში კი უნდა გაიღიმოს, აუცილებლად გაიღიმოს... მან თავად აირჩია ეს ჯვარი და რაც არ უნდა დაუჯდეს, ბოლომდე მიიტანს...

*უცხოური პრესის მიხედვით*

# სფინქსის გამოცანები

ეგვიპტის უდაბნოში აღმართულია ყველაზე დიდი სკულპტურა გიგანტური სფინქსისა, რომელიც ოდესმე შეუქმნია ადამიანს. ლეგენდა მოგვითხრობს, რომ ეს უზარმაზარი მტაცებელი მუდამ ფხიზლობს, იცავს პირამიდების სიმყუდროვეს და „მესამე თვალის“ საშუალებით თვალს ადევნებს მზის ამოსვლასა და პლანეტების მოძრაობას. მისი ძალის წყარო კოსმოსია.

მეცნიერები ვარაუდობდნენ, რომ სფინქსი — პირამიდების თანამედროვეა. მაგრამ აი, რა არის უცნაური — უძველეს პაპირუსებში, სადაც პირამიდების მშენებლობაა აღწერილი, სფინქსი საერთოდ არ არის ნახსენები. იეროგლიფებმა ჩვენამდე მოიტანეს პირამიდების ხუროთმოძღვართა, მშენებელთა სახელები, რომლებმაც შექმნეს ფარაონთა საუკუნო განსასვენებლები, მაგრამ სფინქსის ავტორები — უცნობია.

მხოლოდ გიგანტური პირამიდების აშენებიდან ოთხი საუკუნის შემდეგ გამოჩნდა ტექსტები, სადაც სფინქსია ნახსენები. მას „შელეს ანხს“ უწოდებენ, რაც „ცოცხალ სახეს“ ნიშნავს. ამ სახელწოდებას მეცნიერები ვერ ხსნიან.

სფინქსის სახე მოხვდა ბერძნულ მითოლოგიაში, ბევრ ზღაპარსა და გადმოცემაში, თუმცა ტრანსფორმირებული სახით. თავდაპირველად, ლეგენდებში ეგვიპტურ სფინქსს ჯერ კიდევ ჰქონდა ლომის ნაკვთებიანი მამაკაცის თავი. ის დაეხეტებოდა პარნასის ახლომახლო გზებზე და გამვლელებს ჭამდა. მოგვიანებით ის უკვე ქალის თავიანი ფრთოსანი ურჩხულია, რომელსაც სფინქსი ჰქვია, ბინადრობს ფივების მახლობლად და ახრჩობს მგზავრებს, რომლებიც მის გამოცანებს ვერ ამოხსნიან.

ეგვიპტის შესახებ ჰეროდოტეს ნაშრომების შესწავლისას გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ ისტორიის მამამ, 445 წ. ჩვ.წ.აღ-მდე დაწვრილებით აღწერა ეგვიპტე — ნანახი და მოსმენილი. აღწერა პირამიდების ყოველი დეტალი, ისიც, მუშებისთვის რა რაოდენობის და როგორი საჭმელი მოჰქონდათ. სფინქსის შესახებ კი ჰეროდოტე დუმს!



ეს გამოცანა მით უფრო საიდუმლოდ გვესახება, რომ ფარაონის მსახურები დაწვრილებით აღნუსხავდნენ, თუ რამდენი და როგორი მასალა დასჭირდა პირამიდის აგებას, არ ივიწყებდნენ არც იმ გზის სიგრძეს, რომლითაც ეს მასალები მოჰქონდათ. მაგრამ არ არსებობს არც ერთი საბუთი სფინქსის აგების შესახებ. ამ საიდუმლოს ამოხსნას ვპოულობთ რომაელი მწერლისა და მეცნიერის პლინიუს უფროსის ნაშრომში. ის გვატყობინებს, რომ მის დროს სფინქსი, ტრადიციისამებრ, კიდევ ერთხელ გაასუფთავეს დასავლეთიდან ქარის მიერ მოტანილი ქვიშის საფარისგან. მაშასადამე, ჰეროდეტემ იმიტომ ვერ ნახა სფინქსი, რომ ის ქვიშის ქვეშ იყო მოქცეული.

მთელი ისტორიის მანძილზე რამდენჯერ „ამოთხარეს“ სფინქსი? ქანდაკების კვლევისას მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ სფინქსი, დროდადრო მართლაც იფარება ქვიშის სქელი ფენით, რომელიც ცხელი ლიბიიდან მოაქვს უდაბნოს ქარებს. ადრე არ იცოდნენ დამცავი ტყის ზოლის გაშენება და როგორც ჩანს, სფინქსს პერიოდულად ათავისუფლებდნენ ქვიშის ტყვეობიდან.

ამას ადასტურებს გასულ საუკუნეში ეგვიპტეში აღმოჩენილი სტელა, რომელზეც ჩანს თუთმოს V-ის მმართველობის პერიოდის (ჩვ. წ.აღ. XV ს.) ტექსტი, რომელიც გვამცნობს, რომ ფარაონს სიზმარში ნიშანი მისცეს: თუ ის სფინქსს ქვიშისგან გაწმენდს, მისი მეფობა ხანგრძლივი და ბედნიერი იქნება.

უკანასკნელ ხანს არქეოლოგებმა ქვიშიდან ამოთხარეს ეგვიპტეში პტოლომეოსების დინასტიის გამეფების დროს, შემდეგ კი რომაელი იმპერატორებისა და არაბი მმართველების დროინდელი სფინქსები.

ეგვიპტის ერთ-ერთი მმართველის ბრძანებით, სფინქსს ცხვირი მოამტვრიეს. XV ს-ის დასაწყისში ამ გოლიათს ქვემეხები დაუშინეს, ხოლო ნაპოლეონის ჯარისკაცები სფინქსს თვალებში ესროდნენ. ინგლისელებმა კი ქვის წვერი მოამტვრიეს და ბრიტანეთის მუზეუმში მოათავსეს.

დღეს კაიროს ქარხნების მომწამვლელი გაზები და მანქანების გამონაბოლქვები შლის ქვებს. 1988 წ. სფინქსის კისერს მოწყდა 950 კგ-იანი ნამტვრევი.

იუნესკო შეაშფოთა სფინქსის ავარიულმა მდგომარეობამ და გადაწყდა მისი ხელახალი გამოკვლევა. იაპონელმა არქეოლოგებმა სპეციალური ხელსაწყოებით გასინჯეს ჯერ ხეოფსის პირამიდის მასივი, შემდეგ კი გამოიკვლიეს სფინქსის ქვები. შედეგი სენსაციური აღმოჩნდა — ქანდაკების ქვა პირამიდების ბლოკებზე ძველია. მეორე სენსაცია კი ის იყო, რომ ქვის ლომის მარცხენა თათის ქვეშ აღმოაჩინეს ვიწრო გვირაბი, რომელიც ხეოფსის პირამიდისკენ მიდიოდა.

ხოლო ჰიდროლოგებმა მასზე აღმოაჩინეს წყლის დიდი ნაკადისგან მიყენებული ეროზიის ნაშთები. მათი აზრით, ეს არის ბიბლიური კატასტროფის შედეგი, რომელიც ჩვენს ერამდე 8-12 ათასი წლის წინ მოხდა.

ფრანგმა არქეოლოგებმა საყურადღებო შენიშვნა გააკეთეს: ეგვიპტის წარღვნის დათარიღება ემთხვევა ლეგენდარული ატლანტიდის დაღუპვის თარიღს!

*ნლო №30*

# ნოეს კიდობანთან თურქები არავის უშვებენ

4348 წლის წინ, 2348 წლის 28 ივლისს, ლეგენდარულმა ნოემ, მრავალი თვის ცურვის შემდეგ გააღო თავისი კიდობანი, რომელშიც თავის ვაჟიშვილებთან და ცხოველებთან ერთად წარღვნისგან იფარავდა თავს. ააფრინა პატარა, თეთრი მტრედი, რომელიც მალე დაბრუნდა და ნისკარტით ზეთისხილის რტო მოიტანა. ამ რტოს მტრედმა მიაგნო ხმელეთის ერთადერთ მონაკვეთზე — არარატის მთის მწვერვალზე. ამჟამად არარატი თურქეთის ტერიტორიაზეა.



ხომალდის ზუსტი პარამეტრებია: სიგრძეში 300 მხარი, სიგანეში — 50, სიმაღლეში — 36, ეს 150X25X15 მეტრია. ამ ხომალდის წყალწყვა 20 ათასი ტონაა.

1917 წ. არარატის მთის სამხრეთ დასავლეთით, 25 მილის დაშორებით იყო განლაგებული რუსი სამხედრო ავიატორების დროებითი ბაზა. ისინი ცდიდნენ თვითმფრინავებს. ერთ-ერთმა პილოტმა, ვლადიმირ რისკოვიცკიმ, რომელიც შემდეგ აშშ-ში გადასახლდა, ამ გაფრენების შესახებ ჩანაწერები დატოვა.

...აგვისტო იყო, საშინლად ცხელოდა და პილოტები მოუთმენლად ელოდნენ ცაში აფრენას. „დროის მოსაგებად სწრაფად მოვირგეთ პარაშუტები, — წერს რისკოვიცკი, — 14.000 ფუტის სიმაღლეზე შევჩერდით, რათა სიმაღლეს შევჩვეოდით. ამბობდნენ, რომ ამ მთაზე ადამიანები უკანასკნელად ქრისტეს დაბადებამდე დიდი ხნით ადრე ავიდნენ“.

პილოტმა ნელ-ნელა დაიწყო ქვევით დაშვება და სამხრეთ კალთაზე მოულოდნელად ტბა შენიშნა, რომელშიც ყინულში ნახევრად შეჭრილი უზარმაზარი ხომალდი მოჩანდა. „ნუთუ წყალქვეშა ნავია? თუმცა, არა. ჩვენ დავინახეთ მოკლე და მსხვილი ანძები, მაგრამ ზედა ნაწილი მომრგვალებული იყო, — აღწერს პილოტი, — თითქოს გემი ისე ააგეს, რომ მას ზღვაში მორის მსგავსად ეტივტივა. ხომალდი ძალიან გრძელი იყო და თანამედროვე სამხედრო გემს წააგავდა. დავათვალიერეთ ყველაფერი, რაც კი ჰაერიდან შევძელით და აეროდრომზე დავბრუნდით. როცა ამ აღმოჩენის შესახებ მოვყევით, სიცილი დაგვაყარეს, — მთაზე გემს რა უნდაო“.

მხოლოდ ნაწილის მეთაურმა მოისურვა, მონაყოლი თავად ენახა და სიმართლეში დარწმუნებულიყო, შემდეგ კი მფრინავებს წარღვნის შესახებ ლეგენდა უამბო. „ეს უცნაური ხომალდი — ნოეს კიდობანია, — თქვა მან, — ის აქაა უკვე თითქმის ხუთი ათასი წელია. თქვენ საუკუნის ყველაზე ღირსშესანიშნავი აღმოჩენა გააკეთეთ!“

მეთაურმა ყოველივე სასწრაფოდ აცნობა რუსეთის ხელისუფლებას. იმპერატორის ბრძანებით, ჯარისკაცების ორი რაზმი არარატის მწვერვალის დასაპყრობად წავიდა.

კიდობნის შიგნით მათ ნახეს როგორც პატარა ნაგებობები, ასევე ძალიან დიდი, მაღალჭერიანი ნაგებობებიც, რომლებიც მსხვილი ბოძებით იყო შემოფარგლული. ზოგ მათგანში ხის გისოსებიანი უჯრედები იყო. როგორც გაირკვა, კიდობნის ასაგებად გამოიყენეს ოლეანდრის ხე, რომელიც თითქმის არ ლპება. ხომალდის შორიახლოს ექსპედიციამ აღმოაჩინა ნახევრად დამწვარი მორების ნარჩენები, როგორც ჩანს, ცდილობდნენ, ამ მორებისგან სახლის მსგავსი თავშესაფრის აგებას.

სწორედ იმ პერიოდში რუსეთში რევოლუცია მოხდა და ექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალები დაიკარგა. რისკოვიცკი, რომელიც ამ შემთხვევის შემდეგ ბიბლიის მქადაგებელი გახდა, დარწმუნებულია, რომ ეს მასალები ბოლშევიკებმა გაანადგურეს.

1955 წ. ნოეს კიდობნის მოძებნა შეძლო მხოლოდ ფრანგმა ალპინისტმა ფერნან ნავარამ. მან ხომალდის ფიცარს პატარა ნაჭერი ააჭრა, რომლის რადიოაქტიურმა ანალიზმა დაადასტურა ამ ნაგებობის ასაკი — 5.000 წელი.

თურქეთის მთავრობამ აკრძალა არარატის მთაზე ასვლა.

*ვოკრუგ სვეტა №14*

# ადამიანი, რომელსაც ყველაფერი შეეძლო

***60-იან წლებში დეივიდ ლინომის მიერ გადაღებული და დღესაც პოპულარული ფილმის „ლოურენს არაბის“ გმირს ნამდვილი პროტოტიპი ჰყავდა, ეს იყო მეტად კოლორიტული პიროვნება, ინგლისელი არქეოლოგი და ჯაშუში თომას ედუარდ ლოურენსი.***

თომას ედუარდ ლოურენსი დაიბადა 1888 წლის 15 აგვისტოს. მისი მამა, ირლანდიელი ბარონი თომას ჩეპმენი დაუახლოვდა თავისი ოჯახის მნეს, სარა მეიდენს. ორივე დიდ ანგარიშს უწევდა საზოგადოებრივ აზრს ცოლქმრული ურთიერთობის შესახებ, თანაც არ სურდათ თავი შეეზღუდათ ოფიციალური ქორწინებით, ამიტომ გაიქცნენ უელსის პატარა ქალაქ ტრემადოკში. მათ იქ 5 „უკანონო შვილი“ მოუვლინეს ქვეყანას, მათ შორის მეორე იყო ედუარდი, რომელმაც ჭაბუკობაშივე გამოავლინა უჩვეულო ნიჭი. შეეძლო დაჟინებული მზერით გაექანებინა ძაფზე დაკიდებული ბეჭედი ან ზურგში ყურებით იძულებული გაეხადა ადამიანი, სწორ გზაზე ფეხი წამოეკრა.



1896-1901 წლებში თომას ედუარდ ლოურენსმა ერთდროულად დაამთავრა ოქსფორდის უნივერსიტეტთან არსებული უმაღლესი სკოლა და იეზუიტთა კოლეჯი. სწავლის პერიოდში ის გატაცებული იყო ისტორიითა და არქეოლოგიით. მიუხედავად იმისა, რომ მისმა სადიპლომო ნაშრომმა, „ჯვაროსანთა ციხე-დარბაზები“, დიდი შეფასება მიიღო, მხოლოდ 1936 წელს, მისი სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა.

თომას ლოურენსი დაეუფლა მასობრივი ჰიპნოზის ტექნიკას. მას შეეძლო გაეკეთებინა ჰიპნოზი ადამიანთა დიდი ჯგუფისათვის.

სტუდენტობის პერიოდში, არდადეგების დროს, თომასმა მოიარა საფრანგეთი, სირია, პალესტინა, შეისწავლა შუა საუკუნეების არქიტექტურა. ოქსფორდელ არქეოლოგ ჰოგარტთან ერთად მონაწილეობდა ევფრატზე ხეთური დასახლების გათხრებში, შემდეგ კი ეგვიპტეში ეძებდა ფარაონის აკლდამას. პარალელურად სწავლობდა ამ ქვეყნებში მცხოვრებ ხალხთა ენებს, ყოფასა და ზნე-ჩვეულებას. ძალიან მალე ახალგაზრდა ავანტიურისტს არქეოლოგია უინტერესო საქმიანობად მოეჩვენა და ინგლისურ დაზვერვაში დაიწყო სამსახური. 1914 წლის იანვარში ვითომდა არქეოლოგმა ლოურენსმა სინას ნახევარკუნძულისა და თურქეთის საზღვრების სამხედრო გეგმები შეადგინა. იმავე წლის დეკემბერში უკვე ლეიტენანტის ჩინით კაიროშია, დაკითხავს ტყვეებს, ხაზავს რუკებს, იღებს ცნობებს აგენტებისგან ფრონტის ხაზის შესახებ.

ამ დროისათვის ინგლისს არაბეთსა და ეგვიპტესთან გაჩაღებულ ომში ხელი ეცარებოდა. 1916 წლის დასაწყისში არაბად გარდასახული თომასი უკვე არაბეთშია. იქ მან ერთმანეთთან დააკავშირა დაქსაქსული არაბული ტომები და მოუწოდა თურქ დამპყრობლებთან საბრძოლველად.

შემდეგ ჩერქეზი მოხალისის სახით შეაღწია დერეპში, თურქეთის შტაბბინაში, მოიპოვა საიდუმლო მასალა და შეადგინა თურქული ჯარის ზუსტი ცნობარი. ამასთან ერთად, ის აღვივებდა უნდობლობას თურქებსა და მის მოკავშირე — გერმანელებს შორის. ენერგიით, ორგანიზატორული თვისებებითა და ტექნიკური ცოდნით მოხიბლა ამბოხებული არაბი პრინცი ფეისალა (მომავალი მეფე) და 1916 წლის დასასრულს დაიკავა მრჩევლის ადგილი.

ლოურენსი ამბოხებულებს ამარაგებდა ფულითა და იარაღით. 1917 წლისთვის, ფაქტობრივად, ის ხდება ამბოხებულთა ლიდერი. ის კრავს არაბული მოძრაობის მფრინავ ჯგუფებს, რომლებიც მარდი აქლემებით თავზარს სცემდნენ მტერს, ანადგურებდნენ მის ტრანსპორტს, შოულობდნენ საჭმელსა და იარაღს. სადაც კი გამოჩნდებოდა თომას ედუარდი, ყველგან იწყებოდა ბუნტი, გერმანულ და თურქულ ჯარებზე თავდასხმები. სწორედ ამ თვისებების გამო, უდაბნოს მოსახლეობამ მას „უდაბნოს ჩხუბისთავი“, „არეულობის თავადი“ და „ამირა-დინამიტი“ შეარქვა. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო არაბეთის მიერ წითელი ზღვის მნიშვნელოვანი პორტის, აკაბის დაკავებაში, რითაც გაუადვილა ინგლისელ გენერალ ალენბის იერუსალიმის აღება...

მაგრამ, როგორც იტყვიან, წარმატებას უბედურებაც თან სდევს. 1917 წელს თურქებმა თომას ედუარდ ლოურენსი შეიპყრეს და სანამ გაქცევას მოახერხებდა, სამუდამოდ ცვედანად აქციეს.

მაგრამ თომას ედუარდმა შური იძია თურქებზე. 1917 წელს სათავეში ჩაუდგა 3.000-იან არაბულ ჯარს, გაანადგურა 50.000 კაციანი თურქეთის კორპუსი და დამასკოში ინგლისელებზე ადრე შევიდა. ამ გმირობისათვის 30 წლის თომას ედუარდ ლოურენსი ინგლისური არმიის პოდპოლკოვნიკი გახდა.

1921 წელს ლოურენსი დაინიშნა კოლონიათა მაშინდელი მინისტრის ჩერჩილის მრჩევლად არაბულ საქმეებში. ამავე ხანებში გამოვიდა ლოუენა თომასის გახმაურებული სტატიების სერია — „პალესტინაში — გენერალ ალენბისთან და არაბეთში — ლოურენსთან ერთად“, რომელმაც ძალზე პოპულარული გახადა იგი და მას მიანიჭეს ტიტული „სერ ლოურენსი“.

მაგრამ სერ თომას ლოურენსს მშვიდი ცხოვრება არ იზიდავდა, მან შეისწავლა მფრინავობა და 1922 წლის 28 აგვისტოს ჯონ ჰიუმ როსაფის სახელით დაიწყო სამსახური სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალებში. ეს რატომღაც არ მოეწონა ინგლისის სადაზვერვო სამმართველოს და უარი უთხრეს კოლონიათა დეპარტამენტში სამსახურზე (სადაც ჯამაგირი 1.200 გირვანქა სტერლინგი ჰქონდა). ლოურენსს გაუჭირდა და იძულებული გახდა, მემუარების წერა დაეწყო. ზედიზედ გამოდის მისი წიგნები: „სიბრძნის 7 მცნება“ (1926) და „აჯანყება უდაბნოში“ (1927). მან მწერლობაშიც დიდი სახელი მოიხვეჭა. ბერნარდ შოუმ მისი თხზულებები დაახასიათა, „როგორც საუკეთესონი მსოფლიო ისტორიის გმირული წიგნებიდან“.

მისმა ნაწარმოებმა „ყველაფერი ბევრი“, რომელშიც საკუთარი სამხედრო საჰაერო თავგადასავლები იყო მოთხრობილი, მზის სინათლე იხილა 1955 წელს.

ლოურენსის მეხსიერება აღიზიანებდა ინგლისის საიდუმლო სამსახურს. მან ძალიან ბევრი იცოდა, ისიც კი, რაც არ უნდა ცოდნოდა და უსიამოვნო მოწმეს წარმოადგენდა.

1935 წლის 13 მაისს არაბეთის გენერალი სერ თომას ედუარდ ლოურენსი დაიმტვრა თავისი მოტოციკლეტით, ბუნებრივია, „გაურკვეველ ვითარებაში“ და 6 დღის შემდეგ გონს მოუსვლელად(!). როგორც მისმა მეგობარმა, ლედი ასტორმა თქვა, — „ის გარდაიცვალა თავის დროზე, თუკი სიკვდილი შეიძლება იყოს დროული“...

*ორაკული №8*


**ფირმა „მოდინახე“**

ასრულებს ბრტყელი სახურავების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს. გადარიცხვით, აგრეთვე ნაღდი ანგარიშსწორებით, ტოლით — 4 ლარი, მინაქსოვილით — 5 ლარი, ჰიდრომინაიზოლით — 8 ლარი. გარანტია 3-12 წლამდე.

დაგიმზადებთ რკინის კარს, გისოსს, მოაჯირს და სხვა რკინის ნაკეთობას.

მის: ფოცხვერაშვილის ქ. №3

☎ 96-80-99; 22-08-58; 899-54-52-60

**ვმკურნალობთ**

**ქრონიკულ პროსტატიტს**

— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ექოსკოპია, თანამედროვე იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით და აპარატურით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის მეთოდით, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №20 (სპორტის სასახლის უკან) 10-14 სთ.

**თბილისის საინჟინრო-ჰუმანიტარული ინსტიტუტი „მთიები“**

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას შემდეგ ფაკულტეტებზე:

**იურიდიული; ფილოლოგიის, ეკონომიკის, ისტორიის, მათემატიკის, პედაგოგიური, ჟურნალისტიკის, უცხო ენების.**

წარმოებს სტუდენტების სტაჟირება საზღვარგარეთ.

9 კლასდამთავრებულთათვის ფუნქციონირებს ლიცეუმი

მის: დავით აღმაშენებლის 178, მე-18 სკოლა, III-IV სართ.

☎ 35-27-00; 38-00-83; 52-67-67; 62-05-07; 38-87-26

# კახი ასათიანი: ქვანია „ნატვრის ხის“ პერსონაჟს მაგონებს

## რა ხდება „დინამოში“? მართავენ თუ არა გუნდს კლანები? ვინ ცდილობს გუნდის ხელში ჩაგდებას?

ეს კითხვები უპასუხოდ არ უნდა დარჩეს. ბევრი მათგანი კი ჩვენს დღევანდელ რესპონდენტს, ბატონ კახი ასათიანს უკავშირდება. სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, საკუთარი პოზიცია გამოხატა:



— ამომივიდა ყელში უაზრო ბრალდებები და გამოხდომები. კი, ბატონო, ვისაუბროთ პირდაპირ და მოურიდებლად. თავადაც დარწმუნდებით, ეს ქვეყანა, სპორტი თუ „დინამო“ ჩემი დაქცეულია თუ მაბრალებენ. სიკეთის გარდა არაფერი მიკეთებია, სპორტისთვის მარტო „ეარ ჯორჯიადან“ სამი მილიონი დავხარჯე, ხომ არ მომიპარავს და მაინც მლანძღავენ... მოკლედ, მკითხეთ ყველაფერი, რაც გაინტერესებთ.

**— პირველ რიგში, საინტერესოა „დინამოში“ მიმდინარე მოვლენები.**

— რაც იქ ხდება, შემაშფოთებელია. გუნდი ისე დაჩაჩანაკდა, მის სახელსა და ისტორიას არ ეკადრება. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა სახელმწიფო კომისია და იმედია, ვითარება უახლოეს პერიოდში მაინც გამოსწორდება.

## ტენდერი და გაუგებრობა თარგამაძესთან

**— „დინამოს“ აღორძინება თქვენ და შს მინისტრს ბ-ნ კახა თარგამაძეს სხვადასხვაგვარად წარმოგიდგენიათ. მეტიც, ბ-ნ კახას თქვენი პროექტის მიზანშეწონილობაში ეჭვიც შეაქვს.**

— მე შევხვდი ბ-ნ კახას და როგორც მივხვდით, ეს იყო დიდი გაუგებრობა.

**— როგორ იყო გაუგებრობა, როცა თარგამაძე შევარდნაძის სახელზე გაგზავნილ წერილში თქვენ მიმართ აშკარა უნდობლობას ამჟღავნებს?**

— თარგამაძეს არასწორი ინფორმაცია მიაწოდეს ჩემი პროექტის თაობაზე. ამიტომ იფიქრა, რომ გუნდის მთლიანი აქციების გადაცემა ვეტერანი „დინამოელებისთვის“ უფასოდ მსურდა. არადა, ასეთი მარტივი წარმოდგენა ნამდვილად არ მაქვს გუნდის მომავალზე. მიმაჩნია, რომ ანგარიში უნდა გავუწიოთ იმ ხალხის დამსახურებას, ვინც წლების მანძილზე „დინამოს“ სახელს ქმნიდა. ხურცილავას, ჩივაძეს, სიჭინავას, დათუნაშვილს თუ სულაქველიძეს აქციების გარკვეული ნაწილი უნდა დავუთმოთ. მსგავსი პრაქტიკაა „ბარსელონაში“. მაგრამ საუბარია აქციათა მხოლოდ 10%-ზე. დანარჩენი 90% უნდა გაიყიდოს. როდესაც ბ-ნ თარგამაძეს ჩემი პროექტი სრულად გავაცანი, გულიანად გაიცინა, რას გერჩოდი, ერთი აზრი გვქონიაო. რაც შეეხება 10%-ის განაწილებას: ეკონომისტები უკეთ გამოთვლიან, რა და როგორ აჯობებს. მე მარტივად ვიტყვი: 5 წელი ვინც გუნდში ითამაშა, 1000-იანი აქცია შეხვდება, 10 წლის სტაჟიანს 2000-იანი, საბჭოთა კავშირის ნაკრებში მიწვეულებს უფრო მეტი და ა.შ.

**— ამ გზით პირადად თქვენ რამდენი აქციის მეპატრონე გახდებით?**

— ოღონდ „დინამოს“ ეშველოს და არანაირი აქციები არ მჭირდება. არავინ იფიქროს, თითქოს ასათიანი გუნდის ხელში ჩაგდებას ცდილობსო. ეს აბსურდია.

**— რა დასამალია და ნახევარი თბილისი სწორედ ამაზე საუბრობს: ასათიანი სპორტის დეპარტამენტიდან მაინც მიდის და „დინამოს“ პრეზიდენტობას უმიზნებსო.**

— და თქვენ გგონიათ, ასეთი არეულ-დარეული გუნდი სამიზნედ ღირს? ჭორებს თუ მივრცელებენ, რა ჩემი ბრალია.

**— ტენდერი როდის უნდა ჩატარდეს?**

— ყველაფერი დამოკიდებულია სახელმწიფო კომისიის მუშაობის დამთავრებაზე. წესით, ეს ერთ კვირაში უნდა მოხდეს და მაშინვე გაირკვევა, რა, როდის და სად ჩატარდება. ჩემი აზრია, რომ „დინამო“ ნაწილ-ნაწილ არ გაიყიდოს. სხვათა შორის, სწორედაც რომ იყო ამგვარი სულელური საუბრები — მაგალითად, დიღმის ბაზა 350 ათას დოლარად გავყიდოთო. ასეთ უაზრობას ყოველმხრივ შევეწინააღმდეგები. „დინამოს“ ნაწილ-ნაწილ დაქუცმაცებით გუნდში კაპიკები თუ შევა. ამიტომაც ვსაუბრობთ სააქციო საზოგადოების ჩამოყალიბებაზე. ეს უკვე დიდი მასშტაბია და პოტენციურ ინვესტორს მინიმუმ 20 მილიონი დოლარის გაღება მოუწევს. ჩვენ შევეჩვიეთ ყველაფრის კაპიკებში გაყიდვას და ასე აღარ შეიძლება გაგრძელდეს. „დინამო“ — ეს არის ბაზაც, გასახდელიც, მოთამაშეებიც, სახელიც. ცალ-ცალკე მათ ფასი არა აქვთ. ერთად აღებული კი, მიუხედავად დღევანდელი კრიზისისა, ძვირად ფასობს. ამ თანხის გადამხდელი უნდა გამოჩნდეს და სწორედ მაშინ ექნება ტენდერის ჩატარებას აზრი. აბა, ერთი თხის პატრონს „დინამოსთან“ რა ხელი აქვს? გუნდი რაც უფრო ძვირად გაიყიდება, ბიუჯეტშიც მეტი თანხა შევა. არ გამოვრიცხავ საქმის ასე სერიოზულად დაყენების შემთხვევაში, „დინამოთი“ რომ იგივე „აიაქსი“, „ბაიერნი“ ან „რეალი“ დაინტერესდნენ. მესმის, ვინმეს ფარმკლუბად ქცევა სასიამოვნო პერსპექტივა არ არის, თუმცა რეალობა უკეთეს გამოსავალს არც გვიტოვებს... და თუ ვინმე ჩემზე უკეთეს პროექტს წარადგენს, ხელებს ავწევ და მადლობასაც ვეტყვი.

## ვინ გახდება „დინამოს“ პრეზიდენტი?

ასათიანი-თარგამაძის შეხვედრას ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, მერაბ ჟორდანია და გენერალური მდივანი, ვალერი ჩოლარია, აგრეთვე სპორტსაზოგადოება „დინამოს“ თავმჯდომარის მოადგილე, რევაზ მაჭავარიანი და გუნდის დირექტორატის წევრი, ნუკრი კაკილაშვილი ესწრებოდნენ:

— შეხვედრისას გადაწყდა, შეიქმნას გუნდის დროებითი ხელმძღვანელობა საკოორდინაციო საბჭოს სახით. მასში ჩოლარია, მაჭავარიანი, კაკილაშვილი და სპორტის დეპარტამენტიდან მერაბ მეტრეველი შევიდნენ. მათი უმთავრესი მიზანია გუნდის ახლად დანიშნულ მწვრთნელს რეზო არველაძეს სამუშაო პირობები შეუქმნან. მწვრთნელი, რომელიც ფინანსურ პრობლემებზე უფრო მეტს ფიქრობს, ვიდრე თავის უშუალო მოვალეობაზე, ვერაფერს მიაღწევს. რეზო კი დამწყები მწვრთნელი, ახალგაზრდა კაცია და საცოდაობა იქნება, ხელი რომ არ შევუწყოთ. საბჭოს ვალერი ჩოლარია უთავკაცებს.

**— ეს ხომ არ ნიშნავს ფედერაციის ჩარევას „დინამოს“ მართვაში?**

— არავითარ შემთხვევაში. როგორც ვიცით, დახმარება დანაშაული არ არის. ახლა შსს-ც, სპორტის დეპარტამენტიცა და ფეხბურთის ფედერაციაც „დინამოს“ გვერდში უნდა დავუდგეთ, რათა ჩემპიონატი ნორმალურად დაიწყოს.

**— ბოლო დროს „დინამოს“ შესაძლო პრეზიდენტად ხშირად მოიაზრებენ რეზო არველაძეს. ეს ინფორმაცია თუ შეესაბამება რეალობას?**

— სპორტსაზოგადოება „დინამოს“ წარმომადგენელმა რევაზ მაჭავარიანმა მართლაც წამოაყენა წინადადება რეზო არველაძის სტატუსის ამაღლების თაობაზე. მას მწვრთნელობასთან ერთად სამეურნეო ხელმძღვანელის ფუნქციაც უნდა შეუთავსონ. მაჭავარიანის წინადადება საინტერესოა, რეზო ახალგაზრდა კაცია, ევროპულ ფეხბურთს მშვენივრად იცნობს და დარწმუნებული ვარ, გუნდს თანამედროვედ მართვაშიც დაეხმარება. მაგრამ, ვერ გავექცევით იმ ფაქტს, რომ იგი გუნდის მწვრთნელია და თანაც დამწყები. მან ბაზაზე 6-7 საათი მაინც უნდა დაჰყოს, იფიქროს თამაშზე, მეტოქეზე, ტაქტიკაზე... ამასთანავე, ვიცი, რომ კვალიფიკაციის ასამაღლებლად სასწავლებლად გამგზავრებასაც აპირებს, როგორც კი ჩემპიონატში თავისუფალი დრო გამოუჩნდება. ამის შემდეგ დარჩება კი სამეურნეო საქმიანობისთვის დრო? დღევანდელ მდგომარეობაში გუნდს ისეთი ხელმძღვანელი სჭირდება, დღესა და ღამეს რომ გააერთიანებს პრობლემების მოსაგვარებლად. ამიტომაც მე ამ წინადადებას შევეწინააღმდეგე. ეტყობა, ჩვენი საუბარი გარეთ არასწორი ინტერპრეტაციით გავიდა და ამიტომაც გავრცელდა მორიგი ჭორი.

**— არსებობს სხვა ინფორმაციაც, რომელმაც შსს-დან გამოჟონა: პოლიციაში „დინამოს“ პრეზიდენტად სპორტსაზოგადოებისა და გუნდის ყოფილ ხელმძღვანელს, შოთა გორგოძეს მოიაზრებენო.**

— გორგოძეს? ვინ გითხრათ? ვიცი, რომ ბ-ნი შოთა პენსიაზე გავიდა და პოლიციის აკადემიაც დატოვა.

**— სწორედ ამ და სხვა ფაქტორის გათვალისწინებით საუბრობენ გორგოძის პრეზიდენტობაზე. სხვათა შორის, ბ-ნი შოთა, რომელიც ბოლო პერიოდში დიღმის ბაზაზე ფეხბურთით ერთობოდა, სრულიად მოულოდნელად ბაზაზე შემსვლელთა სიას ადგენს. მისი განკარგულების გარეშე, მგონი, თქვენც არ შეგიშვებენ.**

— შესაძლოა, ეს პოლიციამ ბაზაზე წესრიგის დასამყარებლად გააკეთა... არა მგონია, ამაზე იყოს ლაპარაკი. აქ სხვა ვარიანტია: მთავარია, ყველა დაინტერესებულმა პირმა, მათ შორის, ძველმა დამფუძნებლებმა, რატიანმა და კომპანიამ გუნდის თაობაზე მოილაპარაკონ. თარგამაძისა და ჩემი პროექტები ერთმანეთისაგან ოდნავ განსხვავდება და ისინი ერთმანეთთან უნდა შევაჯეროთ. მერე გუნდიც რეგისტრაციას გაივლის და პრეზიდენტსაც აირჩევენ. ეს არ გახლავთ პრობლემა. ასე რომ, ჯერჯერობით „დინამოს“ პრეზიდენტზე საუბარი ნაადრევია. მანამდე კი საერთო გადაწყვეტილებით უცხოურ საერთაშორისო ორგანიზაციებს და საერთაშორისო სავალუტო ფონდს მოვეთათბირებით. საქმეში ქონების მართვის სამინისტროც ჩაერთვება. მთავარია, რომ საქმე ადგილიდან დაიძრას.

## რა ელის ძველ ხელმძღვანელებს?

**— სანამ თარგამაძე და ასათიანი „დინამოს“ მომავალზე ბჭობენ, მანამდე გუნდის ყოფილი თავკაცები გაურკვევლობაში არიან. მათ რას უპირებენ?**

— ხომ გითხარით, ნუკრი კაკილაშვილი, დირექტორატის ყოფილი წევრი, საკოორდინაციო საბჭოში შევიდა. საერთოდ ძველი ხელმძღვანელების უგულებელყოფას არავინ აპირებს. თუმცა, აქვე გეტყვით, რომ „დინამოს“ ბედს ერთი-ორი კაცი ვერ გადაწყვეტს.

**— ვინღა დარჩა? რატიანი დააჭირეს.**

— ჩემი აზრით, რატიანი არ უნდა დაეჭირათ. ჩვენ აღარ ვცხოვრობთ კომუნისტურ ეპოქაში. ადამიანის უფლებებიც უნდა დავიცვათ და ნებისმიერი საქმე სუფთა ხელებით ვაკეთოთ. თუკი დარღვევები იყო, არსებობს სასამართლო და რა საჭირო იყო რატიანის დაკავება? ამის აუცილებლობას ვერ ვხედავ.

**— და მაინც, იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს რატიანი მარტო დარჩა. სხვაგვარად გაუგებარია, რატომ არ იცავს მას ფეხბურთის ფედერაცია და სპორტის დეპარტამენტი?**

— ვერ დაგეთანხმებით, რომ არ ვაქტიურობთ რატიანის დასაცავად. მაგრამ დარწმუნებული ვარ, მალე ეს საკითხი სასიკეთოდ გადაწყდება და ყველაფერი გაირკვევა.

## სად წავიდა 28 მილიონი?

მართალია, ბ-ნ კახის „დინამოში“ ვითარების გარკვევის იმედი აქვს, მაგრამ, გუნდის ხელმძღვანელებს, შესაძლოა, კვლავ მოუხდეთ ახსნა-განმარტების მიცემა 28 მილიონის საქმესთან დაკავშირებით. შეგახსენებთ, რომ „დინამოს“ 1995 წელს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით სამეწარმეო შეღავათი მიანიჭეს. ისაუბრეს თუ არა თარგამაძემ და ასათიანმა ამ საკითხზე?

— ამის დრო და საშუალება არ გვქონდა, მაგრამ 28 მილიონის საქმეს კარგად ვიცნობ და ვიცი, რომ ეს არის უდიდესი გაუგებრობა. შემიძლია პირდაპირ ვთქვა, რომ 28 მილიონის საქმე უზომოდ გაბუქებულია.

**— როგორ, დარღვევები არ ყოფილა?**

— ბუნებრივია, არეული კანონმდებლობიდან გამომდინარე, დარღვევები იქნებოდა, მაგრამ, მეორე მხრივ, არის გაუგებრობა: თუკი მაშინ სიგარეტი „ელემი“ 45 თეთრი ღირდა, „დინამოს“ 1,6 ლარად დაუთვალეს. ამას დაუმატეთ დღგ აქციზი და ა.შ. და გამოიყვანეს კიდეც 28 მლნ ლარი. „დინამო“ პირველად საგადასახადო ინსპექციამ შეამოწმა და მაშინვე მიხვდნენ, რომ დასახელებული ციფრები ზედმეტად არარეალურია. ყველაზე სასაცილო ის გახლავთ, რომ იმ პერიოდში გუნდს 28 მლნ-ის მოსაგებად საბრუნავი თანხა არ ჰქონდა. ეს ნამდვილად ვიცი.

**— „დინამოს“ არა, მაგრამ ჰქონდათ იმ ფირმებს, რომლებიც გუნდის სახელით აწარმოებდნენ ოპერაციებს. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობენ საქმეში ჩახედული ადამიანები.**

— თქვენ ფიქრობთ, რომ აქედან „დინამომ“ მართლა მილიონები იშოვა? არა, გენაცვალე, გუნდს კაპიკებს თუ აძლევდნენ... და თუ ძალიან გვინდა, რომ არარსებული მილიონების მითვისება დავაბრალოთ, ეს უკვე მათი ბრალი არ არის.

**— „დინამოს“ ყოფილ და ახლანდელ ხელმძღვანელებს, მათ შორის თქვენს სიძეს, მერაბ ჟორდანიასაც 28 მლნ-ის თემა მრავალჯერ წამოაძახეს. თუკი მართლები არიან, ცილისმწამებლებს რატომ არ უჩივიან?**

— ეს მათი პირადი საკითხია, თუმცა რეალური ვითარება რომ არ ვიცოდე, სიძეს კი არა, საკუთარ შვილსაც არ დავიცავდი. ანალოგიურ ოპერაციებს ახორციელებდნენ რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრები, ლტოლვილები, ინვალიდები. ხომ უნდა დამთავრდეს ერთხელ და სამუდამოდ ამ საკითხზე კამათი? მით უფრო, რომ არარსებულ თანხაზეა ლაპარაკი.

## ქვანია არასერიოზული კაცია

ახლა „დინამოს“ ბედს საკოორდინაციო საბჭო განაგებს. თუმცა, გუნდის ყოფილი გენერალური დირექტორის ვაჟა ქვანიას აზრით, იგი უკანონო ორგანოა. ქვანია კი თავს გუნდის პრეზიდენტს უწოდებს, რადგან პრეზიდენტი რატიანი დააკავეს. ასათიანი ქვანიაზე ხალისით არ საუბრობს:

— სხვათა შორის, არც ქვანია აურჩევიათ კანონიერად. არჩევნებს არ ესწრებოდნენ გუნდის დამფუძნებლები, რაც უკვე უკანონობაა. და საერთოდ, ქვანიაზე საუბარი არ მსურს.

**— გასაგებია, მაგრამ ქვანია მეტად სერიოზულ ბრალდებებს გიყენებთ.**

— მერე ასეთ კაცს სერიოზულად როგორ ვუპასუხო?

**— ის საუბრობს თარგამაძესთან თქვენს ალიანსზე, რომელიც „დინამოს“ ხელში ჩასაგდებად და გადასანაწილებლად შეიქმნა. ალიანსის წევრებად ლეკიშვილსაც და რეზო არველაძესაც ასახელებს.**

— ამიტომაც ვამბობ, რომ ქვანიაზე სერიოზული საუბარი არ შეიძლება. ან როგორ დავამტკიცებ, რომ ალიანსი არ არსებობს? როცა კაცს იდეა-ფიქსი კლავს, მისი გადარწმუნება შეუძლებელი და აზრს მოკლებულია... სასაცილოა ეს კაცი. თარგამაძესთან ალიანსი კი არა, პრობლემები მქონდა, წეღან გაუგებრობებზეც გესაუბრებოდი.... მაგას შეუძლია, ანალოგიური წარმატებით, ბომბეიდან ლონდონამდე გვირაბის გაყვანა დამაბრალოს. ადრე ვიღაცა გიჟი გამომიხტა, პეტრიაშვილზე ბინის აშენება დამაბრალა. სხვათა შორის, ძალიან გამიხარდა, ჩემთან შეუთანხმებლად ვიღაც სასახლეს რომ მიშენებდა. ესეც გაზეთებიდან შევიტყვე. არადა, ხალხს ასეთი ტყუილების სჯერა და მერე სიმართლე რომ თქვა, მაინც აღარავინ დაიჯერებს. ამ ტუტუცმა ჩემი ცოლი ახსენა, გადავირიე კაცი! ჩემს ცოლს რაღას ერჩოდა? „ნატვრის ხეშია“ ერთი საინტერესო პერსონაჟი, სულ თავის თავს ელაპარაკება და ამით ერთობა. აი ამ კაცს, ამ პერსონაჟს მაგონებს ქვანია.

*ლაშა ნიშნიანიძე*

# კადეტებმა გაგვახარეს

2-6 აგვისტოს ბულგარეთის ქალაქ რაზგრადში მიმდინარეობდა ევროპის თექვსმეტწლიანთა ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი კალათბურთში, სადაც ბულგარეთის, იტალიის, ისრაელისა და უნგრეთის ნაკრებ გუნდებთან ერთად საქართველოს წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. აღნიშნული გუნდებიდან მომდევნო ეტაპზე თამაშის უფლებას 1-3 ადგილებზე გასული გუნდები ინაღდებდნენ. რაზგრადში ქართველებისთვის მოვლენები ისე განვითარდა უკეთესს კაცი რომ ვერ ინატრებს. ოთხი შეხვედრიდან ოთხივე მოიგეს და, თანაც როგორ! თითოეული შეხვედრის საბოლოო ანგარიში ასპარეზობის ერთპიროვნული ლიდერის სასარგებლოდ 20 ქულას აღემატებოდა.



მხოლოდ პირველ შეხვედრაში იტალიასთან მატჩის დროს აღმოჩნდნენ ქართველები მდევრის როლში, როდესაც მეტოქემ ზუსტად შესრულებული სამქულიანი სროლის შემდეგ გახსნა ანგარიში. ეს იყო და ეს. ქართველები მთელი ტურნირის მანძილზე მდევრის როლში აღარავის უნახავს.

იტალიელთა 27 ქულის სხვაობით (95:68) დამარცხების შემდეგ ჩვენებურებმა უნგრელები გაანადგურეს — 68:39. ქართველების მომდევნო მეტოქე, წლების მანძილზე უხერხულ მეტოქედ აღიარებული ისრაელის ნაკრები გახლდათ, მაგრამ ვერც უხერხულმა მეტოქემ შესძლო ლიდერის შეჩერება და თავი იმით ინუგეშა, რომ სხვა გუნდებისაგან განსხვავებით, ყველაზე ნაკლები 23 ქულის სხვაობით (84:61) დამარცხდა. ტურნირი კი მასპინძელთა, ბულგარელთა განადგურებით 96:72 დაასრულეს. მომდევნო ანუ შესარჩევი ეტაპი, რომელიც ამჯერად ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირის წევრებს დაასახელებს, 2001 წლის გაზაფხულზე გაიმართება, ფინალური ტურნირი კი იმავე წლის ზაფხულშია დაგეგმილი

*ლევან იმერლიშვილი*

## საჭადრაკო კლუბი

**„კვირის პალიტრა“ აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.**

შავების დაშამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).

წინა ამოცანის ამოხსნა: 1. ლa5-d2!

თეთრები იწყებენ და აკეთებენ მატს ორ სვლაში.



# ჩემპიონთა ლიგა

## მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩები

ცოტაც და „ნამდვილი“ ჩემპიონთა ლიგის გათამაშება აიღებს სტარტს. მანამდე უძლიერესნი ისვენებენ, შედარებით სუსტი გუნდები კი არაფერს ზოგავენ ლიგაში შესაღწევად. გასულ კვირას მესამე, გადამწყვეტი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი შეხვედრები გაიმართა. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ლიგის წლევანდელმა გათამაშებამ საერთოდ უქართველებოდ ჩაიაროს. ყოველ შემთხვევაში, ზაზა ჯანაშიას „ლოკომოტივმა“ ფაქტობრივად დაკარგა უძლიერესთა შორის თამაშის შანსი, ვერც კახი კალაძისა და გიორგი დემეტრაძის კიევის „დინამოს“ აქვს კარგად საქმე. უკრაინელები მხოლოდ ნულოვან ფრეს დასჯერდნენ შინ ქუთაისის „ტორპედოს“ მძლეველ „ცრვენა ზვეზდასთან“ და საპასუხო მატჩში, რომელიც ბელგრადში გაიმართება, მეტად გაუჭირდებათ. სხვა მატჩებიდან ყველაზე დიდი სენსაცია შვედურმა „ჰელსინბორგმა“ მოახდინა, რომელმაც შინ მილანის „ინტერს“ მინიმალური ანგარიშით მოუგო. აღსანიშნავია ავსტრიული „შტურმის“ გამარჯვება ჰოლანდიურ „ფეიენოორდთან“, აგრეთვე ბელგიის „ანდერლეხტის“ მიერ შარშანდელი გათამაშების მეოთხედფინალისტის — „პორტუს“ დამარცხება.



**გაგაცნობთ ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩების შედეგებს:**

| | | |
|---|---|---|
| ბრონდბიუ (დანია) | ჰამბურგი (გერმანია) | 0:2 |
| ზიმბრუ (მოლდოვა) | სპარტა (ჩეხეთი) | 0:1 |
| შტურმი (ავსტრია) | ფეიენოორდი (ჰოლანდია) | 2:1 |
| ჰერფიოლგე (დანია) | რეინჯერსი (შოტლანდია) | 0:3 |
| დინამო (უკრაინა) | ცრვენა ზვეზდა (იუგოს.) | 0:0 |
| შახტიორი (უკრაინა) | სლავია (ჩეხეთი) | 0:1 |
| პოლონია (პოლონეთი) | პანათინაიკოსი (საბერძნ.) | 2:2 |
| ანდერლეხტი (ბელგია) | პორტუ (პორტუგალია) | 1:0 |
| დუნაფერი (უგრეთი) | როზენბორგი (ნორ.) | 2:2 |
| ლიდსი (ინგლისი) | მიუნხენ 1860 (გერ.) | 2:1 |
| სენტ გალენი (შვეიცარია) | გალათასარაი (თურქეთი) | 1:2 |
| მილანი (იტალია) | დინამო (ხორვატია) | 3:1 |
| ჰელსინბორგი (შვედეთი) | ინტერი (იტალია) | 1:0 |
| ტიროლი (ავსტრია) | ვალენსია (ესპანეთი) | 0:0 |
| ინტერი (სლოვაკეთი) | ლიონი (საფრანგეთი) | 1:2 |
| ბეშიქთაში (თურქეთი) | ლოკომოტივი (რუსეთი) | 3:0 |

# უფსკრულისაკენ...

## უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი



საქართველოს მეორე გუნდს ებრაულმა „ბეითარმა“ თბილისში 3:0 მოუგო. ამით ყველაფერია ნათქვამი. ქართული საკლუბო ფეხბურთი არც აქამდე წყვეტდა ვარსკვლავებს და შეიძლება ითქვას, რომ დღეს აღარც არსებობს. ნელ-ნელა მკვიდრდება ასეთი ტრადიცია: ევროპის ნებისმიერი გუნდისათვის ევროთასებზე ქართულ კლუბთან შეხვედრა მომდევნო ეტაპზე ავტომატურად გასვლას ნიშნავს. ფარერებისა და ანდორის დონეზე დავედით. უკან ჩამოგვიტოვა კვიპროსმა, ლუქსემბურგმა, ბალტიისპირეთის სამივე ქვეყანამ, სომხეთმაც და აზერბაიჯანმაც. თუ ეჭვი გეპარებათ, გადახედეთ ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის წლევანდელი გათამაშების სტატისტიკას და ირწმუნებთ — დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის არსებობის მანძილზე ჯერ არ მომხდარა ისე, რომ ყველა ჩვენებურ გუნდს პირველივე ეტაპზე დაექნიოს ხელი ევროთასებისათვის. არ მომხდარა და ახლა მოხდება, თუ რევაზ ძოძუაშვილის „ლოკომოტივმა“ არ ივაჟკაცა და ხუთშაბათს ბრატისლავაში იქაურ „სლოვანთან“ 0:2 წაგების შემდეგ, შინ არ გაქვითა ორბურთიანი სხვაობა. თანამედროვე ფეხბურთში 0:2-ის „ამოქაჩვა“ „ლოკომოტივს“ კი არა, მართლა გუნდები რომ ჰქვიათ, მათაც უჭირთ. ასე რომ, ათწლიანმა დაღმასვლამ ქართული ფეხბურთი უფსკრულამდე მიიყვანა. საშველიც არ ჩანს...

**გაგაცნობთ უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი შეხვედრების ზოგიერთ შედეგს:**

| | | |
|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია (თბილისი) | ბეითარი (ისრაელი) | 0:3 |
| სლოვანი (სლოვაკეთი) | ლოკომოტივი (თბილისი) | 2:0 |
| ნეფთჩი (ბაქო) | გორიცა (სლოვენია) | 1:0 |
| არარატი (სომხეთი) | კოშიცე (სლოვაკეთი) | 2:3 |
| შერიფი (მოლდოვა) | ოლიმპია (სლოვენია) | 0:0 |
| ბრიუგე (ბელგია) | ფლორა (ესტონეთი) | 4:1 |
| კონსტელასიო (ანდორა) | რაიო ვალეკანო (ესპ.) | 0:10 |

## „ტორპედო“ იშლება?



ბელგრადის „ცრვენა ზვეზდასთან“ მარცხის შემდეგ ქუთაისის „ტორპედოს“ მწვრთნელმა, დავით ყიფიანმა მეტად რადიკალური ნაბიჯის გადადგმა გადაწყვიტა: მეკარე გია ჭანტურია, მცველი მაღლაკელიძე, თავდამსხმელები მეგრელაძე და ვაჩიბერაძე გუნდიდან დათხოვნილი არიან. ჩვენთვის უცნობია, რამ აიძულა ყიფიანი არცთუ რიგით მოთამაშეებს დამშვიდობებოდა. თუმცა, ის კია ცნობილი, რომ გია მეგრელაძე კარიერის გაგრძელებას გერმანიაში აპირებს. მართალია, მეგრელაძე ბუნდესლიგის „შტუტგარტში“ ჯერ კიდევ მაისში გასინჯეს, მაგრამ დანამდვილებით ძნელია მტკიცება, რომ 23 წლის ქუთაისელი ბედს მაინც და მაინც ამ კლუბს დაუკავშირებს თუ არა.

ამასთანავე ცნობილი გახდა, რომ თბილისის „დინამოს“ მწვრთნელი, რეზო არველაძე „ტორპედოში“ განათხოვრებული გუჩუასა და სიჭინავას დაბრუნებას ფიქრობს. ასე რომ, ყიფიანს ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე საკადრო პრობლემების გადაწყვეტა მოუხდება.

# ფიფას ახალი რეიტინგი

ფიფამ მომდევნო რეიტინგი გამოაქვეყნა. ბრაზილიას პირველობას კვლავ ვერავინ ეცილება. ევრო-2000-ზე ტრიუმფის შემდეგ მეორე ადგილი საფრანგეთმა დაიკავა. მესამეზე არგენტინის, მეოთხე ადგილზე კი ჩეხეთის ნაკრებები არიან. საქართველო ფიფას ახალ რეიტინგში 68-ე პოზიციაზეა ქუვეითთან ერთად. გაგაცნობთ პირველ ათეულს.

| | |
|---|---|
| 1. ბრაზილია – 819 ქულა | 7. პორტუგალია – 716 |
| 2. საფრანგეთი – 808 | 8. ჰოლანდია – 710 |
| 3. არგენტინა – 749 | 9. ნორვეგია – 705 |
| 4. ჩეხეთი – 745 | 10. იუგოსლავია – 704 |
| 5. ესპანეთი – 743 | |
| 6. იტალია – 729 | 68. საქართველო – 495 |

Sydney 2000

## ოლიმპიური ჩირაღდანი მოპარვას გადაურჩა

ოლიმპიურმა ჩირაღდანმა ხუთივე კონტინენტზე მოგზაურობის შემდეგ ავსტრალიის ქალაქები მოიარა და ამჟამად მელბურნში იმყოფება. ქალაქის ქუჩებში მოგზაურობის დროს იგი კინაღამ გაიტაცეს. მაშინ, როდესაც ჩირაღდანი ერთ-ერთ ავსტრალიელ ქალბატონს ეპყრო ხელთ, ბრბოდან უცნობი ყმაწვილი გამოვარდა, ქალს ჩირაღდანი წასტაცა და მოსახვევში გაუჩინარდა. ავსტრალიურ პოლიციას რომ არ ევაჟკაცა, ოლიმპიადის ორგკომიტეტი მსოფლიომოვლილი ოლიმპიური ცეცხლის გარეშე დარჩებოდა. ქურდი რამდენიმე წუთში შეიპყრეს და ჩირაღდანიც მფლობელებს დაუბრუნეს.

### ბილეთები ჯერ კიდევ არ გაყიდულა

ოლიმპიურ თამაშებზე დასაშვები მილიონამდე ბილეთი ჯერჯერობით ამაოდ ელის მფლობელს. თუმცა თავად ავსტრალიელები ამტკიცებენ, რომ „მწვანე კონტინენტის“ ბინადარნი უშუალოდ თამაშების დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე შეიძენენ ბილეთებს.

ოლიმპიური მედლები 142 სახეობაში გათამაშდება. 100 მათგანზე დასწრების მსურველებს ჯერ კიდევ შეუძლიათ შეიძინონ ბილეთები. საინტერესოა, რომ ავსტრალიელები ნაკლებ ინტერესს იჩენენ ისეთი სახეობების მიმართ, როგორიც მძლეოსნობა, წყალში ხტომა და კალათბურთია. ორგკომიტეტმა ამ დღეებში ახალი, მძლავრი სარეკლამო კამპანია წამოიწყო. ორგანიზატორებს ბოლო დღეების იმედი აქვთ და არგუმენტად ის მოჰყავთ, რომ შარშანდელი 6 კვირიანი სარეკლამო კამპანიის პირველ ხუთ კვირაში გაყიდული ბილეთების რაოდენობა ორჯერ ნაკლები იყო ბოლო კვირაში გაყიდულთან შედარებით.

### ოლიმპიადას ჩაშლით ემუქრებიან

ფიჯის კუნძულების ნაციონალისტთა ლიდერი ჯორჯ სპეიტი, რომელმაც გადატრიალება მოახდინა თავის ქვეყანაში, ოლიმპიადის ჩაშლით იმუქრება. ფიჯიელთა ბელადმა დასახმარებლად ავსტრალიელ აბორიგენებს უხმო. აბორიგენთა საბჭოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ისინი მხარს არ დაუჭერენ სპეიტის აქციას. ავსტრალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა სპეიტი ტერორისტად კი აღიარა, მაგრამ მაინც განაცხადა, რომ მისი მუქარა ოლიმპიური თამაშებისათვის არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს, თანაც აბორიგენები გააფრთხილა, რომ თუ ისინი საპროტესტო დემონსტრაციებს გამართავენ, მათზე საქმე აღიძვრება, როგორც სპეიტის მოკავშირეთა მიმართ. თავად სპეიტს აკრძალული აქვს ავსტრალიის ტერიტორიაზე შესვლა, აგრეთვე ყველა მის თანამემამულეს, იმ ფიჯიელ სპორტსმენთა გარდა, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ოლიმპიურ თამაშებში.

### ოლიმპიადის საფეხბურთო დანაკარგები

ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების ფონზე ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირი ისედაც ჩრდილშია მოქცეული და თუ ზოგიერთ ნაკრებში კანტიკუნტად გამოჩენილი ვარსკვლავებიც უარს იტყვიან სიდნეიში ასპარეზობაზე, ალბათ კიდევ უფრო უინტერესო გახდება. გასულ კვირას ოლიმპიადაზე თამაშზე უარი განაცხადეს ნიგერიელებმა ჯონათან აკპობორმა და ნვანკო კანუმ. სხვათა შორის, სწორედ კანუმ მოაგებინა ნიგერიელებს წინა ოლიმპიური ტურნირი. აკპობორმა თავისი გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ „ვოლფსბურგის“ ხელმძღვანელობასთან ურთიერთობის გაფუჭებას ერიდება და იმ პერიოდში იგი კლუბს უფრო გამოადგება, ვიდრე ნაკრებს. იგივე მიზეზი აქვს კანუსაც.

რაც შეეხება მოწინავე ევროპულ კლუბებს, მათ საერთოდ ოლიმპიადის ხსენებაც არ სურთ და მაქსიმუმ თითო ფეხბურთელი გაუშვან ნაკრებებში საასპარეზოდ, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ამის შესახებ ფიფას სპეციალურ მითითებებს მიიღებენ.

## რეჯი მილერი ინდიანაში რჩება



კალათბურთის ნაციონალური ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელი რეჯი მილერი, რომელსაც „ინდიანასთან“ კონტრაქტის ვადა გაუვიდა, კარიერას ალბათ ისევ ძველ კლუბში გააგრძელებს. „კლუბის ხელმძღვანელობა ბედნიერია იმით, რომ NBA-ს ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე გუნდში რჩება“ — ნათქვამია გუნდის პრესსამსახურის განცხადებაში. მილერი, რომელსაც ახლახან 37 წელი შეუსრულდა, კიდევ სამი წლის განმავლობაში დაიცავს კლუბის ღირსებას და გასამრჯელოდ 36 მილიონ დოლარს მიიღებს. გასულ წელს, მილერმა, რომელიც კლუბის რეკორდსმენია ჩატარებული მატჩების რაოდენობით, 9 მილიონი გამოიმუშავა.

# ქართველები გონებრივი თამაშების ოლიმპიადაზე

2000 წლის 18 აგვისტოს, ლონდონში, "ALEXANDRA PALACE"-ში იხსნება და 10 დღის მანძილზე გასტანს გონებრივი თამაშების მსოფლიო IV ოლიმპიადა — MSO-2000. სასიხარულოა, რომ მსოფლიოს ინტელექტუალთა ამ ფორუმში საქართველო საკმაოდ მრავალრიცხოვანი წარმომადგენლობით მიიღებს მონაწილეობას.

11 აგვისტოს, ოლიმპიადაში მონაწილე გუნდის ოფიციალურ წარდგინებაზე ჟურნალისტთა კორპუსის წინაშე, საჭადრაკო კლუბის — „საქართველოს ამომავალი ვარსკვლავის“ (GRS) დირექტორმა, ჭადრაკში საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა, ბატონმა გიორგი ხომერიკმა კლუბის ჯერ კიდევ ხანმოკლე ისტორია და პერსპექტივები გაგვაცნო:

— გონებრივი თამაშების ოლიმპიადების შესახებ სრულიად შემთხვევით, ინტერნეტში „მოგზაურობისას“ შევიტყვე. მართალი გითხრათ გაოცებული დავრჩი თამაშთა მრავალსახეობითა და მონაწილეთა რიცხვით. დაუყოვნებლივ დავუკავშირდი ორგანიზატორებს ჩვენი საჭადრაკო კლუბის სახელით და საქმიანი კონტაქტებიც დამყარდა. წინა ოლიმპიადაზე კლუბის სახელით დიდოსტატმა ნატო ეძგვერაძემ მიიღო მონაწილეობა საჭადრაკო ტურნირში, სადაც 200-ზე მეტი დიდოსტატი მონაწილეობდა. აღსანიშნავია, რომ ამ ოლიმპიადაზე უგულვებელყოფილია „მამაკაცთა ინტელექტუალური უპირატესობა ქალებთან“ — შეჯიბრებაში ორივე სქესის სპორტსმენები ერთად მონაწილეობენ.

გასული ოლიმპიადის შემდეგ ჩვენი საერთაშორისო კავშირები საკმაოდ გაფართოვდა და დღეს ჩვენი პარტნიორები ისეთი სოლიდური, მსოფლიოში ავტორიტეტული ორგანიზაციები არიან, როგორებიც ა.შ.შ-ის ჭადრაკის აკადემია, ასოციაცია "CHESS AND MATH", ლონდონის საჭადრაკო ცენტრი, ჩინეთის გონებრივი თამაშების ასოციაცია და სხვები.

ბედნიერი ვარ, რომ წელს საშუალება გვაქვს ორი გუნდით მივიღოთ მონაწილეობა ოლიმპიადაში — შეჯიბრი ტარდება როგორც მოყვარულთა, ასევე პროფესიონალთა შორის. ეს არის უდიდესი ტურნირი, საკმაოდ სოლიდური საპრიზო ფონდითა (100.000 გირვანქა სტერლინგი) და ყველაზე ავტორიტეტული მონაწილეებით. სამწუხაროა, რომ ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არ იცნობენ ქართველ სპორტსმენებს, რომლებმაც უკვე მოასწრეს საერთაშორისო აღიარების მოპოვება. ალბათ იცით, თუ რაოდენ პოპულარულია ბრიჯი ევროპასა და ამერიკაში. ქართველებს ამ სახეობაში ოთხი შესანიშნავი ოსტატი გვყავს — ძმები არჩილ და ირაკლი გარაშვილები, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონები არიან იუნიორებში წყვილთა თანრიგში და ასევე მრავალი საერთაშორისო ტურნირის პრიზიორები გოჩა გოშაძე და გრიგოლ ღოღობერიძე. ე.წ. „იაპონური ჭადრაკის“ — გოს ტურნირში მონაწილეობას მიიღებს გიორგი ღლონტი; საჭადრაკო ტურნირში მე და საქართველოს ოლიმპიური ნაკრების წევრი ბაადურ ჯობავა ვითამაშებთ. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი დემურ მაღლაკელიძე ნარდის მოთამაშეთა შეჯიბრებაში გამოვა; კიდევ ერთი სპორტსმენი — საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი მალხაზ კანდელაკი შაშს ითამაშებს. ოთხ სახეობაში — გო, რევერსი, შაში და ნარდი ქართველი მოყვარულებიც გამოვლენ. მათ ტურნირში, ცხადია, მთავარი ოლიმპიური დევიზია: „მონაწილეობა და არა გამარჯვება“, პროფესიონალები კი მედლებისათვის ვიბრძოლებთ და ჭადრაკში, ბრიჯსა და ნარდში რამდენიმე მედლის მოპოვებასაც ვგეგმავთ.

ჩვენ მაინც სპორტსმენები გვქვია და ამიტომ საკითხის მკვეთრად დაყენება: „ათლეტიზმი თუ ინტელექტი?“ ან „სიდნეის ოლიმპიადა თუ ლონდონის გონებრივი თამაშების ოლიმპიადა?“ სწორად არ მიმაჩნია, თუმცა ვფიქრობ, რომ ფიშერს ან კასპაროვს მეტი დაფასება და თუნდაც მეტი ანაზღაურება უნდა ჰქონდეთ, ვიდრე ტაისონსა და ჰოლიფილდს და ალბათ, ასეც იქნება — მსოფლიო აქეთკენ მიდის, დღეს როდესაც კომპიუტერი ბევრს რამეს აკეთებს, გადამწყვეტი მაინც ინტელექტია და კაცობრიობის მომავალიც გონიერი ადამიანების ხელშია.

რა გვეთქმის, ძალზე სასიამოვნოა, რომ საქართველოს წარმომადგენლები მსოფლიოს ინტელექტუალური სპორტის ელიტაში გამოჩნდნენ და თანაც ამ წარმატებას მხოლოდ საკუთარ ძალებზე დაყრდნობით მიაღწიეს — ჩუმად და უაყიოტაყოდ გააკეთეს კარგი საქმე.

წარმატება ვუსურვოთ — სხვა თამაშების ტერმინოლოგიაში მოვიკოჭლებთ, მონარდეებს კი — დუ-შაშები არ მოჰკლებოდეთ.

*ზვიად გურული.*

# ჭრელ-ჭრელი ამბები

— ჰოლივუდის ცნობილმა კომიკოსმა **ჯიმ კერიმ,** ეტყობა, წესად შემოიღო თავისი პარტნიორი ქალების შეყვარება. „მექალთანის" ბოლო მსხვერპლია ამომავალი ვარსკვლავი რინი ზელვეგერი (ფილმიდან „მე და ირენი"). უკვე დიდი ხანია, რაც ჯიმ კერის ჰოლივუდში სერიოზულად აღარავინ უყურებს და მსახიობს ეს ძალზე აღიზიანებს. რაღას არ აკეთებს, რომ საზოგადოებას აზრი შეუცვალოს საკუთარ თავზე. იმასაც კი ცდილობს, რომ „სერიოზულ" კინოში შეძვრეს, მაგრამ კომიკოსის იმიჯი ისე მიეწება, რომ ყველა სხვა მცდელობა უშედეგოა. ეს, სხვათა შორის, სერიოზულად უშლის ხელს პირად ცხოვრებაშიც. მსოფლიო პრესა აჭრელებულია იმ ფაქტით, რომ კერის წინადადებას, ცოლად გაყოლაზე, რინი ზელვეგერი ისტერიული სიცილითა და კატეგორიული უარით შეხვდა. მაგრამ, კომიკოსმა ფარხმალი არ დაყარა და „საცოლეს" გადაღებაზე ინგლისში გაჰყვა. ლონდონის ერთ-ერთ ფეშენებელურ რესტორანში მეორედ სთხოვა ცოლობა და 60.000 დოლარიანი ბრილიანტის თვლიანი ბეჭედიც მიართვა. რინიმ ველარ გაუძლო საჩუქრის ბრწყინვალებას და... დათანხმდა.



— **ბრიუს უილისი** თავის ვეტერინარს 4,000 დოლარს უხდის კვირაში იმისათვის, რომ ამ უკანასკნელმა მთელი გულისყურით ადევნოს თვალი ვარსკვლავის ცხრა ძაღლის კუჭნაწლავის ტრაქტს.

— ჰოლივუდის მთელ ტექნიკურ პერსონალს ხელისგულზე დაჰყავს **ჯენიფერ ლოპესი,** ვინაიდან ის ერთადერთი მსახიობია, რომელიც მუშებთან სადილობას კადრულობს.

— როგორც **ედი მერფი** ამტკიცებს, დედამიწის ზურგზე ყველაზე დიდი ბოროტება არის ულამაზო და მოუვლელი ქალი. ამიტომაც ვარსკვლავი აიძულებს მეუღლეს, საუზმის სუფრას მიუჯდეს დავარცხნილი, მაკიაჟგაკეთებული და სალამოს კაბაში გამოწყობილი. სადილ-ვახშმად წყვილი წვეულებებზეა. ასე რომ, ნიკოლი თავისთავად ფორმაში იქნება.

— **ჯენიფერ ფლავინმა** თავის მეუღლეს, სილვესტერ სტალონეს „კომენდანტის საათი" დაუნიშნა. სტალონემ არ უნდა გადააცილოს ღამის 3 საათს. თუ ვარსკვლავმა 10 წუთით მაინც დააგვიანა შინ მოსვლა, ჯენიფერი ვილის ყველა კარ-ფანჯარას კეტავს და სტალონე იძულებულია, ღამე კიბეზე გაათიოს.



— მსოფლიოს ერთ-ერთი პირველი ლამაზმანი, „ესტე ლაუდერის" ფირმის სახე, **ლიზ პერლი** შევიდა ამერიკის პროვინციულ სასადილოში. ბარმენმა, რაც სულაც არ არის გასაკვირი, თვალი ვერ მოსწყვიტა მსახიობს. ბოლოს, როცა პერლი წასასვლელად წამოდგა, ბარმენი მიუახლოვდა. ვარსკვლავი ქათინაურების მოსასმენად მოემზადა, მაგრამ ბარმენმა ძალიან კმაყოფილი სახით მიაგება, — ალბათ ხშირად გეუბნებიან, რომ მსახიობ ჟაკლინ ბისეს ჰგავხართო.



— **მადონა** დარწმუნდა, რომ დიდ ბრიტანეთში არც ისე უსაფრთხოა ცხოვრება. როცა ვარსკვლავი ახალი ფილმის პრემიერაზე იყო, მის ვილაში ქურდები შეიპარნენ. ოსტატურად გათიშეს სიგნალიზაცია, გახსნეს ჭიშკარი, შევიდნენ სახლში და წამოიღეს მსახიობის ხელჩანთა, რომელშიც საკრედიტო ბარათი, საფულე და გასაღები იდო. ქურდებს სხვა არაფერი წაუღიათ, თუმცა გასაგებიცაა. მადონას ერთი საკრედიტო ბარათი საკმარისია, რომ მთელი სიცოცხლე უზრუნველად იცხოვრო.

— დედამიწაზე არის ისეთი ადგილი, სადაც ადამიანს **წვიმა არ ასველებს**. ეს არც არის გასაკვირი, რადგან წვიმა მშრალია... ასეთი სასწაულები შეიძლება ნახოთ უდაბნოში, სადაც ჰაერი ცხელია. წვიმა აქ ძალიან იშვიათად იცის და თუ მოდის, სანამ მიწას მიაღწევს, უმალ ორთქლდება. ხედავთ, რომ წვიმს, მაგრამ ვერ გრძნობთ.

— ქურთების ლიდერმა **აბდულა ოჯალანმა,** რომელიც სასიკვდილო განაჩენის მოლოდინში ციხის საკანში იტანჯება, ლექსების წერა დაიწყო. პირველი ლექსი, როგორც ეს ნამდვილ პოეტს ეკადრება, ქალსა და სიყვარულს უძღვნა. ოჯალანს გადაწყვეტილი აქვს დღეში თითო ლექსის დაწერა და შემდეგ გამოცემა. ოჯალანი სერიოზულად დაინტერესდა რელიგიით, პოლიტოლოგიით და კლასიკური ლიტერატურით. როგორც ამბობენ, ქურთთა ლიდერმა მოუწოდა თავის თანამებრძოლებს, დაყარონ იარაღი და იკითხონ შექსპირი და გოეთე. ოჯალანი დარწმუნებულია, რომ ლიტერატურის სიყვარული აამაღლებს მათ კულტურულ დონეს, შეცვლის ტრადიციულ მსოფლმხედველობას, რაც ხელს შეუწყობს თურქეთში მშვიდობის დამყარებას.

— **სად გაჩნდა თხილამურები?** რა თქმა უნდა, ჩვენთან, ნორვეგიაში, — უყოყმანოდ მოგიგებენ ნორვეგიელები. რაგვარ თხილამურს არ ნახავთ ქალაქ ჰოლმენკოლენის ნაციონალურ მუზეუმში. ექსპონატები მართლაც უნიკალურია. მათ შორის არის ნეოლითის ეპოქისაც.



პირველი აღმოჩენილი თხილამურები, არქეოლოგთა აზრით, ჩვენი ერის 800 წელს უნდა ეკუთვნოდეს. მუზეუმში თხილამურების განვითარების სრული სურათია წარმოდგენილი. 1930 წლამდე ისინი ხისა იყო, შემდეგ თანდათან განვითარდა და დღევანდელი სახე მიიღო. მკვლევარმა კრისტოფ ნანსენმა სწორედ თხილამურებით გადალახა გრენლანდია, რუალ ამუნდსენმა 1911 წელს მიაღწია სამხრეთ პოლუსს. ამ გაბედული მოგზაურის თხილამურებიც მუზეუმშია გამოფენილი.

— ოჰაიოს შტატის ქალაქ ცინცინატში დადიან ავტობუსები, რომელთაც **მაკავტობუსებს** უწოდებენ. ქალაქის ყველა მაკდონალდსის რესტორნიდან კარტოფილის შენაწვავ, გამოუსადეგარ ზეთს აგროვებენ, სპეციალური ტექნოლოგიით ამუშავებენ, ურევენ მეთანოლს და იღებენ ეკოლოგიურად სუფთა, უკვამლო საწვავს ავტობუსებისათვის. ბიოდიზელი (ძრავა, რომელიც ავტობუსებს უყენია) ახალი ხილი არ გახლავთ, მაგრამ ინტერესი მათდამი მას შემდეგ გაიზარდა, რაც შეერთებულ შტატებში ბენზინი მკვეთრად გაძვირდა. მცენარეული ზეთისგან დამზადებული საწვავი ბევრად იაფი და ეკონომიური გახლავთ. თუმცა ეს ვერაფერი არგუმენტია იმ ურწმუნო ცინცინატელებისათვის, რომლებიც მაკავტობუსების წინააღმდეგ გამოდიან და აცხადებენ, ავტობუსები შემწვარი კარტოფილის სუნს აფრქვევენო.

— ტაჯიკეთში, იაგობის ხეობაში, არის **მთა-ლუმელი,** რომლის ნაპრალებიდანაც დღედაღამ იფრქვევა გაზი, ბოლი და ცეცხლი. მთა ისეთი ცხელია, რომ თუ მასთან შეშის ღერს მიიტანთ, მაშინვე ცეცხლი წაეკიდება. მთის სიღრმეში არსებული ქვანახშირი (არავინ იცის, რისგან) აალდა და დღემდე იწვის.

— ზღვის სანაპიროზე გასვლა სულაც არ არის საჭირო **ხამანწკის მიართმევად** გაისად ისრაელელები ხამანწკებს ნეგევის უდაბნოში მოაშენებენ. მეცნიერებმა, რომლებიც უდაბნოს სიღრმეში აღმოჩენილ თერმულ წყლებს იკვლევენ, განაცხადეს, რომ იგი, ზღვის წყალთან შედარებით, ნაკლებ მარილიანია და შესანიშნავია მოლუსკების, განსაკუთრებით კი ხამანწკების მოსაშენებლად. რესტორნების მეპატრონეები სულაც არ აპირებენ ზღვის ხამანწკებზე უარის თქმას, რადგან კლიენტებს ზღვისპირა რესტორნებში ზღვის ნობათის მირთმევა მოსწონთ და „უდაბნოს ხამანწკებმა" კი შეიძლება მათ სხვა რესტორნებისკენ აქნევინონ პირიო. მაგრამ ევროპისა და ამერიკის ასობით რესტორანი მზად არის, შეიძინოს „უდაბნოს ხამანწკები", რადგან ისინი უფრო იაფია და თვისებებით თითქმის არ განსხვავდება ზღვის ხამანწკებისგან. გურმანები ამბობენ, — მათი ერთადერთი ნაკლი ის გახლავთ, რომ ზღვის არომატი არა აქვთო.

— 1811 წელს ფრანგი ქიმიკოსი ბერნარდ კურტუა ლაბორატორიაში მუშაობდა. რეაქტივებიან მაგიდაზე შეხტა კატა და გადმოაგდო ორი ჭურჭელი. ერთში გოგირდმჟავა ესხა, მეორეში — ზღვის მცენარეების ნაყენი. იატაკზე დაღვრილი სითხის გუბე მაშინვე გარდაიქმნა მოცისფრო-მოიისფრო ორთქლად. ეს იყო **იოდი,** რომელიც მანამდე უცნობი იყო, როგორც ქიმიური ელემენტი.

— კანადელ მეცნიერთა განცხადებით, ციმბირის **ჯუჯა ზაზუნას** ზოგიერთი ჯიშის მამალი საოცარ თვისებებს ავლენს. იგი „ბებიაქალის" ყველა ფუნქციას ასრულებს თავისი პარტნიორის მშობიარობის დროს. ამასთანავე, თავისი ნაშიერების მიმართ საოცარ „დედობრივ" მზრუნველობას იჩენს მათი ამქვეყნად მოვლინებისთანავე. ამის მიზეზი ამ ზაზუნას ჰორმონალური



თავისებურება აღმოჩნდა — მშობიარობის დროს „მამა" ისეთსავე ჰორმონალურ ცვლილებებს განიცდის, როგორსაც „დედა" ზაზუნა: მატულობს ესტროგონი და კორტიზოლი, მკვეთრად უმცირდება „მამალ" ზაზუნას ჰორმონი — ტოსტოსტერონი.

*უცხოური პრესის მიხედვით*

# მთვარის სპეკალი

ამ მინერალს ძალზე პროზაული სახელი „თევზის თვალი" ერქვა. მაგრამ ის ფერები — მომწვანო, მოვარდისფრო, ოქროსფერი — ვერ აქცევდა მას ძვირფას ქვად, თუ არა მინერალის იდუმალი მოცისფრო-თეთრი ციალი. ასეთი ათინათი და ციმციმი, რა თქმა უნდა, უბრალო ქვისათვის დამახასიათებელი არ იქნებოდა. ასე წარმოიშვა „მისტიკური" სახელწოდება — „მთვარის ქვა" და მასთან ერთად ლეგენდები და რწმენა. ამ ქვას ბედნიერება მოაქვს მხოლოდ მათთვის, ვინც სავსემთვარეობისას არის დაბადებული. იგი „გაწონასწორებულ", თავშეკავებულ ადამიანებს „სწყალობს", ქოლერიკებისათვის სრულიად საპირისპირო ეფექტის მქონეა.



ლამაზი მთვარისებური შეფერილობა მხოლოდ მხედველობითი ეფექტის მქონეა, რაც ამ მინერალის სტრუქტურასთან არის დაკავშირებული. მასში ორი სხვა მინერალის — ორტოკლაზისა და ალბიტის ფენებია ჩაქსოვილი, რაც ცისფერ ციმციმს იწვევს. რაც უფრო თხელია ეს ფენები, მით უფრო ღრმა და მშვენიერია გამოსხივება. მთვარის ქვისათვის დამახასიათებელია აგრეთვე კატის თვალის ეფექტი. მისი ძლიერი გამოსხივების მქონე მინერალები მოიპოვება აშშ-ში, ტანზანიასა და მადაგასკარში. ინდოეთში კატის თვალის ეფექტის მქონე მინერალთან ერთად მოიპოვება „ვარსკვლავისებური"ნაირსახეობა. მთვარის ქვის მაგიურ ძალებს ინგლისელმა მწერალმა თავის საქვეყნოდ განთქმულ რომანში საბედისწერო ალმასი უწოდა. ყველაზე პოეტური აღწერა ამ ქვისა კი მოგვცა აკადემიკოსმა ა. ფერსმანმა: „...მის წახნაგებში რაღაც იდუმალი სინათლე გამოკრთოდა. ეს იყო ნაზი მოლურჯო-მომწვანო ფერების ოდნავ შესამჩნევი გადასვლა ერთმანეთში, მხოლოდ ხანდახან იფეთქებდა ხოლმე და საოცრად კიაფობდა მოწითალო ნაპერწკლები, საერთოდ კი მთელ ქვას ჩვეულებრივ იდუმალი მთვარის ნათელი ანათებდა და იგი სადღაც ქვის სიღრმიდან ამოდიოდა"...

ასე აღწერა განთქმულმა აკადემიკოსმა თეთრი ზღვის სანაპიროზე ნაპოვნი ქვა, რომელსაც „ბელმორიტი" უწოდეს.

*ფავორიტი №13*

# ჯაგერი შინიდან მიაბრძანეს



ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ მიკ ჯაგერს ბრაზილიელი თოფმოდელის ლუჩიანა მორადისგან უკანონო შვილი შეეძინა. მეუღლის გაუთავებელი ღალატით თავმობეზრებულმა, მრავალტანჯულმა როკ-ვარსკვლავის მეუღლემ ჯერი ჰოლმა (სხვათა შორის, თავად ჯერის 4 შვილი ჰყავს „როლინგ სთოუნზის" სოლისტთან) ქმართან გაყრა გადაწყვიტა და კომპენსაციის სახით 45 მლნ დოლარი მოითხოვა. სწორედ აქ გამომჟღავნდა მილიონობით თაყვანისმცემლის კერპის მდაბალი ბუნება: ღვიძლი შვილების დედისთვის მხოლოდ 7 მლნ გაიმეტა. თითქოს ქონების ამგვარ უსინდისო გაყოფას ბოლო უნდა მოეღო როგორც სასიყვარულო, ასევე მეგობრული ურთიერთობებისთვისაც კი, მაგრამ მიკი ყოფილ ცოლთან ერთად ერთ სახლში კიდევ 1 წელიწადს ცხოვრობდა.

ამას წინათ კი როკ-კერპი სკანდალით გააგდეს შინიდან. 56 წლის მუსიკოსი სასტუმროში დასახლდა.

ხანში შესული ლოველასი უსაზღვრო თავხედობამ იმსხვერპლა. ისარგებლა ცოლ-შვილის შინ არყოფნით და თავისი ახალი სატრფო — ვენესუელელი მილიონერის ქალიშვილი ვანესა ნიუმანი მიიწვია: დროზე ადრე დაბრუნებული ჯერი თავს დაადგა ტკბილად მოღუღუნე წყვილს. სკანდალი არ აუტეხია, მაგრამ მეორე დილით ჯაგერი გარეთ გაისროლა.

ახლა მიკი ბინას ეძებს. პირქუში, ჰაიპარად ჩაცმული ერთიმეორის მიყოლებით ათვალიერებს მდიდრულ აპარტამენტებს, ძირითადად, ნოთინგჰილისა და ქენსინგტონის რაიონებში. არც ერთი ლონდონური სახლი არ მოსწონს მიკის — ეტყობა, ოჯახური კერა ურჩევნია. ასეა თუ ისე, ბინას აუცილებლად იპოვის — მაშინ ვნახავთ, ვის მიიწვევს პირველად მექალთანე მუსიკოსი: ყოფილ ცოლს შვილებითურთ თუ ვენესუელელ ლამაზმანს.

ჯერი ჰოლი კი უკვე ნანობს ასეთ ნაჩქარევ გადაწყვეტილებას. საქმე ის არის, რომ სუპერმოდელს, რომელიც 44 წლისაა, მალე დიდი სამუშაო ელის — რეჟისორ ტერი ჯონსონის სპექტაკლში „კურსდამთავრებული", სცენაზე შიშველი უნდა გავიდეს. იქ იგი მობერებული მაცდუნებელი ქალბატონის როლს ითამაშებს. ჯერის ბავშვებთან დამტოვებელი არავინ ჰყავდა და მიკიც დიდსულოვნად დათანხმდა ყოფილ მეუღლეს, ბავშვებთან გაატაროს ის დრო, როცა დედიკო მაყურებლის წინ გაშიშვლდება.

*ნიუზუიქი*



**თარაზულად**: 2. ჰერაკლე, მალაზია; 6. კარეტა, ტრამვაი; 7. ფერმა, მექსიკა; 9. ინსტიტუტი, კათედრა; 10. სტალინი, გრიშა; 11. ევოლუცია, საფეხური; 12. ჯაჭვლიანი, მარიტა; 16. ელჩი, დავალება; 19. ნოველა, ნახატი; 20. ილია, მცხეთა; 21. წურბელა, კოლო; 23. კიდობანი, სომხეთი; 24. ბებია, ილარიონი; 27. ეგვიპტე, ხარი; 32. ლექსი, ემოცია; 33. ნაყინი, ჯოხი; 34. შექსპირი, ჩხიკვაძე; 35. დილომი, „ბმვ"; 36. ხუმრობა, პორტრეტი; 37. რურკი, ყვავილი.

**შვეულად:** 1. მფრინავი, გარაჟი; 2. ჩიტი, ციხე; 3. ჟურნალისტი, დიალოგი; 4. კანფეტი, თვალი; 5. ადამიანი, ფასადი; 6. გონდოლა, ინდიელი; 8. სამეგრელო, იბერია; 12. ბალზაკი, ძუნწი; 13. ხერხი, შალაშინი; 14. სიზმარი, ჯოჯოხეთი; 15. ტრასა, მაკიაჟი; 17. ესტრადა, კენტი; 18. რეფერი, ფეხბურთი; 22. ლუვრი, პეტერბურგი; 25. რაკეტა, ძაღლი; 26. ყვავილი, ბარტყი; 28. როიალი, ფლეში; 29. ოსეთი, ლეკური; 30. ქალი, სიცხე; 31. იაპონია, წაწალი.

**წინა კროსვორდის პასუხები**:

**თარაზულად** 5. მონასტერი; 6. ბალთაზარი; 9. ეტიკეტი; 10. შანტაჟი; 11. ტრუმენი; 15. პრეტენზია; 17. აკაკი; 18. კოლტი; 19. სპარტაკი; 20. პარაშუტი; 24. კლანი; 25. უნაბი; 26. აკორდეონი; 29. კამელია; 31. ჰიმალაი, 33. სიცილია, 34. ასტროლოგი; 35. პარტიტურა.

**შვეულად** 1. ვაზიანი; 2. კრეტა; 3. კანტი; 4. აზიმუტი; 5. მაკარენკო; 7. იმუნიტეტი; 8. აკვარელი; 12. გრამატიკა; 13. ციმერმანი; 14. სკაპენი; 16. ფორტუნა; 21. კლეოპატრა; 22. რადიაცია; 23. ობლიგაცია; 27. კულტურა; 28. ჰამლეტი; 30. რინგი; 31. გირაო.

## №32 (201) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

ნომრის რეიტინგს 617 მკითხველი გამოეხმაურა, აქედან 8 ბარათი არასწორად იყო შევსებული.

ეტყობა, რეიტინგის თემა **„მეფეები“** მამაკაცებისათვის უფრო ახლობელი აღმოჩნდა, ამიტომ მონაწილეთაგან 435 კაცია და მხოლოდ 174 — ქალი.

კითხვა ასეთი იყო: „ვინ არის ქართველი ერის წინაშე ყველაზე ვალმოხდილი მეფე?“. არ არის გასაკვირი, რომ რესპონდენტთა 84%%-მა ქართველი ერის წინაშე ყველაზე ვალმოხდილ მეფედ დიდი დავითი, აღმაშენებელი აღიარა (სწორედ რომ უპრიანია, მადლიერი ერი ამ დღეებში რომ მიაგებს ასეთ პატივს მეფეს — 12 აგვისტოს ხომ „ძლევაი საკვირველის“ — დიდგორის გამარჯვების დღეა), დიდგორის გმირი 8,64 ქულით ქალებთანაც და მამაკაცებთანაც პირველ ადგილზეა.

რაც შეეხება მეფე-დედოფალ თამარს, საშუალო 7,07 ქულით ის მეორე ადგილს იჭერს და დიდ წინაპარს მინიმალური შეფასებების სიმცირით სჯობნის — თამარისთვის მინიმალური ქულა არავის დაუწერია.

თბილის-ქალაქის დამაარსებელი ვახტანგ გორგასალი ორივე სქესის მკითხველისთათვის 5,51 საშუალო ქულით მესამე ადგილზეა.

ერი ბრძენიაო უთქვამთ და ალბათ ამიტომაც დიდი სიბრძნისა და სიქველისათვის მიენიჭა მკითხველის სიმპათია და მეოთხე ადგილი მეფე-ფარნავაზს, რომლის დროსაც „არა იზრახოდა სხვა ენა, თვინიერ ქართულისა“.

სხვაობა ქალებისა და მამაკაცების შეფასებებს შორის მხოლოდ მეექვსე მეშვიდე ადგილის მფლობელთა განსაზღვრაში მოხდა — თუ მამაკაცებისთვის ერეკლე მეორე უფრო წინა (მეექვსე) ადგილზეა, ქალები უპირატესობას პირველ ქრისტიან მეფეს — მირიანს ანიჭებენ.

განმანათლებელი მეფე ვახტანგ VI მკითხველთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით და 2,16 საშუალო ქულით ბოლო ადგილზე აღმოჩნდა. მისი ღვაწლი რესპონდენტთა 47%%-მა მინიმალური ქულით შეაფასა.




№33 საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგს ერთი გამარჯვებული ჰყავს — ეს 21 წლის თბილისელი **დავით სიხარულიძეა**, მხოლოდ მისი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა ზუსტად საპრიზოს.

ვულოცავთ გამარჯვებულს და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში 15 აგვისტოს 17 საათზე.

## №33 (202) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა“** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის რეიტინგში.*

**№33 (202) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 16 აგვისტოს 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 17 აგვისტოს 13 საათამდე.**

© თბილისი, 1997

თემა №33 (202) —
**ბავშვები**

**თქვენი აზრით, რა არის საუკეთესო გასართობი ბავშვებისათვის** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№32(201) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | გასართობი | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ატრაქციონი | |
| 2 | მულტფილმები | |
| 3 | წიგნი | |
| 4 | კომპიუტერული თამაშები | |
| 5 | ეზო | |
| 6 | სპორტი | |
| 7 | ექსკურსია | |
| 8 | სერიალები | |

**დამატებითი კითხვა**

**ბოლო 2 წლის განმავლობაში როგორ შეიცვალა თქვენი ოჯახის ფინანსური მდგომარეობა?**

| გაუმჯობესდა | გაუარესდა | არ შეცვლილა |
|---|---|---|
| | | |

*(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)*

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი — ტელეფონი

**„კვირის პალიტრის“ ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს**

## მკითხველის რეიტინგის შედეგები

დამატებით კითხვას — **„კვირის პალიტრის“ რომელ გვერდს (რუბრიკას) კითხულობთ პირველ რიგში** — 554 მკითხველმა უპასუხა.

ჩვენთვის ძალზე სასიამოვნოა, რომ მკითხველთა დიდი ნაწილი პირველობას ვერც ერთ გვერდს ვერ ანიჭებს და თანაბრად უნაწილებს მათ პირველ ადგილს.

ქალი და მამაკაცი მკითხველის გემოვნება აქაც მცირედით ასცდა ერთმანეთს — თუ ქალები „მედიცინის“ გვერდს უფრო სწყალობენ, მამაკაცები „სამხედროს“ თაყვანისმცემლები არიან.

საერთო ჯამში კი პირველ რიგში წასაკითხი გვერდების თანმიმდევრობა ასეთია:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1-2. | „კვირიდან კვირამდე“ — | 85 | 6. | „სპორტი“ — | 36 |
| 1-2. | „წარმატებებს გისურვებთ“ — | 85 | 7. | „სამხედრო თემაზე“ — | 21 |
| 3. | „კვირის ინტერვიუ“ — | 63 | 8. | „მედიცინა“ — | 20 |
| 4. | I გვერდი, ბარეკანი — | 57 | 9. | ბოლო გვერდი — | 13 |
| 5. | „ვერსია“ — | 38 | 10. | „ამბავნარი“ — | 12 |

## © · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

***გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.***

**რას დაარქმევდით?**

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)



ვლადიმირ პუტინი

**ე.შ.** (ფიქრობს) — სინათლე არა, ბუს კვერცხები, ჩაბნელებულია ყველაფერი.
(ამბობს) — გვირაბის ბოლოს სინათლეს ვხედავ!

***ჯამბულ დოლაკიძე, თერჯოლა***

**ე.შ.** — მარჯვნივ ვისი ჯარი დგას?
პასუხობენ: — რუსების.
**ე.შ.** — მარცხნივ?
— თურქების.
**ე.შ.** — პირდაპირ?
— აფხაზების.
**ე.შ.** — აბა, მე როგორ მოვხვდი ამ გაუგებრობაში?

***ბადრი პატაშური, თბილისი***

საქართველოს №1 სტრატეგი განიხილავს მზის დასავლეთიდან ამოსვლის ვარიანტს.

***პაატა ნაზღაიძე, რუსთავი***

**ე.შ.** — უწინ, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე ძნელი იყო, დღეს კი, წყნეთის დაჩიდან უცბად შემოუვლი საქართველოს საზღვრებს.

***ა. ბაგრატიონი, თბილისი***

— რეიზა გადაგვრიე, ნენა? რაია მაგხელა აჩკი? ხომ არ დეეფსო ჩემს მტერს თვალები. ყურების საქმე რავა გაქ ნენა, არ დევიღუპოთ ჩვენც და მთელი დუნიაც.

***გურულები, გურია***

**ე.შ.** დურბინდი უკუღმა უჭირავს და საირმის გორას გაჰყურებს.
— ესაა სასახლეები ააშენესო? ქოხმახებია რაღაცა და არ მიეცათ ჟურნალისტებს სალაქლაქო?!..

***ბადრი, თბილისი***



ედუარდ შევარდნაძე

***წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 182 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.***

ბუზების თვლის ცივილიზებული, ელიტარული და ქართული მეთოდი XX და XXIს-ის მიჯნაზე.

***თაკო ტაბიძე „სელა“, ვანი***

— ბ-ნო ედუარდ რას ხედავთ?
**ე.შ.** — ვხედავ სოხუმის თავზე ქართული დროშა ფრიალებს. სეპარატისტები თავქუდმოგლეჯით გარბიან...
ვლადისლავ, ნელა, არ წაიქცე.

***ჯემალ ბებია, თბილისი***

**ე.შ.** — ტარიბანის ველზე, 3000 მეტრის სიღრმეზე, ჩემი თვალით ვხედავ 300 მლნ ტონა ნავთობს. დურბინდი საიდუმლო და გეოლოგიურია.

***ტრისტანი, ჭიათურა***

**ე.შ.** — ეს ხალხი ჩვენია თუ სხვისი, რატომ აცვიათ ასე?!
— უკუღმა გიჭირავთ ბატოო ედუარდ.
**ე.შ.** — უკუღმადაც კარგად ვხედავ მე!

***გიორგი კასპელი***

— რას ხედავთ ბატონო ედუარდ?
**ე.შ.** — როგორც შეიარაღებული თვალით, ასევე შეუიარაღებელი თვალით, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე კორუმპირებულ ღორებს ვხედავ.

***უავტორო***

**ე.შ.** — ვხედავ თევზაძე-ეს
თოფით მხარზედა-ა,
ჯარიც მეტი ჰყა-ავს
თავის თმაზედა.
(კ/ფ „იმერული ესკიზების“ მიხედვით)

***მამუკა ჩხიროძე, სამტრედია***

**ე.შ.** — აქით ზღვაა?
**ღორების კლანი** — არა ბატონო, აღელვებული ხალხია.
**ე.შ.** — კი მარა, იქით?
**ღორების კლანი** — იქით მშიერი პენსიონერებია.
**ე.შ.** — აქით?
**ღორების კლანი** — გამწარებული ლტოლვილები და საერთოდ ალყაში ვართ.
**ე.შ.** — აბა, მე აქ რას მომიყვანეთ?
**ღორების კლანი** — გვიშველე ბატონო ედუარდ, ერთხელ კიდევ და თუ კიდევ დაგიჯერეს, ჰოლივუდი თუ არა, ჩვენ გაჩუქებთ ოქროს ოსკარს, „წმინდანის“ როლის საუკეთესო შესრულებისათვის.

***კობა ჩ. რუსთავი***

## ფოტო განწყობისათვის



— რა ვქნა? ჩოგბურთი ვითამაშო, თუ, ჯობია, დავიძინო...

ფსიქიატრთან კაბინეტში შედის პაციენტი იატაკზე ხოხვით. ექიმი ეკითხება:

— ვინ ვართ ჩვენ? ჭიანჭველა? კუ თუ ლოკოკინა?

— სამკურნალო მე კი არა, შენა ყოფილხარ — პასუხობს პაციენტი, — მე უბრალოდ სიმაღლისა მეშინია.



**მაგნიტური დღეები**
**16/VIII 7–9 სთ-მდე**

**15/VIII სავსე მთვარე**

## წინა სკანვორდის პასუხები





## წამალი „სალხინო“ — მართლაც ქართული ფლორის საოცრება

თუ გსურთ განიკურნოთ პროსტატიტის, ცისტიტის, ქალური დაავადების და სხვა შარდსასქესო ორგანოების დაავადებებისაგან, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, სათესლე ჯირკვლებში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, სქესობრივი კავშირის დროს თესლის ნაადრევი გამოყოფა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო“ და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო“ აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო“ გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო“ აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო“ კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს“ სამკურნალო და პროფილაქტიკური თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანის და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

**ჩვენი მისამართია: დავით აღმაშენებლის 115, პოლიციის ეზოში, ფირმა „სალხინო“**



„კვირის პალიტრის“ **უფასო განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ დამატებაში — გაზეთში **„სიტყვა და საქმე“** (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე“ არანაკლებ ეფექტიანია). **„კვირის პალიტრაში“** კი, ქვეყნდება მხოლოდ **ფასიანი განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები, რომლებიც იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

*„უფასო განცხადების ქვითარი“ ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთებში.* ***ყუთები იცლება თბილისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან.*** *მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპოლიტენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან); მოსკოვის გამზირის ბოლოში; ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიდუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში:იოანე პეტრიწის ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ, მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; ნაძალადევში კ/თ „საქართველოსთან“, წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან; დიდუბეში, „სამთო ქიმიის“ გაჩერებასთან; დიღომში - მეგობრობის გამზ. მილიციასთან, უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭავჭავაძის 46; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. - ვ.ფშაველას დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მკრ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან“.*

***ქალაქებში და რაიონებში:*** *მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური; სურამი; ზესტაფონი; ქუთაისი, წყალტუბო, სამტრედია, თერჯოლა, ხონი; აბაშა, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი; ქობულეთი, ბათუმი; ოზურგეთი, ლანჩხუთი; რუსთავი, საგარეჯო, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი; ბორჯომი, ახალციხე; დუშეთი, ჟინვალი;* ***არსებული „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან.*** *ბოლნისსა და ახმეტაში* ***ყუთები დაიცლება ყოველი თვის I და III კვირას, ოთხშაბათს 10 სთ.-დან.***

**ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

### ㉝ უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ____________________

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№33 ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 17 აგვისტოს (ხუთშაბათი), 13.00 სთ-მდე.




## იცით თუ არა, რომ...

...ერთი ფანქრით შესაძლებელია 50 000 სიტყვის დაწერა.

...საბერძნეთის ნაციონალური ჰიმნი 158 კუპლეტისგან შედგება, რომელიც ზეპირად არც ერთმა ბერძენმა არ იცის.

...ჰიტლერს შეეძლო ერთ დღეში 2 კილო შოკოლადის შეჭმა.

...პარიზის ბასტილიის მეთვალყურე ჟაკ დე ვოლე ურჩ პატიმრებს ჯაჭვებით აბამდა კედელზე და ერთი კვირის მანძილზე არ აძლევდა საკვებს. თან აიძულებდა, ეცქირათ, სხვა პატიმრები როგორ ესროდნენ ერთმანეთს მთლიან პურებს, შუაში დაჭიმული თოკის ზემოდან. ლეგენდის თანახმად, ასე წარმოიშვა თამაში ფრენბურთი.

... ვაშინგტონში გაცილებით მეტია ტელეფონი, ვიდრე მოსახლეობა.



თამადა ამბობს სადღეგრძელოს:

— ვადღეგრძელებ ჩვენი სუფრის მშვენებებს — დამსწრე ქალბატონებს. მამაკაცებო და სიდედრებო! ვსვამთ ფეხზე ადგომით!

## ბრედ პიტი დაქორწინდა



ბრედ პიტმა და ჯენიფერ ანისტონმა 29 ივლისს მალიბუში ჯვარი დაიწერეს. ქორწილი 1 მლნ. დოლარი დაჯდა. ჯენიფერს საქორწილო კაბა ლოურენს სტილმა შეუკერა, ხოლო ბრედ პიტს არმანის კოსტიუმი ეცვა.


გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი. სარედაქციო კოლეგია.**

მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ **რედაქცია:** 33-39-54
**რეკლამა:** 98-74-44

palitra@access.sanet.ge
palitra@geo.net.ge

**სარეგისტრაციო ნომერი 1518**
**„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით**

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.


შავი ყვითელი ლურჯი წითელი